143/3
930/3
143/3

პროლეტარული მწერლობა

N 3

შინაარსი

ი. აბაშიძე—ლამე რაიკომში. **ს. ეული** — ინფორმატორი. **ბ. ჩხეიძე** — დღეები (დასასრული). **გ. კაჭახიძე** — დღეები სოფლად. **კ. ბობოხიძე**—დამკვრელი ქარხანა. **დ. შენგელაია** — თეთრები (დასასრული). **ფ. მახარაძე** — ეგნატე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება. **ბ. ბუაჩიძე** — მხატვრული მწერლობის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში. **ვ. ლუარსამიძე** — ვიბრძოლოთ სოციალისტური ადამიანისთვის **გ. ნატროშვილი** — ლიტერატურული შენიშვნები. **ს. კულაევი** — ოსეთის თანამედროვე მხატვრული მწერლობა (დასასრული). **რეზოლიუციები. კოტე მელვინეთ-უხუცესი**— მუსიკალურ ფრონტზე. **არქიტექტორთა დეკლარაცია.**

ბიბლიოგრაფია.

სახელმწიფო გამომცემლობა

1930

1 9 3 0

პროლეტარული მწერლების ახალი წიგნები:

ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ე

ბ რ ძ ო ლ ა

ჰ ე გ ე მ ო ნ ი ი ს ა თ ვ ი ს

გამ. შრომა. ფასი 1 მან. 80 კაპ.



შ. რ ა ღ ი ა ნ ი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს

ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

სახელგამი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

3-84.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და
მხატვრულ-ლიტერატურული
ORGANO

№ 3

მარტი

1930

წელიწადი მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბა. პლეხანოვის პროსპექტი № 91. მთავარლიტი № 557. შეკვეთის № 960. ტირაჟი 2.000.

ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღ ა მ ე რ ა ი კ ო მ შ ი

ბორჯომის კომკავშირულ ბრიგადებს

მომაგონდება,
როცა ზოლებად
განთიადიდან ზეცა იხარებს,
ჩვენი ლაშქრობის დღენი — რომლებმაც
ჯარისკაცივით მე წამიყვანეს.

რაიონში ვარ. უკვე დაბინდდა
სად გავითენო,
ან ვის კარზე ვარ.....
ჩვენს რაიკომში მომცეს მაგიდა,
მცირე ბარგი და ღამის გათევა.

გარეთ მთვარე ჩანს.
თოვლის მაზარა
სხივთა ცემაში თითქო მორცხვდება;
არ დამაძინებს ვიცი სიზმარი,
არ დამაძინებს ღამით ოცნება.

სად არ ვიარე.
ეხლა ვსადგურობ,
მუხლი დაღალა რაზმთა გაძღოლამ;
სხდომის დარბაზი მერგო სასტუმროდ,
მდივნის მაგიდა დარჩა საწოლად.

აქ მე ყიჟინა მახსოვს აქამდე,
აქ ასპარეზი ჰქონდა გონებას,
ეხლა ღამეა,
ვარჩევ ქალალდებს
წარსულ ქმედების მოსაგონებლად.

აი, ერთიან სხდომის თარიღი
როცა, ლაშქრობას ჩვენ მხარს ვუჭერდით,

როს გავაჩაღეთ თემში ჩქარი დღე
ბრიგადელებმა მრავალ უჯრედის.

გვითქვამს: — პირობა გახდა სალხენად:
არის ლტოლვა და.....
კიდევ სხვა და სხვა
და ვარაუდში ვწერდით მახვილად
კოლექტივებზე მთლიან გადასვლას.

ვინ გვიჯერიდა,
ჩვენი იმედი
რაღაც, — მიაჩნდათ როგორც ხორცმეტი
და რაიონშიც კოლექტივები
მხოლოდ განსაზღვრეს ექვსი პროცენტით.

*

* *

გავამახვილეთ მაშინ დღე ჩვენი
და მოქმედება გავდა შეტევას,
რომ გამარჯვებით მათთვის გვეჩვენა
„ახალგაზრდული გადამეტება“.

ქება რა არი,
აი თარიღი,
როცა გლეხობას საქმით ვურჩევდით,
როს გავაჩაღეთ თემში ჩქარი დღე
ბრიგადელებმა მრავალ უჯრედის.

არვინ ფიქრობდა:
ამგვარ გარდაქმნას
თუ ჩვენს დღიურში ჩქარა ჩავწერდით
და რაიშტაბსაც ხშირად პატაკით
ვერ აჯერებდა ჩვენი რაზმები.

გზაში გავრბოდით ჩქარი ნავარდით,
ველად გვებრძოდა ყინვა, ხან ქარი
და მაინც ცნობა რაიონამდე
გვიძველდებოდა როგორც ზამთარი.

ქარმა და ყინვამ გვდია მეგობრად,
თოვლი და სეტყვა თავზე ვიწვიმეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხელთ ავიღეთ ბრძოლის შეფობა
და გაზაფხულის მთელი სიმძიმე.

ზოგი თანხმობის გეგმას სახავდა,
ბევრს გულჩვილობის დარჩა შედეგი,
როს თვალსაჩინო ზოლად გავხადეთ
მწვავე ჭიდილი გლეხურ ფენების.

მაინც, განსაზღვრულ რიცხვებს გადავცდით
თუმც, დღე ყოველი დავას გვიჩენდა,
ჩვენ გადვიტანეთ დევნა მრავალგზით
და ბრძოლის გზაზე დამახინჯებაც.

მაინც, ქოხებში ჩადგა შეგნება,
კითხვა გადიჭრა გლეხურ ოცნებით
და კოლექტივის რიგთა შენებამ
გამოატანა პროცენტს პროცენტი.

თემებს გამოჰყვა თემი ახალი,
გახდა შეჯიბრში ძმური გაწვევა,
მეც რაიკომში ცნობა ვახარე
და პროცენტების დავაჟკაცება.

*

* *

რაიონში ვარ. გარეთ დაბინდდა,
ეხლა აქ მხოლოდ
მგზავრის სახე ვარ,
ჩვენს რაიკომში მიდგას მაგიდა
ზედ გავატარე ღამე ნახევრად.

და მოგონება ისევ ფიქრებს შლის,
ისევ ქრის ხვნეშით, შემთბარი ქარი,
გამელიმება: ნახეთ? კითხვებში
ჩვენ თუ, ისინი იყვნენ მართალი.

და ვიდრე დღემდე ასე ძლიერად
ჩვენო ლაშქრობავ, ხსოვნით მაწვები;
ეხლა თესვა დგას,
ეხლა ტრიერებს
ატრიალებენ ჩვენი რაზმები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინფორმატორი

I

საუვედური
ემიგრაციიდან

არც ის ივარგებს
ძმაო ელიზბარ,
რომ იჯდე მაქ და
იყო ყრუ და ბრმა,
რაც იყავ წინათ,
ის აღარა ხარ:
აღარ მიდიხარ,
როგორც გავს წალმა, —
გამქრალა შენში
მათდამი მტრობა, —
რაც გწამდა ალბათ
ის დღეს აღარ გწამს,
და ჩვენც აღარ გვაქვს
შენი დანდობა
და არ ვიწამებთ
შენს მეგობრობას...
შენ იწერები:
— არ ვართ მნახველი
ხალხის ასეთი
ენტუზიაზმის, —
გადაიცვალა
ცხოვრება ძველი —
და ყოველივეს
სიცოცხლე აზის.
ფართო გზები აქვს
აღმშენებლობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველომ
    იცვალა ფერი, —
ბოლშევიკებს დღეს
    ხალხი ენდობა
და ჩვენ კი ხალხის
    ვყოფილვართ მტერი".
ელიზბარ, ნუ თუ
    აღარ გრცხვენია?
რას ამბობს? ხალხს სწამს
    ბოლშევიკების?
შენ ხალხს ვერ იცნობ, —
    ის მომთმენია,
მაგრამ გაწყდება
    ძაფი მოთმენის.
რა აქვთ მათ? მხოლოდ
    ერთი ზაჰესი!
განა ეს არის
    აღმშენებლობა?
მაღალ ღმერთს ვფიცავ,
    ძმაო არ გესმის
ბოლშევიკების
    „ჩხირკედელობა".
რომ ვყოფილიყავთ
    ჩვენ მაქ ცხრა წელი
დღეს ცხრა ზაჰესიც
    კი გვექნებოდა, —
არ ვიქნებოდით
    ხალხის მტანჯველი,
არც სისხლი
    ვინმეს დაიღვრებოდა.
ცნობები შენი
    არ გამოგვადგა, —
მოველით შენგან
    შესაფერ ცნობებს...
ელიზბარ, ქცევა
    შენი არ ვარგა, —
არ მოეწონათ
    არც სხვა მეგობრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

კაცი რომელსაც უსაყვედურეს

უზის მაგიდას
    და წვალობს ფიქრით;
— განა ღირსი ვარ
    საყვედურისა?
ნუ თუ ამცდარვარ
    გზას უბედური;
კაცი მორწმუნე
    მეფის და ღვთისა?"
დარდს ვეღარ იტევს:
    არ იცის რა ქნას
და საყვედური
    რისხვათ თავს ესხმის.
რა დაემართა, —
    ღალატობს რწმენას?
ფიქრობს და ოფლი
    ჩამოსდის სიმწრის...
— ბოლშევიკები
    ვერ გავაშავე
და ვერ შემითხზავს
    ყალბი ცნობები!
ო, თავო ჩემო,
    ეს დააშავე
და შენც მიიღე
    ეს შეცდომები!"
და ელიზბარიც
    კიცხავს თავის თავს:
— გაჰყევ წინანდელ
    გზას და არ აცდე!
განა შენს მეტი
    სიყალბეს არ თხზავს?
მაშ, შინჯე — თავი
    გამოიცადე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიწყე ასე:
— ნგრევა გრძელდება—
ყველა შენობა
დანგრეულიყ...
აქ არც ღამდება
და არც თენდება
და მტკვარიც
წითლათ ამღვრეულია
ვერ იხიბლები
მთვარიან ღამით,
მაღალს და შუშის
აგებენ სახლებს,
აქ მოსვენება
არ არის წამით
და ებმებიან
ჯიბრში ერთ-მანეთს.
და ასე, თორემ
ალარ ივარგებს
იყო სწორი და
სთქვა ის, რაც არის, —
სიმართლის მთქმელი
ყველგან წააგებს, —
გაჰყევ ქროლვასა
უწყინარ ქარის...

III

კაცი, რომელიც იცდენს საყვედურს

წერილს ხელმეორეთ
გადაიკითხავს, —
დაიგრიხება
სარკის წინ მანჭვით
— განა ეს მე ვარ?
თფუ, როგორა ყარს
ეს ცნობა სავსე
ჭორით, სიყალბით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროებს ფასობს
ეს საქონელი
და მეც რას ვაგებ. —
ვარ იქაც-აქაც,
ვწერ იმას, რისაც
არ ვარ მნახველი, —
რომ მოლალატის
არ მომცხონ ლაქა".
და ელიზბარი
აწყობს პაკეტში
ნიმუშებს ჭორის
და სიყალბისა, —
წამლებს სიბრთხილით
ჩაუდებს ხელში
და გზას ულოცავს
„წყალობით ღვთისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჩხეიძე

დღეები*)

დასასრული

სოფლები აიყარენ. ოსების მრავალი ასეული დაჩარდახებული ურმები სოფლებიდან სოფლებში გადადიოდენ. დაელაგებოდენ და მოელოდენ იქ მაინც მოსვენებას. საღამოს კი ახლო მინდვრებიდან ილრიალებდენ ზარბაზნები, სეტყვასავით წამოვიდოდა ტყვია. რამდენიმე წამს სოფელს შემოერტყმოდა ერობის გვარდიელები და იუნკრები. მოსული და დამხდური ოსები კვლავ აიყრებოდენ და გარბოდენ.

ნოემბერი ილეოდა. მთებზე ჭირხლი ჩამოისხა. ტყე გაიხრილა და გუბეები გაიხიდა. გადახვეწილი ოსების ერთი ჯგუფი წონა-კუდაროსკენ გაემართა. გიკაევს ეგონა, რომ ლტოლვილები აქეთ მაინც გადაურჩებოდენ ტყვიის წვიმას. მაგრამ შორაპნის სამაზრო ერობასაც არ სძინავდა. დამსჯელი რაზმი იდგა პერევში და ცეცხლითა და ყუმბარებით უმასპინძლდებოდა ბოლშევიკურ მოსახლეობას. ოსობა იქიდანაც აჰყარეს. ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მთებში თოვლი ჩამოყარა და მომსკდარი ზვავები და მეწყრები უწყალოთ ანადგურებდენ გაქცეულ ოსებს, თუ კი ვინმე გაბედავდა გზის განდობას, კავკავში ძნელად თუ ვინმე ჩაატანდა. გადახვეწილი ოსები ცხინვალისკენ გაეშურენ, რომ გააფთრებულ გვარდიელებისათვის თავი აერიდებიათ. მათ ღამე მოასწრებდა სადმე დიდ მინდორზე და სიკვდილის მოლოდინში პირქეშად და ძნელად დაბინავდებოდენ. უპატრონოდ დარჩენილი სოფლები კი გაეხვეოდენ ცეცხლის ალში. ავარდნილი ალი ანათებდა მარცხნით კავკასიონის ქედს.

— ვინ იცის კიდევ სად ანათებდა ცეცხლი? ვინ იცის კიდევ სადამდე უწევს შუქი? — ფიქრობდა გიკაევი და თავიანთ ბინებიდან აყრილ მოსახლეობას არიგებდა აქა-იქ მთებში შერგულ ოსის სოფ-

*) დასაწყისი იხ. „პროლეტ.-მწერ." № 1, № 2.

ლებში, რომ ხვალ მათი მეპატრონეებიანათ კვლავ აყრილიყვნენ და კვლავ ცისა და მიწის ამარა დარჩენილიყვენ.

სუსხმა უმატა, ნაოფლარი ცხენები აცახცახდენ. კამეჩები ყინვამ დაჰკვეთა. ხარები უფრო მაგრად იყვნენ. კიდურ დამძრალ ბავშებს და ქალებს პირუტყვის ლაჯებში ხელები შეეყარათ და ითბობდენ. გარედ დარჩენილ ხალხს გიკაევი აიმედებდა. არც ერთი რაზმელი ქოხს არ შეეფარებია. ადრე თუ გვიან უნდა დახოცილიყვენ, მაგრამ გადარჩენის სურვილი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მომდგარ უბედურების გამკლავებაში ერთმანეთს ეცილებოდენ.

ჯინიყაშვილი ქვაბთან იდგა. თამბაქოს აბოლებდა. თუ ვინმე ხმას გამოსცემდა, მას აუცილებლად მყრალად შეაგინებდა. ისევ გაირინდებოდა და გაზეთის ქაღალდში გამოხვეულ თამბაქოს ეწეოდა და აბოლებდა. ლომსაძეც იქვე იჯდა გახარატებულ ქვაზე და თოფს აწვალებდა. ერთი ახალგაზრდა ამოხვნეშით გადმოხტა და თოფს ხელი უტაცა.

— სოსნა მოგცემდე! პიტოს თოფი მოგცემდე! ჩემმა მზემ სიკვდილზე ვფიქრავ პიტო! რაღა ეშმაკად გინდა ჩემი თავი თუ დედაც მოგიკვდე, დაცა და მეც შიმშილით მოვკვდებოდე.

პიტო თავგამოდებით ებღაუჭებოდა სოსნას და შაშხანას არ ანებებდა. ოსი გადმობორძიკდა. ჯინიყაშვილი ზეზე წამოვარდა და მოჩხუბარს დამშვიდება დაუწყო.

— თოფი გინდაა... მთხოვო და მოგცემდი...

მოჩხუბარი შეჩერდა. ჯინიყაშვილმა გადმოიღო ურმიდან თოფი, მთელი ჩანთა ვაზნა და გადასცა. ეს სხვებმაც შენიშნეს. ვილამაც დაიძახა, რომ თოფებს არიგებენო. სიცივისაგან დადუმებული ლტოლვილები გამოცოცხლდენ. ჯინიყაშვილი უკვე თოფებს აბარებდა, ხოლო მოშია თვლით არიგებდა ვაზნებს და ნიშნის მოგებით თუ ხუმრობით ეუბნებოდა ყველას.

— შენ ძაგა! ყვავს თვალი არ წამოთხარო.

-- შენ ჯალაშვილო, გვარდიელს არ აწყენინო, ყური არ გაუხვრიტო.

— თუნდ ნიგუზალი დაადო, მაინც არ გავარდება.

— „დუმდუბი“ იმიტომ მოგეცი, რომ ბითარაშვილს კოკორახში გაარტყა.

ძოშიას ყველასათვის მწვავე და ჯანზე მომყვანი სიტყვა ეშოვებოდა. ოსებს ეს ძალიან მოსწონდათ. თითქოს საპასუხო მადლობას და ხუმრობას ღიმილით ამბობდენ.

— დიდი მამაძაღლი იქნებოდეს მოშია! დიდი მამაძაღლი ხენი წირიმე!

თოფები და ვაზნები საკმაო იყო. ზოგიერთ გაბედულმა ბავშებმაც დაიკავეს ყარაბინები. ჩადგენ სწორებაში. ტრიალში და მზადებაში, ყველანი გათბენ. თავგამეტებულმა ლტოლვილთა დორემ ქეჩო დაიყენა, აღიძრა, დაიტენა და გადაიქცა სულ სხვა ადამიანებათ. რომელთაც დაავიწყდათ, რომ ოდესღაც ისინი მშვიდობიანად ცხოვრობდენ. აცილებდენ წელიწადის ოთხ დროს შრომით. ყოველი ხიფათის გვერდის ავლა შეეძლოთ.

ინათლა. მზე ზარმაცად წამოდგა მძიმე ბურუსებიდან. ორიოდ ნამძინარევი სხივი შესტყორცნა მთების გადათეთრებულ კონუსებს. მდინარეებიდან ადგა მძიმე ნისლი და ფერდობებს გაეკრა. დაცლილ და გადამწვარ სოფლებში ამოძრავდენ ცხენიანები. მათ გადასახლებულ ოსებისაკენ გამოსწიეს. ტყვიამფრქვეველებმა დაიწყეს უწყალო ცელვა. მინდვრიდან ვიღაც ჩასაფრებული ჯარისკაცები წამორეკეს. ლტოლვილები განცვიფრდენ. მათ აღარავინ ეგულებოდათ უკან დატოვებული. გვარდიელებმა ოსებს მთლად სახლკარობა დაატოვებიეს. ასევე მოექცენ იმ მშრომელ ქართველ მოსახლეობასაც, რომლებიც ყველანი მალავდენ ოსებს და ბოლშევიკებს. მშრომელ ქართველებს გამოადგათ ოსების საწინააღმდეგოთ დარიგებული იარაღი. მოულოდნელად გვარდიის და იუნკრების წინააღმდეგ გამოვიდენ. პირველ შეტევაზე თითქმის გაანადგურეს გვარდიის ჯარი. მაგრამ მეორე შეტევისათვის ბუჩუკურმა დამხმარე ძალით და ტყვიამფრქვეველებით გლეხები ამოყარეს საფრებიდან. მათი ცოლშვილი გამოყარეს სახლიდან, აჰკიდეს თავისი ბარგი, რაც კი შეიძლებოდა ურემზე დატეულიყო და სოფლებიდან ტყვიების ფეხებში სროლით გარეკეს. ოსების ცოლშვილს შეერია ღარიბი გლეხი ქართველები და ერთად აირია მრავალი ათასი ულუკმაპურო ადამიანი. მათ სამივე მხრიდან ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს უშენდენ. ხოლო ერთი მხრით — ჩრდილოეთით იდგენ მუდამ მდუმარი და გულცივი, საუკუნეთა მოწმე კავკასიონი, რომელმაც იხილა გერმანელი ტომების დაუნდობელი და ბასრი სვლა, თემურ ლენგის თარეში, არაბთა აკლება, თურქი და სპარსთა თავგამეტება. ისინიც იბრძოდენ, მათაც ხოცვა-ჟლეტა იცოდენ. მაგრამ უკანასკნელი მოვლენების მსგავსი კი ჭედს არ ენახა., აქ არ იყო თურქი, არც ხაზარი. აქ იყო შეჯახება მჩაგვრელის და ჩაგრულის შორის, ბრძოლა დაუნდობელი და მძვინვარე. (იქნებ მართლა ასე ფიქრობდა კავკასიონი. იქნებ გაბოროტებულ ადამიანების მაგიერ მას უნდოდა გადმოეყარა ცრემლები დახოცილ და უპატრო-

ნოდ დარჩენილ მძორების დასატირებლად. იქნებ მთები განგებ ელობებოდენ ადამიანებს და ეუბნებოდენ მათ — არ გაგიშვებთ, შეებით, დაჰკარით, გაანადგურეთ სადაც ფეხი დაადგათ, იქ ბალახი აღარ ამოვიდეს. თორემ მომაძულა თავი მრავალ საუკუნეთა დინებამ ჩაგრულთა ცრემლებით და დაუსრულებელი ვაით).

ლტოლვილები ერთიმეორეში აირიენ. მოწინავე რაზმელების ერთი ჯგუფი საფრებიდან აჩერებდენ გვარდიელებს. ისინი უცებ შემოარღვევდენ ფრთას და სროლაზე ისევ უკან გარბოდენ.

რაზმელებმა მომატებულ გლეხებსაც იარაღი დაურიგეს. ვისაც შეეძლო ყველა რიგში დგებოდა. ემზადებოდენ საომრად. მათ წინაალმდეგ იყო დარაზმული მეორე ბანაკი. (შეიძლება ერთი დედმამის შვილები, ერთივე კარის მეზობლები? ხოლო ადამიანს, რომელსაც ზურგსა და პირის წინ სიკვდილი უდგია, გადადის უაღრეს თავდაცვისა და იერიშის თავდავიწყებაში. მაშინ ის უფრო საშიშია ვიდრე ლომი, რომელსაც ლეკვი მოსტაცეს და მზადაა გაწვდილ შუბს მოუფიქრებლად გული შეაპოს).

ბრძოლაში დღეები ჩქარა გარბიან. აქ სიბერე შემოგეპარება და ვერც კი შენიშნავ ჭაღარის გარევას. ზამთრის დღე მოძრაობაში დაილია. გლეხებს მთაში დასახევი გზა აღარ გააჩნდათ. ერობის ჯარის ცხენოსნები გუნდებათ გადმორბოდენ გრძელ მინდორზე. მიაწვენ აყრილ მოსახლეობის ბანაკს. გავარდა თოფები. ცხენებიდან გადმოცვივდა გვარდიელები. მათ უკან დაიხიეს. ამავე დროს მარჯვენა გაუმაგრებელ მხრიდან მოულოდნელად ტყისკენ მოაწვა ერთი ესკადრონი და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. ქალები და ბავშები შიშისაგან აღარც კი კიოდენ. გატყდა გიკაევის მოწინავე რაზმი. თითქმის ყველანი ამოხოცეს. შორს დაიქუხა ზარბაზნებმა და ლტოლვილთა ბანაკის ყველა ჯგუფებსა და დაჩარდახებულ ურმებში ჩაეცა ყუმბარები და აფეთქდა. მოეკიდა ცეცხლი ოჯახის ნივთებსა და ურმის ხეებს. გადარჩენილი ადამიანები ეყარენ ძირს და აღარც ფიქრობდენ ალბად, რომ ოდესღაც ისინი ცოცხალი იყვენ. ალბად დაავიწყდათ რაა სიცოცხლე და სიკვდილი. რადაა პირველი ტკბილი, რადაა მეორე მწარე და საშიში. გვარდიის დამკვრელი რაზმი — საყვარელიძის ესკადრონი ერთბაშად ჩაერია შეტაკებაში. მათ შეჯიბრი გააჩინეს ცოცხალ ადამიანების გაჩეხვაზე. საყვარელიძე ბავშებს არჩევდა, ხმლის პირს თოთო ძვალი და რბილი ვერ იჭერდა და ერთ წუთს მთელს გვარდიელებში საუკეთესო ხმლის მომხმარებლის სახელი დაიგდო. მოშორებით ჩასაფრებული გლეხები კი უკანასკნელ შეტევისთვის ემზადებოდენ. ამ დროს საყვარელიძემ ურმიდან გადმოათრია ლომ-

საძეს უმცროსი ქალიშვილი და გააჩერა. არავინ იცოდა რა მოხდებოდა. გლეხებმა თოფების სროლაც ვერ გაბედეს. უცებ იპრიალა იარაღმა შუქზე და ქალის სხეული ორივ მხრით გადასცვივდა. სოსნამ თვით დაინახა გაჩეხილი შვილის გული, ჯინიყაშვილი თითქოს ჭკუაზე შეიშალა და გაიძრო ლეკური.

— აქ ოსი არ არის, აქ ქართველი არაა გიკაევო...

— წინ ბიჭებო — დაიძახა ვიღამაც. გადმოცვივდენ საფრებიდან და უკანასკნელი ძალებით ეკვეთენ მტერს.

გვარდიელბმა უკან დაიხიეს. ბრძოლა მიწყნარდა. მრავალ ასეულ ლტოლვილიდან ერთიც აღარ გადარჩენილიყო. გიკაევის ბიჭები თითქმის ყველანი მკვდრები ეყარენ. გარდა თვით გიკაევისა და რამდენიმე კაცისა. რამდენიმე ბიჭმა დაუარა მინდორს. ჯინიყაშვილმა მონახა დაჭრილი ლომსაძე. მხარზე შეიგდო ის და წავიდა. დამარცხებული გვარდიელები გონს მოვიდენ. არ გასულა სულ რამდენიმე საათი, რომ საველე ზარბაზნებმა ყოველი მხრით დაიწყეს მოქმედება და მთის სოფლებსაც გაუჩინეს ცეცხლი. აეროპლანებმა მიუდგომელ სოფლებს დაუშინეს ბომბები. ერთი საათის განმავლობაში მთელი მთა ოსეთი ცეცხლში გაეხვია.

შპალის მუშები უმძევლოდ დაიხოცენ. ჭიათურის ვაგონის მუშების რაზმიც (რომელიც ბოლშევიკური იყო) თითქმის სულ ამოწყდა, გარდა ერთი ათეულისა. ისინი ერთ დაცულ ადგილას მოხვდენ და სრულიად შემთხვევით გადარჩენ.

გიკაევის განკარგულების თანახმად ყველანი მიუდგომელ მთაში გაიქცენ.

ომმა საშინელი და გულშემზარავი შთაბეჭდილება დასტოვა. ნაბანაკევს მენშევიკების ჯარების მთავარსარდალი თვით მოვიდა. უამრავი დახოცილი ვაჟკაცები, მოხუცი ქალები, შუაზე გაჩეხილი ბავშები მინდორში ჩაკაფულ ტყესავით ეყარენ. ამ სურათის დანახვაზე ჯარის უფროსმა თავიც კი არ გადააქნია, ეწეოდა პაპიროსს და უფრო თბილად იხვევდა ახლად შეკერილ ინგლისურ მაუდის „პადიოვკას", უბრძანა მკვდრების დაგროვება ცალ-ცალკე გროვებათ. ორასი გვარდიელი მთელი ღამე მუშაობდა და ურმებით აგროვებდენ მკვდრებს. როდესაც მთლად მოთავდა მკვდრების შეგროვება, მოიტანეს მაზუთი, გადაასხეს და ცეცხლი მისცეს. დილას ნაბანაკევზე მოსჩანდა მხოლოდ სისხლი. ნიავს კი ბუმბულივით გაჰქონდა მსხვერპლთა ფერფლი და აფრქვევდა გაშლილ ქართლის მინდორზე.

ღამით, გამარჯვების ადგილას გამოცხადდენ მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრები. ბითარაშვილს საგანგებო ვახშამი გა-

ემართა. ვახშამზე იყვენ სამაზრო ერობის ყველა ხმოსნები. დაუსრულებლად გათენებამდე ისმებოდა სადღეგრძელოები. მსხვერპლი კი იწოდა და ანათებდა ჭალარა კავკასიონს. ბოლოს მათაც მოსწყინდა საშინელების ხილვა. უცებ წარბი შეიჭმუხნა. გაეხვია ღრუბლებში, გადმოღვარა ცრემლები მწარე და მძვინვარე. ალბად ცრემლები ადამიანის გულთა სიცივეს ვეღარ უძლებდენ და მიწის პირამდი გაცივებული ხრილებად ეცემოდენ.

*
* *

ორ დღეში ეს ამბავი მთელ საქართველოს ელვასავით მოედო. სოფლები უკმაყოფილოდ გამოიყურებოდენ. რკინისგზელებმა სტიქიურად შესწყვიტეს მუშაობა. ქარხნებმაც გაფიცვა გამოაცხადეს. გლეხები მოთმინებიდან გამოდიოდენ.

ამათ საპასუხოთ თავადებმა და ბობოლა მიწადმფლობელებმა შეადგინეს რაღაც ბანდები. თავისიანსვე ჰკლავდენ, ბოლშევიკების სახელითვე ამოხოცდენ მშრომელ გლეხებს, აწყობდენ პროვოკაციას და სამაზრო ერობებს აძლევდენ საბაბს სოფლებში ეგზეკუციის ჩასაყენებლად. პრესა ერთხმად დამფუძნებელი კრების მხარეზე დადგა. ჩააბეს პოლიტიკაში სკოლის ფანტაზიორი მოსწავლეობა, მოიხმარეს ეროვნულ აგიტაციის ყველა სახის სამარცხვინო საშუალებები. მშრომელი გლეხობა და მუშები გამოიყვანეს ყველა უმსგავსოების საწყისად. შეიქმნა ადამიანის ფეხქვეშ გათელვის რეჟიმი. მიხურეს ბოლშევიკების ორგანოები. ბოლშევიკობა კი ვისაც შეეთქმოდა, მას უწყალოთ სტანჯავდენ ციხეებში და ასახლებდენ სამშობლოდან. ბუჩუკურმა მთელი ცხინვალისა და დუშეთის მაზრის მთის რაიონები მთლად გადასწვა. ცეცხლი ყველას აჩვენა და ჩაუყენა გვარდიელები. მშრომელ გლეხობას უსასყიდლოთ ატოვებიებდენ და ხელს აღებინებდენ ჭირნახულზე და სახლკარობაზე. მოსახლეობა რამდენიმე თვეში გალატაკდა.

ქალაქი გადასამუშავებელ ნედლეულს ვეღარ შოულობდა. დაიხურა ქარხნები. გასაბჭოებულმა ბაქოს მუშებმა უარი განაცხადეს ნავთის მიწოდებაზე. ნავთის გადმოსაზიდავად გაგზავნილი მემანქანეები და ბრიგადები უარს აცხადებდენ სამშობლოში დაბრუნებაზე. მთელს საქართველოს გზებზე მატარებლები დადიოდენ შეშით, რომლისთვისაც არც ერთი ორთქლმავალი მოწყობილი არ იყო. განადგურდა ტრანსპორტი. დაეცა მრეწველობა. შესწყდა ექსპორტი. ხოლო საზღვარგარეთელი ვაჭრები შემოტანილ საქონელში ღებულობდენ

ბრუტო ოქროს და ვერცხლს, მასრებს, ხანჯლის ვერცხლის წვერებს, ქამრის ბალთებს, ხატის თვალებს, მარჯანს, ქარვას და ყოველგვარ ძვირფასეულს. ხალხი გატყავდა, გაიძარცვა და ძვალზე მიდგა. მდგომარეობა დაიჭიმა, ჩამოწვა საშინელი კრიზისი, პატარა რამე ფაქტი იყო საჭირო, რომ ნამცეცი ზვავად გადაქცეულიყო, რომ ხალხს კისრიდან მოეხსნა ერობის გარეწარული პოლიტიკა.

*

* *

გადარჩენილმა რაზმელებმა დაიხიეს მთებში და შეეხიზნენ პატარა ოსის სოფელს და თითო ორ-ორად ჩამორიგდენ ბოსლებში. გიკაევმა დაიბინავა ერთს მიგდებულ ქოხში. ქოხთან საქონლის ბზე არეულ ნეხვით შელესილ გძელურ საბძელში იყვენ დაჭრილები, რომელთაც უვლიდა და საჭმელს უკეთებდა მარგალუ ერთი ოსის დედაკაცით. ისინი ხარშავდენ დოს. ოსებს თვით მოქონდათ ერბო. მარგალუ ადუღებდა ერბოსთან დოს შეჭამადს. კართოფილი იხარშებოდა დიდი ქვაბებით უხვად. რაზმელები კი დადიოდენ სოფელში: შოულობდენ ჭირნახულის რახს, ქუბა-თვაბუას არაყსა და ლუდს. ბვიან გრძელ ზამთრის ღამეში ფცქვნიდენ კართოფილს და აყოლებდენ სასმელს. ხანდახან დაითვრებოდენ, იგინებოდენ და ღრიალებდენ გათენებამდე.

ჯინიყაშვილიც შეიპყრო გამოუცნობმა ჯავრმა. საღამოს, როდესაც მას აღარავინ უყურებდა, სადმე ნათლიებში ჩაუხვევდა. ლუდით და არყით აირევდა თავსა და ზვავ თოვლში მთელი ღამე დაბორიალებდა ბოსლებში ბიჭებთან. მას ყველა იცნობდა. ის ყველას კბილების ღრჭიალით უტრიალებდა დედმამის სულსა, მაგრამ არავინ სწყინდათ და პირიქით ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ჯინიყაშვილი გინების გარეშე საქმეს ვერ გააკეთებდა და არც ლაზათი ექნებოდა. ღამე, როცა ძაღლები ყეფას მორთავდენ ყველამ იცოდა, რომ ჯინიყაშვილი ლუდით შეხურებული კრაველის ქუდით, კეტით დაბჯენილი მიდიოდა ავადმყოფ სოსნასთან და სხვა ბიჭების საგინებლად.

ლომსაძე უკანასკნელ შეტევის შემდეგ მძიმედ დაჭრილი უძრავად იდო ლოგინზე. ჯინიყაშვილი შემოვიდოდა მასთან. დიდხნის დუმილის შემდეგ კვლავ გაბრუნდებოდა. მეგობრები დუმილით უხვდებოდენ ერთიმეორეს და დუმილითვე სცილდებოდენ. ჭრილობები ბოლო დროს უწყალოთ ძნელდებოდენ და ყველა ავადმყოფები უფრო სწუხდებოდენ. პირველ მშრალზე თავდასხმები უნდა განახ-

ლებულიყვენ და ავადმყოფების ბარგად ყოლა ყოველად შეუძლებელი იყო. დოც შემოელიათ. კართოფილი და ქერის პური ავადმყოფებს ისე მოსძულდათ, რომ პირს აღარ აკარებდენ. ძროხის, ხარის, თხა და ცხვარის ყიდვა შეუძლებელი იყო. ფული არავის ჰქონდა. ვაზნასა და თოფის გამეტება ისევე არ შეეძლოთ რაზმელებს, როგორც ორივე თვალების ამოთხრა. მარგალუს რაც რომ ჰქონდა დედმამის ნაჩუქარი ნივთები, ყველაფერი გაყიდა ავადმყოფებისათვის ხორცეულზე. ავადმყოფებისათვის ბიჭებმა ქამრებს დააძრეს ბალთები, მოაცილეს ხანჯლებიდან ვერცხლის სევადები და გაჰყიდეს. მთის ჰაერზე ჭამის მადაზე მოსულ ხალხს და დაჭრილებს არაფერი უძლებდათ. შიმშილი უნდა ჩამოვარდნილიყო.

*
* *

ყველა ყალყზე იდგა, იარაღში ისხდენ და ემზადებოდენ დიდი ამბისთვის. მოთელილ თოვლით, გალესილ მოედნებზე გროვდებოდენ რაზმელები და მთელი სოფელი ერთბაშად აივსო. გვირაბის და შპალების მუშების გუნდი კვლავ შეივსენ. იქიდან კარგი ბიჭები გამოარჩია გიკაევმა და ჯგუფის თავებად ჩაუყენა გლეხების გუნდებს. ცხენოსნობაში გლეხები ჭიათურლებს ჯობნიდენ. ფეხოსან მწყობრში და ტყვიამფრქვეველში მუშები ეშმაკის სიმარდეს და კლდის პირყოფობას იჩენდენ. უკვე ქოხში ჩუმად მივიდენ კავკავიდან გალაქტიონ ვაშაძე და რამდენიმე წითელი კომანდირები. მოიტანეს ნაბეჭდი ფურცლები, წიგნები და პროკლამაციები. მთელ მთის ოსეთს მოედო ხმები, რომ საქართველოს ყველა სოფლები აჯანყდა, მთავრობა და დამფუძნებელი კრება მარტო გვარდიისა და იუნკრების ამარა დარჩა, რომლებიც მარტო კოჯორის სიმაგრეებზე იდგენ და მის დასაცავად არ კმაროდენ. ჯარისკაცები ბუშლატებს და თოფებს იპარავდენ და სახლში გარბოდენ. სარწმუნო წყაროებიდან მოდიოდა ცნობები, რომ სოხუმში მეცხრე არმიამ გადმოლახა. აღმოსავლეთიდან მუშებისა და გლეხების დახმარებით მოდიოდა ჟლობა ცხენ-არმიით.

*
* *

თებერვლის დღე ილეოდა. ცაზე შედრეკილი ღრუბლები გაწყვეტილიყო და გაზაფხულისთვის მოძალებული მზე წითლად ღებავდა ცის დასავალს.

ყველა ფლანგები მზად იყვენ დიდი ხნის მოუპარსავი წვერებით. მთელი თავისი წვრილმანებით მორთული წითელარმიელის მეთაურის ტანსაცმელში ჯინიყაშვილის წაბლაზე შემჯდარი გიკაევი იდგა რაზმელების სათავეში. მარგალუმ მას რაღაც გადასცა.

საღამოს მზის სხივზე გაიბრიალა ხმალმა და რაზმელებმა ერთბაშად დაიღრიალეს.

— გამარჯვება ქოხებს, ომი სასახლეებს!

ყველაფერი უჰაერო სივრცის სიჩუმესავით გაინაბა. შეძახილს თითქოს ქვაც დაემოწმა.

გაისმა განკარგულების ხმა და რაზმები დაიძრენ.

გიკაევი მიუძღოდა მათ. რამდენად ბარში ჩამოდიოდენ, იმდენად თოვლი პატარავდებოდა. მოსჩანდა გაშლილი ვეებერთელა მინდვრები ფრონებით გადასერილი. ისმოდა ქუხილი და არეული თოფის ხმები. გზაში ხვდებოდენ გლეხებს. მათ ამ ქუხილის არ ეშინოდათ. პირიქით, სოფლები მიუხედავად გვარდიის საშინელი აგიტაციისა, არ იძროდენ ადგილიდან და უცდიდენ ქუხილის შედეგს. ისინი სამართლიანად ამბობდენ „თუ თქვენზე უარესები მოდიან იმ მხრიდან, მაინც ვერსად გავექცევით“-ო.

ბობოლები და აზნაურები კიდევ უფრო იმიტომ ბრაზდებოდენ, რომ გლეხები არ ეგებოდენ მათ პროვოკაციაზე და სოფლიდან ფეხსაც არ იცვლიდენ. ზურგიდან ჩამოსულ გიკაევის ბიჭებთან ძალიან კარგ განწყობილებაში იყვენ. ჯინიყაშვილის ერთ დაძახილზე ყველანი გამოდიოდენ ყრილობაზე. გიკაევის ბიჭები მოიჩქაროდენ გარინდულად, დაუღალავად, თითქოს უნდოდათ მოესწროთ ვინმესათვის დანაშაულის ადგილას. გავრცელდა ხმები, რომ ქვენა ტკოცა აიღეს. მატარებლები მოდიოდენ დაჭრილებით დატვირთული, მათ სურამში აგზავნიდენ დიდ საავადმყოფოებში. სოფლებში გაჩნდენ დეზერტირები. ისინი იარაღს ჰყიდდენ და შიგნით თავისივე სოფელში ახდენდენ თავდასხმებს. გიკაევმა რამდენიმე ასეთი პარტია დეზერტირებისა დაიჭირა და მათი იარაღით ბიჭები შეაიარაღა.

დეზერტირები რაზმელებათ ჩაწერას იხვეწებოდენ და ამბობდენ:

— ამხანაგებო, ჩვენ მოგვატყუეს, ისინი ძალიან „ტავარიშჩებს“ გვეძახიან. გვარდიელებმა ვინც დაიჭირეს, ყველანი მაშინვე დახვრიტეს. იმათ მშიერ ჯარისკაცებს პურიც კი არ მისცეს...

გიკაევმა იცოდა, რომ ისინი მეცხრე არმიის ჯარისკაცები იყვენ. რაზმელებზე ასეთი ლაპარაკი დიდ გავლენას ახდენდა. უფრო იჩქაროდენ და მთელი დღე და ღამე გარბოდენ საბრძოლველად და სამაგიეროს გადასახდელათ.

ჭიათურელები და შპალის მუშები მწყობრად მიდიოდენ, მათ ცხენები არ ჰყავდათ, მაგრამ რა მხარეზედაც ისინი იყვენ, აუცილებლად იქით მტერი განადგურდებოდა, ტყვია ნიშანს არ ცილდებოდა, და საფარის გაკეთება ისე მოხერხებულად იცოდენ, რომ ტყვია ერთსაც არ დააკლდებოდა. გადმოდიოდენ ბორცვებში და გორაკების დაფენებებში.

ლომსაძემ დაიწინაურა. სროლა ახლოს ისმოდა. გათენებამდე უნდა მოეხდინათ ახლო-მახლო ადგილების დაზვერვა. გაეგოთ ვინ სად იდგა და რაში იყო საქმე. ის რამდენიმე ბიჭით გამოვიდა ქინძათის გორაკებიდან ფლევის ქოჩორა ტყეებში. ნელა მოდიოდენ, კვრინჩხებსა და ძეძვებს ეფარებოდენ, ტყის იქით ნელა ამოდიოდა ბოლი. მოდიოდა ნამწვრის სუნი. ეტყობოდა იქ იყო დარაჯი. ახლოს მიპარვა სცადეს. მიწას გაეკრენ და მუცლით გახოხდენ თოვლზე. მუხის ძირებიდან გამოჩნდენ გვარდიელები. ისინი თამაშობდენ კარტს. ოფიცრების პატარა კარავიდან ნაპრალში იხედებოდა გაშლილი სუფრა და მოისმოდა ნელი შემოძახილი. მზვერავები გაერთენ, ნელა მიხოხავდენ, თითქმის მთელი ტყე გაიარეს. ლომსაძემ თავი გაჰყო კვრინჩხიდან და გვარდიელს ბუშლატიან ნიდაყვში წაჰკრა ცხვირი. გვარდიელები ზეზე წამოხტენ.

ლომსაძე ბიჭებით ტყვეთ ჩავარდა. მათ იარაღი აჰყარეს და ოფიცრების კარავისაკენ წაიყვანეს.

სოსნამ მაშინ დაინახა გვარდიის მთელი ათასეული ფლევის ტყის გადალმა ტაფობში ჩაწოლილი და დამზადებული.

მოემზადენ.

გიკაევის რაზმელებს და გვარდიელებს მარტო ტყე ჰყოფდა. გვარდიელებმა გამთენიის სინათლეში დაინახეს გიკაევის რაზმელები. საჭირო იყო ზედმეტი სიჩუმე. მზვერავები შეკრეს და პირში ჩაუტენეს ნაბდის ძველები, რომ ხმა არ ამოელოთ.

კარავიდან მოისმოდა ტყვეების გასამართლება. მაღალი ინგლისურ მაუდის პადიოვკაში გამოწყობილი უფროსი მოითხოვდა დახვრეტას. ყველანი თითქმის დაეთანხმენ. ამ დროს ვიღაც მოვიდა და რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი მოიტანა.

გიკაევი მთელი თავისი რაზმელებით ზედ მისულიყო და არაფერი იცოდენ. გვარდიელებმა ტყვიამფრქვეველები მოიმზადეს. ინათლა თუ არა, ტაფობიდან თავი გადმოყვეს და გორაკზე წამოიშალენ გიკაევის რაზმელები.

თ ა ფ...

იჭექა თოფებმა. ტყვიამფრქვევლები ამუშავდა, რაზმელები დაიბნენ. ჭიათურლებმა და შპალის მუშებმა ნაწილობრივ მოასწრეს ჩასაფრება ძეძვებზე მოდებულ ნამქერებში. გვარდიელები შეტევაზე გადავიდენ. უსაფრო პარტიზანები ჩათიბა ტყვიამ, ვინც საფარში მოასწრეს ისროდენ და გვარდიელებს წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდენ. გვარდიელების სროლაზე გაღმა სოფლები ერთბაშად გამოცვივდენ. გლეხები თოფებით ხელში გამორბოდენ მინდვრებზე და უსიტყვოდ ემატებოდენ რაზმელების საფრებს. გამოილია მოსული გლეხები, მთლად ამოწყდენ შპალის მუშები, ჭიათურელ მუშების საფარში რამდენიმე კაცი დარჩა. მარცხნივ ჯერ კიდევ მაგრად იდგა ჯინიყაშვილის გუნდი. ისინი, მეორე ფლანგით დაცულ ადგილას მოეხვიენ და დიდხანს გაუძლეს. გაისრისა უკანასკნელი ძალა, დასჭრეს გიკაევი. გვარდიელების ნაწილი დაეცა აჯანყებულთა საექიმო მარხილს. უცებ ზურგიდან მოისმა სროლა. გვარდიელები შეჩერდენ ვერ გაიგეს რა ხდებოდა. ალბად ზურგიდან არ მოელოდენ არაფერს.

გუჯარელ და გომის ოსების ერთი რაზმი ზურგიდან მოექცა და გვარდიელები დამარცხდენ: მათ იარაღი დაყარეს.

გიკაევის რამდენიმე ასეულ კაციდან გადარჩა სულ ათიოდე კაცი.

გომელები-გუჯარლები საფრებში იყვენ ყოველ შემთხვევისათვის მზად. ჯინიყაშვილი და ლომსაძე გვარდიელებს უკვე იარაღს ართმევდენ.

გამარჯვება ხვდათ რაზმელებს. მაგრამ წინ, შავ ზღვამდე კიდევ ბევრი იყო საბრძოლი და უნდა წასულიყვენ. განიარაღებულ გვარდიელების დატოვება არ იქნებოდა, ისინი კვლავ თოფებს მოჰკიდებდენ ხელს და რაზმელებს ზურგიდან მოექცეოდენ.

ლომსაძე ცხარობდა. ჯინიყაშვილი კი ჩუმად იდგა.

— მოვიშოროთ თავიდან გერისო თორემ მაგენი საქმეს გაგვიჭირებენ, — იხვეწებოდა ლომსაძე, მაგრამ ჯინიყაშვილი არაფრის გულისთვის არ თანხმდებოდა. ლომსაძემ იცოდა, რაც უნდა მოყოლოდა მოწინააღმდეგეს დაზოგვას. მას ახსოვდა ჯარის და რუსეთის 1917 წლის ამბები. მან ხელის ბომბი აიღო ორივე ხელებში და უნდოდა ერთად შეყრილ გვარდიელების შუაში ჩაეგდო. აღარავინ გადარჩებოდა.

— რას შვრებოდე — ორასი კაცის ერთად როგორ დაიდებდე ცოდვა.

ჯინიყაშვილი ეცა ხელში ლომსაძეს და ბომბები წაართვა.

— მაშ რა უყოთ რა მოვახერხოთ. ვის ვკითხოთ რჩევა.

გიკაევი გუჯარელ და გომელ რაზმელების ქოხში იყო ფრონის პირზე უგრძნობლად.

— იცი, სოსნა. მოდი ლენინს ვკითხოთ, ორასი კაცი ერთად როგორ მოკლავდე ჯინიყაშვილი. ამას ვერ ვიზამდე. ჩემმა-მზემ ვერ ვიზამდე.

ჯინიყაშვილი დაეყუდა ძირს ტელეფონის ყუთსა და იძახოდა...

— მოსკოვი... მოსკოვი... წითელი მოსკოვი... ლენინი... ლენინი...

— სულ ორასი გვარდიელი დავიჭირეთ... რა უნდა უყოთ...

ვინ იცის ტელეფონი სად რეკავდა. ლომსაძემ იცოდა, რომ ეს ხმა ლენინამდე ვერ მიახწევდა. ტელეფონი სადმე იქვე ორ ნაბიჯზე იყო გადაჭრილი. სოსნა თვითონაც შედრკა, გადაეგდო თუ არა ბომბი.

ყუთს დაყრდნობილი ჯინიყაშვილი ფიქრობდა გასაბჭოებულ სამშობლოზე. ჩამოიტანა ყველი და კარაქი გორში, გაყიდა. აილო ფარჩა. ფეხსაცმელი, იყიდა შვილებისათვის საჩუქრები, მოაჯდა ლაფშას, გამოუარა ლომსაძეს, სვეს ერთი თუნგი არაყი და გაუდგა გზას მთისაკენ.

ლენინ... ლენინ... ლენინ...

გვარდიელებმა შენიშნეს, რომ ჯინიყაშვილი და ლომსაძე შედრკენ სისხლის წინაშე. ვილაც ჯგუფიდან გადმოხტა. ქორივით დაახტა თავზე ტელეფონის ყუთზე დაყრდნობილ ჯინიყაშვილს და ხანჯალი მარცხენა ბეჭში ჩაურჭო.

— ძაღლის ჯიშო... დაუძახე ლენინს...

ლომსაძემ დაინახა სულ-მობრძავი ჯინიყაშვილი. გაიქნია მკლავები და ორივე ბომბი ერთბაშად დაარტყა შეგროვილ გვარდიელებს შუა გულში, კიდევ ორი და ისინი ცოცხლები აღარ იყვენ. დანარჩენი კი ახლადმოსულმა რაზმელებმა გარეკეს. უცებ იგრიალა გორაკების თავიდან ცხენოსანთა ტალღამ. მოდიოდენ ხმლების პრიალით ჟლობას ცხენ-არმიელები.

ჯინიყაშვილმა ყუთზე ხანჯალ-გაყრილმა დაინახა ჟლობელები გაწვდილი ცხენის კისერ ფაფრებით, „ბუდიოვკა" ქუდზე დაკრულ დიდი ვარსკვლავებით. დახუჭა თვალები და არასოდეს არ გაუხელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაკაბაძე

დღეები სოფლად

1

მზის სილაჟვარდით ღამე ბერდება,
სივრცე მასპინძლად რჩება დილისთვის, —
და მე მგონია ეს გათენება
არის ქარხნის და არის ტფილისის.
მაგრამ ფანჯრიდან მოსჩანს ლურჯი ცა,
ცის ქვეშ ღობე და ეზო ყამირი —
მოდის ოთახში ხეთა ბუჩქი და
ხბოს მომლოდინე ძროხის ბღავილი.

ფანჯრის კრიალით სახლი იღვიძებს, —
თითქო მზე ტალღად აქეთ მოგორავს.
— ტოვებს საწოლს და პირველ ღიმილზე
ქათმებს გასძახის გლეხის გოგონა.
მის ხმას მიყვება საქმე მშობლების,
შინა წეს-რიგის შრომა მყარდება...
— მეც ვძლევ ლოგინს და თვალით სოფელი
კედლის ნოხივით მფარავს კარებთან.

2

დღის გამარჯვებას მოსდევს სხვა სახე; —
თითქო ქალაქმა თავი იჩინა.
— მოდის ლაშქრულად სოფლის შარაზე
გლეხთა რაზმი და გლეხთა ყიჟინა. —
და ჩემს მასპინძელს მოაქვს ამბავი,
თან ჩვეული და სასიხარულო:
— დღეს არტელებმა მინდვრად გუთნებით
უნდა მთლიანად გავიმარულოთ.
დღემდე ეს კითხვა ვწეწეთ გულდაგულ,
ეხლა უფლება არტელს ვანიჭეთ. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბად მოხვალთ და ნახავთ გადადგმულს
ჩვენი გლეხობის პირველ ნაბიჯებს.

მე ვეთანხმები. —
გრძნობა მამალლებს;
ამ რაიონში ვარ ბრიგადელი.
გლეხის ჭერია ჩემი სასახლე
და სამოქმედოთ მთელი სოფელი.

3

თემი, რომელსაც ლექსში გიამბობთ,
არის ოჯახი კოლექტივების, —
რითაც რაიონს აქვს სადიადოთ
მისი ფრონტი და ბრძოლა პირველი.
აქ ჩემს წინაპრებს ჰქონდათ სახლკარი,
მეურნეობა წვრილი, — ბორკილად.
მაგრამ ერთხელაც პურით მაძღარი
მათი ოჯახი ალარ ყოფილა.
მამაც ამიტომ ქალაქს დაენდო,
იგრძნო ქარხანა მუშის მკლავებით...
— დავრჩი ბაბუსთან და მეც საერთოდ
აქ გავატარე წელი თვრამეტი.

4

ეხლაც,
თვალს ვახელ ნაცნობ მინდვრებში,
მესმის ისევე შაშვის გალობა. —
მაგრამ გლეხობა სხვა იერიშით
იპყრობს მიწას და დღის ქედ-მაღლობას.
თითქო ფრონტია მტრის წინააღმდეგ;
მიჯნა,
მიჯნების რღვევით იქცევა.
— ხე საკუთრების ხმება ძირამდე
და წვრილ მეურნის ყველა თვისება.
— იბრძვის გუთნებთან ერთად ტრაქტორი.
— იწვევს შეჯიბრში ნიშა ნიკორას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არავინ სჩანს მიწის პატრონი,
გუთნის ბორბლები რიგზე მიგორავს.

აგერ, ჩემს თვალწინ გორა აყარეს,
სახნისს ამოყვა ქვა და ნახშირი. —
გლეხს აქ,
რომელსაც ჰქონდა საყანე,
დარჩა ნახულით სახე გაშლილი.
ასე მეორეც... —
და ამნაირად
ნაჭერს ეზრდება მიწის ნაჭერი.
— ფართო გარემოს იძენს სარბევად
მანქანები და გლეხის მარჯვენი.

მეც ვამძიმებდი ამ ველს, ამ მინდორს,
როცა ხის ფარცხზე მსვამდა ბაბუა. —
შემდეგ საკუთრად ველმა დამინდო
და საკუთრების ფიქრი მაბურა. —
მაგრამ ყველაფერს სახე ეცვალა;
მოკვდა ბაბუ და ფარცხი რგოლებით...
— დღეს ამ მხარეში მთელი ცხოვრება
აქვს სარბიელად მთლიან კოლექტივს.

5

დღე გამუდმებით დავალ ნუგეშით,
მრავალ ფეროვან განხრით ვმუშაობ:
— ხან ვხელმძღვანელობ კრებებს უბნებში.
— ხან ვეხმარები გლეხებს უშუალოდ.
აქ გარჯილობას ვინ მოწყინდება,
თვით ასპარეზი შეჯიბრს გიცხადებს. —
ჩამორჩები და პირ-შავ უწყებას
თემი დაგიწერს პირად გაკიცხვით.

გუშინ გლეხობას ჰქონდა მიტინგი,
ასამართლებდენ ცნობილ ბობოლებს.
— აზრი იმათი, გულს მიტანილი
საამღლეისო იყო ბოლომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქ პირველად ვნახე მტრის ცრემლი,
სიკვდილის განცდით რომ ისახება. —
მებრძოლ გლეხობის თქმა შეუცვლელი
და ბობოლების გადასახლება.

მე გავიფიქრე:
— ბრძოლა აშკარა
ჯერ არ გვქონია სოფლად ასეთი...
— ჩვენც შეტევების აღსანიშნავად
ავასაუბრეთ სოფლის გაზეთი.
გლეხმა მიღწევა თვითონ დასწერა,
გამოამჟღავნა ნაკლი გზა და გზა...
და საკუთარი საქმის დაწყება
შრომის სიმღერის ხმაში გაზარდა:
— გლეხებს მარჯვენი მუდამ გაგვიჭრის;
სასახლეებით შევცვლით გომურას.
— დღეს კოლექტივი.
— ხვალ წინ ნაბიჯი...
და ზეგისათვის მაინც
— კომუნა.

6

ორლობეებში მზერას ვამაღლებ,
ვხედავ ფაქტებით საქმის მტკიცებას. —
მზის ამოსვლიდან დალამებამდე
გლეხის ცხოვრება როგორ იცვლება.

და აგერ ეხლაც,
ვზვერავ იმ მხარეს,
სადაც ბაბუას ჰქონდა სახლ-კარი.
— არის, კრება და ყოველ ნათქვამზე
ისმის სიტყვები ახალ-ახალი.
— ძმებო აქამდე. — ამბობს მოხუცი. —
მიწის ნაჭრების მოვლამ გამტეხა.
დღეს მას ვარღვევთ და ალბად სიცოცხლე
გაგვიხანგრძლივებს თვალის გახელას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ხმას ვუერთებ... —
სუნთქვა გახშირდა...
კოლმეურნეთა საკითხს ვეხები.
თუმცა დღის თემას ვარკვევ გაშლილად,
აღარ მასვენებს მაინც გლეხები.
— ბიჭო ჩვენი ხარ, მჭადით გაზრდილი,
ჩვენთან თვრამეტი წელი მოღალე.
გინახავს სოფლის ყველა მანძილი
და ამ ცხოვრების მტერი-მოყვარე
სოფლის ავ-კარგი შენებრ ვინ იცის, —
ალბად მოგცემდა რამეს მგზავრობაც...
გვითხარ:
— რას შვრება ჩვენი ტფილისი,
ან, და,
— რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა.

მე მელიმება...
რა ვთქვა ახალი,
უნიადაგოთ როგორ ვიცელქო.
— მეურნეობა შევქმნათ მაღალი,
ჩვენივე შრომით, ჩემო ბიძებო.
საქმე,
რომელიც დღეს თქვენ მორკალეთ
არის ცდებიდან გადმონერგილი.
— ეს გადაწყვეტა არის ვეკაპე-ს.
— ეს ამოცანა არის ლენინის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ბოგოლიუბოვი

დამკვრელი ქარხანა

მანქანის ძრავებს
აგუგუნებს
ელექტროს დენი.
და უზარმაზარ
საქსოვ ქარხანას
გააქვს გრიალი;
ბარაქიანობს
სოც-შეჯიბრის
გმირული დღენი
და მაინც ვამბობთ:
— „ეგ მიღწევა
არის გვიანი“.

ჰაიასტანის
კომბინატი
აგზავნის ბამბას.
აქ ფეიქრები
სწრაფად ქსოვენ
ნარმას და ხამებს,
დღეს ეს ქარხანა
ეჯიბრება
მეორეს ალბათ
და მძიმე შრომით
ათენებს ღამეს.

ქარხნის მილები
კვლავ იწყებენ
ადრევე ყვირილს,
და გარიჟრაჟზე
ფართო ქუჩას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლე ავსებს,
აქ შრომის ჟინი
ხანძარივით
ძალუმად ღვივის,
  და გამარჯვება
ასალკდევებს
მშენებელ მასებს.

გარეთ ყინვაა,
მიბჟუტული
ანათებს მთვარე.
  და ეხეთქება
ცივი ქარი,
მუშათა სახლებს,
გამთენიისას
გზაში მუშა
იფშვნეტავს თვალებს,
და ეხვითქება
  ქარხანაში
სიცხისგან სახე.

მანქანებს დაღლის
შრომის კვირა,
განუწყვეტელი,
  რომ ენერგია
შეემატოს
მშრომელთა მაჯებს;
  აქ ყოველი დღე
გამარჯვების
წუთით მეტყველებს
და ღვარძლიან მტრებს
  უმატებს ტანჯვებს.
ქარხნის სხეული
დაუდეგარ
შრომით ირყევა:
  — „ჩვენთან არ არის
მცონარე და
ლოთი ამ ხანად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხკომის სხდომამ
მოიწონა
ჩვენი მიღწევა
  და აღტაცება
მოეფინა
„დამკვრელ ქარხანას“.

კვლავ გმირულ შრომას
წარმატებით
გააცხოველებს,
  სახე კრიალა
მანქანა და
ქარხნის დგამები;
მრავლდება ციფრი
მშენებლობის,
ახალ ცხოვრების.
  და მრეწველობის
იზრდებიან
დიაგრამები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა

თ ე თ რ ე ბ ი*)

მესამე აქტი

პირველი სურათი

ღამე. ზღვის პირი. პროექტორები სერავენ ღამეს. შორს განათებული საპატიმრო. საპატიმროს იქით შუქურა ანათებს: წითლად, ლურჯად, თეთრად. სცენაზე დუმილი. ისმის საბარგო ავტოს გუგუნი. გუგუნი ახლოვდება. სცენაზე ნახევრად შემოდის საბარგო. ჩამოდიან ფერადი ჯარისკაცები.

გამოსვლა პირველი

ზედამხედველი:

აბა დავიწყოთ. (ავტომობილში ფათური, ვიღაც კვნესის. ზედამხედველი ავტოს სინათლეზე პორტფელიდან ქაღალდებს იღებს და კითხულობს) ბაკურაძე! შემოიყვანეთ ის დედაკაცი! (ავტოში ფათური. ჩამოყავთ შავებში ჩაცმული (ჩადრიანი ქალი, სულიას დედა.)

გამოსვლა მეოთხე

სულია:

ნენა! ნენა!

სულიას დედა:

შვილო!.. შვილო!.. (ჩურჩულობს გაშტერებული.)

მტვირთავი:

დაწყნარდი, სულია, დაწყნარდი, გაუყუჩდი ბიძიკო, გაუყუჩდი და ადვილი იქნება. აზრს შეურიგდი, სულიკო, შეურიგდი აზრს... უკეთესია... გაგიადვილდება...

სულია:

ნენა... რა ვქნა, ნენა?.. რა ვქნა?.. მეშინია!..

---

*) დასაწყისი იხ. „პროლეტ. მწერ." № 1, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველი:

ხმა ჩაიწყვიტე, შე ძაღლის ლეკვო!

სულიას დედა:

(ხელებს ცად აღაპყრობს) ვაალლაჰ!..

ზედამხედველი:

აბა, დედაკაცო, უკანასკნელი პირობა: სთქვი ყველაფერი და შენი შვილი თავისუფალი იქნება.

სულიას დედა:

ნენა, რა ვქნა რომ არაფერი ვიცი.

ზედამხედველი:

იცი, ეშმაკის კერძო!

სულიას დედა:

(გადაწყვეტით) მე არაფერი ვიცი!

ზედამხედველი:

მაშ კარგი. მოიყვანეთ ის ბიჭი. (ჩამოიყვანენ მიყავთ დედასთან) ხუთ წუთს გაძლევთ ვადას. კარგად იფიქრეთ, ჩამოიყვანეთ ყველა!

გამოსვლა მესამე

(შემოყავთ ტუსაღები. ხელები გაკრული აქვთ) შენი გვარი?

მტვირთავი:

ინწკირველი.

ზედამხედველი:

სახელი?

მტვირთავი:

ესტატე.

ზედამხედველი:

სათქმელი ხომ არაფერი გაქვს?

მტვირთავი:

სათქმელი ამაღამ მოხდება.

ზედამხედველი:

რა გინდა მაგით რომ სთქვა?

მტვირთავი:

ჩემი სისხლი უკანასკნელია.

ზედამხედველი:

რას მიჰქარავ, წუპაკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვირთავი:

გამარჯვება ჩვენი იქნება და მენანება.

ზედამხედველი:

რა გენანება?

მტვირთავი:

ჩვენ რომ ვერ ვნახავთ.

ზედამხედველი:

უუ, შე ძაღლო! წაიყვენეთ! (მიჰყავთ) მოიცა! (გააჩერებს) ზიარება ხომ არ გინდა?

მტვირთავი:

მე თქვენი ღმერთი არ მწამს.

ზედამხედველი:

მაშ წაიყვანეთ. (ეთხოვება სულიას. მიდის სცენის გარეთ. გაისმის სროლა. დუმილი).

ხმა:

გათავდა.

ზედამხედველი:

გათავდა. (პაუზა) შენი გვარი?

1-ლი მუშა:

ქოიავა.

ზედამხედველი:

სახელი?

1-ლი მუშა:

იოსებ.

ზედამხედველი:

სათქმელი ხომ არა გაქვს რა? თუ დაასახელებ ვინმეს გაპატიებთ.

1-ლი მუშა:

თავს ნუ იგდებ, წამიყვანე!

ზედამხედველი:

ზიარება ხომ არ გინდა?

1-ლი მუშა:

თავზე გადისხი.

ზედამხედველი:

წაიყვანეთ!

1-ლი მუშა:

(უეცრად შემობრუნდება ახალგაზრდა მუშას) იუდა! აი, მივდივარ!.. (მიდის ბარბაცით. სროლა.)

ხმა:

გათავდა!

ზედამხედველი:

გათავდა! ახლა თქვენი ჯერია, დედაკაცო, სთქვი ვინ არიან მოღალატენი, და შვილს გაპატიებთ.

სულიას დედა:

(გაშტერებული, ჯიუტად) არ ვიცი. ჩუმათაი იყავი, ნენა. ჩუმათაი... გოუყუჩდი, ნენა, დაგენაცვლე, გოუყუჩდი, თვალები დაჭუტე, ნენა, თვალები არ დაგავიწყდეს, თვალები დაჭუტე... მეც შენთან ვარ შვილო... ნუ გეშინია... სისხლს ეიღებენ... თვალები... შვილო... თვალები... ნენა... ჩემი სიკვდილი... (გამოთხოვების სცენა) დედა ვარ, შვილო, დედა... მარა რა ვქნა მე ახლა? რა ვქნა მე ახლა?.. მასწავლეთ რა ვქნა?.. (ავტოს ხმა)

ზედამხედველი:

ეს ვინ უნდა იყოს. ის სულელი ამერიკელი ქალი ხომ არ მოსულა? (შემოდის შიკრიკი ქაღალდით.) ვინ ხარ?

გამოსვლა მეოთხე

შიკრიკი:

გენერლის კაცი. საჩქარო ქაღალდი. დასახვრეტებს წაუკითხეთ.

ზედამხედველი:

მხოლოდ სამი დარჩა. (კითხულობს) საველე სასამართლომ განიხილა რა ხელმეორედ საქმე სამხედრო მატარებლის აფეთქების გამო, თანახმად მუშა ერემია თოლიგაურის დაკითხვისა, გამოარკვია, რომ მატარებლის აფეთქებაში უდანაშაულო არიან...

სულიას დედა:

ნენა!.. ნენა!.. შენ?.. სულიკო!.. შენ?..

ზედამხედველი:

გააჩუმეთ ეგ დედაკაცი... (განაგრძობს კითხვას) უდანაშაულო არიან ზიკულია ბაკურაძე და ერემია თოლიგაური. განთავისუფლებულ იქნან დაუყოვნებლივ. განაჩენს ხელს აწერს გენერალი დათიევი:

სულიას დედა:

მე?.. მე?.. არ მინდა!.. არ მინდა!.. მომკალით! ჩემ შვილთან!.. ჩემ სულიკოსთან...

ზედამხედველი:

მომაშორეთ ეს დედაკაცი (სულიას დედას მოაშორებენ და იქვე მიაგდებენ. ისმის მისი ლეკვივით კნავილი.) თქვენ თავისუფალი ბრძანდებით!

ახალგაზდა მუშა:

მე?.. ხალხნო!.. არ მინდა!.. არ მინდა!.. არ მინდა!.. (მიდის წელში გაღუნული ტორტმანით, მერე შემობრუნდება.) სად წავიდე მე ახლა? ვისთან წავიდე?..

სულია:

(ფეხებში უვარდება ზედამხედველს) აფიცერო!.. მაპატიე!.. აფიცერო. მე უბრალო ვარ... მე მართალი ვარ!.. მე ლიბანაში ვიყავი ფორთოხალზე. რაზე მკლავთ?.. ცოდვა ვარ, ცოდვა ვარ...

ზედამხედველი:

სთქვი ვინ არიან მოღალატენი და გაპატიებთ.

სულია:

(უეცრად წამოდგება, ახალგაზდა მუშას მიუთითებს) ეე, ისაა მოღალატე... მე გამცემი არ ვარ...

ზედამხედველი:

მაშ კარგი... წაიყვანეთ...

სულია:

(მიჰყავთ: ებრძვის) ნენა!.. ნენა!.. (სტირის) ნენა!.. ნენა!.. რას მიშობიენ!.. რას მიშობიენ!.. ნენა!.. ნენა!.. ნენა!.. მიშველე!

სულიას დედა:

(დგება, გალუცინაცია შეპყრობილივით დგას გარინდებული) დეიძინე, სულიკო... გენაცვალე, თვალები არ დაგავიწყდეს... დაჭუტე... დეგეძინება... საწყალი შვილი... საწყალი სულიკო...

სულია:

(მიჰყავთ და თანდათან შორს ისმის მისი ხმა) ნენა!.. ნენა!.. ქუდი!.. დამრჩა!.. მაქანა!.. ქუდი!.. გამიშვით, გამიშვით!.. მომაძვრეთ მაგი პირსახოცი!.. არ მინდა... ჩემი თვალით მინდა უყურო... ჩემი თვალით მაყურებიეთ...

ზედამხედველი:

შეჩერდით! (სიწყნარე. მხოლოდ სულიას კვნესა ისმის) უკანასკნელად გეკითხები, ვინ არიან კიდევ დამნაშავენი? თუ გასცემ, შვილს გაპატიებთ ხომ ნახე, ის მუშა რომ გავანთავისუფლეთ ერთგულებისათვის?..

სულიას დედა:

(გადაწყვეტით) დეიძინე, ნენა, დეიძინე... ქუდს მე მოგიტან... თვალები დაჭუტე და დაგეძინება... მამაშენიც, შვილო, მამა შენი... სისხლი... სისხლს ეიღებენ... სისხლს ეიღებენ...

ზედამხედველი:

მაშ კარგი! განაგრძეთ! (ისევ ისმის ხმაური)

სულიას ხმა:

ქუდი, ნენა, ქუდი!.. (სროლა. ხმა ნახევარზე წყდება)

ხმა:

გათავდა!

სულიას დედა:

რაი?

ზედამხედველი:

გათავდა! (პაუზა)

გამოსვლა მეხუთე

მისს ანტონია:

ოხ, რა სიბნელეა.

ჯეკ:

შეხედეთ მისს, რა კარგა თენდება... შეხედეთ ცას რა ლამაზია!..

მისს ანტონია:

როგორ მომატყუა იმ გენერალმა. მე იმას ვაჩვენებ სეირს...

ჯეკ:

მართალი იყო ის გენერალი, მისს, ასეთი სანახაობა ქალებისათვის არ არის.

მისს ანტონია:

ახ, ღმერთო, როგორ მიფანცქალებს გული... მაშ აქ ხვრეტენ, არა?

ჯეკ:

ფრთხილად, მისს, აქ სისხლი უნდა იყოს, არ გაისვაროთ... (ხელში აიყვანს და გადაიყვანს).

მისს ანტონია:

(უეცრად შეჰკივლებს) აი... აი... ეს ვინ არის, ფეხებში რომ წამეტანა!..

ჯეკ:

(იხრება) ეს ქუდია, მისს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისს ანტონია:

ქუდი... ქუდი... (გამოართმევს, მიზეზიანად ათვალიერებს) ფუჰ, რა საზიზღარი სუნი აქვს... ოფლისა და ფორთოხალის... (გადააგდებს. გაისმის შორეული გუგუნი სირენებისა და ფაგოტების განგაში) ეს რა ამბავია?

ჯეკ:

ალბათ, მუშებს ჭკუას თუ ასწავლიან.

მისს ანტონია:

რომ იცოდეთ, ჯეკ, როგორ მომწყინდა ეს ამბები. მე დავიღალე. ჯეკ, ძლიერ დავიღალე.

ჯეკ:

(ეხვევა) მე, მისს, მე...

მისს ანტონია:

მისტერ... ახ, მისტერ! (ჯეკი უფრო გაბედულად იკრავს) მისტერ... მისტერ... რას სჩადიხართ, ახ!.. ჯეკ!.. ჯეკ!..

ჯეკ:

ტონი!.. ჩემო ტონი!..

მისს ანტონია:

ჯეკ... ახ, ჯეკ... ჯეკ...

კომერსანტის ხმა:

ტონი... ტონი... (შემოდის)

გამოსვლა მეექვსე

მისს ანტონია:

დაგვლოცე მამა... ჯეკი ჩემი საქმროა...

კომერსანტი:

ტონი! ტონი... წავიდეთ!.. ჩქარა ტონი!.. ახ რა უბედურება დაგვატყდა, რა უბედურება... ღმერთო!.. ღმერთო!..

მისს ანტონია:

რა, მამა?

კომერსანტი:

გენერალი დათიევი მოჰკლეს, ქალაქში აჯანყებაა! მე შენთან მოვიჩქაროდი.

მისს ანტონია:

(ზარდაცემული) ა?

კომერსანტი:

უნდა წავიდეთ, ტონი! ქალაქში ფრონტია გამოცხადებული.. ჩემი ჩაი, ჩემი ნიგვზის ხეების ექსპორტი, დავიღუპე!.. დავიღუპე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისს ანტონია:

მაშ ასე... უნდა წავიდეთ, ჯეკ, არა?.. ახ, რა სულელი ხართ, ჯეკ, რა სულელი!.. რა სულელი ქმარი მეყოლება, ღმერთო, რა სულელი ქმარი მეყოლება... (სერიოზულად) ეს კარგია!.. მე სულელი ქმარი მინდა. ეს მე მომწონს. დაგვლოცე, მამა!.. (სცენის უკან ფეხის ხმა).

მისს ანტონია:

ჩუშ... ეს რა ამბავია?

ხმები:

ვინ ხართ?

კომერსანტი:

უცხოელები.

გამოსვლა მეშვიდე

მუშები:

(შემორბიან შეიარაღებული მუშები) ხელები ზევით, ასწიეთ ხელები!

მე-3 მუშა:

აა, თქვენც აქა ხართ? თქვენც? თქვე ტურებო, მგელკაცებო!.. სისხლის სუნი იკარით და იმიტომ მოდით აქ არა?.. ეს თქვენ ხართ ხომ, ჩვენ რომ გვკიცხავთ, გვიფრთხილდებით და მეტის მეტი სიფრთხილით გვხვრეტთ... ხომ, ჯენტლმენტებო?.. მაშ ასე, ჯენტლმენებო... შაბაშ... თქვენი დღე მიიწურა. ქალაქი ჩვენია და თქვენც, ჩვენო ქრისტიანობრივ სასოებით აღსავსე ძმებო, თქვენც ჩვენი ხართ და ვერ შეგელევით... რა ვქნათ, როცა ასე გვიყვარხართ. აბა, ბიჭებო, დააპატიმრეთ...

კომერსანტი:

(მეზღვაურებს დაინახავს) თქვენც? თქვენც აჰყევით ამ აზიელ ძალლებს? სირცხვილი, სირცხვილი, მეზღვაურებო...

მე-3 მეზღვაური:

კმარა ქაქანი! დააპატიმრეთ! (აპატიმრებენ)

მისს ანტონია:

რა უნდათ, მამა, რომ გვაპატიმრებენ?

მე-3 მუშა:

არ იცით, არა, რა გვინდა?.. ის ხომ კარგად იცით, თქვენ რა გინდათ, მოგვიტევეთ, მისს, თუ ჩვენც ვიცოდეთ, ძლიერ კარგა ვიცოდეთ, თუ რა გვინდა და ამიტომ გაპატიმრებთ. (მუშებს მოუბრუნდება)

ქუდები მოიხადეთ! (ყველა ქუდებს იხდის და დგანან თავმოხდილნი) აქ ჩვენი ძმების ცხედრებია. (პაუზა. დუმილი) ეეხ, დავგვიანდით... როგორ დავგვიანდით, ამხანაგებო, კმარა დაღვრემა. რევოლიუციას დაღვრემა არ უყვარს, რევოლიუცია სისხლითა და გამარჯვების ყიჟინით მოდის!..

მისს ანტონია:

მამა, ქრისტე რას ამბობს?..

მე-3 მუშა:

როგორ?.. როგორ ამბობს თქვენი ქრისტე?

მისს ანტონია:

ქრისტე კი ამბობს... როგორ ამბობს, მამა?.. მე მცივა, მომახურე რამე, ჯეკ!.. უჰ, ღმერთო, რა მოუსაზრებელი ხართ!..

კომერსანტი:

(სასოებით) ქრისტე ამბობს... არა მგონი, მოსე...

მისს ანტონია:

ეხ, მამა, განა სულ ერთი არ არის ვინ ამბობს?

კომერსანტი:

წმინდა წიგნში სწერია: არა კაც კლა.

მისს ანტონია:

(ნიშნის მოგებით) აი!.. აი!..

კომერსანტი:

რა დიდებულია, რა დიდებულია... წინადადება შემაქვს სამხედრო სამინისტროში, პრაქტიკული წინადადება, რომ ზარბაზნებთან და კაპიტალთან ერთად რამდენიმე მილიონი ეკზემპლიარი სახარებაც გამოგზავნონ ამ ველურების გასანათლებლად.

მე-3 მუშა:

აღარ არის საჭირო თქვენი წინადადება, თქვენი საქმე გათავდა. (მუშებსა და მეზღვაურებს) ამხანაგებო, მაშ ასე, გამარჯვება ჩვენია!..

სულიას დედა:

ჩშშ!.. ჩშშ!.. არ გააღვიძოთ... აქანა ჩემ სულიკოს სძინავს... ჩემი სულიკო... ჩუმათ იყავი, ძამია, ჩუმათაი... ჩშშ... ჩშშ... (ყველა გარინდებული უცქერის) ჩშშ... ჩშშ... აქანა ჩემ სულიკოს ქუდი დაეკარქა და რა ვქნა ეხლა მე?... რა ვქნა?.. სძინავს ახლას სულიკოს... ჩშშ!.. სისხლია აქანა, ჩემი სულიკოს სისხლი... სანამ არ აიღებენ, მანამ არ გაშრება ჩემი სულიკოს სისხლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 მუშა:

სისხლი აღებულია, დაია. ჩვენ თავისუფალი ვართ..!

სულიას დედა:

(შეტევით) აა?..

მუშათაგანი:

გენერალი მოჰკლეს, დაია, ეს უბანი ჩვენია!

სულიას დედა:

(უცებ წელში იმართება და რისხვით) ვინ მოჰკლა გენერალი?

მე-3 მუშა:

მე მოვკალ გენერალი!

სულიას დედა:

(ოხვრა აღმოხდება და მე-3 მუშას მკერდს მოეყრდნობა).

მე-3 მუშა:

წაიყვანეთ! (უცხოელები მიჰყავთ).

მისს ანტონია:

მამა, ქრისტე როგორ ამბობს?.. მამა, რას ამბობს ქრისტე?

კომერსანტი:

არა კაც კლა.

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე

ეგნატე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება *)

ახლა თუ ნებას მომცემთ მე შევეხები ეგნატე ნინოშვილის შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს, რაც შეიძლება სულ მოკლედ.

ნინოშვილის შემოქმედება, მისგან დატოვებული ლიტერატურული განძი, უნდა მოგახსენოთ დიდ შესწავლას მოითხოვს. ნინოშვილის მხატვრობის შესახებ შეუძლებელია ორი აზრი იყოს. ჩემის აზრით მწერლის საუკეთესო დამფასებელი არის უწინარეს ყოვლისა თვით მკითხველთა მასა, მკითხველი საზოგადოება, რომელიც ნინოშვილის ნაწერებს თავიდანვე განსაკუთრებული სიმპატიით და უდიდესი ყურადღებით ეკიდოდა. მკითხველი საზოგადოება, ხალხის უფართოესი მასა ეტანება ნინოშვილის ნაწერებს დღესაც ისე, როგორც 20-30 წლის წინად. შეიძლება ეს ინტერესი დღეს კიდევ მეტია, ვინემ წინეთ იყო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრით ის, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ნინოშვილის ნაწერების საგანი მხოლოდ გურიის გლეხ-კაცობაა, ეს ნაწერები ერთნაირად იკითხება საქართველოს ყველა კუთხეებში. ყველა ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ნინოშვილის მოთხრობებს მართლაც დიდი მხატვრული ნიჭის ბეჭედი ასვია. როგორც იცით, დღემდის ქართველი ნაფიცი კრიტიკოსები ან სრულებით არ ეხებიან ნინოშვილს, ან თუ ეხებიან მხოლოდ გაკვრით. ნინოშვილის ნაწერები დღემდის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად გაარჩია მხოლოდ ერთმა მწერალმა, სახელდობრ — ი ვ. გ ო მ ა რ თ ე ლ მ ა, მაგრამ გომართელის კრიტიკა არაა საფუძვლიანი შეფასება ნინოშვილის შემოქმედებისა. ნინოშვილი ჯერ კიდევ ელოდება ნამდვილ კრიტიკას.

მართალია, ივანე გომართელი დიდი სიმპატიით ეკიდება ნინოშვილს, იგი ბევრ დადებით მხარეებს აღნიშნავს მის ნაწერებში და ხაზს უსვამს იმათ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გომართელის წერილში ჩვენ მაინც ვერ ვხედავთ ღრმა მიდგომას,

*) დასაწყისი იხ. „პროლეტ. მწერ." № 2-ში.

და რაც უფრო უარესია, მისი ზოგიერთი აზრი ნინოშვილის მოთხრობების შესახებ, მიუღებლად და დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. რომ ბევრი არ გავაგრძელო ამაზე სიტყვა, მოვიყვან აქ გომართელის წერილიდან რამდენიმე ადგილს. გომართელი დიდ ნაკლულევანებას ხედავს ხელოვნების მხრივ განსაკუთრებით ნინოშვილის ორ მოთხრობაში: „სიმონასა“ და „პარტახში“. აი რას ამბობს იგი პირველის შესახებ.

„დავითისთანა პირებს სოფელში გავლენა აქვს, მაგრამ არც იმდენი, რომ მთელ სოფელს თავის სურვილისამებრ საუკეთესო პირები გაამეტებინონ. მარტო დავითის ჩაძახება სრულიად არ იყო საკმარისი, რომ სიმონა ხალხს გაეცალა“.

„ყოველივე ნათქვამით იმის აღნიშვნა გვინდა, რომ წინდაწინვე დასახულმა მიზანმა ნინოშვილს ბევრი სიყალბე ჩაადენინა: დამოკიდებულება სიმონასა და დავით შორის იმდენად ბუნებრივი, აუცილებელი არ არის, რამდენადაც ნაძალადევი. ტენდენცია ღირსებას შეადგენს სახელოვანი ნაწარმოებისას, როდესაც ის სინამდვილეს არ ამახინჯებს; ხოლო თუ სინამდვილე დამახინჯებულია, ბევრი პირობები მოქმედების განვითარებაში ნაძალადევათ არის შექმნილი, ასეთი ტენდენცია ნაკლოვანებაა. ნაძალადეობა ეტყობა „პარტახსაც“. დანარჩენ მოთხრობებში ნინოშვილს არც ერთ ალაგას არ ულალატნია სინამდვილესათვის“.

„ჩვენ დავინახეთ, თუ რაში მდგომარეობს მოთხრობის („პარტახი“) დედა აზრი; ხოლო აზრის განსახორციელებლად ავტორმა სინამდვილე ბევრგან დაამახინჯა, ბევრი სიყალბე იხმარა, ნაძალადევად მოაწყო ბევრი გარემოება, წინდაწინვე დასახულ მიზნის მისაღწევად და ამიტომ მოთხრობა მეტად ტენდენციური გამოვიდა. ავტორს სურდა უსათუოდ დაემტკიცებია, რომ ძველი ჩვეულებანი ხალხს ღუპავს; ცხოვრება კი იმდენად არ ეთანხმება ავტორს, რამდენადაც მას უნდოდა. მართალია, ცოლის შერთვაში ისეთი ჩვეულების გაბატონება, რომელიც ნინოშვილმა დაგვანახა ბევრ უბედურებას თესავს, მაგრამ იმ ზომამდე კი არავინ მიყავს, როგორც ჯერანი და ლიზა. ამიტომ ავტორმა ჩაურთო მოთხრობაში ბევრი ნაძალადევი პირობები, რომ მის მიერ დასასრული დასკვნა აუცილებელი ყოფილიყო. ამით კი სინამდვილეც დაამახინჯა და მოთხრობის სახელოვან ღირსებას და მნიშვნელობასაც ზიანი მიაყენა“. (გომართელი. „ხალხის გულის მესაიდუმლე“ ნინოშვილის თხზულებანი ტ. მე-2, გვ. 60-61).

ამნაირად, გომართელის აზრით ნინოშვილის ორი საუკეთესო მოთხრობა: „სიმონა“ და „პარტახი“ ტენდენციური, არაბუნებრივი და ნაძალადევია, სინამდვილე დამახინჯებულია და ბევრგან სიყალბეა“. რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ, რომ ნინოშვილის ნაწერებში ნაკლი არ იყოს, ეს არც ერთ მწერალზე, რა გინდ დიდი, უდიდესი არ იყოს, არ შეიძლება ითქვას, და, მაშასადამე, ამის თქმა შეუძლებელია ნინოშვილზედაც, მაგრამ გომართელი სასტიკად ცდება როცა ამბობს, რომ დასახელებულ მოთხრობებში ნინოშვილმა სინამდვილე დაამახინჯა და მომქმედ პირებს ჩაადენინა სიყალბე, რათა თავისი წინდაწინ დასახული მიზანი ანუ ტენდენცია გაემართლებიაო. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გომართელი ძლიერ ნაკლებ იცნობდა ნინოშვილის დროის გურიის სინამდვილეს. რა ნაკლიც გნებავთ, შეგიძლიათ მიაწეროთ ნინოშვილს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მას უსაყვედუროთ სინამდვილის დამახინჯება ან სიყალბის ჩადენა წინდაწინვე განზრახული აზრის გასამართლებლად. და მერე რისთვის ან ვისთვის იყო საჭირო, როცა სინამდვილე ამაზე უფრო ალმაშფოთებელ შემთხვევებს იძლეოდა. არა, არა ამაში იყო ნინოშვილის ნაწერების სუსტი მხარე და ნაკლი, როცა თქვენ გულდასმით ეცნობით და სწავლობთ ნინოშვილის ნაწერებს, თქვენ სულ უფრო და უფრო რწმუნდებით იმაში, რომ ნინოშვილი დიდი მხატვარია და მასთან დიდი რეალისტიც. არა ამ სიტყვის ვულგარული მნიშვნელობით, რა თქმა უნდა. ასე რომ იგი სინამდვილეს არასოდეს არ ღალატობდა და არც შეეძლო ეღალატებინა, და ეს მისთვის სრულებით საჭირო არ იყო.

სამწუხაროდ, ნინოშვილი ცხოვრობდა ისეთ პირობებში, რომლებიც მისი ნიჭის სავსებით გაშლას ბოჭავდენ და არ აძლევდენ მას ცოტად თუ ბევრად ფართე გასაქანს. მას ხშირად არ ჰქონდა თავშესაფერი, არ ჰქონებია ცალკე ოთახი და საკუთარი საწერი მაგიდა; ტფილისში მას მუდამ გარს ეხვია მაშინდელი მოსწავლე ახალგაზრდობა, უმეტეს ნაწილად გამორიცხული სასწავლებლებიდან, რომელიც უმეტეს ნაწილად უსაქმოდ იყო დარჩენილი. რაც შეეხება იმას, თუ რა პირობებში მუშაობდა ნინოშვილი მარგანეცის კანტორაში, ამის შესახებ ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ. ნინოშვილის ყველა მოთხრობები დაწერილია თითქმის დაახლოებით 1887 — 1893 წლებში. ეს იშვიათი ნაყოფიერება იყო ასეთ მოკლე დროში, მით უმეტეს, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ ამ ხნის განმავლობაში ნინოშვილი უზომოდ დატვირთული იყო კერძო სამუშაოებით თავის თავის გამოსაკვებად და მეორე მხრით იმა-

საც რომ სწორედ ამ ხანებში ავადმყოფობის გამო მას წერა არ შეეძლო. ყველა აქ ჩამოთვლილ გარემოებას არ შეეძლო არ ემოქმედნა ნინოშვილის მოთხრობებზე უარყოფითად. მე ვამბობ იმაზე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მის მოთხრობებს ეტყობა ერთი მხრით სათანადოდ დაუმუშავებლობა და მეორე მხრით ს ი ჩ ქ ა რ ე. მაგრამ არსად არც ერთ მოთხრობაში იგი არ ღალატობს სინამდვილეს და მით უფრო არ ჩადის სიყალბეს.

მეორე ნაკლი ნინოშვილის მხატვრული შემოქმედებისა, რომელზედაც გვიჩვენებს ივ. გომართელი, მდგომარეობს შემდეგში. გომართელი ამტკიცებს: „თითქმის ყველა მისი (ე. ი. ნინოშვილის) მოთხრობა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა დ ა მ ი ს ი ნ ი ჭ ი ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი ღ ი რ ს ე ბ ა დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ც ა მ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს ო“. ეს აზრი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. თუ ნინოშვილის ყველა მოთხრობა პუბლიცისტური ხასიათისაა, იმ შემთხვევაში ნინოშვილი ყოფილა პუბლიცისტი და არა მხატვარი. ეს მართალი არაა, ეს ქვეყანამ იცის. მაგრამ საკვირველი აქ ის არის, რომ გომართელი ნინოშვილის ნიჭის ღირსებას და მნიშვნელობას თელავს სწორედ პუბლიცისტიკაში. ეს კი ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების სრული უარყოფაა. ვერ წარმომიდგენია, როგორ ხედავს ამაში გომართელი ნინოშვილის ნიჭის ღირსებას.

თქვენ უკვე იცით, რომ ნინოშვილმა აიღო თავის მოთხრობების საგნად საქართველოს იმ კუთხის — გურიის — გლეხკაცობის ცხოვრება, რომელსაც იგი ზედმიწევნით იცნობდა. იგი იღებს ამ გლეხკაცობას იმ ეპოქაში, რომელიც მოყვა უშუალოდ ბატონყმობის გადავარდნას ჩვენში. გლეხკაცობის პირობები ამ ხანაში საერთოდ ყოველგან ერთგვარი იყო. მაგრამ გურიის გლეხკაცობის მდგომარეობას, არა თუ მხოლოდ იმ ხანაში, არამედ წინადაც და შემდეგაც, განსაკუთრებული პირობები ახასიათებდენ. გარდა ამისა, რასაც ყოველგან ჰქონდა ადგილი, გურიაში ჩვენ ვხედავთ კიდევ სპეციალურ პირობებს. უპირველეს ყოვლისა მ ი წ ი ს მ ე ტ ი ს მ ე ტ ს ი ვ ი წ რ ო ე ს გურიის გლეხებში შედარებით საქართველოს ყველა სხვა კუთხეებთან. ამას მოსდევდა ერთი მხრით გლეხობის უკიდურესი სიღატაკე და მეორე მხრით შ ე ვ ი წ რ ო ე ბ ა მემამულეების მხრით, რაც იწვევდა გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას. თუ მივიღებთ მხედველობაში გურული გლეხის განსაკუთრებულ თავმოყვარეობას, მის ამაყ და მეტად გულფიცხ ხასიათს და მასთან თურქეთის საზღვრის სიახლოეს, ჩვენ ადვილად გავიგებთ, რომ გურული გლეხი როგორც მემამულეების, ისე მთავ-

რობის აგენტების უხეშ მოქმედებას ვერ უძლებდა, საქართველოს დანარჩენ კუთხეებში გლეხი ასეთ შემთხვევებს უმეტეს ნაწილად იტანდა პასუხის გაუცემლად, და ყოველგვარ შეურაცხყოფას და შევიწროებას თავისივე გულში იკლავდა, გურული გლეხის ბუნება კი ამას ვერ ეგუებოდა. ამიტომ გურიაში შედარებით უფრო ხშირია შეტევები გლეხებსა და მემამულეებს შორის ერთი მხრით და გლეხებსა და მეფის აგენტებს შორის მეორე მხრით. აქედან გლეხების ხშირად გ ა ფ ი რ ა ლ ე ბ ა ანუ გ ა ყ ა ჩ ა ღ ე ბ ა. ფირალების და ყაჩაღების დევნა იწვევდა თითქმის განუწყვეტლივ ეკზეკუციების ჩაყენებას სოფლებში და ოჯახებში.

ეგ. ნინოშვილი ცოცხლად თვალწინ გვიყენებს გურიის გლეხკაცობის ვითარებას, მის ჭირ-ვარამს, მის უზომო ტანჯვას და გაჭირვებას. ამავე დროს იგი არ იღებს გლეხკაცობას უმოძრაოდ, განვითარების ერთ საფეხურზე. იგი ღებულობს მას არა განყენებულად, არამედ ჩაყენებულს კონკრეტიულ პირობებში. იგი ანგარიშს უწევს ქალაქის, ფულის, ვაჭრობა-მრეწველობის გავლენას სოფელზე და გლეხის ცხოვრებაზე; მას არ რჩება შეუმჩნეველი არც ერთი მოვლენა სოფლის ცხოვრებიდან, ღირსი ყურადღებისა. იგი იძლევა თავის მოთხრობების გმირების სახით გლეხების ტიპების მთელ გალერეას. განსაკუთრებული დაკვირვებით და დიდი ნიჭით ხატავს ნინოშვილი გლეხი-ქალების ტიპებს, იმათ მწარე ხვედრს, და მით იგი გვიყენებს გლეხი-ქალის ყ ო ფ ა-ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს საკითხს მთელი სიგრძე-სიგანით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ნინოშვილი გლეხებს გვიხატავს, როგორც ყველა მისი დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით. მის თვალში გლეხი იდეალური ქმნილება როდია. ნინოშვილი რ ო მ ა ნ ტ ი კ ო ს ი არაა, და სწორედ ამაშია ერთ-ერთი მისი დიდი ღირსება. მან კარგად იცოდა, თუ რა უსამართლობაზე იყო აგებული მთელი მაშინდელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლის მეოხებით იტანჯებოდა და იღუპებოდა ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობა. მთელი მაშინდელი სიავე და ბოროტება წარმოსდგებოდენ, როგორც გლეხის სიბნელისაგან, ისე კიდევ უფრო არსებულ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წესწყობილებისაგან.

შეიძლებოდა თუ არა, და თუ შეიძლებოდა, რ ა გ ზ ი თ, იმ უსამართლობის მოსპობა, რომლის მეოხებით გლეხკაცობა იტანჯებოდა და იღუპებოდა? ნინოშვილის მოთხრობებში თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით ასე კითხვის დაყენებას, მაგრამ ასეთი კითხვა უთუოდ სრულიად ბუნებრივად აღიძრებოდა მისი ნაწერების თითოეულ მკით-

ხველში. როცა ამ საკითხს აყენებდენ, ბევრი ფიქრობდა, რომ გლეხის ცხოვრების გაუმჯობესება, უსამართლობის თუ სრულიად მოსპობა არა, მისი შესუსტება შეიძლებოდა რადიკალური ცვლილებების მოუხდენლად. როგორც სჩანს ასე ფიქრობდა ივ. გომართელიც. აი, რას ამბობს იგი ნინოშვილის იმ წერილში, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, როცა იგი ამ საკითხს ეხებოდა.

„სოციალური პირობები, უსამართლობა, მავნებელი ჩვეულებანი, უმეცრება, — აი, რა ღუპავს გლეხკაცობას. ნინოშვილმა დაგვანახა ხალხის იარები, ჩვენი მოვალეობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ იარების დაამებას და განკურნებას ხელი შეუწყოთ. დროა დავანებოთ იმ ბავშურ რწმენას თავი, ვითომც ჩვენ შეგვეძლოს ისტორიულ პროცესს გაუმკლავდეთ და გლეხები, რომლებიც გაპროლეტარების გზას დადგომიან, ამ გზას ავაცილოთ. დროა დავანებოთ ილიუზიებს თავი და შევიგნოთ, რომ ადამიანი ყოვლად შემძლებელ არსებას არ წარმოადგენს, ის მეტად მცირე ძალღონის პატრონია და უნდა სცდილობდეს ეს მცირეოდენი ძალღონის ნაყვასკი არ მოანდომოს, არამედ ისე მოიხმაროს, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოიღებინოს. სოციალური ცხოვრების ჩვენი სურვილისამებრ გარდაქმნა თუ არ შეგვიძლია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლიან გაუმკლავდეთ უსამართლობას, მავნებელ ჩვეულებებს, უვიცობას. გლეხს თუ ვერ ვიხსნით გაპროლეტარებისაგან, სამაგიეროთ, შეგვიძლიან ვიხსნათ ის უსამართლობისაგან, უვიცობისაგან. მოაშორეთ ყოველივე ეს გლეხს და მაშინ მისი ცხოვრება გაცილებით უმჯობესი იქნება, მისი ტანჯვა გაცილებით ნაკლები, ვიდრე დღეს არისო“.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო რევოლიუციონური მიდგომა. ეს არ იყო საკითხის ისე დაყენება, როგორც მას ეგ. ნინოშვილი აყენებდა. ილიუზია იყო სწორედ ის, რასაც ივ. გომართელი ამბობდა. ეს იყო ნამდვილი ოპორტუნიზმი, მენშევიზმი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს ტერმინი ჯერ კიდევ არ არსებობდა (ივ. გომართელის სტატია ნინოშვილზე დაწერილია დაახლოვებით 1900 წ.) არა, ასეთი გზით საკითხი არ გადაწყდებოდა ეს აშკარა იყო ნინოშვილისთვის უკვე გასული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისში. ამიტომაც იყო, რომ იგი მხატვრობას ხელს უშვებდა და რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

მაგრამ ჩვენ მაინც რამდენიმედ უნდა დავახასიათოთ ნინოშვილი, როგორც მხატვარი. იყო იგი ნამდვილი მხატვარი, ნამდვილი

ხელოვანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ან შეიძლება მისი მოთხრობები ნაძალადევია და მოკლებული ნამდვილ მხატვრულ ღირებულებებს?

ნამდვილი მხატვრობისათვის სრულებით არ კმარა, რომ იქ გადმოღებული იყოს სინამდვილის ასლი, კოპია. რეალისტი კიდევ არ არის მხატვარი. ეს უბრალო გადმოცემა იქნებოდა სინამდვილის, ანუ ოქმის შედგენა. მხატვარს უნდა შესწევდეს სინამდვილის და ნახულ-გაგონილის თავის ტვინში, თავის გონებაში გადამუშავების ნიჭი, ცხოვრების მოვლენების ანალიზის და სინტეზის უნარი; მას უნდა შეეძლოს ისეთი გმირების გამოყვანა, რომლებიც კლასიკურ ტიპებად ხდებიან. ხასიათის დაცვა თავიდან ბოლომდე, ისე, რომ იმათ მოქმედებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი წინააღმდეგობას, ე. ი. არ უნდა იყოს ძალდატანება ავტორის მხრით წინდაწინ განზრახული ტენდენციის გასამართლებლად, როგორც ამბობს ივ. გომართელი.

ჩემი ღრმა რწმენით ნინოშვილის შემოქმედება სავსებით აკმაყოფილებს მხატვრობის ყველა ამ მოთხოვნებს.

სანამ მოვიყვანდე აქ რამოდენიმე ნიმუშს ნინოშვილის მოთხრობებიდან მისი მხატვრული ნიჭის დაფასების მიზნით, მე მინდა ვთქვა მოკლედ, საერთოდ ნინოშვილის მიერ გამოყვანილ ტიპების შესახებ. შეიძლება ყველა ისინი ორ მთავარ კატეგორიად გავყოთ. ნინოშვილის გმირების ერთი ნაწილი იღუპება უშუალოდ სოციალურ უკეთესობის მეოხებით, სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლაში („სიმონა", „გოგია უიშვილი", „ჩვენი ქვეყნის რაინდი"). სხვები კი სიბნელის, უვიცობის, ცრუმორწმუნეობის მსხვერპლნი ხდებიან („პარტახის" გმირები, უნათლოშვილები „მოსე მწერალში", „უცნაური სენი", „ქრისტინე" და სხვ.), მაგრამ ყოველივე ეს ხდება ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძველზე, უვიცობის, სიბნელის და ცრუმორწმუნეობის გამოყენებით ხალხის ექსპლოატაციის მიზნით. ცალკე კატეგორიას შეადგენენ გლეხ-ქალების ტიპები, როგორიც არიან ქრისტინე, ტასო, ლიზა, დესპინე, ბაბალე და სხვ.. ამათი უიმისოდაც მძიმე მდგომარეობა, როგორც გლეხ-კაცებთან საერთო ჭაპანში მოქცეულების, კიდევ უფრო მძიმე ხდება იმიტომ, რომ ისინი დედაკაცები არიან, ნახევრად მხეცი-მამაკაცების მოპყრობით. აქ ჩვენ ვხედავთ კიდევ გლეხის ტიპების ერთ კატეგორიას, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ, უზომო შრომას ეწევიან, რომ გაჭირვებას თავი დაახწიონ და სიღარიბისაგან გამოძვრენ თუ მიწის იჯარით აღების საშუალებით, თუ ვაჭრობის მეოხებით, მაგრამ ასეთ უზომო შრომას

ვერ უძლებენ და ილუპებიან იმ დროს, როცა აი თითქო ახლო არიან თავისი მიზნის განხორციელებასთან (ივანე „პალიასტომის ტბაში"), აგვე არიან ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ბედმა გაუღიმა და რომლებიც ვაჭრობის, ჩარჩობის თუ მევახშეობის გზით უკვე საკმარისად გამდიდრდენ, და გახდენ სოფლის ახალი ტიპის მემამულეები, რომლებიც ბატონ-პატრონებად ევლინებიან მთელ სოფელს და როგორც მოეპრიანებათ, ისე იყენებენ სოფლის საზოგადოებას თავის სასარგებლოდ (დავით დროიძე „სიმონაში"). ნინოშვილს არ გამორჩა იმ დროის ა რ ა მ ზ ა დ ე ბ ი და მ უ ქ თ ა-ხ ო რ ე ბ ი, ნაბატონართა წიწილები, როგორც მაგალითად, ი ა ს ო ნ ი („ქრისტინეში") და ტ ა რ ი ე ლ მ კ ლ ა ვ ა ძ ე („ჩვენი ქვეყნის რაინდი"). ესენი არიან ხალხის მაწუხებელნი და მავნებლები. იმათ კიდევ შერჩენოდათ ძალა, შეძლება და განმავლობა, რომ მშრომელი ხალხი შეეწუხებინათ და დაეჩაგრათ, მაგრამ იმათ გვერდით უკვე ჩნდებოდენ სრულიად ახალი ტიპები, ხალხისგან გამოსულნი, და ახალი სოციალური იდეებით აღჭურვილნი, ს ო ფ ლ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა სახით (სპირიდონ მცირიშვილი და მისი ცოლი დესპინე, „ჩვენი ქვეყნის რაინდი"), რომლებიც ცდილობდენ ხალხში სინათლის შეტანას და აყვარებდენ მას სკოლას და სწავლას. ნინოშვილის მიერ დახატულ ტიპების ჩამოთვლა არ იქნება სრული, თუ ამას არ დაუმატეთ კიდევ რამდენიმე უარყოფითად „გაქალაქებული" ტიპები, როგორც მაგ., გაქნილი და მატყუარა კ ო ტ ე მ ა მ ა ლ ა ძ ე („უცნარი სენი") და მაჭანკალი ფეფიკო („სიმონაში") და სონა („ქრისტინეში"), რომელთაც ქალაქური ცხოვრებიდან სოფელში გადაჰქონდათ მხოლოდ ყოველივე უარყოფითი.

რაც შეეხება საკუთრივ გლეხი-ქალების ტიპების გადმოცემას ნინოშვილმა ამ მხრივ, შეიძლება ვთქვათ, მოგვცა შეუდარებელი სახეები. ასეთებია ქრისტინე, დარია, ლიზა, ტასო, ბაბალე და ქეთევანი. ბაბალე და ქეთევანი — ესენი გლეხის ოჯახის ბურჯებია; მთელ თავის სიცოცხლეს სწირავენ ისინი, რომ ოჯახი იხსნან დაღუპვისაგან, და თითქო აღწევდენ კიდევაც თავის მიზანს, მაგრამ იმათთვის უეცრად, სრულებით მოულოდნელად, ფეხზე დამდგარი ოჯახი ინგრევა. რაც შეეხება ქრისტინეს, დარიას, ლიზას, ტასოს, რომლების დასახასიათებლად ნინოშვილს არ დაუზოგავს თავისი მხატვრული ნიჭი, იმათი დაღუპვა დაკავშირებულია, როგორც ხალხის სიბნელესთან და მავნე ჩვეულებებთან, ისე სქესის საკითხთან. ნინოშვილი თავის მოთხრობებში აყენებს ქალების საკითხს ყველაზე უფრო გამოკვეთილად. ჩვენ გამოგვრჩა ნინოშვილის გმირებში მ ო ს ე მ წ ე რ ლ ი ს და-

სახელება. ეს გაიძვერა, მატყუარა და ფლიდი კაცუნა მაშინდელ საზოგადოებრივ პირობების აუცილებელი ნაყოფი იყო. როგორც ვთქვით მოსე მწერალი, ისე ამ მოთხრობაში აწერილი ამბავი უნათლოშვილების ოჯახის დაღუპვისა ცოცხალი სინამდვილე იყო. სწორედ ასეთი საქმე გაირჩა ქ. ოზურგეთის სასამართლოში ეგნ. ნინოშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. საქმის გარჩევის დროს მაყურებლებს ხელში ჰქონებოდათ ეგნატეს ეს მოთხრობა, და ყველაფერი ისე ხდებოდა სასამართლოში, როგორც იყო მწერალი ნინოშვილის მოთხრობაში. მაგრამ მოთხრობა ხომ დაწერილი იყო ბევრად უფრო ადრე, ვინემ ეს ამბავი მოხდებოდა.

ახლა მე დამრჩენია მოვიყვანო აქ ნინოშვილის მოთხრობებიდან მისი მხატვრული ნიჭის ზოგიერთი უფრო დამახასიათებელი ადგილები.

ავიღოთ, მაგ., მოთხრობა „გ ო გ ი ა უ ი შ ვ ი ლ ი“. ავტორი გვაცნობს გოგია უიშვილის ცხოვრებას მოკლედ შემდეგნაირად:

„სიკვტილი ჯობია ჩემ სიცოცხლეს! — ამოხდებოდა მას ხშირად გულიდან ოხვრასთან ერთად“. როცა მისი ცოლი მარინე მას ანუგეშებდა, რომ საქმე გამოკეთდება, ღმერთი გვიშველისო, გოგია გაჯავრებული უპასუხებდა: „ვითამ ძღან მანუგეშებ ამ სიტყვებით! მეც ამას არ ვტირი, რომ ასე უსაბუთოთ არის ჩვენი ცხოვრება-მეთქინ! — მიუგებდა თავის მეუღლეს გოგია უკმაყოფილოდ“. ავტორი შემდეგ ამბობს:

„მართლა და რა ნუგეში შეიძლებოდა გოგიასთვის, როცა ის ცხადად ხედავდა თავის მდგომარეობას. მუდამ ხარივით მოუსვენარი შრომა, ოფლის ღვრა, ჭაპან-წყვეტა და მაინც ცოლშვილი შიშველ-ტიტველი, ხშირად მშიერიც. მიწა-მამული მის ბარაზე არსად მოიპოვება, ნაბატონარი საბეგრო მიწის გარდა; გადასახადი დღითი-დღე მატულობს. უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასინჯეთ ნაცვალიც კი მას უწყრება და იჯაბნებს; სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსადა სჩანს. ნუ თუ არ დაღონდება და არ მოსძულდება თავი! თავისი ფიცრები, რომლითაც ოდის აშენებას ფიქრობდა, კარგა ხანია რაც გაყიდა სხვადასხვა გადასახადის დასაკმაყოფილებლად. გადასახადში წაართვეს მარინეს მზითვი: ნოხი, ფარდაგი, სპილენძის ქვაბი და ის „ქისეიის“ კაბა, რომელიც გოგიამ ჯვარის წერის დროს უყიდა მარინეს“. ახალი წლის წინადღით გოგიას მიუვარდებიან და ართმევენ უკანასკნელ ნივთებს. გოგია ამას ვერ ითმენს და წინააღმდეგობას უწევს, ამიტომ მას გაბაწრავენ და სოფლის კანცელარიაზე წაიყვანებენ. „შუა-დღე იქნებოდა, რომ ნაცვალმა

და ყაზახებმა მიაღწიეს ა-ის კანცელარიას და მიიყვანეს გაბაწრული გოგია უიშვილი.

— მამასახლისო, მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს! მიპატრონე, თუ სამართალი გაქ, მიპატრონე, თვარა შენი თვალის წინ დევიკლავ თავს! — დაიწყო გოგიამ ყვირილი კანცელარიაზე მისვლისთანვე.

— ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს! სამართლის კარზე მოვედი, მეგონა, და აქანაი ვარესი მიყვეს! სად ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო?!"

ბოლოს გოგიას ანთავისუფლებენ.

„ღამის სიბნელემ კიდეც მოატანა, როცა გოგიამ და მარინემ თავიანთ სახლს მიაღწიეს, იმ დილას ნანახი სცენით თავზარდაცემულმა და მთელი დღის განმავლობაში უპატრონოთ დაყრილმა ბავშებმა თავიანთი მშობლები რომ დაინახეს სიხარულით შემოესიენ აქეთ-იქიდან.

„გოგიამ, ალერსის მაგიერ, ბრაზიანივით წაჰკრა თავის პაწია ქალს ხელი და იქვე მუგუზლებში ჩააჯახა... მარინეს თავის დღეში არ ენახა, რომ გოგია ასე სასტიკად და შეუბრალებლად ოდესმე მოქცეოდეს თავის შვილს...

— „გასწი იქით, — დაუყვირა გოგიამ ცოლს და პურღვინო ლამბაქიან-ჭიქიანათ ცეცხლში გაისროლა.

„გოგია კი მთელი ამ დროს განმავლობაში გამოუთქმელად მძიმედ ჩაფიქრებული იჯდა ერთ ადგილას და ჩასცქეროდა ნაკვერჩხლებს. ჩიბუხი, რომელიც ისე უყვარდა და იმ დღემდე მუდამ პირში ეკავა, ეხლა დავიწყებოდა.

ყველას ღრმად ეძინა. მერე ფრთხილად მივიდა კუთხეში, ჩამოიღო თოფი და მიიტანა კარებთან. აქ კიდევ ერთ-ორ წუთს შეჩერდა, გატრუნა სული და მიაყურა მძინარე ცოლშვილს. ისევ ხვრინვა და ძილის სუნთქმა ისმოდა.

„გოგიამ ნელა გააღო კარი, გავიდა გარეთ, ისევ ნელა მიხურა კარი და გაჩერდა სახლის წინ.

„სავსე მთვარე გადახრილიყო და მოწმენდილი ცის დასავლეთის კუთხიდან შემოსცქეროდა გოგიას ეზოს. მთვარის შუქით გაბრწყინვებულ გაყინულ თოვლზე თავისი ტოტებიანად დახატულიყო ხეების ჩრდილები. დაწყნარებულს, ყინვისაგან დამძიმებულ ჰაერში ისეთნაირად მკაფიოდ გაისმოდა მამლების ყივილი, გეგონებოდათ, ეს ხმა ჰაერში თვალით დასანახავად სხეულად იქცაო. გოგიამ მიაპყრო თვალი იმ ადგილს, სადაც მთვარის სინათლეზე გარკვევით მოსჩანდა წავიას ლეში.

— „ჩემი წავიეი!.. რანაირათ კიოდა!.. ალბათ ძალიან ემწარა სიკვტილი! — ჩაილაპარაკა თავისთვის, შემდეგ მობრუნდა კარებისკენ და, თითქო კარებს ელაპარაკებაო, დაიწყო ძლივს გასაგონი ხმით.

— „გ ღ ა ლ ა ტ ო ბ ო ჯ ა ხ ო! გ ღ ა ლ ა ტ ო ბ ც ო ლ შ ვ ი ლ ო! მ ე მ ი ვ ა ლ, ვ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ბ ი და თ ქ ვ ე ხ გ ტ ი ე ბ ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ შ ი! მომიტევეთ! ველარ გავუძელი, ველარ ევიტანე მეტი და გავექეცი!.. გიღალატე მარინე, დავყარე შვილები შენს ამარა და გაგექეცი!.. შენ უფრო სულგძელი ყოფილხარ ჩემზე... რა იმედით დევიწყეთ უწინ ოჯახობა! ვფიქრობდი, ამნაირად გათავდებოდა!.. რა დღეში რჩება ახლა ჩემი ცოლშვილი! მამიტევე მარინე! მომიტევეთ შვილებო! მომიტევეთ, მე თავს ვუშველე და თქვენ ასე დაგყარეთ! რა ვქნა!.. ღმერთია მოწამე, რაც თავს მოვსწრივარ, მერე დღეი რა მომისვენია და ღამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემ დღეს საშველი არ დაადგა! ერთი სიხარული არ მინახავს! სხვაი სხვაი იყო და შოლტით ცემა! არა, ამას იქით ყოფნა ალარ ღირს.

„აქ რამდენსამე წამს კიდევ ჩაფიქრდა გოგია, მერე გააქნია ხელი და ყრუ ხმით წარმოსთქვა:

— „არა, არ იქნება! გათავებულია! შვიდობით, ცოლშვილო! მივალ! სადა, არც მე ვიცი!... თებრო, მომიტევე, წუხელის რომ გაგლახე! მარინე, შენც, რომ ხმაი არ გამიცია! ყველამ, ყველამ მუუტევეთ თქვენს მოღალატე გოგიას!... თქვენ ბგონია, ჩემდა ადვილია მოცილება, დაკარქვა!.. რა ვიცი, სად მივალ! თავბრუ მეხვევა. ჟრუანტელი მირბენს ტანში, თვალები მიბნელდება! არა! გათავებულია, გათავებული!

„ამ სიტყვებით გოგიამ სწრაფად მიიდო ამართული თოფი გულზე, გაჰკრა თოფის ფეხს თავისი ფეხის თითი, თოფმა იქექა და გოგია ჩაეცა კვალში.

— „ეკითხოს!.. გაუგებრად ამოილუღლუღა და შემდეგ სამუდამოდ დახურა პირი“.

გოგია უიშვილის ხასიათი და მოქმედება დაცულია ბოლომდის. იგი თავმოყვარე და ამაყი იყო ბუნებით, მაგრამ უზომო ჯაფამ და გაჭირვებამ წელში გატეხეს, დაიჯაბნიეს, მოუსპეს სიცოცხლის საშუალება. უკანასკნელად საჯაროდაც კი გაშოლტეს, „როზგები“ დაკრეს, და სახლში გაუშვეს. ამ შეურაცხყოფას და გაბახებას იგი ველარ უძლებს, მას ბოლმა მოადგა ყელში; მაგრამ მას აკლია გამბედაობა, იგი ვერ გრძნობს თავისთავში იმოდენა ძალას, რომ სამაგიერო გადაუხადოს მოძალადეებს. იგი ხედავს, რომ მას არავინ არ გამოე-

სარჩლა, მარტო კი უძლურია გაუმკლავდეს მასზე ხმარებულ ძალ-მომრეობას. მისი პასუხია თავის მოკვლა. ის სცენა, როცა მას სისრულეში მოყავს ეს გადაწყვეტილება, ერუანტელს გვრის ყველა მკითხველში, ისე ძლიერადაა გადმოცემული. სხვა ხასიათის მქონე ადამიანი, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სხვანაირად მოიქცეოდა, ან შეურიგდებოდა თავის ბედს ან თავის მტერზე იძიებდა შურს. უკანასკნელი ტიპი მოგვცა ნინოშვილმა სიმონა ძალაძეში.

— „რავარი კაცის ჩამომავლობაა, რომ იმისაგან კაი რამე გამოვიდეს; გაბრიელა ძალაძემ (სიმონას ბაბუა იყო) უდროოდ დააბერა თავისი ბატონიო", — ამბობდა სიმონაზე დავით დროიძე. — „აი ბიჭი სათოკე იქნება, სულ ბაბუა მისის მოყვანილობა და თვალები აქ!", — ხშირად იტყოდა იგივე დავითი სიმონაზე. მართლაც სიმონას ბავშობისთანავე თანდაყოლილი ქონდა თავმოყვარეობა, სიამაყე და მასთან გაბედულებაც. ამას კარგად ხედავდა იმ სოფლის „მეფე", ე. ი. გამდიდრებული გლეხი დავით დროიძე და უნდოდა რამენაირად თავიდან მოეშორებია ეს ბიჭი, რადგან სიმონას ყოლას მეზობლად დროიძე თავისთვის არასასიამონოდ თვლიდა. ამიტომ მან თავიდან დაიწყო სიმონას ათვალწუნება, და თუ რამე მოხდებოდა სოფელში, ქურდობა და სხვა, დროიძე ისე აჯერებდა მთელ სოფელს, რომ ყოველივე ეს თითქოს სიმონას ჩაედინოს. სიმონა კი ყველაფერში ალალმართალი იყო.

როცა დედა არიგებდა სიმონას, ნუ იტყვი დავითზე ცუდსო, რადგან „ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფის ტოლი კაცია, რომ მეინდომოს, ერთი სიტყვის თქმით დაგვღუპავსო", ამაზე სიმონა უპასუხებდა: „დამღუპავს და დავღუპავ! ოჯო, სვინდისზე ხელი ნუ აუღია, ნუ გამაძაღლებს, თვარა გემოს არც იმას ვაჩვენეფო". — მართლაც, სიმონას სულ უმიზეზოდ აბრალებენ დროიძის ცხენის მოპარვას, მას ატუსაღებენ, და მიუსჯიან 3½ წლის საპყრობილეს. როცა სასჯელის მოხდის შემდეგ სიმონა ბრუნდება სახლში, ასეთ საუბარს აქვს ადგილი მასსა და მის დედას შორის:

— „ნენავ, ჩვენი დიდი სახლი?

— გაგვიყიდეს, შვილო, გადასახადში, — ტირილით უპასუხა დედამ.

— ხარებიც?

— ხარებიც.

— ახლა რაღა სიცოცხლეა — ჩემი სიცოცხლე! ბარემ ჩამკვდარივყავი იმ ციხეში! მითხარით, ახლა არ ვემართლები იმას, ვინც ასე უსამართლოდ დამღუპა, იი რომ დავკლა"?

გავიდა ცოტა ხანი, სიმონა დაქორწილდა თავის საყვარელ დარიაზე, დაიწყო ოჯახის გამობრუნება. მაგრამ ამ დროს მახლობლად ფოსტა გაძარცვეს და დავითის წყალობით ესეც სიმონას გადააბრალეს, რისთვისაც მას ორი წლის ციხე მიუსაჯეს. ეს აიხსნებოდა იმით, რომ „რაც სიმონა საპატიმროდან დაბრუნდა, მას შემდეგ დავითს ტკბილად არ სძინებია“.

„იმისთანა თვალით მიყურებს, კაის არ მიზამს, რამე უნდა მოვუხერხოო“, — ამბობდა დავითი სიმონაზე, მოუხერხა კიდეც.

სიმონას მეორეჯერ პატიმრობის დროს მოხდა ერთი ასეთი ამბავი, რამაც საბედისწერო როლი ითამაშა სიმონას ცხოვრებაში. დავითის შვილმა აფიცერმა ტიტიკომ ძალით შეიპყრო და ნამუსი ახადა მის ცოლს — დარიას, რის გამო ამ უკანასკნელმა თავი დაიხრჩო.

ამის შემდეგ სიმონა ბრუნდება სახლში. ნინოშვილი ასე აგვიწერს მის შინ მოსვლას:

„როცა სიმონას პატიმრობის ვადა გაუთავდა და შინ დაბრუნდა, დედამ მიუტირა დარიას დარჩობა, მაგრამ სიმონას ერთი ცვარი ცრემლიც არ გადმოუგდია. ყოველივე პატიმრობაშივე შეეტყო ერთის თავის მეზობლისაგან.

სიმონას პატარა გაბრიელა ერთს მადლიანს ქალს ყავდა გასაზრდელად აყვანილი, სიმონამ მისგან უნახავი შვილის ნახვა არც ამ ჯერ მოიწადინა. დედის სიტყვებზე:

— ნახე, შვილი, შენი ვაჟი რა ანგელოზია! მკვახედ უპასუხა:

— „დამანებე თავი, რა ნახვა უნდოო“!

სიმონას ახლა ყველაფერი გადაწყვეტილი ქონდა, მას უკვე გამომუშავებული ქონდა თავისი მოქმედების გეგმა, თუ რა უნდა გაეკეთებია. მას არც გლოვის და არც ალერსის დრო აღარ ქონდა. ეს იყო შურისძიება დავითის ოჯახზე. მის სიცოცხლეს სხვა რაიმე აზრი აღარ ჰქონდა მის თვალში. არც მოხუცებული დედა, არც პატარა მშვენიერი ვაჟი მისთვის არ არსებობდენ.

შეუძლებელია აქ არ მოგაგონოთ მსგავსი სცენა დანიელ ჭონქაძის „ს ურ ა მ ის ც ი ხ ი დ ა ნ“. როცა დურმიშხანი ბრუნდება შინ და გებულობს თავისი ერთად-ერთი ვაჟის — ზურაბის ბედს, მას აღარაფერი არ ახსოვს, არც გაუბედურებული ცოლი, რომელიც მწუხარების გამო გაგიჟებული იყო, აღარც თავისი ქონება, — მას ამოძრავებს მხოლოდ ერთი სურვილი, რაც შეიძლება ჩქარა გადაუხადოს სამაგიერო იმას, ვისი წყალობით მისი ზურაბი კედელში ცოცხლად ჩაკირეს. სიმონაც კლავს დავითის ორ ვაჟს და გარბის ტყეში ფი-

რალად. იგი შეიქნა ცნობილი ყაჩაღი, რომელიც თავზარს გვრიდა ახლო-მახლო სოფლებს რამდენიმე წლის განმავლობაში. ბოლოს მისი ბედიც იგეთივე იყო, როგორც სხვა ყაჩაღების. რა მოუვიდა დავითს?

— „დავითს არ მოვკლავ, ეგდოს, გამწარდეს შვილების სიკვდილით, ეს უკეთესი სასჯელი იქნება“! — ასე გადაწყვიტა სიმონამ მისი ბედი. მისი ცხოვრებაც ამას შემდეგ მართლაც გამწარდა და უკან წავიდა. ასე დამთავრდა ბრძოლა ამ ორ პირს შორის, — შედეგი ორი ოჯახის განადგურება.

„სიმონაში“ ძლიერი კალმით არის დახატული დარიას თავგადასავალი, მოცემულია ახალგაზრდა გლეხი-ქალის ნამდვილი პორტრეტი. რამ ააღებია თავზე ხელი ამ უწყინარს, მშვიდს, მორჩილს ახალგაზრდა ქალს? თურმე რაოდენი ზნეობრივი ძალა, რა მტკიცე ხასიათი იფარებოდა მასში. შეუძლებელია არ მოვიყვანოთ აქ ის სიტყვები, რომლებსაც იგი ამბობს თავის დახჩობის წინ.

— „იმას ვგავარ, ჩემო დედამთილო, რომ თავიც დაღუპე და მეც დამღუპე შენი წუხანდელი დაჯინებული რჩევით!.. დამიჩემე, ხატი და ღმერთიო. ჩვენისთანა უბედურებისთვის არც ხატია და არც ღმერთი! თუ იყოს, არც ასე იქნებოდა, მგელსავით რომ შემჭამეს!.. არ დამეჯერებია, ცოცხალი გეყოლებოდი. აწი რალაი, გათავდა!.. მარა შენი რა ბრალია? ან შენ რა იცოდი, თუ კაცი და მგელი ერთი იყო? არ იცოდი და აგია! დედამთილო, ამას გთხოვ: სიმონ რომ მოვიდეს, უთხარი, შენის დამღუპველის შვილმა ტიტიკომ ძალით მომერია და გაძღა ჩემი ხორცით-თქვა! ჰო, გაძღა! ჩემი არც ძალა გევიდა, არც ხვეწნა, არც ტირილი!“

ასე ამეტყველდა ეს ჩუმი, თითქო უენო, მორცხვზე-უმორცხვესი ახალგაზრდა გლეხის-ქალი, იმიტომ, რომ მასზე ყოვლად უხეში ძალადატანება იხმარეს, და მერე იმ ოჯახის წევრმა, რომლის წყალობით მისი ალალ-მართალი ქმარი ციხეში იჯდა. ამაზე შორს შეურაცყოფა ვეღარ წავიდოდა, რით უნდა გაეცა პასუხი ასეთ შეურაცყოფაზე, თუ არა თავის მოკვლით. უმალ კი იგი გმობს ყველაფერს, ღმერთსაც, რომლის არსებობა მას უკვე აღარ სწამს.

ასეთსავე თვითმკვლელობას ჩადის მეორე გლეხის-ქალი — მ ე ლ ა ნ ი ა (ლიზა) („პარტახი“), იმ განსხვავებით, რომ აქ მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მელანიას სხვა გამოსავალი აღარ აქვს: იგი ყველას ეჯავრება, ყველა მას დასცინის, ყველა შეურაცხყოფას აყენებს. ერთად-ერთი არსება, პატარა ვაჟი, რომელიც კიდევ აკავშირებდა მას სიცოცხლესთან, სიკვდილმა გამოსტაცა, და მით მოესპო მას სიცოცხლის ყოველივე ინტერესი, მით

უმეტეს, რომ ეს სიცოცხლე მისთვის გამუდმებული ტანჯვა იყო. უნდა ვთქვათ, რომ მელანიას ის ფსიქოლოგიური განცდა, რომელიც აგვიწერა ნინოშვილმა, თავისი მხატვრული ღირსებით იმდენად მაღლა დგას, რომ ამის მსგავსი მთელ ჩვენ მხატვრულ მწერლობაში არაა. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოვიყვანო აქ მთელი ეს სურათი შემოკლებით მაინც:

— „რაც უნდათ, იგი თქვან მერე! — ჩაიფუჩუნა მელანიამ და განაგრძო ნაჭერ-ნაჭერად ფიქრი. გული არ გეიტეხო, რას ქვია, ჯერ კიდო ბაღანაი ხარ, ეგება იმისთანაი ბედნიერება მოგელის, რომ შენ ბედს ძაღლმა არ დაყეფოსო, — მითხრა თეკლემ. რა კაი გულისაა! ყველა უბედური ანუგეშოს უნდა. კაია ნუგეში, თუ გწამს... მარა მე აღარ მწამს, წავიდა იგი დროი, რომ ვფიქრავდი, აი დღეს, აი ხვალ უკეთესად შეიცვლება ჩემი ყოფა-მეთქინ!.. რა კაია ბალნობა!.. მესამე გზობაა აგი ასე რომ მემართება: ვფიქრობ, ვფიქრობ, ყოლიფერი გამახსენდება და ბოლოს აღარაფელი! იმ დღესაც ასთე დამემართა. ვიფიქრე, ვიფიქრე, ბოლოს ფიქრით მოღალული მივედი წყლის პირზე, შემეშინა და ქე დავბრუნდი შინ. ერთი უწინ კიდო მევიტანე ფიშტო... მქონდა, მქონდა ხელში, ველარ გავბედე, ისევ შევინახე. ნახავ, ახლაც ასე თუ არ დამემართოს!... ფიქრი ვის გუუგონია! უცფათაი უნდა... და გათავდა! ვის ეწყინება! ნიკოს ეწყინება, ეგებ კიდეც ატირდეს. ნეტაი ერთი მანახვა ახლა! ჯერ ცოლი კიდომ არ შეურთავს, თურმე. ნენას, ბაბას, დებს, ძმებს! უწინ ყველას ვუყვარდი და მას მერე ყველამ შემაჩვენა. რამდონი ხანია თვალი აღარ შემივლია ვერც ერთიზა! ნეტაი იგინს თუ ენატრება ჩემი ნახვა, რავაც მე იგინის! რა სულელი ვარ! თუ ენატრებოდეს, ვინ დუუშლიდა! რომ შევძულდი, შევძულდი ყველას! რეიზა შეცდიო, რავიცი, რეიზა შევცდი! ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცდი! თლად იგინია დამნაშავე ჩემ შეცდომაში! არა ვითამ? აბა, მე ვარ? რა ვიცი, ვეფერს გეიგებს კაცი. ისეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!.. ნეტაი ლევანს თუ ეწყინება? არა, იმას არ ვუყვარდი, თვარა არც ისე მომიძულებდა! მე ამ დღეში ჩამაგდო, თვითონ ცოლი შეირთო და არის ტკბილად!.. მატყუებდა, მიყვარხარო! ვითომდა რა უნდა ექნა? მე ხომ ვერ შემირთავდა ქმრიან ქალს? ისე წევეყვანე სამე? ჯერანს რომ კაი გადავრჩენოდით, კანოლი არ გაგვიშობდა. ძალიან უბედურათ არის ქალის საქმე! ყაძახის ქალი ნამეტურ გაჭირვებულია! ჯერ დედმამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არც ერთთან არ გაქ! რომ გაწვალონ, მაინც იმათ ხელში უნდა დარჩე, სანამდი ცოცხალი ხარ! აბა, სხვაი რა გაგივა? გეიქცევი? რა გამოვიდა მერე? რამდონი გე-

იქცა, მარა ზოგი დაჭერილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჭირმა დაალპო. თაობიდან არის ყოლიფერი უხეირო-დ მოწყობილი და იგია!.. რათ, რათ მინდა ახლა ამას რომ ვფიქრობ? დასწყევლოს ღმერთმა, ერთი ფიქრიდან მეორეს გავყვები და მერე აღარ გათავდება! ფიქრი? ფიქრს რა გაათავებს. ფიქრი მაშინ გათავდება!.. მაშინ ყოლიფერი გათავდება!.. რამდენზე ვაგვიანებ, იმდენზე ვარესია. ცოფის წამალი რომ არ დავლიე, იმის არ იყოს, უცფათაი დახუჭე თვალები და გათავდა!..

„მელანია ნელნელა წამოდგა ლოგინიდან და გაჩერდა.

— „ვაიმე. მაშინდელა გული მისუსტდება და მიკანკალებს!.. — ჩაიფუჩუნა და დაუმატა — არ შემიძლია! — ხელახლა დაჯდა ლოგინზე. დაჯდომის დროს ლოგინმა თუ იატაკმა დაიჭრიალა, ჭრიალზე ჯერანმა გაიღვიძა და „ვაი შვილო"-ო დაიძახა ზმორებით. მჯდომარე არ დამინახოსო, გაიფიქრა მელანიამ, დაწვა და წაიხურა თავზე საბანი, თითქოს სძინავსო.

„შუალამე გადავიდა. ქუხილი და ელვა მატულობდა. ბოლოს დაუშვა ზაფხულის მსხვილი წვიმა, რომელსაც საშინელი გრიალი გაჰქონდა ყავრით დახურულ სახლზე.

— „რა წვიმაა. — დაიწყო მელანიამ ფიქრი, — ამისთანა წვიმა რომ იქნებოდა, ჩემი ლუკაი მკითხავდა, ნენა, ლაა ეიო? ნეტაი თუ ვნახავ ჩემ ლუკას? ბალნები ანგელოზებში ურევიაო. მე ვინ მიმიშობს მასთან, იგიც კაია თუ დევინახე. ვინ იცის, ეგება ტყუილაი ვატყუებ თავს, აფერი არაა! ეგები იმისთანაი ბნელი უფსკრულია, მე რომ იმ ღამეს მესიზმრა, წახვალ შიგ, წახვალ... ხელის მოსაკიდი არ გაქვთ და ფეხის... რას ფიქრავ? თვითონ ვნახავ რაც არის... „შენ არ მოკტები და სხვაი ყველაიო"... ეგები დასტურ არ მოვკტები. არა, ცრუობაა, ყოლი კაცი მოკტება... სუ, მგონია მამალმა იყივლა, თუ ტყუილაი მომეყურა? მალე, თვარა დამათენდება თავზე!.. ამელამ თუ არ იქნა, მერე აღარ იქნება... აა, შენ გლახავ, ჩემო თავო! ჩემგამეტს არ უქნია თუ? ცოფის წამალზე რომ ვქენი, ასე თვალები დავხუჭე, გავაქანე ხელი და გათავდა!.. იმისთანაი წვიმაა, რომ კაცი ვეფერს გეიგონებს, მერე ქე გეიგონონ, თუ გინდა, რა მენაღლება! სიფრთხილე კია საჭირო, ასლაზე არ დამინახოს: რას დაინახავს? სძინავს!.. — ამ სიტყვებით მელანია ხელახლა წამოდგა ლოგინიდან, სწრაფად მივიდა ქმრის საწოლთან, ფრთხილად აიღო დამბაჩა და წამოიღო თავის ზანდუკისკენ.

ჯერანს ეძინა.

— ამით მიპირობდა ჩემი ქმარი მოკლას! ნეტაი მოვეკალი! — გაიფიქრა მელანიამ და დაჯდა ლოგინზე. რამდენიმე ხანს კიდევ მძიმედ იყო ჩაფიქრებული, მერე ასწია თავი:

— „ასე უნდა, მგონია, — თქვა, შეაყენა ჩახმახზე, — აბა, მაშინ რომ ვქენი, ასე — ჩაილაპარაკა და მიიდვა დამბაჩა გულზე. მაგრამ გააჟრჟოლა და ხელახლა ჩამოიღო ხელი. ერთი-ორი წამის შემდეგ ხელახლა მიიდვა, დახუჭა თვალები და სწრაფად მოსწია დამბაჩას ფეხი“.

ასე იბრძოლა მელანიამ სიკვდილ-სიცოცხლის შუა რამდენიმე ხნის განმავლობაში. იგი აქ ბოდავს, თითქო სიზმარში იყოს, მაგრამ რამდენი ღრმა და გულუბრყვილო გრძნობა, რამოდენი ფხიზელი აზრია ჩაქსოვილი მის მსჯელობაში. ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ ჩვენ „ქრისტინეში“. ქრისტინეს ირგვლივაც შეიქნა ისეთი პირობები, რომ მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა, როგორც ამბობენ. მისი სიცოცხლე ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. იგი ბევრჯერ ნატრულობდა სიკვდილს, მაგრამ ეს უკანასკნელი მისით არ მოდიოდა, და თვით ქრისტინეს კი თავის მოკვლა არ ეხერხებოდა. მაგრამ იგი ნახულობს სხვაგვარ გამოსავალს. ერთი საეჭვო ყოფაქცევის დედა-კაცის, ვინმე სონას ჩარევით, ქრისტინე სამუდამოთ შორდება დედმამის ოჯახს, სამუდამოდ ტოვებს ყოველივეს, მშობლებს, თავის ჩვილ ძუძუმწოვარა ბავშვს — მიზეზს მისი გაკიცხვისა და ყველასაგან მოძულებისა. ის სცენაც, როცა იგი ამ ნაბიჯს გადადგამს მხატვრობის მხრივ დიდად არ ჩამოუვარდება იმ სცენას, რომელიც წინ უძღოდა მელანიას თვითმკვლელობას. მე მინდა ეს ადგილი მოვიყვანო აქ თითქმის შეუმოკლებლად.

„ბავში ჯერ მადიანად მიაძღა ძუძუს და მერე მოყვა ცელქობას. ცმუკავდა დედის მკერდზე; თან უმზერდა დედას თვალებში, უცინოდა და მოუსვენრად ელაპარაკებოდა რაღაცას, თავის ბავშურ გაუგებარ ენაზე. ქრისტინემ უმზირა, უმზირა ბავშვს, მერმე დაკოცნა, ჩაიკრა გულში და დაიწყო ტირილი. იკრავდა ბავშვს გულში და ტიროდა, როცა ტირილით გული მოიჯერა წაიყვანა ბავში და გასულელებულივით დადიოდა აქეთ-იქით ეზოში. იმ დღეს მარტო ქრისტინე და მისი დედა იყვნენ შინ. დანარჩენები ყანაში ღომის „საკრეფად“ წასულიყვნენ.

როცა მოსალამურდა, დედამ ჰკითხა ქრისტინეს:

— შეშიზა შენ წახვალ თუ მე წავიდე?

— „დღეს, ნენა, შენ წადი, მე რაცხა შეუძლოთ ვარ.

მარიკა წავიდა ქედში შეშისთვის. ქრისტინე იჯდა სახლში და რაღაცაზე ისევ ღრმად დაღონებული ფიქრობდა და ფიქრობდა. ის

მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა ფიქრისაგან, როცა ბავშმა ძილისათვის ტირილი დაიწყო. ქრისტინემ დააწვინა ბავში და გააძლო ძუძუთი. დედის რძით გამძღარმა ბავშმა დაძინების წინ ჩვეულებრივ დაუწყო დედას თვალებში მზერა და სიცილი.

— „რა გინდა, ჩემო უბედურო გოგი? რას იცინი? შენ ჯერ არ იცი, რომ წაწყმედილი დედაშენი გღალატობს! დღეის იქით შენ ველარ ჭამ დედის ძუძუს. ველარ ნახავ დედას! შენთვის კტება დღეს დედა, რჩები უდედმამო, ობლად! დღეს ჩვენ ორი, საუკუნოთ ვცილდებით ერთმანეთს, ჩემო გოგი, ჩემო გოგი! — აქ ტირილმა მოუსწრო ქრისტინეს. გაბა მისებული გულის მომკვლელი, მკვნესარი ტირილი და ველარ ჩერდებოდა. ჩვილ გოგის კი არ გაეგებოდა არც დედის სიტყვები და არც მისი ტირილი; ის ჯერ კიდევ მადიანად იცინოდა და ჭიკჭიკებდა აკვანში. მერე ძილმა მოუსწრო და ტკბილად ჩაიძინა. ძილში ხანდახან დააცმაცურებდა ტუჩებს. თითქო ძუძუს ჭამსო.

„დიდხანს ტიროდა ქრისტინე. მერე დაწყნარდა, მონახა რაც ტანისამოსი ებადა, გამოკრა „ცახოცში“ და დაიდო სასთუმალთან, ბალიშ ქვეშ.

„ერთი საათი თუ ცოტა მეტი ეძინა ბავშს. შემდეგ გამოახილა თვალები თუ არა, ქრისტინემ საჩქაროდ ამოიყვანა აკვნიდან, თუმცა ეტყობოდა, რომ ბავშს ძილი აკლდა. ცოტა ხნის შემდეგ, რა რომ ძილდაკლებულმა ბავშმა ტირილი და ჭირვეულობა დაიწყო, დედამ უთხრა ქრისტინეს:

— „ციცავ, ქრისტინავ, არ ხედავ, იმ ბალანას, რომ ძილი აკლია? დააწვინე!

— რა დააკლებდა ძილს, აგერ ნახევარი დღეია სძინავს! — უპასუხა ქრისტინემ, რომელსაც ეტყობოდა, რომ განზრახ არ აძინებდა ბავშს.

დალამდა.

დათიამ მოაჭრიალა ლომით დატვირთული ურემი. ცოტა ხნის შემდეგ დათიას დიდი ოჯახი მოუჯდა ვახშამს — მჭადს, ყველს და მაჭარს. ყველა მადიანად შეექცეოდა, გარდა ქრისტინესი. ქრისტინეს კი ხელიც არ უხლია საჭმელისათვის.

ბაწია გოგი ისევისე ტიროდა და ჭირვეულობდა.

— ადამიანო, ეძინება, დააწვინე ბალანაი! — გაუმეორა ქრისტინეს დედამ.

— გაკეთებაზე იყო ჩქარი და მარჯვე, თვარა მოვლა თუ უნდა ბალანას, ი ალარ იცის! ახლა რომ აჭყივლებ იმ ბალანას და ერთი

წუთი არ მომასვენე აი მოლალული კაცი, სვინდისი გაქ შენ?! რეიზა არ აწვენ იმ ბალანას, თუ იცი? — გაუჯავრდა ქრისტინეს დათია.

— ვახშამს ვჭამ და დავაწვენ, — ცივათ უპასუხა ქრისტინემ.

გათავდა ვახშამი და პატარა ხნის შემდეგ დათიას ოჯახობა დალაგდა დასაძინებლად. ქრისტინე დაწვა, მაგრამ მაინც კი ცდილობდა ბავში არ დაეძინებია; ხან ხელში აიყვანდა, ხან ძუძუს უდებდა პირში და ხან კოცნიდა ჩუმად. ბავში უფრო და უფრო ჭირვეულობდა და ტიროდა.

— „ქრისტინავ, რა შენი სიკტილი დაემართა ამელამ იმ ბალანას! რაცხა მუუხერხე და დააძინე, თვარა ღმერთს გეფიცები ისე გამაცეხლებ, რომ შენიან მისიანა კარში გაგაგდებ ამალამ! ალარ იქნა, ალარ დამაძინა აი მოლალული კაცი! — დაუყვირა დათიამ ლოგინიდან.

„ეხლა კი საჩქაროდ ჩააწვინა ქრისტინემ ბავში აკვანში. არ გასულა ორი წამი, რომ ბავშმა შესწყვიტა ტირილი და ტკბილად ჩაიძინა.

„ყველას ეძინა, ქრისტინეს გარდა. ფიჩხის ცეცხლი ჩაქრა და სახლში დამყარდა საშინელი სიბნელე. ცოტა ხნის შემდეგ ქრისტინე ჩუმად წამოდგა ლოგინიდან. ჩუმად ჩაიცვა ტანს და ჩამოჯდა ტახტის კიდეზე. სახლში ისმოდა მძინარეთა სუნთქვა.

„ქრისტინე რამდენსამე წამს სულგანაბული უგდებდა ყურს მძინარეთ. მერე კატასავით ჩუმად გადმოიარა ლოგინიდან და გადახედა აკვანს, რომელშიაც ტკბილად მძინარე ბავში ძლივს გასაგონად სუნთქავდა, რამდენიმე წამს ისე უყურებდა ქრისტინე, თითქო, უნდა საუკუნოდ ხსოვნაში შთაიბეჭდოს ეს ბავშის სუნთქვაო. მერე ჩუმად, ხმის კანკალით ჩასჩურჩულა:

— „მშვიდობით, ჩემო გოგი! გათავდა ყოლიფერი, გათავდა!..

„მერე წაიწვდინა ტუჩები, მაგრამ ბავშს კი არა, აკვანს აკოცა სამჯერ; შემდეგ ნელა ადგა და წყნარად მივიდა კარებთან. გული ისე მძლავრად უცემდა, რომ სახლის მეორე კუთხეში გაიგონებდით. თავბრუ ეხვეოდა, წელი და მუხლები ეკვეთებოდა. რამდენსამე წამს კარებთან იყო გაჩერებული.

— „აწი ვეღარ გნახავ ოჯახო! — დაიჩურჩულა, კიდევ უნდოდა. მგონია რალაცა ეთქვა, მაგრამ ტირილმა მოუსწრო. სწრაფად, მაგრამ წყნარად გააღო კარები, გავიდა გარეთ და შთაინთქა ღამის წყვდიადში“.

თქვენ ხედავთ, თუ რანაირი სიძლიერითა და მხატვრული სინამდვილით არის გადმოცემული ქრისტინეს გამოთხოვება. აქ ყველაფერია გამოყენებული, რომ სურათი მთლიანი და ბუნებრივი გამოსულიყო: ბავშისათვის ძუძუს წოვება, მისი ცელქობა და თამაში, შემ-

დეგ გამოღვიძება, ტირილი, ქრისტინეს დედის და მამის საყვედურები, რადგანაც ბავშის ტირილი მათ ძილს უფთხობდა: ამავე დროს ქრისტინეს წუთობით უნდოდა ბავშის მზერა, რადგანაც მას სამუდამოთ ეთხოვებოდა. დაბოლოს ბავშის მაგიერ აკვნის კოცნა. ყოველივე ეს შეეძლო დაეხატა მხოლოდ დიდ მხატვარს.

„ქრისტინეში" მოიპოვებიან სხვა სცენებიც, რომელთაც ნამდვილი მხატვრობის ბეჭედი ასვია. ისინი ჩვენ აქ აღარ მოგვყავს. აღარც დანარჩენ მოთხრობებზე შევჩერდები. მოვიყვან აქ კიდევ ერთ ადგილს „პალიასტომის ტბიდან", რომელიც მხატვრობის მხრით ერთ საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება — სახელდობრ იმ ადგილს, სადაც აწერილია მამის და შვილის დაღუპვა პალიასტომის ტბის ტალღებში:

— „ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი ნიკო. ერთი უკანასკნელად კიდევ დაიღრიალა საწყალობელმა ივანემ მონადირისაგან სასიკვდილოდ დაჭრილ ლომსავით და უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებისა, და აღარც შვილი იყო მისაშველებელი: ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა, ისე, რომ ხელიც აღარ გაუნძრევია საცოდავს. რამდენსამე წამს შემდეგ ღონეგამოლეული ივანეც წავიდა წყლის ფსკერისკენ და ეს სიტყვები: ვაიმე ოჯახო, ვაიმე ცოლშვილო", მუცელშივე ჩაუბრუნა პირში ჩახეთქილმა წყალმა.

„ქარი საშინელი ქუხილით ზმუნავდა: მზემ ამოიწია და დაჰყურებდა პალიასტომს, თითქოს სეირს უყურებსო; ივანეს ხეები ისევ თამაშობდენ ტალღებში, თითქო ასულდგმულებულან და უხარიანთო, რომ თავისუფალნი ვართო. ივანეს პატარა ნავიც გარეულიყო ხეებში და მიჰყვებოდა ტალღებს, ხან ალმა და ხან ჩალმა. რამდენსამე წამს შემდეგ დამხჩვალი ივანე და ნიკო წყალმა ერთხელ კიდევ ამოიტანა ზემოთ, აჩვენა ქვეყანა და შემდეგ ისევ წაიღო თავის კუპრივით ბნელი ფსკერისაკენ".

აი სურათი ასე მოკლეთ, უბრალო სიტყვებში გადმოცემული, რომელიც არასოდეს არ დაგავიწყდებათ. ისე ცოცხლად არის მამაშვილის დაღუპვა დახატული, რომ ასე გგონიათ, ყოველივე ეს პირდაპირ თქვენ თვალწინ ხდება; თქვენ ხედავთ, რომ დაშლილი ტივი, ფიცრები და დამრჩვალი გვამები პირდაპირ თქვენ თვალწინ დაცურავენ პალიასტომის ტბის გაშმაგებულ ტალღებში.

ახლა თქვენი ყურადღება მე მინდა ცოტა ხნით შევაჩერო ეგნატე ნინოშვილის ისტორიულ რომანზე „ჯაყი გურიაში" („საბოლოო შედეგი"). ჩემის აზრით ამ ნაწარმოებს აქამდის შედარე-

ბით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვინემ ის ამის ღირსია. რაც შეეხება მის შესწავლას, ეს ჯერ დაწყებულიც არაა. ამ ნაწარმოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ მხრით, რომ ის ეხება გურული გლეხკაცობის წარსულის ერთ უშესანიშნავეს ისტორიულ მომენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში, არამედ თავისი მდიდარი შინაარსით, ისტორიული ფაქტების სწორი ანალიზით და დაფასებით, და აგრეთვე სწორი მიდგომით საერთოდ აჯანყებისადმი. ამ რომანში ავტორი გვიშლის თვალწინ გურიის ცხოვრების მაშინდელ სურათს აჯანყებასთან დაკავშირებით. ეტყობა მას კარგად ჰქონდა შესწავლილი გურიის 1841 წლის აჯანყება. ეს აჯანყება არ გავდა არც ერთ იმ აჯანყებათაგანს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მოყოლებული საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან. თუმცა ამ აჯანყების დაწყების საბაბი შედარებით სრულებით უმნიშვნელო ფაქტი იყო, — სახელდობრ საფოსტო გადასახადის შემოღება, ხუთი შაურის რაოდენობით ოჯახზე, მაგრამ მას ჰქონდა უფრო ღრმა მიზეზები. აჯანყების მეთაურები თავდაპირველად იყვენ თავადაზნაურები ქობულეთელი ბეგების, უმთავრესად გურიაში კარგად ცნობილი ჰასან ბეგი თავდგირიძის შთაგონებით და წაქეზებით. აქედან აშკარაა, რომ აჯანყებას აწყობდა ბაღალი თავადაზნაურობა, რომელიც უკმაყოფილო იყო რუსეთის მართვა-გამგეობის შემოღებით. მაგრამ გლეხკაცობის აქტიური მონაწილეობის გარეშე აქ იგი ვერას გახდებოდა. ამიტომ თავაზნაურობა ცდილობდა, რომ რაიმენაირად ჩაეთრია აჯანყებაში გლეხკაცობა. ამისთვის კი საჭირო იყო რაიმე საბაბი ეშოვნათ გლეხების ასაჯანყებლად რუსის მთავრობის წინააღმდეგ. საბაბიც მიეცათ. ეს იყო ფოსტის გადასახადების შემოღება. რა თქმა უნდა, ეს ახალი გადასახადი, რაც ფულად უნდა აღებულიყო, გლეხებს ეუცხოვათ. და აი იწყება მათში მოძრაობა, ჯერ ჩუმი, საიდუმლო კრებები, რომლებზედაც ესწრებოდენ თავადაზნაურებიც. შემდეგ ეს გადადის აშკარა აჯანყებაში. აჯანყება დაიწყო 1841 წ. 22 მაისს სოფ. აკეთში. აჯანყება თანდათან გაიზარდა და მოედვა გურიის თითქმის ყველა რაიონებს, ასე რომ ოზურგეთის მაზრის უმეტესი ნაწილი ქ. ოზურგეთს გარდა აჯანყებულთა ხელში იყო. მხოლოდ ქ. ოზურგეთი იყო მთავრობის ხელში, თუმცა მისი ბედი რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა. გურიის აჯანყებამ ფეხზე დააყენა მთელი კავკასიის მაშინდელი მთავრობა, რომელმაც ჩქარა გაგზავნა ოზურგეთის დასაცავად დიდძალი ჯარი, როგორც ფეხო-

სანი, ისე ცხენოსანი არტილერიით. ამავე დროს მთავრობის დასახმარებლად სამეგრელოს მმართველმა თ-დ დადიანმა — შეადგინა ათასი კაცისაგან ცხენოსანი რაზმი და მოადგა გურიის საზღვრებს აჯანყებულთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა; ასე რომ დადიანი თავისი რაზმით ჩქარა იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. გარდა ამისა აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოქმედებდა თავადაზნაურობისაგან შემდგარი ცხენოსანი მილიცია.

მიუხედავათ ამისა, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში აჯანყება თანდათან ძლიერდებოდა; აჯანყებულები ბრძოლის ველზე ხშირად ამარცხებდენ მთავრობის ჯარებს და ახევინებდენ უკან. დაწყებული სექტემბრიდან გარდატეხა ხდება მთავრობის სასარგებლოდ; მთავრობის ცნობით აჯანყება დაწყნარებული იქნა მხოლოდ იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში.

გურიის აჯანყებით დიდად დაინტერესდა მაშინდელი რუსეთის იმპერიის ცენტრალური მთავრობა. პეტერბურგში ფიქრობდენ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაიდინა რაიმე ახალი ბოროტმოქმედებანი. ამიტომ ცდილობდენ აჯანყების მიზეზების გამოკვლევას. ჩვენთვის დღეს აშკარაა, რომ მაშინდელი მთავრობისთვის აჯანყების ნამდვილი მიზეზი გამოურკვეველი დარჩა. ასე, მაგ. გენ. ლეიტ. ბრაიკო 1841 წ. ცხრა ივნისს აი რას სწერს სამხედრო მინისტრს. ჩერნიშევს: „აჯანყებულთა (мятежников) ნამდვილი მიზანი კიდევ უცნობია. იმათი მოთხოვნები ყოველ წუთში იცვლება: ისინი ხან შუამდგომლობენ საერობო ბეგარისათვის დაწესებულ ფულადი გადასახადისაგან განთავისუფლებას, ხან კიდევ თავის აღშფოთების მიზეზად აყენებენ სასულიერო წოდების სასარგებლოდ უზომო გადასახადებს საეკლესიო წესების შესრულებისათვის; ხან სჩივიან მფლობელთაგან (თავადაზნაურობაზეა ლაპარაკი ფ. მ.) შევიწროებაზე, უზომოდ დაბეგვრაზე ხაზინის სამუშაოებით, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს; უსამართლოდ დატუსაღებაზე ზოგიერთი პირების და სხვ.“ (იხ. Акты Кавк. Археолог. комиссии, т. IX стр. 161). ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ აჯანყებული გლეხების აღშფოთება გამოწვეული იყო არა მარტო რუსეთის მავრობის მოქმედებით, არამედ თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისაგან მიყენებული შევიწროებით და უზომო გადასახადებით. მაშასადამე, აჯანყება არ ყოფილა მიმართუ-

ლი მარტო რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ; ის მიმართული იყო აგრეთვე თავადაზნაურობის, ანუ არსებითად ბატონყმობის წინააღმდეგ. მთავრობის წარმომადგენლები ამაში ვერ ერკვეოდენ. მეორე მხრით, თვით აჯანყების პროცესში სოციალური მომენტი თანდათან ძლიერდებოდა, ე. ი. აჯანყება ღებულობდა იმდენად არა ანტირუსულ მიმართულებას, რამდენადაც ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის ხასიათს. ამიტომაც იყო, რომ თავადაზნაურობა, რომელიც თავდაპირველად არა თუ აჯანყების მომხრე, არამედ მისი სულის ჩამდგმელი იყო, ბრძოლის პროცესში, როცა გლეხებმა წამოაყენეს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც მოასწავებდენ არსებითად ბატონყმობის გაუქმებას, არა თუ უკან იხევს, არამედ გადადის მთავრობის მხარეზე აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ. აი, როგორ გადმოგვცემს ნინოშვილი ამ გარემოებას „ჯანყი გურიაში“.

„თუმცალა კი „რუსების განდევნა“ თავადაზნაურებმა ასტეხეს, თავდაპირველად მათ ააყაყანეს გლეხები რუსების წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ, — როცა გლეხებმა რუსების ქვეშევრდომობიდან განთავისუფლების მეცადინს მონობის (ბატონ-ყმობის) დამხობის მეცადინიც თან მიატანეს, თავადაზნაურობამ იკბინა ენაზე და ამ „უცნაური ჭირის“ (ისინი ასე ეძახდენ ბატონ-ყმობის უარყოფას) თავიდან ასაშორებლად სხვა გზა სადღა იყო, ისევ რუსების შემწეობა დაინახა საჭიროდ. გადახიზნეს ცოლშვილი და მიეშურებოდენ ოზურგეთს მაზრის უფროსთან“.

აქ უკვე აშკარა იყო კლასობრივი ბრძოლის სუნთქვა. როცა თავადაზნაურობამ იგრძნო, რომ აჯანყებული გლეხკაცობა აყენებს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც თავადაზნაურობის ინტერესებს ლახავდენ, მან უღალატა ჯანყებას. ნინოშვილის ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“ უწინარეს ყოვლისა მით არის შესანიშნავი, რომ იქ ხაზგასმით ნაჩვენებია კლასთა ბრძოლა 1841 წლის აჯანყებაში. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქამდის ვერც ერთმა მწერალმა-კრიტიკოსმა ეს ვერ შეამჩნია; ამას როგორღაც ყველამ აუარა გვერდი. საკმარისია ნინოშვილის რომანის წაკითხვა, რომ ეს ფაქტი თვალწინ დაგიდგეთ. ასე გამოდის, რომ თითქო არავის უნდოდა ამ ფაქტის დანახვა. ამიტომ მით უფრო საგულისხმიერია ჩვენთვის ის გარემოება, რომ ამ ფაქტზე პირველად მიუთითა ამ უკანასკნელ დროს გრ. რობაქიძემ. თავის პატარა, მაგრამ მეტად მოხდენილ და მხატვრული ენით შემკობილ წერილში:

„ეგნატე ნინოშვილი“ [1]) (იხ. „ქართული მწერლობა“, № 11-12, 1929 წ.) იგი ამბობს: „მთავარი აქ იგულისხმება („ჯანყი გურიაში“), მარტო ის არაა, რომ კლასთა ბრძოლაა წამოყენებული, არამედ ისიც, რომ კლასთა ბრძოლის იდეა ეროვნულ მომენტთანაა შეჯახებული, და ავტორი კლასთა ბრძოლის იდეის მხარეზეა. „სიმონაში“ მაგალითად უფრო ადვილი იყო კლასთა ბრძოლის ხაზის გაყვანა. „გურიის ჯანყში“ კი უფრო ძნელი. ამისათვისაა ეს ნაწარმოები უფრო გულისხმიერია. განსაკუთრებით ჩვენი დროის სამზირიდან თუ გავხედავთ მას“. (ხაზს მე ვუსვამ ფ. მ.). ამ სიტყვების ავტორი სავსებით მართალია. მაგრამ, მე კიდევ ვკითხულობ, სად იყვენ აქამდის ჩვენი კრიტიკოსები, რომ ეს სპილო ვერ შეამჩნიეს?

აქ იბადება ერთი არსებითი კითხვა, სახელდობრ: იცავს თუ არა ნინოშვილი ამ თავის ნაწარმოებში ისტორიულ სიმართლეს? ე. ი., მართლა ჰქონდა ადგილი გურიის 1841 წლის აჯანყებაში კლასთა ბრძოლას, თუ არა? აყენებდა თუ არა იმ დროს გურიის გლეხკაცობა ბატონყმობის გაუქმების საკითხს? ვფიქრობ, რომ, გასაკვირად სრულებით არ უნდა ჩაითვალოს, თუ გურიის გლეხები აჯანყების დროს თანდათან მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ბატონყმობა უნდა მოსპობილიყო. ამიტომ ნინოშვილი ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს. და სრულიად სამართლიანად იქცევა, როცა იგი თავის რომანის შინაარსს აგებს სწორედ თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის ამტყდარ კლასობრივი ბრძოლის ფონზე. 1841 წლის გურიის აჯანყების ისტორია, რამდენადაც მას ჩვენ ვიცნობთ არსებული წყაროების და მასალების მიხედვით, მოწმობს, რომ ნინოშვილის რომანი აგებულია ისტორიულ სინამდვილეზე, ისტორიულ ფაქტებზე, რომანში გამოყვანილი პირები თითქმის ყველანი ცნობილი არიან გურიის 1841 წლის აჯანყების ისტორიაში. ასეთებია, მაგ., ერთი მხრით, ამბაკო შალიკაშვილი და დავით გუგუნავა — ორივე თავადები და ამავე დროს ბოლომდის გლეხობის აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელები, მეორე მხრით ჰასან-ბეგი (თავდგირიძე), ბრუსილოვი, დადიანი და სხვები. გარდა ამისა ნინოშვილს გამოყავს თავის რომანში კიდევ ერთი მთავარი მომქმედი პირი — გიორგი, ვინმე თავადის ნაშვილები, რომელსაც რუსეთში მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და იმ ხანებში დაბრუნებულა გურიაში

[1]) ეს წერილი ავტორის მიერ იქნა წაკითხული ეგნ. ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე.

თავის ნათესავებთან. ეს გიორგი გამოყვანილია რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ ე რ ა დ და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ა დ ა ც. მე პირადად საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ასეთი პიროვნება მართლა ყოფილიყო იმ დროს გურიაში. შესაძლებელია, რამდენიმედ ამის მსგავსი ყოფილიყო. უფრო მართალი იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ გიორგის პირით აქ ლაპარაკობს თ ვ ი თ ა ვ ტ ო რ ი, ე. ი. ნინოშვილი.

ახლა თქვენ იკითხავთ, რა როლს აკისრებს ავტორი გიორგის გურიის აჯანყებაში 1841 წელს? განსაკუთრებით მრჩეველ-დამრიგებელის როლს. მოთხრობიდან სჩანს, რომ გლეხების ერთი მეთაურთაგანი — ბ ე ს ი ა — პირადად იცნობს გიორგის და იცის, თუ როგორ თანაუგრძნობს ეს უკანასკნელი გლეხებს. ამიტომ ბესია გლეხების ერთ-ერთ საიდუმლო კრებაზე, სადაც წყდებოდა აჯანყების დაწყება, ამბობს, რომ გურიაში არის ერთი ნასწავლი კაცი, რომელსაც შეუძლია ასეთი საქმის დაწყების დროს რჩევა-დარიგების მოცემა, და ამიტომ გავაგზავნოთ მასთან კრებიდან რამდენიმე ამხანაგი. ბესიას წინადადება მიღებული იქნა და გიორგისთან იგზავნება დელეგაცია, რომელშიაც შედის აგრეთვე ვინმე ა ზ ნ ა უ რ ი ი ვ ა ნ ე, რომელსაც თავი გლეხების მეგობრად მოაქვს, ნამდვილად კი მათი მოღალატეა. დელეგაცია მიდის გიორგისთან. გიორგი პირველად გაოცდა და არც იჯერებს, რომ გლეხებს განუზრახავთ აჯანყება რუსების გასაძევებლად. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ეს სერიოზული ამბავია, იგი უკითხავს დელეგაციას მთელ ლექციას აჯანყების მნიშვნელობაზე საზოგადოდ და კერძოდ იმ აჯანყებაზე, რომელიც გურიის გლეხებს განუზრახავთ. იგი გამოთქვამს აქ მეტად საღ აზრებს. არსებითად გიორგი ამართლებდა სახალხო აჯანყებას, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო გურიის ხალხის აჯანყებისა რუსების გაძევების მიზნით, რადგანაც ასეთ აჯანყებას გარდა დიდი ვნებისა არაფრის მოტანა არ შეეძლო. მისი აზრით, სწორი იქნებოდა გლეხების აჯანყება არსებული წესწყობილების, ნამეტურ ბატონყმობის მოსასპობად, მაგრამ ამის განხორციელება არ ძალუძს მარტო გურიის გლეხკაცობასო. ამას შესძლებს მხოლოდ მთელი რუსეთის გლეხკაცობის აჯანყებაო. გიორგის აზრთა მსვლელობის დასახასიათებლად მოვიყვანოთ აქ სიტყვასიტყვით რამდენიმე ადგილი მისი ნალაპარაკევიდან. აი, რას ეუბნებოდა იგი გლეხების დელეგაციას:

„შესაძლებელია, დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქნებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ იმას კი აღარ ბრძანებთ, თუ რა ვიქნებოდით, აქამომდე რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ

ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ან ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა. მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივ მსჯელობა აღარ მოგვივა.

„რაც შეეხება მას, რომ გლეხკაცობა ცუდ მდგომარეობაშია. ცალკე თავადაზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობაო, ამას თუ ბრძანებთ, ამისი მეც თანახმა ვარ. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, გარდა რუსეთისა, ბატონ-ყმობა აღარ არსებობს. ასე გასინჯეთ, თვით გაუნათლებელ ოსმალეთშიაც კი მოსპეს ეს საზარელი და სამარცხვინო სენი — ადამიანის მონობა“... „ჩვენი გლეხკაცობა უნდა იყვეს შემყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხკაცობა. ვინიცობაა, რუსეთში გლეხკაცობამ ნებაყოფლობით ვერა გამოიტანოს რა და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცობაც ვერ გაჩერდება გულხელდაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოებლადო“...

ერთი სიტყვით გიორგის ნალაპარაკევიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ იგი სავსებით გლეხების მხარეზეა, რომ იგი მომხრეა ხალხის აჯანყებისა, რევოლიუციის ხალხის საკეთილდღეოდ, რომ იგი მტერია ბატონყმობის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მას დაუშვებლად და სრულიად მიზანშეუწონლად მიაჩნია არსებულ პირობებში ხალხის აჯანყება. კარგის მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო — ნათქვამია. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. გიორგის ნათქვამი გაიძვერა და ფლიდმა აზნაურმა ივანემ გამოიყენა გიორგისთვის სახელის გასატეხად ხალხში. იგი კარგად ხედავდა, რომ თუ გიორგის დაუჯერებდა ხალხი, იმ შემთხვევაში თავადაზნაურობის გეგმა და განზრახვა ჩაიშლებოდა. გარდა ამისა ივანე დარწმუნდა, რომ გიორგი შეურიგებელი მტერი იყო ბატონყმობის და თუ გლეხები აჯანყდებოდენ, თავის მახვილს ისინი მებატონეების წინააღმდეგ მიმართავდენ, ამიტომ ივანემ გადაწყვიტა გიორგის დასახვა ხალხის მოღალატედ, და არ მოერიდა ამისათვის არავითარ პროვოკაციულ ჭორებს. აი როგორ უამბობს იგი კრებას გიორგისთან მოლაპარაკების შედეგს:

„თურმე აი ჩვენი გიორგი დიდი ღვთის მოღალატე, ურჯულო ბრძანებულა. მაშვინ ამისთანები გვითხრა, კალამ გადაგვრია, მარა ამას რალას ვჩივი. აქანაი ბევრია იმისთანა კაცები, მაშვინ რომ ჩვენთან იყო და იმ ლაპარაკზე უყურა. იგინიც ქე გეტყვის, რაც ურჯულობა ილაპარაკა. ერთი უბედურება აგია, რომ ი ტრიკი გიორგი იმ დღესვე ამდგარა და ოზურგეთს, ქუთაისს, ქალაქს, სულ ყოლგან გან-

ცხადება მუუცემია რუსებისათვის, ასე აპირობენ გურიაში და მარ-
ჯვეთ დახდითო".

აი, როგორ ხერხს და უსინდისო პროვოკაციას მიმართავდა აზნა-
ური ივანე, რომ ხალხი დაეტყუილებია. და, მართლაც, ივანემ შესძლო
კრების რამოდენიმე ნაწილი გადაებირებია თავისკენ. ახლა ყური და-
უგდეთ, რას ლაპარაკობს გლეხების ბელადი ბესია:

— „ამბაკო შალიკაშვილს თელი გურია იცნობს და იგიც უნდა
იცოდეთ, რომ იგი ღალატს არ იკადრებს. მარა დღეს წყეულმა ავად-
მყოფობამ მოგვაცილა იგი. თუ ავადმყოფობას მოურჩა, მაშვინ რა-
ვაც უსახელებია, ისე ისახელებს თავს ვაშკაცობით. გიორგიმ გვიღა-
ლატაო, კიდევ რომ ბრძანებს ივანე, იმაზაა რომ გიორგი ჩვენი მხარეა,
ყაძახების მწუხარებას ჩივა, უნდა რამე საშველი მოგვცეს, მებატონე
არ გვჭამდეს. ამის გულიზა ლანძღავს მას ივანე.

— ღმერთმა უშველოს ჩვენი შებრალებიზა. ქრისტიანი იგი ყო-
ფილა, — დაიძახა რამდენიმე კაცმა ხალხში.

— „დეიფხო, დეიფხო. აღარ გვყავს ბატონი და აღარც გვინდა.
დ ა ი ბ რ ი ა ლ ა ხ ა ლ ხ მ ა".

ივანე ხედავდა, რომ მისი ტყუილი აღარ გადიოდა, ბესიეს ენა
ხალხში უფრო მოქმედებდა. იგი ხედავდა, რომ გლეხკაცობა ბატონ-
ყმობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მაგრამ იგი ერთბაშად არ ყრის
იარაღს. იგი კიდევ სცდილობს ხალხის გადაბირებას თავისკენ, და ამ
მიზნით აშინებს იგი მას ათასგვარი უბედურებით, თუ ხალხი ბესიას
დაუჯერებდა. იგი ხელახლა გამოდის და შემდეგი სიტყვებით მიმარ-
თავს კრებას:

— „ძმებო, ბესია მოტყუებულია იმ ურჯულო ტრიკი გიორგი-
საგან, — დაიწყო ივანემ, რა რომ ბესიას სიტყვა მიწყნარდა, — ბ ა-
ტ ო ნ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ა რ ა ვ ი ნ ი ფ ი ქ რ ო თ, თ ვ ა-
რ ა დ ე ვ ი ღ უ პ ე ბ ი თ. დ ი დ ი ს ი ს ხ ლ ი მ ო ყ ო ბ ა ბ ა ტ ო-
ნ ი ს ვ ა რ ი ს ყ ო ფ ა ს. აგი აზრი იმიზა დათესა იმ ურჯულო გი-
ორგიმ, რომ უნდა რ ა მ ე ნ ა ი რ ა დ ჩ ვ ე ნ შ ი გ ა ხ ე თ ქ ი ლ ო-
ბ ა მ ო ა ხ დ ი ნ ო ს, ჩ ვ ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს შ ე ე ვ ა ტ ა კ ო ს
დ ა ა მ ი თ ჩ ვ ე ნ ს მ ტ ე რ ს ჩ ვ ე ნ ზ ე გ ა ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ო ს.
ა რ შ ე ც დ ე თ, ბ ა ტ ო ნ ი ს ვ ა რ ი ს ყ ო ფ ა ა რ ი ფ ი ქ რ ო თ.
ჩ ვ ე ნ მ ტ ე რ ს უ ნ დ ა ვ ა დ ი ნ ო თ ს ი ს ხ ლ ი დ ა ა რ ა
ძ მ ა ს.

— არ იქნება, ივანე, ტყუილად ნუ ჩივი, გათავდა დღეს ბატო-
ნობა, — შესძახა ხალხმა.

— დიდი სისხლი მოყობა, არ ივარგებს შესძახებს კიდევ ივანე.
— მოყვეს, მოყვეს, ეს გვწყურია ჩვენც, — უპასუხებს ხალხი".

ამნაირად ომი თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის უკვე გამოცხადებული იყო. თავადაზნაურობის აგენტის, აზნაური ივანეს ლათაიებს ძმობაზე და ერთობაზე სამუდამოდ ეკარგებოდა ხალხში ნიადაგი. რა თქმა უნდა, ასეთ ლათაიებს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მიმართავდენ ყველა გაბატონებული კლასების იდეოლოგები. მაგრამ ყველა ამ მქადაგებლებს საკადრისი პასუხი გასცა თავის ისტორიულ რომანში, „ჯანყი გურიაში" ეგნატე ნინოშვილმა. სამწუხაროდ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ნინოშვილი ძლიერ ცუდად არის შესწავლილი; ყველაზე უფრო კი ეს უნდა ითქვას „ჯანყის" შესახებ. დროა ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას. ნინოშვილის რომანი „ჯანყი გურიაში" უნდა შესწავლილ იქნას 1841 წელს მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით. ეს აჯანყება მეტად სერიოზული რთული მოვლენაა. ის წარმოადგენს რთულ კვანძს კლასობრივ და პატრიოტულ-ეროვნულ მომენტების შეხლა-შემოხლით.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ უკანასკნელ ხანებში ეგ. ნინოშვილმა როგორლაც ხელი შეუშვა მხატვრობას და შინჯა წერა პუბლიცისტურ დარგში. ეს ცდა ეკუთვნის 1893 წელს; ამას შემდეგ, როგორც იცით, მას დიდხანს აღარ უცხოვრია. სულ სამიოდე პუბლიცისტური სტატიის დაწერა მოასწრო. ამ წერილებიდან სჩანს, რომ ნინოშვილს ბევრი ემუშავნა იმისთვის, რომ კარგი პუბლიცისტი გამხდარიყო, რადგანაც იგი დარწმუნებული იყო — პუბლიცისტიკის საშუალებით მას უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ეს სტატიები მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ მათი ავტორი სხვადასხვა საკითხებს მარქსისტული თვალსაზრისით უდგებოდა. გარდა ამისა ნინოშვილის პუბლიცისტური წერილები დაწერილია მეტად მსუბუქ და ადვილი ენით და თანაც შეზავებული მდიდარი იუმორით. მაგრამ სიმართლე თხოულობს განვაცხადო, რომ სად ნინოშვილი — მხატვარი და სად ნინოშვილი — პუბლიცისტი, რა შედარებაა! და თავის პუბლიცისტურ წერილებშიაც იგი უფრო მხატვარია, ვინემ პუბლიცისტი. ყოველ შემთხვევაში მე მოვიყვან აქ ნინოშვილის პუბლიცისტიკის დასახასიათებლად რამდენიმე ნიმუშს. ასე, მაგ., წერილში, „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის" ნინოშვილი ამბობს:

„ეჰ მკითხველო, რამდენ ქვეყნის გულშემატკივრობაზე მოგიყვე. რამდენი მათგან გამოგონილი ქვეყნის გასაბედნიერებელი საშუალება ჩამოგითვალო. აუარებელია რიცხვი მათი, მაგრამ ბატონი პლებსის მიერ გამოგონილი საშუალება ყველა აქამომდე გამოგონილ საშუალე-

ბებზე მარტივი და ადვილია. ეს საშუალებაა, რომლითაც გაგვიჩნდება — „ორი ათასი კარგი ტ ე ხ ნ ო ლ ო გ ი და ამ დ ე ნ ი ვ ე ა გ რ ო ნ ო მ ი“ („ივერია“ № 185), კი არ დაგავიწყდეთ ორი ათასი კარგი ტეხნოლოგი და ამდენივე აგრონომი — სულ 4.000.

„ახლა იფიქრეთ მარტო ეგ რად ღირს ქვეყნისათვის, რომ მ დ ი დ ა რ მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი მ ო უ რ ა ვ ე ბ ი ე ყ ო ლ ე ბ ა თ, არ გითხარით ტვირთ-მძიმენო და მაშვრალნო. შემდეგში შეიძლება იმდენად დაწინაურდეს ჩვენი ერი, რომ შეიგნოს მ დ ი დ ა რ ი „მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ი ს“ სხვა საჭიროებანიც და დაარსონ, მაგალითად, ისეთი სკოლებიც, სადაც გაიზრდებიან მდიდარი მებატონეებისათვის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ლ ა ქ ი ე ბ ი ც.

„დიახ, ეს ხომ შშვენიერი აზრია, მაგრამ ბ. პლებსის აზრი განსხვავებით მაღლა დგას ჩვენი დიდებული პედაგოგის აზრზე, როცა ბ. პლებსის გამოგონილ საშუალებას მიმართავენ, აბა მაშინ „აღორძინდება ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი მეურნეობა და შექმნიან სიმდიდრეს“. მაშინ დაიბრუნებს უეჭველად ჩვენი ერი — „მოსვენებულს, მაძღარს, უპრეტენზიო, ქართულ ოჯახს, რომლის გადაშენებას ისე გულდაწყვეტილი დასტირის ბ. მ ე ვ ე ლ ე“. („ივერია“ № 144 ნინოშვილის თხზ. ტ. II გვ. 342 — 343).

„დასასრულ, თუ ბ. მეველესა და პლებს ამჟამად მხოლოდ „უ ფ რ ო ს თ ა“ (თავად-აზნაურობა უნდა ვიგულისხმოთ) გამდიდრება აქვთ მხედველობაში (ეს პირველ ჩემს სტატიაშიც მოგახსენეთ ეგრეა მეთქი), ჩვენს ერზე ლაპარაკით რათ გვაძულებენ თავს. ნუ თუ არ იციან, რომ მარტო „უფროსნი“ არ შეადგენენ ერს, მართალია ბ. პლებსი ადვილად იშორიებს ამ კითხვას თავიდან ერთი გაცვეთილი ანდაზით: „ღვინო არსად იყო და გუდას ალბობდენო“. ვითომდა ჯერ რა დროს „უმცირესობაზე“ ლაპარაკია. „უფროსნი“ არ გამდიდრებულანო. აცათ ჯერ ეგენი („უფროსნი“) დამდიდრდენ და შემდეგ ნახეთ, თუ „უმცროსნი“ არ გავიხსენოთო“ (ეგ. ნინოშვილის თხზულება გვ. 346 — 347).

ეს სიტყვები ლახვარივით გულში ხვდებოდათ იმათ, ვისაც ეს ეხებოდა. მართლაც 4000 ათასი სპეციალისტი იმ დროს, აბა, მითხარით, ვისთვის იყო საჭირო. ეს პირდაპირ უტოპია იყო. ჯერ დღეს, ამ უმაგალითო მშენებლობის დროს, საქართველოს მასშტაბით ვერ ვშოულობთ ამოდენა სპეციალისტებს და მაშინ კი ეს სპეციალისტები აბა სად უნდა წასულიყვნენ, ან რა უნდა ეკეთებიათ. და სრულიად მართალი იყო ნინოშვილი, როცა ასეთ პროექტს სასაცილოდ იღებდა. ახლა კიდევ მოვიყვან აქ ნინოშვილის წერილიდან „საბაასო“ ერთ

ადგილს, და ამით დავაბოლოვებ. წერილი ეხება ფირალების ისტორიას გურიაში. ამ საგანს ხომ ზედმიწევნით იცნობდა ნინოშვილი. „სიმონას“ ავტორი. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ზევით დასახელებულ წერილში:

— ეშველა, მოჰკლეს! მოდის გურიიდან თანდათან ამბავი.

— ვინ მოჰკლეს?

— აი ლლონტი, მუხუზლა, დათუაშვილი, გოგიტია, დარჩია, და რა ვიცი რამდენი კიდევ სხვაი.

— მერე ვინ არიან ესენი?

ყაჩაღები გახლავან.

— ჰო, ყაჩაღები? ღმერთმა სიკეთე უყოს იმ ჩვენ მფარველებს, რომლებიც ასე გვიფრთხილდებიან, გვიცავენ ყაჩაღებისაგან!

„მაგრამ... მართალია ასეთ ნათელ საქმესთან „მაგრამ“ ძნელი გასაბედავია, მაგრამ (კიდევ ეს წყეული „მაგრამ“!) ადამიანნი ცოდვილნი ვართ, რაც გინდა ნათელი საქმე იყოს, ბევრი ჩვენგანი მაინც იქვის თვალით უყურებს და უნდა მოგახსენოთ, არც მე ვარ თავისუფალი ამ ცოდვილ იქვისაგან.

„მოგახსენოთ, საიდან იწყება ჩემი იქვი: გასული წლებისას რომ არ გამოუდგეთ, მარტო შარშან და წრეულს აგე ათზე მეტი „ფირალი“ მოკლეს გურიაში.

„მერე, იცით ვინ არიან ეს ფირალები? ცოლშვილიანი კაცები, რომელნიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდენ.

„აი ასეთი ადამიანი, რაღაც უხილავი, უბედური გარემოების მიზეზით დღეს ტოვებს ცოლშვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით გარბის ტყეში, — ფირალდება. ასეთ ფირალებს უდგებიან კვალში და ხოცავენ „დუჟინობით“.

„მართალია ყაჩაღებს ხოცავენ და არა მშვიდ ხალხს, მაგრამ მოგახსენოთ რა ხალხიდან გამოდიან ეს ყაჩაღები, ანუ როგორც გურიაში ეძახიან „ფირალები“, უმეტესი ნაწილი ცოლშვილიანი მუშა კაცია.

„ეხლა გადავხედოთ რაები გამოაშკარავდა თავადი გურიელის საქმის გარჩევის დროს.

„დახეთ თურმე, რისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს მამის ერთა მიხეილ გოგიტიძე: ქ. ბათომში ვილაც ლებედევი გაუცარცავთ: ორი ამ მცარცველთაგანი შეუპყრიათ; ამათ უთქვამთ, რომ ჩვენთან

ლებედევის გაცარცვის დროს მესამეც იყო და ამ მესამეს მიხაკო ჰქვიან სახელათო.

„ამ სახელისათვის ყური მოუკრავს ფირალების მდევნებს გურიაში და მაშინვე გამოუყვანიათ დასკვნა: მიხაკო, რა თქმა უნდა, გოგიტიძე იქნებაო. ამდგარან და დაუწყიათ გოგიტიძის ძებნა; შეუმწყვდევიათ ვილაც ერთი გლეხის სახლში და მოუკლავთ. მოუკლავთ, მაგრამ ცოდნით კი დღესაც არავინ იცის — ის მიხაკოა? მხოლოდ ეს კი ვიცით რომ ლებედევის გამძარცველებმა აჩვენეს: ჩვენი მესამე ამხანაგი — მიხა სომეხი იყოო“.

ნინოშვილი გვეუბნება, თუ ვინ იყო ის თავზე ხელაღებული ხალხი, რომელიც ფირალად მიდიოდა და მშვიდობიან ხალხს მოსვენებას არ აძლევდა. ყველა ესენი იყვენ ყანის მუშა-ცოშვილიანი გლეხები. ყველა ესენი უმეტეს შემთხვევაში იძულებული ხდებოდენ ტყეში გაქცეულიყვენ და ავაზაკობისათვის მოეკიდათ ხელი. და როცა გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობა ესა თუ ის ფირალი მოკლესო, ნინოშვილს არ შეეძლო ამას არ გამოხმაურებოდა.

ვიმეორებ ნინოშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რომ დასცლოდა, იგი — დიდი პუბლიცისტი გახდებოდა. მაგრამ მისი ბუნებრივი ნიჭი მხატვრობა იყო და ამ დარგში მან უკვდავყო თავისი სახელი.

დასასრულ მე მინდა შევეხო აქ შემდეგ საკითხს: რა ადგილი უჭირავს ნინოშვილს ქართულ მწერლობაში? ამ საკითხს უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ეგრედწოდებული ნაფიცი კრიტიკოსები, შეიძლება ითქვას, სრულებით გაურბოდენ და რამდენიმედ დღესაც გაურბიან. ისინი ვერც კი ამჩნევდენ ეგ. ნინოშვილს, როგორც ერთ დროს დიდი ხნის განმავლობაში ვერ ამჩნევდენ დანიელ ჭონქაძეს. ამაში ბრალი მიუძღვით არა მარტო ბურჟუაზიული მოდგმის მწერლებს, არამედ პროლეტარულ მწერლებსაც. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს, ნინოშვილის დაბადების 70 წლის შესრულების გამო, ქართველ მწერლებში რამდენიმედ აღიძრა ინტერესი ნინოშვილის მიმართ. ჟურნალებში „ქართული მწერლობა“ (№№ 11 — 12, 1929 წ.) და „პროლეტარული მწერლობა“ (№ 12, 1929 წ.) მოთავსებულია რამდენიმე წერილი, მიძღვნილი ნინოშვილის მიმართ. ჩემის აზრით ამ წერილებში ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს გრ. როგაქიძის წერილი სახელწოდებით „ეგნატე ნინოშვილი“. მე უკვე მო-

ვიყვანე ზევით ამ წერილიდან ერთი დამახასიათებელი ადგილი ნინოშვილის ისტორიული რომანის („ჯანყი გურიაში") შესახებ. არ შემიძლია არ მოვიყვანო კიდევ ერთი ადგილი გრ. რობაქიძის დასახელებული წერილიდან. „თითქმის მთელი ქართული ლიტერატურა — ამბობს ავტორი, — მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნის ზვარამდე, ან სასულიერო არის ან ფეოდალური. შრომის მომენტი გვხვდება მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში, მაგრამ ეს მომენტი აღებულია უმეტეს წილად არა მშრომელი წრიდან გამოსული მწერლების მიერ. მათი „სოციალობა" უფრო ჰუმანიზმის ნაკადია. ნინოშვილი კი გამძაფრებული მესაჭეა მშრომელი მასის. აქ მას ყავს წინამორბედი, თუ გინდ დანიელ ჭონქაძე". ავტორი ასე ათავებს თავის სწორ მიდგომას და დახასიათებას": მან ისე მკვეთრად ასახა სოციალური მხრით ტკივილები ამ კუთხის (გურიის), რომ იგი გამარჯვებული შედის ქართულ ლიტერატურაშიო".

ასეთი შეხედულება ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაზე წარმოთქმული თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთ დიდ წარმომადგენლის მიერ, მეტად საგულისხმიეროა. თქვენ იცით, რომ პირადად სწორედ ასეთი შეხედულება ნინოშვილზე მე არა ერთხელ გამომითქვამს, სხვა სიტყვებით და ფორმით; რა თქმა უნდა, ამით მე ორიგინალობას სრულებით არ ვიჩემებ. ჩემთვის მხოლოდ სრულიად მოულოდნელი იყო, რომ სწორედ ასე შეაფასა გრ. რობაქიძემ ნინოშვილის შემოქმედება. და როცა გრ. რობაქიძის წერილის გვერდით ჟურნალის იმავე ნომერში კითხულობთ ვახტანგ კოტეტიშვილის სტატიას: „ანტონ ფურცელაძე და ეგნატე ნინოშვილი", თქვენ ხედავთ ამ უკანასკნელის უსუსურობას და არაბუნებრივობას. თქვენ გრძნობთ, რომ ავტორი ნამდვილ ძალდატანებას ახდენს თავის თავზე, როცა იგი ნინოშვილზე სწერს. ჩემის აზრით ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ იგი ამ თემას სრულებით არ შეეხებოდა. კოტეტიშვილი ისეთი კილოთი სწერს ნინოშვილზე, თითქო ეს მისი მხრით დიდი დავალება იყოს. ავტორი ასე იწყებს ნინოშვილის შესახებ: „ორი წლის წინათ ჩემს ლიტერ. ისტორიაში ეგ. ნინოშვილის შესახებ ვსწერდი: „ალექსანდრე ყაზბეგის შემდეგ, ასეთი ავადმყოფური ტკივილებით, („ავადმყოფური ტკივილები" ეს იგივე იქნება რომ ვთქვათ: წყლიანი წყლები ფ. მ.), ასეთი კვნესით ჩვენში არავის უწერია". „ამ აზრს ვიმეორებ დღესაც". მით უარესი ავტორისთვის. არც

„ავადმყოფური ტკივილები", არც „კვნესა" ოდნავაც არაა დამახასიათებელი ნინოშვილის მხატვრობისა. ვინც ამას გარდა ნინოშვილის შემოქმედებაში ვერაფერს ხედავს, მას საერთოდ არ ესმის ნინოშვილი, და ასეთია სწორედ ვახტ. კოტეტიშვილი. ავტორს გონია, რომ „გულიანი სიმღერა" განსაზღვრავდა მის (ნინოშვილის) მხატვრულ ფიზიონომიას" — ეს სისულელეა. კოტეტიშვილის მედიდური თავხედობა იქამდის მიდის, რომ იგი სწერს: „მისი (ნინოშვილის) თემატიკის შესახებ ვრცელი ლაპარაკი არ დაგვჭირდება (ასე იადვილებს საქმეს). ეგნ. ნინოშვილს აქვს ერთი და იქნებ ერთადერთი თემა. ალ. ყაზბეგის იაგოსავით, ეგნ. ნინოშვილიც „მისციებოდა ერთ ადგილს, სადაც ძალა და სიმართლე ერთმანეთს შესჭიდებოდენ და სიმართლე ძლეულიყო... და ამას იქით, მას თემა არც გააჩნდა და არც სწამდა". შემდეგ მოყავს რა კაცია მუნჯაძის (მოთხრობიდან „განკარგულება") სიტყვები, კოტეტიშვილი ასკვნის: „აქ არის ეგნ. ნინოშვილის მთელი თემატიკა" (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ ფ. მ.). მაშასადამე, ვახტ. კოტეტიშვილს თუ დაუჯერეთ, ჩვენ უნდა უარვყოთ იმ თემების და ამოცანების სიუხვე-სიმრავლე, რომლებიც აღძრა ნინოშვილმა თავის მხატვრულ ნაწერებში და რომლებიც მან თავისი მხატვრული ნიჭის მეოხებით გააშუქა და დაგვიყენა წინ. მე მგონია, საჭირო არაა კვლავ განვიმეორო აქ ის, რაც ზევით იყო ნათქვამი. ვახტ. კოტეტიშვილის შეხედულებას ნინოშვილზე მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი აზრით მას ორგანიულად არ ძალუძს ნინოშვილის გაგებაც კი, არა თუ მისი დაფასება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ვახტ. კოტეტიშვილი თავიდანვე შეიქნა ერთის მხრით ილია ჭავჭავაძის სკოლის მწერლების ბრმა მადიდებელ-მათაყვანებელი, და მეორე მხრით კიტა აბაშიძის კრიტიკის გამაგრძელებელი. რა თქმა უნდა, ასეთ კრიტიკოსს არ შეეძლებოდა ისეთი მწერლის, როგორიც ნინოშვილია, ობიექტიური დაფასება. ჩვენთვის ბევრად უფრო საყურადღებოა ნინოშვილის შესახებ გრ. რობაქიძის აზრი, ვინემ ვახტანგ კოტეტიშვილის. ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს.

მეორე საკითხი — ესაა ნინოშვილის იდეიური დამოკიდებულება სხვა ქართველ მწერლებთან, ეს საკითხიც აქამდის გამოურკვეველი და შეუსწავლელია. ამ 26 წლის წინად მე დავსვი საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ გახდა ჩვენში სულიერად, იდეიურად დანიელ ჭონქაძის მემკვიდრედ, მის გამგრძელებლად (იხ. „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო"), და მე ვამბობდი, რომ ასეთად უნდა

ჩაითვალოს ეგნ. ნინოშვილი-მეთქი. მაგრამ ეს იყო მშრალი დებულება, რასაც დასაბუთება ესაჭიროებოდა. როგორც თქვენ დაინახეთ, ახლა ასეთივე შეხედულება წარმოსთქვა გრ. რობაქიძემაც. როგორც ხედავთ, ამ შეხედულებას ღრმა საფუძველი აქვს. ამ უკანასკნელ დროს დაიბადა კიდევ მეორე აზრი, რომლის თანახმად ეგ. ნინოშვილს უკავშირებენ ანტ. ფურცელაძეს. ასე რომ ნინოშვილი გამოდის ანტ. ფურცელაძის იდეიურ მემკვიდრედ. ამ საკითხს რამდენიმედ შეეხო რაჟდენ კალაძე ამ რამდენიმე წლის წინად მის მიერ შედგენილ ეგნ. ნინოშვილის ბიოგრაფიაში. ჩემის აზრით, ეგნ. ნინოშვილის და ანტ. ფურცელაძის იდეურად დანათესავება, და ნინოშვილის გამოყვანა ანტ. ფურცელაძის მემკვიდრედ ქართულ ლიტერატურაში მართალი არაა. ეს საკითხის უკიდურესი გამარტივებაა. მე ვფიქრობ, რომ ასე მარტივად რ. კალაძე არ აყენებდა ამ საკითხს. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ამ საკითხს მეტის-მეტად ამარტივებენ. სამწუხაროდ, ასე იქცევა, სხვათა შორის, ამხ. სიმონ ხუნდაძეც (იხ. მისი წერილი „ანტ. ფურცელაძე და ეგნ. ნინოშვილი", დაბეჭდ. ჟურნ. „ქართულ მწერლობის" უკანასკნელ ნომერში). იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ გაამარტივა ავტორმა ეს საკითხი, მე მოვიყვან აქ მისი წერილიდან ერთ ადგილს: „ისტორიული ფაქტია — სწერს ამხ. ხუნდაძე, — რომ 1872 წელს ქართველმა ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ დააარსა პირველი რევოლიუციონური პარტია საქართველოში... ანტონ ფურცელაძე ერთ-ერთი აქტიური წევრი და დამაარსებელი იყო ამ საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებულ პირველ სოციალისტურ პარტიისა"... და ბოლოს: „და აი პირველი რევოლიუციონური ორგანიზაციის დაარსების (1872 წ.) ოცი წლის თავზე — 1892 წ. ეგ. ნინოშვილმა საქართველოში საფუძვლები ჩაუყარა პირველ მარქსისტულ ორგანიზაციასო". რა თქმა უნდა, ასე არ შეიძლება ისტორიის გამარტივება. უწინარეს ყოვლისა, შემცდარია ამხ. ხუნდაძე, როცა გადაჭრით გვეუბნება, რომ 1872 წელს ნაროდნ. ინტელიგენციამ დააარსა საქართველოში „პირველი რევოლიუციონური პარტიაო". ასეთი პარტია ჩვენმა ისტორიამ არ იცის. ამ „პარტიის" არსებობა, თუ გნებავთ, ჩვენ ჟანდარმერიის არქივიდან გავიგეთ. ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ნაროდნიკულ წრეებზე, ან ჯგუფებზე, ვიწრო ორგანიზაციაზე, რომლებიც მთავრობის ერთი დარტყმით უეცრად გაქრენ, და არა რევოლიუციონურ პარტიაზე. რაც შეეხება იმას, რომ „ნა-

როდნიკული პარტია ჩვენში საქართველოს ნიადაგზე იყო აღმოცენებულიო", — ეს დებულება სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ დასახელებული პარტია აღმოცენდა რუსეთის პირობებში, რუსული „ობშჩინის" ნიადაგზე. შემდეგ, გაკვირვებას იწვევს ამხ. ხუნდაძის მიერ მოყვანილი შეფარდება 1872 წელს დაარსებულ რევოლიუციონურ ორგანიზაციასა და 1892 წელს გამართულ პირველ მარქსისტულ თათბირის შორის. ჯერ ერთი, რომ ეს არ იყო წმინდა მარქსისტული თათბირი, უფრო მართალი რომ ვთქვათ, ეს იყო მარქსისტულად განწყობილი ახალგაზრდობის თათბირი, და მასთან ამ თათბირს არავითარი ორგანიზაცია არ ჩამოუყალიბებია. ეს მოხდა შემდეგ წლებში. მე ვფიქრობ, რომ ისტორიის და დატების ასე გამარტივება მისაღები არაა. ანტ. ფურცელაძის იდეიურად დანათესავება ეგნ. ნინოშვილისა ეს რთული საკითხია, რომელსაც უფრო ღრმა შესწავლა ესაჭიროება.

ჩემი შეხედულებით ის აზრი, რომ დანიელ ჭონქაძე იყო ეგნ. ნინოშვილის წინამორბედი, ბევრად უფრო ნაყოფიერია. ამ ორ მწერალს შორის ბევრი რამ საერთო არსებობს. უპირველეს ყოვლისა წრე, საიდანაც ისინი გამოვიდენ, არა თავადაზნაურული, არამედ გლეხური ან გლეხკაცობასთან დაკავშირებული. შემდეგ საგანი მოთხრობებისა ორივეს ერთი და იგივე აქვს — გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ი ს ბ ე დ ი. ამასთან ერთად დანიელ ჭონქაძე აყენებს საკითხს ბატონყმობის მოსპობის შესახებ რევოლიუციონურად. მისი მოთხრობის გმირები, ისევე როგორც ეგ. ნინოშვილის, პროტესტანტები არიან, რომლებიც არ ურიგდებიან არსებულ წესწყობილებას, ან თავის თავს იკლავენ ან ხოცავენ თავიანთ მტარვალ — მებატონეებს და გარბიან. როგორც ვიცით, ასევე იქცევიან ნინოშვილის მოთხრობების გმირებიც. მაგრამ მათ შორის ბევრი და დიდი განსხვავებაც არის. ეს განსხვავებანი უმთავრესად იქიდან გამომდინარეობენ, რომ დან. ჭონქაძე და ეგ. ნინოშვილი ცხოვრობდენ სულ სხვადასხვა დროს. იმავე დროს ჭონქაძე სრულიად განმარტოვებული იყო. იგი ნამდვილი ობოლი იყო. მას არ ყავდა თავის ირგვლივ არავითარი საზოგადოებრივი ძალა, რომელზედაც მას შეეძლო დაყრდნობა. ეს იყო დ. ჭონქაძის უდიდესი ტრაგიზმი. სულ სხვა იყო ის დრო, როცა ეგნატე ნინოშვილი ცხოვრობდა.

აქვე საჭიროა ერთ გარემოებაზე უჩვენო. ბევრი ხედავს მსგავსებას ეგ. ნინოშვილის და ალ. ყაზბეგის გმირებს შორის. ეს გაუგებრობაა. ალ. ყაზბეგი გაუსწორებელი რ ო მ ა ნ ტ ი კ ო ს ი ა. ყველა

მისი გმირები და თვითონ ავტორიც წარსულს აღმერთებენ, წარსულ ზნე-ჩვეულებებს და წესებს დასტირიან. არაფერ ამის მსგავს ადგილი არ აქვს ნინოშვილის მოთხრობებში.

ნინოშვილი უკვე ეყრდნობა ახალთაობას, ახალ ძალებს. მის გარშემო თავს იყრის რევოლიუციონური ახალგაზრდობა და უკვე არსებობს მუშათა კლასიც. იგი ერთი აღარ არის. იგი უკვე ხედავს განთიადის მოხალოვებას.

მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ განვიცადეთ სამი დიდი რევოლიუცია; რომელთაც მოყვა განხორციელება იმ იდეალების, რომლებისთვის იბრძოდა ეგნატე ნინოშვილი. მის შემდეგ რამდენი პარტია არ წარმოიშვა საქართველოში, მაგრამ ისტორიამ ყველა ეს პარტიები გააცამტვერა. მაგრამ ის პარტია, რომელსაც ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ნინოშვილმა, დღეს გამარჯვებულია. ეგნატეს დროს არ არსებობდენ ბოლშევიკები და მენშევიკები, მაგრამ ნინოშვილი რომ ამ ხანას მოსწრებოდა, რა თქმა უნდა, იგი ბოლშევიკების პირველ რიგში იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ მართალია ნინოშვილი უდროოდ დავკარგეთ, მაგრამ ის საქმე, რომელიც მან დაიწყო არ მომკვდარა, არა თუ არ მომკვდარა, არამედ გაიზარდა და დღეს ჩვენ ვხედავთ მის ნაყოფს, საბჭოთა ხელისუფლების და უდიდესი სოციალისტური აღმშენებლობის სახით.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დღეს ნინოშვილის მოღვაწეობის და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

ქართველი
ბიბლიოთეკა

ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე

მხატვრული მწერლობის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში *)

ჩემი მოხსენების თემა არის მხატვრული მწერლობის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში. რისთვის დაგვჭირდა ჩვენ ერთის შეხედვით ასეთი უცნაური სათაურის დარქმევა მოხსენებისათვის? მხატვრულ მწერლობის და განსაკუთრებით კი პროლეტარული მწერლობის შესახებ კეთდებოდა მოხსენებები ჩვენს წარსულ პლენუმებზედაც. ვკამათობდით. ვღებულობდით რეზოლიუციებს. ერთის სიტყვით ჩვენ ამ საკითხებს ვამუშავებდით. ეხლა კი სხვა-გვარად ისმება მხატვრული მწერლობის საკითხები. დღეს ჩვენ მწერლობის ამოცანებს ვარკვევთ — რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ ახალ მომენტთან შეფარდებით. ეს კი მოწმობს იმას რომ მწერლობის და კერძოთ კი პროლეტარული მწერლობის ამოცანები — შეიცვალენ, გაიზარდენ, გამრავალმხრივდენ.

რით ხასიათდება დღევანდელი პერიოდი და რა დამატებითი ამოცანები ეკისრება პროლეტარულ მწერლობას და საერთოდ მთელ მწერლობას? რეკონსტრუქციის პერიოდის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება არის სოციალისტურ შეტევის გაძლიერება — კაპიტალისტურ ელემენტებზე, როგორც ქალაქათ ისე სოფლათ. გამწვავდა კლასთა ბრძოლა. გაძლიერდა ახალი ბურჟუაზიის და კულაკობის წინააღმდეგობა. ეს არის ანტი-საბჭოთა კლასების აღსასრულის წინ უკანასკნელი ძალების დაჭიმვა. ეს მოვლენა ბუნებრივია.

სოციალისტური შეტევის გაძლიერება იწვევს მუშაობის ახალი მეთოდების შექმნის აუცილებლობას, ბრძოლის ახალ ფორმებს. რეკონსტრუქციის პერიოდი ითხოვს რომ ქალაქათ და სოფლად — მუშაობის ყველა სფეროში (წარმოებები, ახალი სოფლის სოციალისტური სექტორი) იქნეს გამომუშავებული ახალი მეთოდები, ახალი ფორმები, ახალი საშუალებები — სოციალისტურ ელემენტების და-

*) მოხსენება, წაკითხული საქ. პრ.-მწ. ასოსც. მე-3 პლენუმზე.

გროვებისათვის, მათი თვალსაჩინო ზრდისათვის. მუშაობის მეთოდების გარდაქმნა აუცილებელი ხდება იდეოლოგიურ ფრონტზედაც. კლასიური ბრძოლის გამწვავება იდეოლოგიურ ფრონტზედაც ძლიერათ მეღავნდება. თუ კოლმეურნეობის მოძრაობას კულაკები აქტიურათ ებრძვიან, კლავენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, თავს ესხმიან კოლმეურნე ღარიბ გლეხებს, სწვავენ ანეულებს და სხვ. — კლასიური მტერი არც იდეოლოგიის ფრონტზეა მშვიდობიანათ. კლასიური მტრის აქტიური გამოლაშქრება იდეოლოგიის სფეროშიაც ვლინდება; ძლიერდება წინააღმდეგობანი კულტურული რევოლიუციის განვითარების მსვლელობაში.

უკანასკნელ ხანებში პროლეტარული მწერლობა განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მწერლობის მემარჯვენე ფრონტს. ეს შემთხვევითი არ იყო. მემარჯვენეობა მწერლობაში და საერთოდ იდეოლოგიის ფრონტზე უშუალოთ დაკავშირებულია — საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან. როდესაც ჩვენ გამოუშვით გაზეთი „5 მაისი" და განსაკუთრებული ენერგიით შეუტიეთ მემარჯვენეობას მწერლობაში, ხელოვნების ფრონტზე, ობივატელს, მეშჩანინს, აქტიურ კლასიურ მტერს — ეს ჩვენი მორიგი „გამოგონება" კი არ იყო — არამედ სინამდვილეში არსებულ მემარჯვენე მოვლენათა აღნიშვნა და მასთან შებრძოლება.

იდეოლოგიის ფრონტზე ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრ ადგილას გვჭირდება პოზიციების გამაგრება. მთელ რიგ სფეროებში მარქსიზმი, ჯერ კიდევ ძლიერათ არ შეჭრილა და არ დაუუფლებია სახელმძღვანელო სიმაღლეები. კულტურულ რევოლიუციის მსვლელობაში — დამატებითი სიძნელეები ჩნდება, რომელთაც დაძლევა რეკონსტრუქციის პერიოდში აუცილებელი ხდება. გავიხსენოთ ლენინიზმის დებულება კლასიური მტრის იდეური წინააღმდეგობის შესახებ. ამხ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „Наша задача — побороть все сопротивление капиталистов, не только военное и политическое, но и идейное, самое глубокое и самое мощное". აი სწორედ ეს ყველაზე მეტი ძლიერების მქონე იდეური წინააღმდეგობა, განსაკუთრებით მეღავნდება ეხლა; მის დასაძლევათ აუცილებელია მახვილი ფორმების გამომუშავება.

სწორ ნიადაგზე სდგას თუ არა ჩვენი მუშაობა კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე? პარტიისა და ყველა ჩვენი სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაკუთრებული ზომები არის მიღებული, რომ რაც შეიძლება ფართოდ იქნეს გაშლილი კულტურული რევოლიუ-

ცია. შემთხვევითი არ არის ის გარემოება რომ განზრახულია, საქართველოში სამი წლის განმავლობაში მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს არის საფუძველი — რომელიც მოგვცემს საშუალებას კულტურის უმაღლეს სფეროების იდეურ სიმაგრეების დაპყრობისას. კულტურულ რევოლიუციის გატარებაში აუცილებელია მტკიცე კლასიური თანმიმდევრობა.

საჭიროა გადაჭრით შევებრძოლოთ კულტურულ რევოლიუციის გატარების პროცესში გამომჟღავნებულ მავნე ტენდენციებს. ერთის მხრივ: იდეოლოგიის ყველა საკითხების, თანმიმდევრობითი კლასიურათ დასმის უარისყოფა, ნეპის განწყობილებანი იდეოლოგიაში, ზეკლასიური „კულტუროსნობა" და მეორეს მხრივ: ულტრა-მემარცხენე ტენდენციები, კლასიური ბრძოლის მეთოდების დამახინჯება.

ფრიად მნიშვნელოვანია პარტიის უკანასკნელი დირექტივა — განსახკომის მუშაობის ძირითად რეორგანიზაციის შესახებ. დიდი ხანია დროა განსახკომი გადაიქცეს კულტურულ რევოლიუციის შტაბათ. რეკონსტრუქციის პერიოდში კულტურულ რევოლიუციის ყველა ოწინარები ძირეულათ უნდა გარდაიქმნენ, დაკვრითი ტემპით უნდა ამოძრავდენ. პრესა, წიგნი, სკოლა, ხელოვნება, მწერლობა და სხვ. კულტურულ რევოლიუციის დამკვრელ იარაღათ უნდა გადაიქცენ.

ეხლა გადავიდეთ მხატვრული მწერლობის საკითხების გარკვევაზე. შეუძლებელია მხატვრული მწერლობა დარჩეს კულტურული რევოლიუციის პროცესის გარეშე. მხატვრულმა მწერლობამ პრაქტიკულათ უნდა გადასჭრას ის ახალი ამოცანები — რომელნიც დღეს მის წინაშე სდგანან. მხატვრული მწერლობა რეკონსტრუქციის პერიოდის დამკვრელი ტემპების მოწინავე რიგებში უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მხატვრული მწერლობის სხვადასხვა ფენები; გავიგოთ თუ რომელი მისი ნაწილი ფეხდაფეხ მისდევს რეკონსტრუქციის პერიოდს და რომელი უპირდაპირდება მას, რომელი ასრულებს ახალი დროის ამოცანებს.

პროლეტარული მწერლობის უკანასკნელი მუშაობა — განსაკუთრებულათ ამტკიცებს კლასიურ ბროლის გამწვავებას მხატვრულ მწერლობის სფეროში. მაისში ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავათ გამოსულ გაზეთში, (როდესაც ვხსნიდით ქართული მწერლობის დღევანდელ მდგომარეობას), — ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგი:

„კლასიური ბრძოლა ძლიერათ და მწვავეთ მეღავნდება ხელოვნებისა და კერძოთ მხატვრული მწერლობის სფეროშიაც. პროლეტარიატის შემოქმედებითი ენერგია თანდათანობით იპყრობს კულტურის ამ ნა-

წილებს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის სინამდვილეში დღეს ფრიად მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. უმთავრესია: მემარცხენე (პროლეტარული) და მემარჯვენე ბანაკების დაპირდაპირება. დღეს მწერლობაში თვალსაჩინოა ძალთა შეფარდების შეცვლა. ერთის მხრივ, მემარჯვენე ბანაკს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო, მეორეს მხრივ — პროლეტარული მწერლობა უკვე გადაიქცა ერთ უმნიშვნელოვანეს რაზმად, რომელიც არამც თუ „ავიწროებს" მემარჯვენე მწერლობის მადას, არამედ სდევნის ლიტერატურის სინამდვილიდან საშუალო, უიდეო ჭაობის მწერლობას. „ამასთან ერთად" დღეს თანამგზავრობაში კიდევ მეტი სიჩქარით მიმდინარეობს დიფერენციაცია. თანამგზავრთა ნაწილი აშკარათ გადავიდა მემარჯვენეთა ბანაკში, მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეულ კრიზისს განიცდის, რევოლიუციის გარეგნული ათვისება ხელს უშლის მათ აწმყო სოციალისტური მშენებლობის ორგანიული წარმოდგენისა და მომავლის გათვალისწინებაში. ძირითადი კადრი თანამგზავრებისა ირკვევა, ყალიბდება და მუშავდება რევოლიუციის მიმართულებით".

ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესების და ძალთა შეფარდების ეს განსაზღვრა დღესაც სავსებით სწორია. ეხლა ჩვენი მწერლობის მდგომარეობის ზუსტი წარმოდგენისათვის, დავშალოთ თვითეული ეს პროცესი შემადგენელ ელემენტებათ, გამოვამჟღავნოთ მათი კონკრეტული, არსებითი რაობა.

როგორია მემარჯვენე ფრონტის მწერლობა, იმ ფრონტის რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ბურჟუაზიულ, ფეოდალურ ნაშთების მწერლობას, „სმენავეხოველებს"?

ქართულ მემარჯვენე მწერლობასა და რუსულ მემარჯვენე მწერლობას შორის ბევრი მზგავსებაა, მაგრამ არის განსხვავებანიც. რუსეთში გარკვეულათ ჩამოყალიბებულია ახალი ბურჟუაზიული მწერლობა; ჩვენშიაც ბურჟუაზიული მწერლობის არსებობა უდაო ფაქტია; მაგრამ მას ახასიათებს თავისებურებანი. ხშირად ჩვენს ბურჟუაზიულ მწერალს, განსაკუთრებული სიმკვრივით ჩაქსოვილი აქვს თავის შემოქმედებაში ფეოდალური იდეოლოგიაც და ის ამ ორ იდეოლოგიას (ბურჟუაზიულს და ფეოდალურს) ორგანიული მთლიანობით ატარებს. ცხადია — ხშირად ფეოდალური ნაშთების იდეოლოგია. ყოველგვარ ბურჟუაზიულ შელამაზებისაგან დამოუკიდებლად გვევლინება.

ჩვენ ვამბობთ რომ უკანასკნელ წელს მემარჯვენე მწერლობა გააქტიურდა, ერთგვარად გაიზარდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ან-და რუსეთში დღემდე მემარჯვენე მწერლობა არ არსებობდა. არავითარ შემთხვევაში ეს ასე არ უნდა გავიგოთ. მე ამ საკითხზე იმისათვის შევჩერდი რომ ერთი რუსი ამხანაგი, როდესაც აღნიშნავდა მემარჯვენე მწერლობის ზრდას, ლაპარაკობდა,

რომ 1925 წელს არ იყო მემარჯვენე ბურჟუაზიული მწერლობა, როგორიც არის დღეს. გამოდის თითქოს რომ 1925 წელს ბურჟუაზიული მწერლობა არ არსებობდა და მხოლოდ 1929 წელს შეიქნა და გაიზარდა. მე წავიკითხავ თვით ამ ამხანაგის სიტყვებს, რაც სავსებით თვალსაჩინოთ გახდის მისი აზრის შეცდომას. ვლაპარაკობ ამხანაგ ოლხოვის შესახებ, რომელიც ამბობს:

„თუ რამდენათ მნიშვნელოვანია ლიტერატურის ფრონტზე მომხდარი გადაჯგუფებანი, მაგალითად, შედარებით იმ დროსთან, როდესაც ს. კ. პ. (ბ) ცეკამ მიიღო რეზოლიუცია „პარტიის პოლიტიკის შესახებ — მხატვრული მწერლობის დარგში“ — შეიძლება დავინახოთ იმის მიხედვითაც-კი, რომ ეს რეზოლიუცია პირდაპირ არ ლაპარაკობს ბურჟუაზიულ ლიტერატურაზე და კმაყოფილდება მხოლოდ მითითებით, რომ პროლეტარულ, გლეხურ და თანამგზავრულ მწერალთა გარდა, ჩვენ გვყავს კიდევ „სხვა“ მწერლები, რომლებზედაც რეზოლიუციაში მეტი არაფერი არ არის ნათქვამი“ (ბ. ოლხოვი. „იზვესტია“ 17 ოქტ. 1929 წ. „ლიტერატურის ფრონტზე ძალთა გადაჯგუფების შესახებ).

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ რომ ან პარტიის რეზოლიუციაში ყოფილა შეცდომა ან-და თვით ამხანაგი ოლხოვი უხეშად სცდება. რეზოლიუციის დაკვირვებით წაკითხვა ადასტურებს, რომ შემცდარია ოლხოვი და არა პარტიის დოკუმენტი, ვინაიდან — რეზოლიუციაში გარკვევით ნათქვამია რომ საჭიროა ბრძოლა ახალი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ; მასში ხაზგასმით აღნიშნულია იდეოლოგიაში ბურჟუაზული ფრონტის არსებობა და მასთან სასტიკი ბრძოლის აუცილებლობა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ, როგორც ოლხოვი ამტკიცებს რომ 1925 წელში, ბურჟუაზიული მწერლობა არ არსებობდა. ბურჟუაზიული მწერლობა მაშინაც არსებობდა — მაგრამ დღეს ის გააქტიურდა, გაიზარდა. გაიზარდა და არ შეიქნა. ამ დებულების დასამტკიცებლათ საკმარისია მიუთითოდ პილნიაკზე და ზამიატინზე. შემთხვევითია თუ არა მათი ემიგრაციის დერეფანში სეირნობა? სრულებითაც არა. ეს მათი შემოქმედებითი გზების, იდეოლოგიის ორგანიული განვითარება და შედეგია.

ქართული მემარჯვენე მწერლობა, მიუხედავათ იმ აქტიურობისა, რომელიც უკანასკნელ წლებში მას ემჩნევა, გასულ წელს სრულიად უფერული იყო. არავითარი თვალსაჩინო ნაწარმოები რომელზედაც შეიძლებოდეს ყურადღების მიქცევა, ლაპარაკი — მწერლობის მემარჯვენე ფრთას არ მოუცია. დიდათ ამ მოვლენიდან არც თა-

ნამგზავრობის მდგომარეობაა გამორჩეული. პრეტენზიების მიხედვით ჩვენ დიდი მწერლობა გვაქვს. ფაქტიურად კი ფრიად უფერულია ეს მწერლობა. უნდა აღვნიშნოთ ქართული მწერლობის მხატვრული ხარისხის დამდაბლება, უუნარობა. მე ამ გარემოებას ხაზს უსვამ იმ მიზნით რომ ბევრი ჩვენი მწერალი ავაცდინო თავის მოტყუილებას. როდესაც ჩვენ მწერლებს იდეოლოგიურ გაუმართლებლობაში სდებენ ბრალს, რეაქციონურ განწყობილებებზე უყიჟინებენ — მათ ჰგონიათ რომ მხატვრულათ ბუმბერაზნი არიან. აქედან კიდევაც აკეთებენ შესაფერის დასკვნებს. ქართულ მწერლობისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები არ არის ხელსაყრელი თორემ... მაშინ ნახავდით რაც ვიქნებოდითო. (ჯერ კიდევ გოგებაშვილის „დედა-ენაში" ისწავლა, ყველა ქართველმა მწერალმა: მთვარიანი ღამე რომ არ იყოს... ...მე ვიცოდიო) ამდაგვარი თავის მოტყუილების სენით შეპყრობილი არიან განსაკუთრებით — შემოქმედებითი სიკვდილის პირზე მდგარი მწერლები, რომელნიც მხატვრულად იმდენად გამოიფიტენ რომ — აღარ შეუძლიათ ოდნავ რაიმე ახალი შეჰმატონ მწერლობას. მწერალთა ეს ყალბი, შემცდარი ილიუზია უნდა გაიფანტოს. საქმე მარტო იდეოლოგიურ მავნებლობაში კი არ არის, არამედ მხატვრულ უბადრუკობაშიდაც. კ. გამსახურდია ერთ-ერთ თავის წერილში სწერს, რომ ქართული მწერლობა დაამშვენებდა ევროპის ყოველ პატარა ერსო. ძალიან მეეჭვება. ჩვენ ვიცნობთ ევროპის პატარა ერების მწერლებს — რომელნიც მართლაც და საამაყო არიან. ჩვენც გვყავდა საამაყო მწერლები — მაგრამ დღევანდელი ქართული მწერლობის ერთ-მნიშვნელოვან ჯგუფში, ამაოდ დავიწყებთ ასეთი მწერლების ძებნას. შემოქმედებითი დაბერება, უუნარობა ფაქტი ხდება ქართული მწერლობის ძველ, დიდ ფენისათვის. აღარ ხდება მათი ახალი კადრებით გადახალისება. შემოქმედებითი გამოფიტვა, დაბერება, უუნარობა, შესაფერისი სოციალური ნიადაგის გამოცლა — არის მწერალთა ერთი ფენის მხატვრული სისუსტის, სიჩუმის, უიდეურობის, უფერულობის მიზეზი.

ამასთან ერთად აღსანიშნავია მწერალთა ერთი კატეგორიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიბლაგვე, გაურკვევლობა, პერსპექტივის უქონლობა. ერთმა მწერალმა ხუმრობით სთქვა: „ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძე, ავდექი და ორშაბათი აღარ იყოო. ასეთ პირობებში როგორ გინდათ გამართლებული, შეუმცდარი ნაწარმოები დავწეროო". ამ ხუმრობაში, თანამედროვეობის პროცესებში გაურკვევლობის, საზოგადოებრივი სიჩლუნგის — მთელი ფილოსოფია არის ჩაქსოვილი. მწერლისათვის საჭიროა დიდი აქტიურობის უნარი, მო-

წინავეობა, საზოგადოებრივი ალღოს, ძარღვის ქონება — რომ გაიგო და აითვისო დღევანდელობის დაკვრითი ტემპები, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, განუწყვეტელი კვირა, სოც-შეჯიბრი და ყველა სხვა, რეკონსტრუქციის პერიოდის თავისებურებანი. ჩვენი მწერლების ერთ ფენას ეს ალღო და უნარი არა აქვს, სამაგიეროთ ჭარბათ ეხერხებათ ობივატელური წუწუნი და ხითხითი.

ქართული მწერლობის ფენებათ დახარისხების დროს — უნდა აღვნიშნოთ ფეოდალური იდეოლოგიის წარმომადგენლების არსებობა. აი აქაცაა განსხვავება ჩვენსა და რუსს მწერლებს შორის, ვინაიდან იქ, მწერლობაში მკაფიოდ გამომჟღავნებული ფეოდალური იდეოლოგია უკვე აღმოფხვრილია. რით ავხსნათ თუ არა ამ გარემოებით შალვა დადიანის ვეებერთელა რომანი, თამარ მეფის ეპოქიდან „უბედური რუსი". ნუ თუ აქ არ სჩანს დასრულებული ფეოდალური მწერალი? შემდეგ: არავისათვის ახალი არ იქნება განცხადება შესახებ იმისა, რომ გამსახურდიას მწერლობა — ორგანიულათ აერთებს, ბურჟუაზიულ და ფეოდალურ იდეოლოგიას.

თანამედროვე მთელი რიგი მწერლების შემოქმედებითი განვითარება, თავისებურათ დახვეული გზებით მიიმართება. მაგალითად: ჩვენ არ შეგვიძლია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება არ დაუკავშიროთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, მაშინ როდესაც რობაქიძე — თავის საზოგადოებრივი პოზიციებით სცდლობს ჩვენთან დაახლოვებას. სპეციალურად არ შევჩერდები გრ. რობაქიძის ფილოსოფიაზე. ეს პირწავარდნილი იდეალისტური ფილოსოფიაა. ეხლა მე ხელთა მაქვს მისი საუბარი (წერილათ გადმოცემული) ბერძენ მწერალ კაზანცაკისთან. წერილი დაბეჭდილია გერმანულ ჟურნალის, საქართველოსადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ნომერში. ამჟამად წერილის გაცნობა ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ რომ ეს აზრები მთლიანად ახასიათებს მის შემოქმედებას.

ჯერ ჩვენ ვისმენთ უცნაურ ფილოსოფიას:

> „ყველაზე უბედური ჩვენი საუკუნისა — რობაქიძის აზრით — ის არის რომ ჩვენ მშიშარები ვართ და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გათიშული პიროვნებები ვართ. ჩვენ დაგვიკარგავს შინაგანი კონტაქტი, უნივერსალურ ძალებთან. ჩვენ დაგვიკარგავს ნდობა მამისადმი და ვგავართ უდაბნოში მოხეტიალე უძღებ შვილებს მამის სახლ-კარიდან გადაკარგულებს. აღმოსავლეთში მამა ბატონობს. დასავლეთში შვილი."

რაშია საქმე? ვინ შესძლებს ამ სომნაბულური იეროგლიფების გაგებას? ან და არის რაიმე გასაგები? ვფიქრობ რომ სრულებით არაფერი. უგზო-უკვლო მისტიკას რა აზრი და რაციონალობა უნდა

მოვთხოვოთ. მსოფლიო ომის, პროლეტარულ რევოლიუციის, ზეცის და ქვეშეთის დაფლობის საუკუნეში, რატომ ვართ მშიშარები ვერ გამიგია. თურმე უდიდეს კლასიურ სოლიდარობის ეპოქაში გათიშული პიროვნებანი ვყოფილვართ. თავის ფიქრით კულტურული, მოწინავე მწერალი დღეს თამამად აფენს მისტიკის შავ კარაბადინიდან, ძველთა-ძველ ჩვრებს: „შინაგანი კონტაქტი, უნივერსალურ ძალებთან". ამის შემდეგ მოთხოვეთ ახსნა რობაქიძეს, თუ რატომ ვგავართ უდაბნოში მოხეტიალე, მამის-სახლიდან გადაკარგულ — უძღებ შვილებს. სიზმრის ახსნის წიგნში თუ მოვძებნით ამის პასუხს. შემდეგ:

„ჰამლეტს მამა არა ჰყავს. იგი არა გრძნობს მამას თავის მეში, მამის ხმა მასში ოდნავ ლიცლიცებს და ეს გახლავთ ჰამლეტის ტრაგედია. ორესტეს წინააღმდეგ ყავს მამა, იგი გრძნობს თავის „მეში" მამის ძახილს, მისი მოქმედება მამის ხმასაა აყოლილი.

პოეტი უნდა ცდილობდეს ყოველ ორგანიზმში, ყოველ მოვლენაში მამა იპოვოს და ეს გამოგვიხატოს არა აბსტრაქტიულ ფორმით, არამედ რაც შეიძლება კონკრეტულად, დრამის, რომანის, ლირიკის სახით.

დრამაში უმთავრესია მითოსი, იგი კოსმიური მოვლენაა და არა ისტორიული. უმითოდ კვდება დრამა. (კიდევ კარგი რომ ეს შეხედულება რობაქიძემ თავის პიესა „უდეგაში" საბოლოოდ არ განავითარა. ბ. ბ.) სწორედ ამიტომაა რომ ბერძნული დრამები ჭეშმარიტი დრამებია, რადგანაც ყოველ სახის უკან დიონისო სტირის ან იცინის. შექსპირი არ არის თავად — მწვერვალი, იგი ულელტეხილის დასაწყისია. შექსპირში ცალი ფერი უდგას მითოსს, მაგრამ ინდივიდუალობა მასში მაინც ძლიერია."

შეიძლება თუ არა ამ დებულებების საწინააღმდეგო საბუთების მოყვანა, მის ავტორთან კამათი? არა. არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ რომ ეს უსაგნო ნისლია, რომელიც საუკუნოების განმავლობაში აბრუებდა უჭკუოთ „მოაზროვნეთა" თავებს. არც ერთი დასაყრდენი წერტილი, არც ერთი ხელშესახები აზრი. მამა, მე, დიონისო. მითოსი და სხვა ასტრალური, განყენებული სიმბოლოები. ეს უნუგეშოთ დაბანგულის, უსუსურობით გაჭვარტლულ სივრცეში, ხელების სავსავია. რობაქიძეს ჰგონია რომ ამ უშინაარსო, „იუროდიულ" აფორიზმებით — რაიმეს არკვევს. აზრთა ეს მარგალიტები მხოლოდ ღიმილს იწვევს. საშუალო საუკუნეებში ალქიმიკოსები ოქროს ქვას ეძებდენ. ქვა ვერ იპოვეს; მაგრამ მათი იდეოლოგია ჯერ კიდევ დარჩა. გრ. რობაქიძე აგრძელებს ოქროს ქვის ძიებას. მატერიალისტურ ფილოსოფიისათვის ეს აზრები, პრიმიტიული ტიტინია; იმ დროის ნაშთია, როდესაც ჯერ კიდევ ადამიანის თავში სწორად არ იყო დალაგებული სხვადასხვა მოვლენანი და საგნები.

ამ უაზრო ლოცვის შემდეგ გრ. რობაქიძე გადადის უფრო ნამთ-ყალიბებულ და აზრიან ბურჟუაზიულ ფილოსოფიაზე, ბურჟუაზიულ ესთეტიკაზე:

> ხელოვნება უფრო ზენარულია, იგი თავისებური ტეურგიაა, ჰეშმარიტი ხელოვნება უფრო ზენარულია, იგი თავისებური ტეურგიაა, ჰეშმარიტი მაგია, რომლის სიტყვა უხილავი სუნთქვით გვაჯადოებს და გვიპყრობს. იგი ანხორციელებს იდეას და ანკაცებს ადამიანს. ამიტომაც ჰეშმარიტი პოეტი ღმერთსავით ქმნის: პირველთაგანვე იყო სიტყვა.
>
> რომანშიაც ასეა. კარგი მოთხრობა კიდევ არ არის მაღალი ხელოვნება. აქაც უმთავრესია ხილულსა და უხილავს შორის არსებულ ბრძოლის წარმოდგენა. რომანს უწინარეს ყოვლისა პირწმინდათ კონკრეტიული შინაარსი უნდა ქონდეს, მაგრამ ეს ყველაფერი არაა. გმირსა და მკითხველს შორის დიდი მანძილი უნდა იყოს. მკითხველი გმირს უკან უხილავი პიროვნების მთელ ლაშქარს უნდა შეკრეტდეს, სულების მთელ ლაშქარს, მთელს ახალ სამყაროს, რომანის გმირი არ უნდა იქნეს პირწავარდნილი ფოტოგრაფია პიროვნებისა, იგი უნდა იყოს თვალმისაწვდენი ნილაბი უხილავისა."

აქ უკვე გრ. რობაქიძე დალაგებულათ ლაბარაკობს. იძლევა ხელოვნების დეკადენტურ გაგებას (ხელოვნება-ხელოვნებისათვის, ხელოვნება ტეურგიაა) და გვიშლის ბურჟუაზიულ თვალსაზრისს საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ. რომანის ხასიათზე მსჯელობაში საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემაა მოცემული. გმირი და მის უკან უხილავი ლაშქარი. ე. ი. გმირი, ერთეული პიროვნება და უსახო ბრბო. ეს არის ბურჟუაზიის საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალი და პრაქტიკა. ასეთია გრ. რობაქიძის იდეოლოგია, გამომჟღავნებული ფრიად გაშიშვლებულათ. ეს იდეოლოგია მის მიერ სრულათ გადატანილია მხატვრულ პრაქტიკაშიდაც. ეს დებულებები უკვე მხატვრულათ გაფორმებული არიან მის რომანებში: „გველის-პერანგი" და განსაკუთრებით კი „ფალესტრა"-ში. ამრიგათ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მატარებელია, მიუხედავად მისი, პრაქტიკულ საქმიანობაში — საბჭოთა პოზიციებისა.

ავიღოთ მემარჯვენე მწერალთა ორგანიზაციის საქმიანობა. რას აკეთებს „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია"? რა პოზიციებზე დგას ის? როგორ უპასუხებს ის რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნილებებს? ამ საკითხებზე ეს ორგანიზაცია პირდაპირ პასუხს ვერ მოგვცემს და არც არაფერი აქვს საპასუხო. „აკადემიური ასოციაცია" განდგომილია საბჭოთა საზოგადოებრივობისაგან. ის შემოფარგლულია მიუკარებელ განყენებულობით. ჩუმად, სადღაც დაკარგულ კუნძულზე თავის საქმეს აკეთებენ. (საერთოდ თუ აკეთებენ რამეს?)

ყოველ შემთხვევაში ეს საქმე საბჭოთა არ არის. საბჭოთა მკითხველ-ვერ ხედავს თუ რას აკეთებს აკადემიურ ასოციაციის მწერალთა უმრავლესობა. ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ მათი ინტერესები დაპირდაპირებულია ჩვენს ინტერესებს. მათი აქტიური წევრები აშკარათ ამჟღავნებენ თავის ანტი-საბჭოთა იდეოლოგიას — მასა კი ემალება თანამედროვეობას. მათ საქმიანობაში ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში საბჭოთა მწერლის მოვალეობის შესრულებას ვერ ვხედავთ. „აკადემიურ მწერალთა ასოციაციას" ხელმძღვანელობენ მათ შორის ყველაზე მეტად მემარჯვენენი. შევეხოთ აკადემიურ ასოციაციის პრაქტიკულ საქმიანობას. ეს უმთავრესათ არის გამომცემლობა „ქართული წიგნის" მუშაობა. ამ გამომცემლობაში კეთდება ჩუმი საქმე, რომელიც არავითარ შემთხვევაში პროლეტარულათ არ ჩაითვლება. დამისახელეთ რომელი პროლეტარული მწერალი გამოსცა „ქართულმა წიგნმა"? ან და საერთოდ თანამედროვე მწერალი, გარდა ორი მემარჯვენე მწერლისა, ა. აბაშელისა და კ. გამსახურდიასი. „ქართული წიგნი" სცემს კლასიკებს. ეს ცხადია კარგი საქმეა — მაგრამ მათ დავთრებში სხვაგვარათ ჩხრიალებს კლასიკების კაპიტალი. საქმიანი „აკადემიკები" კლასიკების ზურგს მოფარებულნი ცდილობენ დამალონ თავისი ნამდვილი ფიზიონომია. ისინი გულისხმობენ — რომ აკეთებენ „ქართულ საქმეს"; ნამდვილათ კი კლასიკების საბჭოთა მკითხველისათვის აპოლიტიური მოწოდებით, თავის კლასიურ საქმეს ჩარხავენ. „ქართული წიგნის" პოლიტიკა, — „აკადემიურ მწერალთა ასოციაციის" პოლიტიკაა. აკადემიური ასოციაცია საბჭოთა მწერლობის ფედერაციის მიმართ, აშკარა გულგრილობას იჩენს. ავიღოთ თუ გნებავთ ფედერაციის სახელმძღვანელო ორგანოებში წარმომადგენლობის საკითხი.

აკადემიურმა ასოციაციამ თავის წარმომადგენლათ გაგზავნა გრიშაშვილი. ეს ფაქტი უკვე განსაზღვრავს აკადემიკების დამოკიდებულებას ფედერაციისადმი. გრიშაშვილი თავის საარქივო გამოკვლევებით დატვირთული, მხოლოდ ზრუნავს დაკარგული და ისტორიას გამორჩენილი მწერლების აღდგენას ფედერაციაში. სხვა რამის გაკეთება საბჭოთა მწერლობის ფედერაციაში მას არ შეეძლო და არც შეუძლია. ჩვენს პლენუმზე საჭიროა გადამწყვეტი პირდაპირობით დავსვათ საკითხი, აკადემიურ მწერალთა ასოციაციის — ფედერაციაში საქმიანობის და მისი საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციაში დარჩენის შესაძლებლობის შესახებ.

როდესაც ქართული მწერლობის განწყობილებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ერთ ფრიად საინტერესო

დოკუმენტს. ეს არის ნიკ. მიწიშვილის მიერ, მწერალთა სხდომაზე, რამოდენიმე დღის წინეთ გაკეთებული მოხსენება. მიწიშვილის ძირითადი დებულებები, ჩვენი მოხსენებების თეზისების პირდაპირ საილუსტრაციო მასალაა. მოხსენებაში სჩანს, რომ მიწიშვილს მიზნად ჰქონია, ჩვენი მწერლობის დღევანდელი მდგომარეობის გარკვევა, მისი ოქტომბრის შემდგომი პროცესების ბუნების გამომჟღავნება, მწერლობის რევოლიუციასთან დამოკიდებულების ჩვენება და პერსპექტიული საკითხების დასმა. მიწიშვილი ამ საკითხების დასმის და დასკვნების გამოტანის დროს წარმოუდგენელ წინააღმდეგობებში არის ჩავარდნილი. შეგნებულად აბნელებს და აბუნდოვანებს მთელ რიგ აშკარა და ნათელ საკითხებს. პოლიტიკურ ხასიათის შეცდომებს-შეცდომებზე უშვებს. ერთის მხრივ ბრალს სდებს მემარჯვენე მწერლობას — მეორეს მხრივ იცავს მას რევოლიუციისაგან, (?) მემარცხენე ფრონტის მისამართით, მთელ რიგ ცილისწამებითი თავდასხმაზე მიდის და ობივატელურ ოხუნჯობით და ანდაზებით ასწორებს ანგარიშებს. შეიძლება მიწიშვილს მიზანი კარგი ჰქონდა — მაგრამ შედეგი მივიღეთ სულ სხვაგვარი. [1])

მემარჯვენე მწერლობის სოციალური ბუნების გამომჟღავნების დროს აუცილებელია შეეხოთ „სმენავეხოველობის" ტენდენციებს. თუ რამოდენიმე წლის წინეთ „სმენავეხოველობას" ჰქონდა ერთგვარი საბჭოთა ელფერი, რამოდენიმეთ დადებითი მოვლენა იყო დღეს ის წმინდა რეაქციონური მოვლენაა. „სმენავეხოველობას" თანამგზავრობასთან არავითარი კავშირი აღარ აქვს. ნაციონალიზმი, და მშენებლობა თავისთავად (და არა სოციალისტური) აი ჩვენი „სმენავეხოველობის" დღევანდელი ქვაკუთხედი. უკანასკნელ ხანების მწერლობაში „სმენავეხოველობის" სანიმუშო მაგალითებია. აშკარად უკიდურესი მემარჯვენე მწერალი კ. გამსახურდია ოდას უწერს სოციალისტური მშენებლობის სიამაყე „ზაგესს". ამით მემარჯვენე მწერალი სცდილობს გვითხრას, რომ ისიც იღებს სოციალისტურ მშენებლობას, ისიც თანამგზავრია; მაგრამ იქვე ამ ოდას აქვს მეორე სათაური „ქართლის ფალავანი". მაშასადამე „ზაგესი" ეს სოციალიზმის ძარღვი კი არ არის, არამედ საერთოდ ქართლის. საქართველოს აღმშენებლობაა. ამ ოდის შინაარსის განხილვაც კი აღარ არის საჭირო. სათაურების დაპირდაპირება ნათლად ამჟღავნებს მისი ავტორის განწყობილებას.

---

[1]) რედაქცია სტოვებს მოხსენების მთელ იმ ნაწილს, რომელიც არჩევს ნიკ. მიწიშვილის მოხსენების დებულებებს. აღნიშნული ნაწილი, წერილის სახით დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის მახლობელ ნომრებში. **რედ.**

„სმენავეხოველი“ მწერლები ხედავენ მშენებლობას, ლებულობენ მას არა როგორც სოციალიზმის საფუძველს, არამედ როგორც საერთო ეროვნულ მშენებლობას, კლასიური-პოლიტიკური მიზნების გარეშე. არაფერს არ ლაპარაკობს შრომა, მშენებლობა თავისთავად, სოციალისტური გამიზნულობის გარეშე.

ავიღოთ გრ. რობაქიძის პიესა „უდეგა“ აქ შრომობენ, ებრძვიან ბუნებას, აშენებენ — მაგრამ ყველაფერი ეს ხდება კონკრეტულ დროისა და სივრცის გარეშე. აქ მართლაც-და რობაქიძის მარადიული „მითოსი“-ა მამოძრავებელი. ასეთი შემოქმედებითი გზები — საბჭოთა მწერლობის ფარგლებში არ შედის. პირიქით.

ქართულ მწერლობაში ასეთ შემოქმედებით განყენებულობასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ მეორე მოვლენას: ეს არის შემოქმედებითი მუშაობის შენაცვლება ვიწრო „საქმოსნობით“ (делячество). ამით მწერლები ემიჯნებიან, საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით ამოცანებს. ამ ხაზისაა „აკადემიკების“ „ქართულ წიგნში“ საქმიანობა. ამ დებულების საილუსტრაციოდ ფრიად საინტერესოა ნ. მიწიშვილის პოეტური არგუმენტაცია („ლექსი სახელგამზე“). უწყებებში, თარგმანებზე და სხვადასხვა „უიდეოლოგიო“ სამუშაოებზე — მწერლებს თანამგზავრებათ წარმოუდგენიათ თავი. ეს ტეხნიკური ინტელიგენციის აპოლიტიური ნაწილის თვისებებია — რომელთაც გადმოტანა მწერლობაში დაუშვებელია და შეუძლებელიც არის.

საჭიროა აღინიშნოს წვრილ-ბურჟუაზიული მწერლების მემარჯვენე ჯგუფი. წვრილი ბურჟუაზია მწერლობაში იძლევა, როგორც პროლეტარიატის ისე ბურჟუაზიის თანამგზავრსაც. ქართულ ლიტერატურაში წვრილბურჟუაზიულ მწერლების დიდი ფენაა, თითქმის ყველაზე მეტი. მიხ. ჯავახიშვილი თავის „დამპატიჟეთი“ და საერთოდ თავის შემოქმედებითი პროდუქციის უდიდესი ნაწილით, ბურჟუაზიის თანამგზავრია და არა პროლეტარიატის. მწერლობა რომელიც ობივატელების და მეშჩანების სულისკვეთებით სცოცხლობს, მთელი თავის არსებით არის ანტისაბჭოთა, ბურჟუაზიული მწერლობის ფრონტის გამმაგრებელი.

ჩვენს ლიტერატურაში თვალსაჩინოა უიდეურობის, დაცემულობის, ნეიტრალობის შემოქმედებითი აპოლოგია. საშუალი, უფერული, აქტიურ საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებული მწერლობა, ქმნის ჭაობს ლიტერატურაში. ამ მოვლენის უარყოფა ძნელია და შეუძლებელიც, რადგან ლიტერატურის სინამდვილე, ფაქტებით ამტკიცებს მწერლობის ასეთი ფენის არსებობას. ახალი მკითხველისთვის მიწო-

დებულ მხატვრული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ ხაზით მიიმართება.

ეხლა გადავიდეთ თანამგზავრული მწერლობის გარკვევაზე. ამ ჟამად როგორი ამოცანები სდგას თანამგზავრობის წინაშე? რეკონსტრუქციის პერიოდი, როგორც პროლეტარული მწერლობის, ისე თანამგზავრობის წინაშეც აყენებს ახალ და მრავალ მხრივ ამოცანებს. დღეს თანამგზავრობას მეტი შემოქმედებითი საქმიანობა სჭირდება — ვიდრე ოდესმე. მან ახალ საბჭოთა მკითხველს უნდა მისცეს ჯანსაღი, რევოლიუციონური და იდეოლოგიურ-მხატვრული თვალსაზრისით მაღალი ღირსების შემოქმედებითი პროდუქცია. თანამგზავრობა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს პროლეტარულ მწერლობას, ამას წინათ აზერბაიჯანის პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე — გლეხური თანამგზავრი მწერალი სანილი, ამტკიცებდა რომ პროლეტარული მწერლობის, გვერდის ახვევით, მის გარეშე გავხდებით რევოლიუციის კარგი მწერლებიო. ეს შემცდარი გზაა.

კომუნიზმის კულტურულ ძალებთან თანამშრომლობის გარეშე მწერალს გაუჭირდება გახდეს კარგი თანამგზავრი.

დღეს თანამგზავრობაში ძალთა გადაჯგუფება სწარმოებს. ერთი ნაწილი კიდევ მუდმივ რყევას განიცდის; ნაწილი აშკარა მემარჯვენე გზას დაადგა, საბოლოოდ გაუთანამგზავრდა ბურჟუაზიას. ნაწილი კი მეტი გამორკვევის საშუალებით მჭიდროთ დაუკავშირდა პროლეტარულ რევოლიუციას. თანამგზავრობის სოციალური საფუძველი წვრილი ბურჟუაზიაა. ამით ნათელი ხდება მისი მერყეობაც და მოპირდაპირე ბანაკებში გადანაწილება. თანამგზავრობაზე საკითხის დასმის დროს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ამ. თერმინს. ამ ბოლო ხანებში გამომჟღავნებული თერმინის რევიზია, ჩვენი აზრით არ არის აქტუალური საკითხი. თუ საჭირო იქნება თერმინი თანამგზავრობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ჯერჯერობით ის ძირითადში სწორია. უმთავრესია საკითხი გარკვეულ იქნეს არსებითი ხაზით.

პოლიტიკური დეკლარაციებით თანამგზავრობის ხანა გავიდა. ეს დღეს ყველა მწერალმა უნდა შეიგნოს. საჭიროა შემოქმედებითი კაპიტალი. მეორე: წარსულში რევოლიუციონერობის პროცენტებით თანამგზავრობა არ შეიძლება. გარდა ამისა მწერალი, რომელიც მხოლოდ წარსულის შესახებ სწერს (თუნდ რევოლიუციაზედაც) კიდევ არ არის თანამგზავრი. ზოგიერთი მწერლები სწერენ მხოლოდ 1905 წლის რევოლიუციაზე და ამით მოაქვთ თავი დიდ თანამგზავრათ. ისინი თანამედროვეობაში გადმოსვლის უნარს ვერ ამჟღავნებენ. ეს

კი თანამგზავრობისათვის აუცილებელია. მაგალ. ლ. ქიაჩელმა ძლივს მოახწია 1910 — 14 წლამდე. მის თანამგზავრობაზედ საბოლოოდ და გარკვევით ვილაპარაკებთ მაშინ, როდესაც ის მოახერხებს დღევანდელობამდე მოხწევას. ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ თანამგზავრ მწერლებს უფლება არ აქვთ წარსულზე სწერონ. სრულებითაც არა. ყოველგვარი მასალის მხატვრულათ გაფორმების დროს მთავარია თვალსაზრისი, რომელიც არკვევს მის თანამგზავრულობას, მაგრამ როდესაც მწერალი ყოველგვარი ეპოქიდან ახერხებს მასალის აღებას, მხოლოდ არა თანამედროვეობიდან, ეს ფრიად დიდ ეჭვებს ჰბადებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის მწერალი, რომლისთვისაც თანამედროვეობა უცხოა, ახალი მასალა მისთვის დაუმორჩილებელია — თანამგზავრი არ არის.

ჩვენი მწერლების ერთი ჯგუფი 1905 წლის რევოლიუციაზეა გაყინული. ასეთია ვ. რუხაძე, ა. აბაშელი და სხვ. ლ. ქიაჩელიც ამ ჯგუფს ეკუთვნის იმ განსხვავებით რომ მოძრაობის უნარს ამჟღავნებს, მაგრამ ის ჯერ კიდევ გზაშია. ზოგიერთი იდეოლოგიითაც და მასალითაც წარსულში ჩარჩენილი მწერალი, გვაყვედრის ამ წარსულს. ამ მხრივ დამახასიათებელი არის ალ. აბაშელის დეკლარატიული განცხადება ლექსში — „ახალგაზრდობა". ის ამბობს რომ დღევანდელ ბრწყინვალე შენობის ასაგებათ აგურები მეც მომიტანია-ო. მე წარსული მაქვს. მე საქმე გამიკეთებია-ო, ეხლა სჯობია დავივიწყოთ ბრძოლა, შევიყვაროთ ერთმანეთი და საერთო ჩირაღდნები ავანთოთ. ამდაგვარ განცხადებით პოეტი თანამგზავრი ვერ გახდება და არც ჩვენ მივიღებთ — კლასიური საზღვრების წაშლის წინადადებას. თანამგზავრობა კლასიურ მშვიდობიანობას არ გულისხმობს. პირიქით. აუცილებელია თანამგზავრების, ბურჟუაზიულ მწერლობისაგან გადამჭრელი გამიჯვნა. მერყეობის უკუგდება და სოციალისტურ მშენებლობის პერსპექტივის ორგანიული შეთვისება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ ბრძოლა წითელ ხალტურასთან, თანამგზავრობის მიტმასნების ტენდენციებთან გაიგივეობასთან. ჩვენ გაზ. „5 მაისში" გამოვამჟღავნეთ ამ მავნე ტენდენციების ბუნება. მაგრამ ამ ხაზით საჭიროა თანმიმდევრობითი ბრძოლის წარმოება. თანამგზავრ მწერლების ბირთვი თანდათან ძლიერდება. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება რომ ერთმა თანამგზავრმა მწერალმა, შესძლო ისეთი ორგანიული გადამუშავება, რომ სამართლიანად დაიმსახურა პროლეტარული მწერლის სახელი. მე ვლაპარაკობ გიორგი ქუჩიშვილზე, რომელიც ეხლა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრია.

მეტად ძნელია რომელიმე ჯგუფის მთლიანათ თანამგზავრულათ აღიარება — მაგრამ „მემარცხენეთა“ ჯგუფზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შეუძლიათ სავსებით დაიპყრონ თანამგზავრობის პოზიციები. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ სიმონ ჩიქოვანი — როგორც გარკვეული თანამგზავრული მწერალი. ნაწილობრივ ესევე ითქმის დემნა შენგელაიაზედაც. ეს მწერლები სცდილობენ დაუახლოვდენ პროლეტარულ იდეოლოგიას, ორგანიულათ შეითვისონ პროლეტარული მსოფლმხედველობა.

ჩვენი განცხადება „მემარცხენეთა“ უმეტესობის თანამგზავრული გზების შესახებ ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ვითომც-და ჩვენსა და მათ შორის ყველა სადაო საკითხები წაიშალა.

ერთეულ მწერლებიდან ჩვენ გვყავს მნიშვნელოვანი თანამგზავრები. მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია პოეტი გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი თანამგზავრი; თანამგზავრობის გზაზე მას ჰქონდა ჩავარდნები, მაგრამ ის დღეს სავსებით გამორკვეული თანამგზავრია.

„გლეხური მწერლის ფრთიდან“ — როგორც თანამგზავრი აღსანიშნავია სანდრო შანშიაშვილი.

საბჭოთა მწერლების ფრონტზე ერთგულათ მუშაობენ მთელი რიგი მწერლებისა, რომელთაც დღემდე ჩვენ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით — (რაც უარყოფითი მოვლენაა) ასეთია: დ. სულიაშვილი, ვ. გორგაძე, გრ. ცეცხლაძე, და სხვ. ეს მწერლები სცდილობენ თავის წვლილი შეიტანონ საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მარაგში.

ყურადღება მისაქცევია მწერლობის ის ფენა, რომელიც იბრძვის თანამგზავრული პოზიციების დაპყრობისათვის. ამ მოვლენის დამახასიათებელ მასალას იძლევა რამოდენიმე მწერალი „ცისფერ ყანწელთა“ ჯგუფიდან. ჩვენ მათთვის ერთბაშათ თანამგზავრობის სახელის მიკუთვნება არ შეგვიძლია — ვინაიდან უახლოეს წარსულში ისინი ამყარებდენ პერმანენტულ წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობას. „ცისფერ ყანწელთა“ მწერლებიდან ზოგიერთები თანმიმდევრობით სცდილობენ თანამგზავრულ გზაზე დადგომას. მაგ. ტიციან ტაბიძე იძლევა იმედს, რომ გასწყვეტს კავშირს მერყეობასთან. ამ მწერლების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ვ. გაფრინდაშვილი და რ. გვეტაძე. ნ. მიწიშვილს — რატომღაც ყველაზე მეტი პრეტენზიები აქვს თანამგზავრულ მწერლობაზე. მისი უკანასკნელი მოხსენების დებულებები წვრილბურჟუაზიულ მერყეობის და „აქეთ-იქითობის“ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ. ეს არის ორ ბანაკს შორის

გამართული საქანელა. ასეთივე წინააღმდეგობანია მიწიშვილის „ევროპეიაში“.

თუ მიწიშვილი აღმოფხვრის თავის შემოქმედებაში მეშჩანურ და ობივატელურ ფილოსოფიას—მაშინ ის შესძლებს თანამგზავრათ გახდომას. ჯერჯერობით მისი თანამგზავრათ აღიარება აშ შეგვიძლია.

ასეთი დანაწილება არსებობს თანამედროვე ქართული მწერლობის არა პროლეტარულ ნაწილში.

როგორია საბჭოთა მწერლობის ფედერაცია? ფედერაციამ დღემდე ვერ შესძლო თავის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება, ის ვერ გახდა საბჭოთა მწერლობის შემკრებ ცენტრად. ფედერაციაში არიან მთელი რიგი მწერლებისა, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ საბჭოთა მწერლობასთან. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ფედერაციის მუშაობის ძირეულათ გარდაქმნას, ჩვენ საბჭოთა მწერლობის ფედერაცია არ გვექნება.

მე სრულიადაც არ მინდა საბჭოთა მწერლობის ფედერაციის მუშაობის სისუსტე დავაბრალო მხოლოდ არა პროლეტარულ მწერლობას. პლენუმზე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროლეტარულ მწერლების დელეგაცია ფედერაციაში მუშაობს სუსტად და მათ უნდა დავავალოთ, რომ მომავალში გააცხოველონ მუშაობა. მაგრამ ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ რომ ფედერაციის მუშაობის სისუსტის მთავარი მიზეზი მასში შემავალი დანარჩენი ორგანიზაციებია. აუცილებელია ფედერაციაში შემავალმა ჯგუფებმა ერთგვარი პასუხისმგებლობა იგრძნონ. როდესაც ფედერაციაში იმყოფებიან ისეთი მწერლები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ საბჭოთა მწერლობასთან ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შემავალი ზოგიერთი ჯგუფები უპასუხისმგებლოთ ეკიდებიან საბჭოთა მწერლობის სახელს. საჭიროა საბჭოთა მწერლობის ფედერაციის წმენდა, მისი ძირითადი რეორგანიზაცია. ფედერაცია უნდა გადაიქცეს თანამგზავრულ მწერლობის გაძლიერების იარაღათ.

აუცილებლათ საჭიროა რომ ჩვენ რაც შეიძლება მჭიდროთ დავიახლოვოთ თანამგზავრები. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ თანამგზავრობის მიჩქმალვის ტენდენციებს, ულტრა-მემარცხენეობის რეციდივებს რომელნიც არ აფასებენ თანამგზავრობას და ყოყოჩობენ.

თანამგზავრული მწერლობის გაძლიერება ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა. დღეს ჩვენ გვყავს კადრი თანამგზავრებისა, რომელიც უნდა გავაძლიეროთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ თანამგზავრი მწერლები დაუახლოვოთ პროლეტარიატის იდეურ პოზიციებს.

(დასასრული შემდეგ №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე

ვიბრძოლოთ სოციალისტური ადამიანისთვის

„...ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის კვდება რაიმე, მაგრამ იმას, რაც კვდება უბრალოდ სიკვდილი კი არ სურს, ის იბრძვის თავის არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს. ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის იბადება, რაიმე ახალი. მაგრამ ის რაც იბადება, უბრალოდ კი არ იბადება, არამედ ჩხავის, ყვირის, იცავს თავისი არსებობის უფლებას.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, იმას შორის რაც კვდება და რაც იბადება,—აი ჩვენი განვითარების საფუძველი“.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ დაცემულობის გამომწვევ მრავალ მიზეზზე (როგორიცაა უსწავლელობა, ხანგრძლივი უმუშევრობა, საკუთარი კლასისაგან ჩამოშორება, უბინაობა და სხვ.) და დაცემულობის გამოვლინების ნაირ ფორმაზე, ვინაიდან საერთოდ საბჭოთა ახალგაზრდობის ერთ პატარა ნაწილში არსებული დაცემულობის განწყობილებათა შესამჩნევი ტალღა საგრძნობლად შენელდა, რადგან მიმდინარე პერიოდში პესიმისტური აზრების და განცდების „ტრიუმფალურ“ სვლას ნივთიერი ბაზა გამოეცალა. რასაკვირველია, მხედველობაში არა მაქვს ჩვენთვის სოციალურად უცხო საზოგადოებრივი ფენები (დაცემულობის „ფილოსოფია“ უმთავრესად ზედმეტი, ნაკაცარ ელემენტებისგან მომდინარეობს) და საზოგადოების „ნეიტრალური“ ფენების ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ შინაურ ემიგრანტებს ვუწოდებთ; ეს ფენები განაგრძობენ დაცემულობის ხაზით „განვითარებას“.

რა არის დაცემულობა და საიდან მომდინარეობს ის სოციოლოგიური თვალსაზრისით? დამტკიცებულია, რომ დაცემულობის ნაკადი ჩვენს წრეში ჩვენი ნივთიერი და კულტურული რესურსების სიღარიბიდან და მისგან გამოწვეულ სულიერ განწყობლებიდან მომ-

დინარეობს. ამხ. ლუნაჩარსკის არ იყოს, ჩვენ ეს „სულიერი განწყობილება" არ უნდა დავუკავშიროთ, რომელიღაც ფიზიოლოგიური მიზეზების ბიოლოგიურ თვისებას — თითქოს ასეთები უკმაყოფილონი იბადებიან, ასეთია მათი პლანიდა, რომ ისინი აუცილებლად პესიმისტები უნდა იყვნენ. დაცემულობის ძირები სოციალურია, თუმცა ზოგიერთ პირობებში და ნაწილობრივ, ბიოლოგიური მიზეზებიც უწყობს ხელს მის გამოვლინებას.

დაცემულობის ფილოსოფიით გამსჭვალული არიან უმთავრესად საზოგადოების დეკლასიური ელემენტები, რომელთაც სოციალური სიკვდილი მოელით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა მთლიანად დაზღვეულია დაცემულობის ნაწილობრივი გავლენისაგან. რასაკვირველია, ჩვენ ვანსხვავებთ ამ მოვლენის სპეციფიკას ახალგაზრდობის სხვადასხვა ფენაში, ამაში მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიული ფსიქიკა ვერ ერკვევა.

არა ვართ პანიკური ეფექტების მოყვარული ხალხი, მაგრამ ვიტყვით ხაზგასმით, რომ ჩვენს გენერალურ ამოცანებთან ბიოფსიქოლოგიური მასალის ნაწილის ნაწილობრივი დაუკავშირებლობა არსებობს, ეს კი საუკეთესო ნიადაგია ყოველგვარი ყოფილი არანორმალურობისათვის.

სწორად დასმული პროგრამა საკითხის ნახევრად გადაჭრას უდრის. ყოფის პრობლემების რკვევის დროს ზოგიერთი ამხანაგი ივიწყებს ან ავულგარებს რეალური ბაზისის და ზედნაშენების თეორიას და ნარკვევის მაგივრად ბელეტრისტული ვარჯიშობა გამოუდის. მხედველობიდან ეპარებათ მთავარი: საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალები მწარმოებელი ძალებია (რეალური ბაზისი), რაზედაც შენდება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენები და რომელსაც ეფარდება საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები. მაგრამ ზედნაშენსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ბაზისზე; ლენინის მითითება: „сознание человека не только отражает бытие, но и творит его", არსებული ზედნაშენების ყველა სახეზე ვრცელდება.

კაცობრიობის მოძრაობა A წერტილიდან B წერტილამდე, B წერტილიდან C წერტილამდე და ასე შემდეგ თვით D წერტილამდე — არასოდეს არ ხდება მარტოოდენ ეკონომიკის გზით. იმისათვის რომ A წერტილიდან მივიდეთ B წერტილამდე და სხვ... საჭიროა ყოველთვის ავმაღლდეთ „ზედნაშენამდე" და იქ მოვახდინოთ ზოგი ცვლილება. მხოლოდ ასეთ ცვლა-

ლებათა შემდეგ შესაძლოა მივაღწიოთ სასურველ წერტილს*) აი ჩვენი მეთოდოლოგიური გამოსავალი, დიალექტიკური მატერიალიზმია საზოგადოებრივ მოვლენათა კვლევის უნივერსალური მეთოდი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც საშუალო გლეხობიდან გამოსული სოფლის კომკავშირელები მორბიან ტფილისში და ჰგონიათ, რომ აქ დაფნის გვირგვინები ელის მათ. თურმე ცხოვრება უფრო რთული ყოფილა და ურთულესი წინააღმდეგობებით სავსე. მიდიან შრომის ბირჟაში, იქ კი გარკვეული ლოდინია საჭირო და ამით „გაცრუებულნი" ჰაერში ეკიდებიან. ასეთი ახალგაზრდა გაიგებს, რომ ტფილისში მწერლების ფედერაცია არსებობს და მწერლები ლექსების წარმოებით კარგად ცხოვრობენ, ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია ამ ახალგაზრდას. ის ეცნობა „ცნობილ" მწერლებს და პოეზიისათვის განკუთვნილი ჰგონია თავისი ახირებული თავი. მწერლობა, თურმე, ნუ იტყვით, ადვილი საქმე ყოფილა, ვინაიდან არ საჭიროებს შრომის ბირჟას, დიდ ცოდნას და, რაც მთავარია, შ რ ო მ ა ს. უკვე დასწერა პირველი „ლექსი", რომელიც დიდ მნიშვნელოვნად ასე დაათავა: „ეს ქვეყანა ძაღლის კუდივითაა მოგრეხილი" და პროსპექტის ბოგემური ფსიხოლოგიით იმსჭვალება, სახელგამის გზაც ისწავლა, — ყოველდღე ნახავთ მას სახელგამის ცნობილ დერეფანში ტრაღიკული მანერით მობაასეს რომელიმე ლიფსიტა მწერალთან ცხოვრების არარაობის თემაზე, რომ მას არ აფასებენ და არ აძლევენ ფულად დახმარებას ან პენსიას. ბევრ დაუმსახურებელ მწერალს კი ეძლევა პენსია საქართველოში. ამ მოპოეტო ახალგაზრდის ლოღიკა პენსიების საკითხში სწორია, მაგრამ როდესაც ოცი წლის ახალგაზრდა ინვალიდობას იდეალად გაიხდის, — ეს ასეთი ტიპის ახალგაზრდების სოციალური სიკვდილის მომასწავებელია.

მემარჯვენე მწერლების ყოფა-ცხოვრება ძალზე წვრილ-ბურჟუაზიულია, ბოგემური, ჭაობის მაგვარი, განსაკუთრებით საქართველოში; ლოთური ცრემლები, მიმინო, ტიტველი სხეულით ლაზღანდარობა, სპირტიზმი, ეკლესია, და სხვ. — აი მათი ყოფა-ცხოვრებითი სტიქია. ნაწილობრივ ჩვენი სისუსტის გამო ასეთ ატმოსფეროში ვარდება მოპოეტო მოზარდი და ცხადია, თუ როგორ უარყოფითად, გამხრწნელად იმოქმედებს მასზე ეს სიდამპლე, ეს ჭაობი.

აი განცხადება სოფლიდან ჩამოსული ერთი მოპოეტო კომკავშირელის, რომელიც უკვე ნაწილობრივ გადაგვარების რონებზეა შემდგარი:

---

*) ღია წერილი გოლცევისადმი — „За двадцать лет".

„ჩემი სოციალური მდგომარეობა უკიდურესია. პარტიის ხაზი კი ღარიბთა (რასაკვირველია, კლასიური ხედვით) ფენებს ეხმარება. მე ვარ კომკავშირელი მწერალი, ვმუშაობ პროზაზე, ოჯახური მდგომარეობა ასეთია: მამა ჩემი სოფლის უკიდურესი მუშაკაცია, შიშველი— მთელი დღეები მიწის ქერქში ქრება... ახლა, მე რომ არ გავქრე, რა თქმა უნდა, როგორც უფრო კომკავშირელი გთხოვთ მატერიალურ დახმარებას. ვიცით, რომ ელემენტები, ჰქმნიან მთლიანობას და მეც როგორც ელემენტი დამიცავით, შემიბრალეთ! და... ისე კი არ მოვიქცევი, როგორც ესენინი, არა, მე მინდა: სწავლა, მე მინდა ვიყო ერთ-ერთი კომკავშირელი და არა მწერალი, მინდა ვიბრძოლო ახალი ყოფისათვის... შეიბრალეთ. შეიბრალეთ მთიულეთიდან მოსული...“.

განცხადება გარკვეულად ლაპარაკობს, რომ განმცხადებელი კომკავშირელი არაა, ყოველ შემთხვევაში ცუდი კომკავშირელია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ კომკავშირელს დონკიხოტური გატაცება უნდა ახასიათებდეს, პირიქით, ეს ფუქსავატობის გამომხატველია, მაგრამ რომ კომკავშირელი, იქნება ის ხარატი, კალკულატორი თუ დამწყები მწერალი, ახალგაზრდა ენტუზიასტი, სოციალისტური ყოფისათვის მებრძოლი მტკიცე ჯარისკაცი უნდა იყოს და არა წირპლიანი „გულახდილობით“ პანიკური მოტივებით მოვაჭრე, ეს ეჭვს გარეშეა; ყალბი ნოტები, პოლიტიკური უვიცობა, მანჭიობა, პედანტიზმი, „ზვიადობა“ და გულგატეხილობა კომკავშირელს როდი ახასიათებს.

რასაკვირველია, ამ მოპოეტო ამხანაგის ნაწილობრივ გადაგვარებაში ნაწილობრივ პროლეტარული მწერლობის საზოგადოებრივობაა დამნაშავე, რომ პანიკური განცხადების ავტორი ვერ მოაქცია საზოგადოებრივად საჭირო კალაპოტში.

მაგრამ მარტო ძიძაობით საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე როდის გაკეთებულა, რომ მოცემულ შემთხვევაში გაკეთებულიყო. საჭიროა საკუთარი აქტივობის, ინიციატივის, დაინტერესების ამოძრავება და არა წმუკუნი იმის შესახებ, რომ მამა „მიწის ქერქში ქრება“ და შვილსაც „გაქრობა“ მოელის.

საჭიროა მასობრივი პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ამუშავება, რომ ასეთი ყალბი კომკავშირელები ვამხილოთ. ის ახალგაზრდები, რომელთაც ჯიბეში კომკავშირის გაქონილი ბილეთები უდევთ და პოლიტიკურად უმეცრები არიან, როდესაც პარტია და ხელისუფლება უამრავ ფულს ხარჯავს პოლიტ-სკოლებზე. საჭიროა ვამხილოთ ის ახალგაზრდები, რომელნიც კომკავშირის რიგებში ითვლებიან და მხოლოდ საშუალო სტატისტიკურ ციფრებს წარმოად-

გენენ. საჭიროა გავიცნოთ ის ამხანაგები, რომელნიც „პატარა" საქმეებს თაკილობენ, რცხვენიათ „პატარა" პატიოსანი შრომის და ამჯობინებენ უგზო-უკვლოდ ყიალს და ისტერიულ კივილს: „გვიშველეთ", და თუ, შეუძლებელია მათი გასწორება, გავდევნოთ ორგანიზაციიდან, როგორც ჯანსაღ ორგანიზაციაში პესიმიზმის მთესავები, რომელნიც ამ გზით ორგანიზაციაში გადაგვარებისათვის იდეურ არეს ამზადებენ.

ბოლშევიკების ძველი გვარდია ათასჯერ უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე ეს ახალგაზრდები, რევოლიუციონური მუშები აუტანელ ნივთიერ და პოლიტიკურ პირობებში მუშაობდენ, ვიდრე ეს ცრემლიანი მოზარდები, ახალგაზრდა ბებრები, მაგრამ მათ არც კი იცოდენ, თუ რა იყო სულიერი მოდუნება, პირიქით, ვეფხებივით იბრძოდენ ოქტომბრისათვის. ჩვენი გმირული წითელი არმიის ნაწილები მშიერ-მწყურვალნი და ფეხშიშველნი იბრძოდენ უამრავ ფრონტზე, მაგრამ, მიუხედავად აუტანელი ნივთიერი პირობებისა, ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. საქართველოს სახელოვანი „სპარტაკელები" დაკონკილ ხალათებით იბრძოდენ საქართველოს ოქტომბრისათვის და გაიმარჯვეს! მაშასადამე, ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი მხოლოდ კუჭი როდი ყოფილა, — ეს იქნებოდა კუჭის მატერიალიზმი, — არამედ იდეათა ის სამყარო, რომლის განაღდებისათვისაც სწარმოებს დიდი ლენინური ლაშქრობა.

აი ვის უნდა მივბაძოთ, აი ვისგან უნდა ვისწავლოთ ბრძოლა და შრომა! პატარა დაბრკოლებების გამო კი არ უნდა ვიცრემლებოდეთ, არამედ უნდა ვიბრძოდეთ მათი გადალახვისათვის, თორემ სლოკინი, ძლაშე ცრემლი და ხელების ყველაფერზე ჩაქნევა ადამიანის სოციალურ სიკვდილს მოასწავებს, აქედან კი ფიზიკურ სიკვდილამდე მოკლე მანძილია.

ვინ არიან ესენი, რომელნიც თანადროულობას მხოლოდ პირადი კეთილმოწყობის ასპექტით უყურებენ, მებრძოლი კლასის იდეალებს სახამებლიან საყელოზე და „იუბკაზე" სცვლიან, ვინ არიან ეს აცდენილი ტიპები, რომელნიც „იუბკისათვის" ყველაფერს დასთმობენ, რომელთა შთაგონების ბაზაა „იუბკა" და მხოლოდ კუჭი? ცხადია, ახალგაზრდობის ერთი პატარა ნაწილი, რომელიც უმთავრესად წვრილ ბურჟუაზიული წრიდანაა გამოსული და ახალი მოსულია კომკავშირში.

ეს თემა ბევრჯერ დაგვიმუშავებია კომკავშირული გაზეთის ფურცლებზე, აღნიშნულ საკითხზე ხშირად თავსდებოდა აღნიშნულ გაზეთში ფელეტონები და ამიტომ მოცემული წერილის საილუსტ-

რაციო მასალით დატვირთვა ფუნქციონალურად გაუმართლებელი იქნება, თუმცა საზოგადოებრივ ინტერესს არ იქნება მოკლებული ორი დამახასიათებელი მაგალითის მოყვანა:

ამხ. პონეევეჟსკი თავის საინტერესო ბროშურაში „ფოქსტროტის ტალღებში" სწერს, რომ ლენინგრადის ერთ-ერთ დანსინგში გამართულ კონკურსზე „ლამაზი" ფეხებისათვის პირველი ჯილდო... მოკოლადის ფაბრიკის მუშა-ქალმა მიიღო. ზედმეტი არ იქნება, თუ გავეცნობით ამ ახალგაზრდა მუშა-ქალის ზოგიერთ ბიოგრაფიულ ფაქტს, მით უმეტეს, რომ ეს ქალიშვილი მუშა-ახალგაზდობის ერთი პატარა ნაწილის განსაზღვრულ ტიპს წარმოადგენს. „ლამაზ-კანჭებიანი" გოგო ლენინგრადში ჩამოსულა გომელიდან 1925 წელს; ქალი ახერხებს ფაბრიკაში და შემდეგ კომკავშირშიც შესვლას. ითვლება ენერგიულ მუშა-ქალად, ჯამაგირს უმატებენ... და ნელ-ნელა იწყებს „ლამაზ" ცხოვრებას, სულ სხეულზე ფიქრობს და მაესტროზე, კომკავშირს სცილდება და საღამოობით „პიჟონებში" ტრიალებს. ცხადია, აქედან დანსინგამდე, თავბრუდამსხმელ ჩარლსტონამდე მოკლე მანძილია და „ლამაზი" ფეხების ხულიგნების მიერ დაჩქმეტისათვის ამ ქალიშვილმა ჯილდოდ ერთი კოლოფი საზღვარგარული პუდრა „კელკფლერ" მიიღო. ასეთი „ლიზეტები" (ამ მუშა-ქალმა თავისი სახელი ელიზავეტა უკვე „გააკეთილშობილა"!) ჩვენშიც მოიპოვებიან და როდესაც ამის შესახებ ვწერთ, რომ ეს მდგომარეობა უკვე ნამდვილი გადაგვარების, მტრულ ელემენტებთან სოციალური შეზრდის სიმპტომია, ზოგი იდეოლოგიურად მტკიცე ამხანაგიც კი ეჭვდება მოსაზრების სერიოზულობაში და გულუბრყვილოდ, „ვეგეტარიანულად" უდგება ამ ყოფის საშიშროებას.

მინდა შევეხო ერთ პარტბილეთიან ქალს, გ ა ლ ი ნ ა კ-ს, რომელიც საჩხერის საბავშო სახლის ხელმძღვანელია და რომელსაც გასაფრენად გამზადებული ეროსები თვალების ქუთუთოებზე უსხედან. ვიწყებთ ამბავს! მაგრამ ვთხოვთ ამხ. მკითხველებს ეს ფელეტონურ გადაჭარბებად არ მიიღონ, ვინაიდან ყველაფერი ქვემოთ აღნიშნული ნამდვილი, კონკრეტული პიროვნების კონკრეტული ქცევების ასახვაა.

მაგრამ რითაა ცნობილი ეს პროვინციალური მთვარე და „განმანათლებელი"? უფრო იმით, რომ პარტიის კანდიდატი გალინა მხოლოდ კუჭით „აზროვნობს" და ზარმაცია (კრებ რობინსონი ამბობდა, რომ ის, რასაც ჩვენ სიზანტეს ვუწოდებთ, არსებითად საკუთარი უვარგისობის შეუგნებელი შეგნებაა).

ქალი, რომლის დანიშნულებაა მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდა, რელიგიურ დღესასწაულებზე დაიარება და ვაჭრების

სადღეგრძელოებს სვამს „ვახტანგურად". საბავშო სახლში საქეიფოდ საეჭვო პირებს დაატარებს, დოქებით ღვინოს სვამენ, პაპიროსს კინო-ვარსკვლავით ეწევა, და აშენდა საბავშო სახლი! მხოლოდ ვიწრო სურვილები ამოძრავებს მას; მორიგეობის დროს უპატრონოდ დასტოვა 41 ბავში და ვილაცებს გაჰყვა აკაკი წერეთლის სახლში, სადაც ღამის ცხრა საათამდე დაჰყო... მეორეჯერ ექსკურსიაზე წავიდა ბათომში, რვა დღე დაწესებულება შემთხვევითი პირის ხელში დასტოვა. ტეხნიკურ პერსონალს უდიერად ეპყრობა, დარაჯს დოქებით ხელში სამიკიტნოებში დაარბენინებს, სოფ. სხვიტორშიც კი გაგზავნა დარაჯი ღვინისათვის.

საჩხერის მთვარე ტუჩებს იღებავს, წარბებს იკეთებს და, რაც მთავარია, ხშირი სტუმარია ტფილისის, ექიმ მიქაბერიძის, რომელმაც პარიზში ე. წ. „სილამაზის ინსტიტუტი" დაამთავრა. ისვამს პირის კანის გასანაზებელი სითხეებს და კანჭების დასაწვრილებლად მასაჟს იკეთებს. ეს „პედაგოგიური" საქმიანობა მან მოზრდილ ბიჭებშიც გადაიტანა, ეალერსება მათ და ვაზელინით თმებს უპრიალებს.

ერთ საღამოს საჩხერის მყუდრო ქუჩები ქალის ისტერიულმა კივილმა და რევოლვერის სროლამ შეარყია. „რომანი" მოხდა თემკომის ყოფ. მდივნის ოჯახში! თემკომის ყოფ. მდივნის ცოლი ამ მშვიდ საღამოს მოულოდნელად თავს წააწყდა თავის ქმარს გალინასთან ინტიმურ ყოფაში... შემდეგ თუ რა მოხდა, არაა საინტერესო, აღსანიშნავია მხოლოდ „რომანის" ადგილას მოგროვილი ხალხის ყვირილი: „ეს მისგან პირველი არაა", „მოგვაშორეთ უზნეო, გახრწნილი ქალი!".

ოჰ, გალინა, ვერ გაგიგეს შენ, შენი ცხოვრების გზა ეკლებითაა მოფენილი!

განა მართალი არ იყო ფერგიუსონ, როცა სწერდა, რომ ქალის ცხოვრებას, შინ და გარეთ, მხოლოდ სიყვარული შეადგენს! ასე ფიქრობენ ფერგიუსონთან ერთად გალინები, ლიზეტები და ბიჭიკოები. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ „არაფრად დასაქმული ტვინი ეშმაკის სახელოსნოა" და საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგია, უკეთეს შემთხვევაში საუტილიზაციო ნედლეული.

ბრძოლა „საწოლის იდოლოგიის" წინააღმდეგ სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლასაც ნიშნავს. მოსაზრება მიუწვდომელია მხოლოდ იმისათვის, ვისაც ვერ გაუგია, რომ ერთი ინდივიდის თავისუფლება თავდება იქ, სადაც მეორის იწყება, გაუგებარია — მხოლოდ „ოცნების პრინცესებისათვის", მერზლიაკოვებისათვის, რომელთაც სქესობრივი ანარქიზმი, რომელიც ძველი ოჯახური ურთი-

ერთობების საზოგადოებრივი უვარგისობიდან მომდინარეობს. ფიზიოლოგიური პრობლემის და პრინციპის სიმაღლეზე აჰყავთ. ჩერნიშევსკიც კი, რომელიც სამართლიანად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად ითვლება, ყოფის მოუწყობლობის მიზეზს „ძველ ოჯახში" ეძებდა. მისი ახალი ყოფის პრობლემები, მცირედის გამოკლებით, დღესაც საზოგადოებრივად აქტუალურია, რის რეალიზაციისათვისაც ჩვენ გვიხდება მუშაობა. ქალ-ვაჟთა ხანგრძლივი შეკავშირება ურთიერთ ნდობის და გაგების საფუძველზე (იდეოლოგიური საფუძველი), ორივე მხარის სრული დამოუკიდებლობის (ეკონომიურ-მორალური) საჭიროება, ბრძოლა რომანიულ ნიადაგზე აღმოცენებული ეჭვიანობის წინააღმდეგ, რადგან ეს ძველი გრძნობა ახასიათებს ჩამორჩენილ ადამიანს, რომლისათვისაც ერთი მეორის საკუთრებაა და სხვა, — აი, დაახლოებით, ჩერნიშევსკის ვიწრო ყოფითი იდეალი, რის განაღდებსათვის მხოლოდ დღეს იქმნება საჭირო საწარმოო ურთიერთობა. მართალი იყო პლეხანოვი: ჩერნიშევსკიმ იცოდა, რომ „თავისუფალი სიყვარულისათვის" უნდა გადაკეთდეს ყველა ოჯახური და, მაშასადამე, საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ქალ-ვაჟთა „ოჯახური" დამოკიდებულების სფეროში საქმე არა ხელსაყრელ მდგომარეობაშია: სასიცოცხლო ძალების, სქესობრივი ენერგიის ფუქსავატური ფლანგვა, ოჯახური დრამები, აქედან გამომდინარე შედეგებით. მიზეზი? რევოლიუციის დამრღვევი მოქმედება ყოფა-ცხოვრებაში დღევანდლამდე გრძელდება. ახალი ყოფა ჯერ ჩანასახებშია, არა გვაქვს ახალი მტკიცე ეთიური ნორმები ოჯახის საკითხში და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულზე ხელები დავიკრიბოთ და ველოდოთ თუ როგორ მოგვივა საინით ახალი ყოფა. ყოველი ჩვენგანი მოვალეა თავისი ქცევათა კონკრეტულ მაგალითებზე შეებრძოლოს საკუთარ თავში მოკალათებულ მონური წარსულის ნარჩენებს და ხელი შეუწყოს ახალი ყოფის ელემენტების მტკიცედ შეკვრას.

ქალთან დამოკიდებულების საკითხი დიდი სოციალური და ყოფითი მნიშვნელობის საკითხია. კომუნისტური მორალი ქალისადმი ეთიური დამოკიდებულების მთელ ჯამს და ყველა სახეს იტევს; ქალთან დამოკიდებულებაში, როგორც გასართობ ნივთთან ადამიანის გადაგვარება ვლინდება, ადამიანი ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ თავისთავისთვის.

მარქსი სწერდა, რომ შეუძლებელია სქესობრივი მოთხოვნილებანი გაუსწოროთ კვების მოთხოვნილებას, ვინაიდან ქალი ნივთი არაა, არამედ საზოგადოებრივი ადამიანია. ამიტომ ჩვენი ყოველგვარი მოთხოვნილება ქალისადმი (და შებრუნებით) ადამიანურ ხასიათს უნდა ატარებდეს, ჩვენში საზოგადოებრივი გრძნობები უნდა განვავითაროთ.

ზნეობრივი კრეტინების მიერ ათვალისწუნებული ინდივიდუალური სიყვარული აუცილებელია და ენგელსის თქმით „დიდი ზნეობრივი პროგრესის" შედეგია. სქესთა ურთიერთობა „კერძო" საქმეა, რომელიც მხოლოდ „დაინტერესებულ" პირებს ეხება: მრავალ ცოლიანობა და მრავალ ქმარიანობა და აიძულო „ერთი მაკოცნინე", მთლიანად ბურჟუაზიულ საზოგადოებას ეკუთვნის და ნაწილობრივ ძალაშია დღესაც პროსტიტუციის სახით.

კომუნისტური ეთიკა უარყოფს ე. წ. სქესობრივ ანარქიზმს, დაძალებას და მკაცრ ეთიურ ურთიერთობას ამყარებს ქალის მიმართ. მხოლოდ „მემარცხენე" ფილისტერები და ჩუბაროველებია ამის წინააღმდეგი.

დე ამას ყოველი ჩვენგანი საქმიანად ჩაუფიქრდეს, ვინაიდან კომკავშირული ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფითი იდეალი საწოლს არ სცილდება.

„ახალი ცხოვრება აჩენს ახალ ადამიანებს... ახალი თაობა იზრდება ახალ რევოლუციონურ ატმოსფერაში, უკეთ — რევოლუციის შემდგომი დროის ყოფაში. რევოლუცია მისთვის უპირველესყოვლისა ყოფაა, რევოლუციის კულტი — სახელმწიფოებრივი კულტი. დღევანდელი ახალგაზრდობა რევოლუციას სახელმწიფო სკოლაში სწავლობს, არ ამზადებს მას იატაკქვეშ და არ ოცნებობს მასზე ქენევის დახუთულ ყავახანებში. იგი რადიკალურად გამოირჩევა არა მარტო რევოლიუციის წინა ეპოქის ახალგაზრდობისაგან, არაფერ რევოლიუციონერთა უფროსი თაობისაგანაც. იგი თავდადებულია რევოლიუციისათვის, მაგრამ სხვანაირად, არ ჰქმნიდა მას, მხოლოდ იღებს მზამზარეულად. იგი არ იტანჯებოდა მისოვის, მხოლოდ გაბედნიერებულია მისით. არ განიცდის ენტუზიაზმით რევოლიუციონურ ბრძოლას, ხოლო ენტუზმიაზმით უქმობს რევოლიუციონურ უქმეებს, კალენდრის მიხედვით"... (უსტრიალოვი).

როგორ აშუქებს სმენავეხოველი პროფ. უსტრიალოვი თავის მოსაზრებათა რგოლს, საითკენაა გამიზნული მისი — „ანალიზი"?

ექვს გარეშა, რომ უსტრიალოვის მიერ საბჭოთა ახალგაზრდობის „დახასიათება" — ნაწილობრივ ობიექტიურია; განა ფაქტი არაა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს, უმთავრესად ასაკობრივი მიზეზის გამო, არ გაუვლია რევოლიუციონური ბრძოლის და გამძლეობის არალეგალური ლენინური სკოლა? სწორედ ამ მოვლენაში ეძებს გამოსავალს ცნობილი რეაქციონერი: მისი გაგებით ახალი ეკონომიური პოლიტიკა უზრუნველყოფს საწარმოო ძალების კაპიტალისტურ ფორმებში განვითარებას და საბჭოთა (ე. ი. მუშური და მოსწავლე ახალგაზრდობა) ოპოზიციაში ჩაუდგება საბჭოთა ხელისუფლებას, ვინაიდან არ „განიცდის" რევოლუციას, არამედ „უქმობს" რევოლიუციონურ დღეებს და მისი იდეური დაქანება, სოციალური გადაგვარება შესაძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პარტიის ყრილობები ამავე საშიშროებაზე მიგვითითებენ: გაშლილი კლასიური წინააღმდეგობანი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის ბრძოლა ამავე დროს ახალგაზრდობისათვის ბრძოლასაც ნიშნავს.

ყოფის სოციალისტურად გარდაქმნის პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ახალგაზრდობისათვის ბრძოლის მწვავე საკითხთან. ყოფაცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვს ადამიანების მასალის სოციალისტურ გადამუშავებას. რა უნდა მოსთხოვო ისეთ ვითომდა კომკავშირელს ან პარტიის კანდიდატს, რომელიც ვერ გარკვეულა ელემენტარულად მაინც მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების დიალექტიკაში, დამძიმებულია მონური წარსულის ყოფითი ჩვევებით, გარდამავალი პერიოდის გარდამავალი სიძნელეები პროლეტარიატის იდეურ განიარაღებად ეჩვენება და მხოლოდ პირადი კეთილმოწყობის ასპექტით უდგება საბჭოთა სინამდვილეს. რა უნდა მოსთხოვო ისეთ კომკავშირელს, რომელიც მემარჯვენე ელემენტების ფსიქოლოგიურ ტყვეობაში იმყოფება, რომელსაც ვერ გამოარჩევთ პროსპექტის „კოხტა" ბიჭებისაგან და რომელიც ყოველ მოხერხებულ დროს მოჰყვება ხოლმე გაბუტულივით სლოკინს და „თავისუფალ" ლაყბობას ცხოვრების გაუტანლობაზე. ასეთი „მოფილოსოფოსო" ბატები, რომელნიც დაცემულობის ტალღებში ქანაობენ, ჩვენი ორგანიზაციისათვის ბალასტია.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ მათზე ნეკროლოგს ვწერთ: ზოგიერთისათვის ეს მართლაც ნეკროლოგი იქნება: გულგატეხილი, გაბუტული და პანიკური ეფექტე-

ბით მოვაჭრე ახალგაზრდები, „მოფილოსოფოსო“ ბატები, მაესტროს მოყვარული „რომანტიული“ ქალიშვილები, კუჭისმატერიალისტები და ძმანი მათნი ხელს უშლიან ყოფა-ცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის რთულ პროცესს, სოციალისტური აღმშენებლობის ძლევამოსილ მსვლელობას. მაგრამ ამ ნაწილში ურევია სოციალურად მისაღები ხოლო გაუგნებელი ელემენტები, რომელთა იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ყოფითი გაჯანსაღება შეიძლება. ჩვენ გვაქვს იარაღის დიდი არსენალი, რომლითაც შეიძლება ახალგაზრდობისათვის ბრძოლაში გამოსვლა; უნდა ვაწარმოოთ მედგარი ბრძოლა ყოველი ჩვენი ახალგაზრდისათვის, ჩვენი კადრებისათვის.

„მართლაც, თუ ადამიანი თავისი ხასიათის ყველა თვისებით გარემოზეა დამოკიდებული, მაშინ, სხვათა შორის, მისი ნაკლის მიზეზიც გარემო იქნება; მაშასადამე, თუ თქვენ გსურთ მის ნაკლს ებრძოლოთ,— საჭიროა სათანადოდ შესცვალოთ მისი გარემომცველი. სახელდობრ, საზოგადოებრივი წრე, რადგანაც ბუნებით ადამიანი არც ბოროტია და არც კეთილი. ჩააყენეთ ადამიანი გონივრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ე. ი. ისეთ პირობებში, სადაც ადგილი არ ექნება თავის დაცვის ინსტიქტით გამოწვეულ ბრძოლას ერთი-მეორის წინააღმდეგ; შეუთანხმეთ ცალკე ადამიანის ინტერესი მთელი საზოგადოების ინტერესს — სათნოება (wertu) თავისთავად გაჩნდება ისე, როგორც თავისთავად ეშვება ძირს ქვა, დასაყრდენს მოცილებული. სათნოება კი არ უნდა ვიქადაგოთ, არამედ გზა უნდა გავუკაფოთ მას საზოგადოებრივ ურთიერთობათა რაციონალური მოწყობით“ *).

*) გ. პლეხანოვი: „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“. გვ. 6-ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე „ახალი გლეხები"

უკანასკნელ ხანებში, ჩვენი სახალხო მეურნეობის დიდი გარდატეხის პარალელურად პროლეტარული მწერლობა აქტიურად შეეცადა იმ ამოცანების ბოლშევიკურ გადაჭრას, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენამ თავისებური ცვლილება შეიტანა ჩვენი მწერლობის, როგორც თემატიურ სალაროში, ისე ფორმალურ ხერხების სფეროშიც. სოციალურ ცხოვრების და საერთოდ კლასობრივი ბრძოლის ფრონტებზე წამოიჭრა მრავალი ახალი საკითხი. მთელი რიგი ამხანაგებისა (კ. ლორთქიფანიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, ალიო მაშაშვილი და სხვა) შეუდგა კოლმეურნეობათა ფრონტზე არსებულ მდგომარეობის მხატვრულ გაშუქებას. თავისთავად ცხადია, რომ დღეს ინტიმიური ლირიკის ფარგლებში მთლიანად შეუძლებელია დიდი სოციოლოგიური საკითხების მხატვრული გაშლა-გაფართოვება. მხატვრული ჟანრები ერთგვარი ფუნქციაა ყოველთვის თემატიური მასალისა. კოლმეურნეობათა მშენებლობის გრანდიოზული მოძრაობა ვერ ჩაეტევა მხატვრულ ხერხების იმ სქემაში, რომელშიც თავისუფლად თავსდებოდა თავადის ასულის ლირიკული განცდები. ეს გარდაუვალი სოციოლოგიური კანონია. კოლექტივის აქტიური წევრის და საერთოდ ბოლშევიკის ტიპის მხატვრული პროექცია უფრო შედარებით ადვილათ იხაზება იმ ჟანრის ნაწარმოებში, სადაც მეტია სოციოლოგიური გაშლის შესაძლებლობა. ასეთები არის მასალის ეპიური დამუშავების მთავარი სახეები: რომანი, პოემა, მოთხრობა და ბოლოს მხატვრული ნარკვევი. ამ უკანასკნელმა ხერხმა ძლიერ დიდ პოპულიარიზაციას მიაღწია; ქართულ ლიტერატურაში ამ მეთოდით დამუშავდა მთელი რიგი ფაქტებისა; (ელ. პოლუმორდვინოვი — „ჭიათურა", სიმონ ჩიქოვანი — „ერთი თვე სვანეთში"), მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ის შინაარსი, რომელიც იგულისხმება

ამ მცნების ქვეშ. ნარკვევი ახალი ამბავი არ არის. მას აქვს საკმაოდ ვრცელი ისტორია; მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შემოქმედებითი გზების ერთი ხაზი უშუალოდ მიიმართებოდა მხატვრულ ნარკვევების და საერთოდ პუბლიცისტური განხრის მხატვრულ პროდუქციის დამუშავებისაკენ. ასეთი იყო პირველ ყოვლისა ახლად მოზარდი რეალიზმის ლიტერატურული ტენდენციები. მხატვრული ნარკვევი იზრდება და ჩნდება საზოგადოებრივი გარდატეხის ინტერვალებში, ამ ხანებში იგი ასულდგმულებს ამომავალ კლასის ლიტერატურას; ამიტომ არის, რომ მხატვრული ნარკვევი — ეს წარბშეუხრელი ბრძოლაა, აქ არ არის ბურჟუაზიული ესტეტიზმის უნდილი ემოციები და მინორული ფრაზების უადგილო ხეტიალი. ნარკვევი ყოველთვის იბრძოდა; დღესაც ჟანრების პრობლემა მეტად აქტუალურად დააყენა ჩვენს წინაშე პროლეტ. მწერლების იდეიურმა ლიტერატურულმა ზრდამ. ამიტომ სრულებით ბუნებრივია ის ცდები ახალი გზების გამონახვისა, რომელიც მრავლად შეგხვდებათ თანამედროვე ლიტერატურის ექსპერიმენტალურ მუშაობაში;

„ახალი გლეხები" უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაში.

პროლეტარული ლიტერატურა თანდათან ხდება ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა. ამ მხრივ იგი უნდა დაუახლოვდეს ქარხნის მუშებს, დამკვრელ ბრიგადებს, კომკავშირულ ახალგაზრდობას, სოფელს და სხვ. ეს ამოცანა მოითხოვს, რომ „წმინდა" ბელეტრისტიკის გვერდით განვავითაროთ მხატვრულ ნარკვევების ჟანრი. მაგრამ აქ არის ერთი საშიშროება, რომელზედაც სერიოზულად უნდა დაფიქრდეს თითოეული პროლეტარული მწერალი. სახელდობრ. ის რომ არ გადაიქცეს ეს ჟანრი კომუნისტურ საზოგადოებისათვის უინტერესო, მოგონებებათ, დეკადენტურ ესკიზებათ და წვრილმან ამბების მოსაწყენ აღწერათ. ჩვენ ვიცით, რომ გასაბჭოების წინ ქართულ ლიტერატურაში იყო ისეთი მდგომარეობა, რომ სოციალური თემატიკის მაგიერ მუშავდებოდა ვარდბულბულიანის გაცვეთილი ამბები.

ერთმა თანამედროვე მწერალმა სიმბოლისტების ბანაკიდან დაწერა სანტიმენტალური ზღაპარი (იხ. ადგილები ნ. მიწიშვილის „ეპოპეიაში" მიწის ფეტიშზე, სამშობლოს საკითხზე და ბავშობის დროინდელ ღრუბლებზე), რომელიც ერთმა კრიტიკოსმა ფაქტოგრაფიული პროზის ნიმუშად გამოაცხადა; ჩვენ ასე არ გვესმის ეს დარგი მხატვრულ შემოქმედებისა. პირიქით: ქარხნის მუშამ უკვე წაუყენა განსაზღვრული მოთხოვნილება მხატვრულ ლიტერატურას, მას ესაჭიროება არა ძველი ესტეტიკის მხატვრული მეთოდებით კომბინაცია-

ქმნილი სხვადასხვა ლირიკული უაზრობები, არამედ ჯანსაღი ბოლშევიკური ცხოვრების პროზა;

ნარკვევი, როგორც ლიტერატურული ჟანრი სდგას ბელეტრისტიკის და პუბლიცისტიკის მიჯნაზე. იგი სინთეზია ამ ორი ფორმალური და იდეიური მოვლენისა. ჩვენთვის ორივე ერთგვარად აუცილებელი და საჭიროა. ასე არ ესმით ამ ჟანრის მნიშვნელობა „მემარცხენეებს", ისინი ამბობენ, რომ მხატვრული ნარკვევი არის მთავარი სახე მხატვრულ ლიტერატურისა, ხოლო რომანი, მოთხრობა და სხვ. იგივე დანიშნულებას ასრულებს, რასაც „ძაღლის მეხუთე ფეხი", როგორც სთქვა ერთმა მკვლევარმა სრულიად სხვა მიზეზის გამო. ამ აზრს ჩვენ აბსოლიუტურად ვერ დავეთანხმებით; ჩვენ არ გამოვიყვანთ ბელეტრისტიკას საბრძოლველ მოედანზე, რომელზედაც უნდა გადასწყდეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

კ. ლორთქიფანიძის ახალ წიგნს წინასიტყვაობის სახით დართული აქვს ამხ. ბენიტო ბუაჩიძის მოკლე და საკმაოდ ღრმა შინაარსიანი წერილი, რომელშიც სრულიად სამართლიანად განსაზღვრულია ნარკვევების ყოველმხრივი მნიშვნელობა.

„სინამდვილე ყოველდღიურად იცვლება, — სწერს ამხ. ბენიტო ბუაჩიძე, — ვითარდება, მრავალფეროვანდება. ნარკვევი ყველაზე უფრო ახერხებს ამ მოძრაობის მაჯისცემის ათვისებას, დაკვრითი ტემპისადმი კვალდაკვალ მიყოლას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნარკვევი პირადი დღიური არ არის და არც ფაქტების მშრალი რეგისტრაციაა. ზოგიერთები სცდილობენ ნარკვევს წაართვან „მხატვრულობის" უფლებები. ეს შემცდარი აზრია. ნარკვევში ორგანიულათ შეერთებულია, პუბლიცისტურ-პოლიტიკური სიმახვილე, მხატვრული სისადავე და დამაჯერებლობა. ნარკვევის მწერალს სჭირდება ორგანიულ-საზოგადოებრივი აქტიურობა, მხატვრის ალღო და თვალი".

ამ მკვეთრ განმარტებას ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევი „ახალი გლეხები" ეს ახალი გამარჯვებაა ავტორისა. ამ ნაწარმოების თემად აღებულია ქედის კომუნის სოციალ-ტეხნიკური გარემო, მისი საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური სახე, რომელიც ჯერ კიდევ ყალიბობის პროცესში იმყოფება. როგორც საერთოდ ნარკვევების ჟანრს შეეფერება კ. ლორთქიფანიძის „ახალ გლეხებში" არ არის არავითარი ფაბულა და აქედან ცხადია სიუჟეტურ კონსტრუქციაზე ლაპარაკი ზედმეტია,

მაგრამ მთელი ნედლი მასალა, კომუნის ცოცხალი სინამდვილე ისეთ ხერხებშია ორგანიზაციაქმნილი, რომ „ახალი გლეხები", როგორც აქვე ამხ. ბენ. ბუაჩიძე შენიშნავს „შეუნელებელი ინტერესით იკითხება". რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილ ი. ჟიგას ნარკვევებში („ახალი მუშები") საკითხი დაყენებულია სოციოლოგიურ სიბრტყეზე და ავტორი ნათლად გვიჩვენებს ეგრედწოდებული ახალი მუშების კლასობრივ შეუგნებლობას შ ე დ ა რ ე ბ ი თ ბოლშევიზმის ძველ კადრებთან. ამხ. კ. ლორთქიფანიძე აგრეთვე საკითხს სოციალურ არეზე აყენებს, ეს უთუოდ ფრიად დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა წიგნისა. ავტორი პირველი სტრიქონებიდანვე იჩენს სოციოლოგიური ანალიზის მკვეთრ უნარს. მეეტლეების ადგილი ავტორს უთუოდ სწორად მოუნახავს ჩვენი ეპოქის ტეხნიკური განვითარების გზაზე. (ეს მაგალითისათვის). მკითხველი გრძნობს, რომ მეეტლეების მდგომარეობა მჭიდროდ დაკავშირებულია ტეხნიკის პროგრესთან და ამ საფუძველზე მეეტლეების. პროფესია მუშავდება მეტად სპეციფიურ პირობებში. მიდის კუსტარნიკული, მამა-პაპური იმერეთი თავის დანჯღრეული ეტლებით, ეს სრულებით არ იწვევს ავტორის სიმპატიებს, ავტობუსები, რომელნიც მარდათ დაქროლავენ იმერეთის გზატკეცილებზე თანდათან სდევნიან დანჯღრეულ ეტლებს. აქ უკვე წარმოსადგენია მეეტლეების ტრაგედია, მათში ვითარდება ავტორიტარული, ლაქიური და ეირარქიული ფსიქოლოგია, იგი სცდილობს დაგინათესავდეს; კახეთის გზებზე ჯერ არ გაუვლია ავტომობილს, ამიტომ იქაური მეეტლეები უფრო გულადათ არიან.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქ მკვეთრად ნაჩვენებია ნივთების, ადამიანების და იდეების მიზეზშედეგობრივი ურთიერთობა. აქ ტრანსპორტი განსაზღვრავს ფსიქოლოგიის ინტიმებს; მხატვრის თვალი კარგად ხედავს ამას და გადააქვს იგი ტილოზე მკითხველების წინაშე.

შირაქის კომუნა განსაკუთრებული მოვლენაა გლეხური მასების ცხოვრებაში; ღარიბი გლეხობა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა ლოლიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათი ხსნა მხოლოთ შეერთებულ ცხოვრებას შეუძლია; ეს გაერთიანება მათ საშუალებას მისცემს მამაპაპური სას.-სამეურნეო ინვენტარის ნაცვლათ შემოიღონ მანქანური ტეხნიკის განვითარებული იარაღები. ღარიბი გლეხობა, რომლის ნახევრად კონსერვატიული და ნახევრად რევოლიუციონური ფსიქოლოგია ღრმად შებოჭა გაერთიანების სურვილმა — უკვე პრაქტიკულათ შეუდგა საქმის კეთებას. ამ მიზნით მათ

ქედელი ბასილი ქავთარაძე გაგზავნეს სამთავისის კომუნაში იქაური წესის გასაცნობად. უნდა ითქვას, რომ კომუნის იდეიას სხვადასხვა გვარად შეხვდენ გლეხობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

— „შეერთების საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს! გამოაკეთებს კი ჩვენს ცხოვრებას?

შიშით იკითხა ერთმა.

— ვცადოთ;

მესამემ ჩაიცინა და შენიშნა:

— რატომ არ ცდი შვილოსა, რა; ცარიელი მოხვალ — არ გამოვა არაფერი და ისევ ცარიელი წახვალ: რა გაქვს რომ დაკარგო.

შენიშვნა იმდენად დამაფიქრებელი იყო, რომ მეორე დღეს რამდენიმე შეძლებული გლეხი არ მოვიდა კრებაზე" (იხ. „ახალი გლეხები" გვ. 30).

ამ ამონაწერში ნათლად მეღავნდება ის ზიგზაგებიანი გზა, რომლითაც მიიმართებოდა კომუნისაკენ საშუალო გლეხობის უმრავლესი ნაწილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამხ. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს საკმაო სისწორით აუთვისებია გლეხის ფსიქოლოგია და მისი სოციალური საფუძვლები. მართლაც „გლეხი ძლიერ ფრთხილია და ეჭვიანი... ეს სიფრთხილე და იეჭვიანობა გლეხს ხშირად ინიციატივის და ხელმძღვანელობის უნარს უკარგავს". სწორედ ამიტომ წარსულ რევოლიუციონურ ბრძოლებში გლეხობის აჯანყებებს ხელმძღვანელობდა მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია.

კომუნარები დიდი ენერგიით შეუდგენ ახლად დაწყებულ საქმეს. მაგ პირველ რიგში დაანგრიეს უკან დასაბრუნებელი ხიდები. ამის შემდეგ მიჰყვეს ხელი ახლის შენებას, ტრაქტორის გამოყენებამ ძლიერ მაღლა ასწია მათი შრომის ნაყოფიერება, ყველივე ამან გააძლიერა მათი ენტუზიაზმი, მაგრამ კომუნაში შესვლის პირველ დღიდანვე არ გარდაქმნილა რადიკალურად მათი ინსტინქტები. კერძო საკუთრების საფუძველზე აღმოცენებულმა იდეოლოგიამ თავისი დაღი დაასვა ყველას, აქ კონკრეტიულათ ნაჩვენებია მარიამის მაგალითი; ამის შემდეგ „მარტივმა, მაგრამ დამაჯერებელმა არითმეტიკამ ჩააქრო ძველი ინსტიქტების ჯანყი".

ავტორი უყურადღებოთ არ სტოვებს კლასობრივ ბრძოლას. მას მოცემული აქვს მთელი რიგი მომენტები კულაკების ბრძოლისა, როდესაც ეს უკანასკნელები სცდილობდენ დაეშალათ კომუნა და გაეტეხათ მისთვის სახელი. მათ რასაკვირველია, ეს ვერ შეძლეს.

დიდი ინტერესით იკითხება აგრეთვე წიგნის ის თავები სადაც ცოცხალი მხატვრული მეტაფორებით აღწერილია კომუნის ყოფაცხოვრება. აქ კომუნების პირველი ნაბიჯები აღვსილი იყო მრავალი შეცდომებით. დროთა მსვლელობაში ეს შეცდომებიც მოსპობილი იქნა.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ მთელი რიგი საწარმოო მომენტები შესაფერი ფოტო-ილიუსტრაციით. ნარკვევის მანძილზე გამოყვანილი არიან მთელი რიგი ტიპები გლეხებისა, რომელნიც წარბშეუხრელათ იბრძვიან ახალი ყოფისათვის. ასეთებია მაგ. კობა ჩოხელი და სხვა...

როგორია „ახალი გლეხების" ფორმალური მხარე? აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ავტორის წერის მხატვრულ-პუბლიცისტური მანერა. კ. ლორთქიფანიძეს ეხერხება აგრეთვე მთელი რიგი სურათების მოცემა, სადაც მკითხველის განწყობილება უშუალოდ მიიმართება მხატვრობის ობიექტისაკენ. ამაშია ავტორის გამარჯვებაც.

საბოლოოთ უნდა ითქვას, რომ ამ ნარკვევში მოცემულია ქედის კომუნის, როგორც სოციალური, ისე ყოფაცხოვრებითი და ფსიქოლოგიური პორტრეტი.

ს. კულაევი

ოსეთის თანამედროვე მხატვრული მწერლობა *)

კოსტას შემდეგ რევოლუციის წინა დროის ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ე. ბრიტაევს, ა. კუბალოვს და ა. კოცოევს. მათ ერთნაირად განიცადეს ოქტომბრის რევოლიუცია და მოცემულ მომენტში საჭიროა მათი შემოქმედება გავყოთ ორ პერიოდად: შემოქმედება ოქტომბრამდე და ოქტომბრის შემდეგ. ისინი ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის წრეს ეკუთვნიან და როდესაც ვლაპარაკობთ მათი მოღვაწეობის შესახებ რევოლიუციამდე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი რამ, რაც ითქვა კოსტას შემოქმედების სოციალური რაობის შესახებ, ასე თუ ისე მათ შესახებაც ითქმის.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეპოქაში მათ თავისი ნაწარმოებებით შემოჰქონდათ ეროვნული თვითშეგნების იდეა, მტრულად იყვნენ განწყობილი კოლონიზატორი რუსების მიმართ და ხშორად ამით ილაშქრებდენ კავკასიის ეროვნებათა დამჩაგვრელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ავიღოთ ბრიტაევის დრამა „Xazbi". ამ დრამას ტფილისის სცენაც იცნობს (საოპერო თეატრი, ზუბალაშვილის სახელობის თეატრი). კავკასიის დაპყრობა, მედგარი, გმირული წინააღმდეგობა, რასაც უწევდენ მთიულები ორთავიან არწივს, — აი ამ პიესის ძირითადი პოლიტიკური აზრი. ამ პიესაში ბრიტაევი გვაოცებს ყოფა-ცხოვრების ცოდნით, თავისი გაუყალბებელი მომხიბლავი რეალიზმით, რომლისაგანაც ბევრს ჩვენს ახალგაზრდას ბევრი რამის შესწავლა შეუძლია. ამ პიესას თუ ჯეროვნად დადგამენ, მას ჩვენს დროშიაც დიდი მნიშვნელობა ექნება. მისივე პიესა „ორი და" — საყოფაცხოვრებო დრამა, რომლის იდეაა მთიელი ქალის განთავისუფლება ახალი ყოფა-ცხოვრების შეჭრა ჩვენი მთების მივარდნილ კუნჭულებში, ამ ყოფა-ცხოვრებისთვის ბრძოლა. ბოლოსა და ბოლოს იმარჯვებს ძველი ტრადი-

*) დასაწყისი იხ. „პროლეტარული მწერლობა" № 2.

ცია, — დამონებული ქალის ყიდვა-გაყიდვის ადათი, და დრამა მთავარი გმირი ქალის ასიათის ტრაგედიით თავდება.

მაგრამ მორალურად ასიათია გამარჯვებული — პირველი ის გამოვიდა ძველი დროის დამღუპველი ნაშთების წინააღმდეგ საბრძოლველ ასპარეზზე, თავისი გამბედაობითა და ენერგიით მას უნდა აღეფრთოვანებია არა ერთი მთიული ქალი.

ოქტომბრის რევოლუცია მოულოდნელად დაატყდა თავს ე. ბრიტაევს და ბევრ მის მსგავსს. ის, როგორც ინტელიგენტი, არ მოელოდა, რომ კაცობრიობის განთავისუფლების იდეა, რის შესახებაც ოცნებობდა მუდამ, მხოლოდ ყველაფრის განმანადგურებელი კლასობრივი ბრძოლის ქარიშხლის გამო განხორციელდებოდა. აქედანაა წარმოშობილი მისი გულის გატეხა; რეალური მძიმე ატმოსფერა სამოქალაქო ომისა, გმირული ბრძოლა ქვეყნის მეურნეობის აღდგენის ფრონტზე და ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე მედგარი სიძნელენი ე. ბრიტაევმა თავის დროზე ვერ აითვისა. აი რატომ ღალატობს იგი შემდგომ იმ შესანიშნავ რეალიზმს, რომელსაც ასე ძალიან ეფასებდით მის წინა პიესებში; რეალური ცხოვრების და რეალური გმირების ადგილს ფანტასტიური ცხოვრება-გმირები იჭერენ. აი რატომ არის ჩვენთვის გაუგებარი მისი „ამირანი". ამ დრამის გმირების ჩამოთვლაც კი საკმაოა, რომ ვიმსჯელოთ ამ ნაწარმოების რაობის შესახებ: ტიტანი ამირანი, კლდეზე მიჯაჭვული, ქალიშვილი — იმედი, მისი მფარველი, მსოფლიოს მპყრობელი, ჭინკები და სხვა „სულები". პიესის მთავარი გმირი — მთიული ბესა — განყენებული პიროვნებაა, მას გარკვეული საზოგადოებრივი სახე არა აქვს. ავტორს უნდოდა აღეფრთოვანებია იგი „მამაცთა სიგიჟით", მაგრამ გორკის მიმინოს „მამაცთა სიგიჟე" კი არ გამოვიდა, არამედ ნამდვილი სიშტერე. ცხოვრებას სავსებით მოწყვეტილ ბესას პატიოსანი შრომაც კი არ სურს, მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ადამიანებს აინტერესებდესთ ისეთი „სათამაშო" რამ, როგორიცაა გუთანი. პირდაპირ გაუგებარია, როგორ მოხიბლა ამ ნაწარმოებმა დიდი ლიტერატურული გემოვნების მქონე, ოსეთის ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მოღვაწე ა. ტიბილოვი. „ამირანი", მისი აზრით, „მოფიქრების სიღრმის მხრით საოცარია", „ორიგინალური სიუჟეტის მქონეა" და ამბობს, ეს შეიძლება დავაყენოთ „მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გვერდითო". ჩემის აზრით, ესაა ფორმით გატაცება. ნაწარმოების სოციალისტურ სახეს ტიბილოვს უჩრდილავს დიდი ესთეტიური გემოვნება და ეს წემთხვევითი როდია — ტიბილოვი მოხიბლულია აგრეთვე კუბალოვის დრამით „ალდუზის

სიკვდილი", რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ განმარტებებიდან ვერც ერთს ვერ გაიზიარებს ფართო მკითხველი მასა. როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ ნაწარმოებს მიმბაძველები არ უნდა გამოუჩნდეს. მისი სიმბოლიკა, განყენებული გმირები შეიძლება ესხილის, გოეთეს, შელლის დროს იყვენ მისაღები, მაგრამ ჩვენს დროში კი შეუძლებელია მათი მიღება, მათ საერთო არაფერი არ აქვთ თანამედროვე იდეებსა და სულისკვეთებებთან. ბრიტაევის შემოქმედებაში „ამირანი" პროგრესი კი არ არის, როგორც ა. ტიბილოევს ჰგონია, არამედ რეგრესი იმ ადამიანის ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელმაც ვერ შეითვისა რევოლიუციის სვლა. ასეთია ყველა უხერხემლო ინტელიგენტის ტრაღედია, რომლებმაც ვერ შესძლეს პროლეტარულ რევოლიუციასთან ფეხდაფეხ სვლა. „ხაზბის", რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს სცენაზე და დრამატიულ ხელოვნებაში, რომელმაც თავის ირგვლივ დარაზმა მშრომელთა ფართო ფენების რევოლუციონური სულისკვეთება, კიდევ დიდხანს გადაიკითხავენ ინტერესით, — „ამირანი" კი პირველი დადგმისთანავე კვდება სცენისთვის, მას ვერ შველის ვერც ტენდენციურად, ხელოვნურად მიკერებული „საკაცობრიო იდეები" — სიყალბე გამოდის. დამახასიათებელია, რომ ეს მაგალითი მეორდება ზოგიერთი ჩვენი უკვე დიდი ხნის წინათ აღიარებული მწერლისა და პოეტის შემოქმედებაშიც.

ოსეთის პოეზიაში თავისი კომპოზიციით ენის ჰარმონიულობით და სახეების სიმდიდრით საუკეთესოდ კ უ ბ ა ლ ო ვ ი ს პოემა „ავხარჯი ხასანა" ითვლება. მიუხედავათ ზოგიერთი იდეოლოგიური შეცდომებისა (სისხლის აღების და ღვთაება თეასტირჯის იდეალიზაცია), ეს პოემა საყოველთაოდ მოწონებულია და უმტკივნეულოდ შეიძლება მისი მოთავსება ჩვენს საბჭოთა ქრესტომატიებში: ასეა თუ ისე, მისი გმირი ხასანა თვითონ ღატაკია, მაშინ დაობლდა, როდესაც აკვანში იწვა და დედა ზრდის, ნანინაში უმღერის, აიღოს მამის სისხლი, რომელიც ძლიერმა უზდენებმა მულდაროვებმა მოჰკლეს. მთელი სიმპატია ხასანის მხარესაა, მთელი სიმძულვარე მულდაროვებს აქვთ დამსახურებული, და ბრძოლის ველზე ცხრა მულდაროველს ჰკლავს ხასანა და თვითონაც ტრაღიკულად იღუპება ბრძოლაში, როდესაც შეასრულა ტრადიციული სისხლის აღების თავისი „მისია".

მძლავრად გამოკვეთილ ხასანასა და მის დედის ტიპებს შეუძლიათ ადამიანის აღგზნება საბრძოლველად, მკითხველი საზოგადოების პიროვნების გასალკდევება, მხოლოდ საჭიროა ჯეროვანი კრიტიკით პოემაში გატარებული სისხლის აღების იდეის გაბათილება. პოემის

სიძლიერეს უნდა მიეცეს ჩვენთვის საჭირო მიმართულება — ახალი ცხოვრების აღმშენებლობისა და რევოლუციონური ბრძოლისაკენ. უნდა იყოს იგი მიმართული. ამ ნაწარმოების ფასი ჯერ სხვა არა გვაქვს და შესატყვის სხვა ნაწარმოებებში ჩვენთვის საჭირო იდეებით განაყოფიერებული, ის იმის ღირსია, რომ ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ახალმა კადრმა წაჰბაძოს მას.

რას გვაძლევს თანამედროვე კუბალოვი? „ალღუზას სიკვდილში" ის მართლაც ძლიერი, კლასიკური სახეებით და ფოლადისებური ლექსით გვაძლევს შექსპირი „მაკბეტის" მაგვარ დრამას. კუბალოვს „ალღუზას სიკვდილი" ისევე გაუთქვამდა სახელს, როგორც შექსპირს მისი დრამები, მხოლოდ ერთი პირობით: მას რომ ეცხოვრა და ეწერა შექსპირის დროს.

განა ყოველივე ამით შეგვიძლია ოქტომბრის ახალი თაობის აღზრდა?

ჩვენი შექსპირისთვის ძნელია რევოლუციის რაზმეულებთან ერთად ფეხშეწყობით სვლა, მისთვის ძნელია იმ დიდი ისტორიული გარდატეხის გაგება, რის მოწმენი ამჟამად ჩვენა ვართ. ისტორიული სუჟეტების დამუშავება ჩვენს ხანაშიც შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რა სუჟეტები და როგორ უნდა იქნეს დამუშავებული. თუ ისინი მშრომელთა ფართო მასების სულისკვეთების შესატყვისნი არ იქნებიან, (ცხადია, უნდა ვერიდოთ ვულგარულობას და ფეხის აყოლას), თუ მათში არ იქნება ასახული მშრომელთა საუკუნოებრივი კლასობრივი ბრძოლა და, ბოლოს, თუ ისინი არ მოგვცემენ ბრძოლის ლოზუნგს არ მოგვიწოდებენ სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ, — ისინი გროშადაც კი არ ეღირებიან.

კ უ ბ ა ლ ო ვ ი ს ა დ ა ბ რ ი ტ ა ე ვ ი ს პირად და შემოქმედებითს ტრაღედიას სხვა ჩვენი ძველი ლიტერატორებიც იზიარებენ.

განა ამისივე განმეორებას არ ვხედავთ ც ო მ ა კ გ ა დ ი ე ვ ი ს ისტორიულ დრამაში „ოსი ბაყათარი"? აქ ოსეთის პატარა მეფე ბაყათარი ანთავისუფლებს ოს და ქართველ გლეხებს ფეოდალიზმის ბორკილებიდან, თითქოს მშრომელებს თავისი გმირები ცოტა ჰყავდესთ. ისტორიული სიყალბე ცომაკის შემოქმედებაში ცდილობს თანამედროვე იდეებთან დაძმობილებას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სიყალბე გამოდის. როგორც მოფიქრების, ისე იდეის მხრივ აქაც „შექსპირის გაცოცხლებაა" და ის, რაც ითქვა კუბალოვის „ალღუზის" შესახებ, გადიევის „ოსი ბაყათარის" შესახებაც ითქმის.

ამხ. გადიევი ამჟამად ჩვენს პარტიაში კარგ პრაქტიკულ მოღვაწედ ითვლება. პოლიტიკური კატორღელის მშვენიერი წარსული

აქვს და ყველას მიერ ცნობილია, როგორც კარგი ლიტერატორი, მაგრამ ინტელიგენტური სული იმასაც უშლის, როგორც ეტყობა, რომ ლიტერატურული მოღვაწეების პროლეტარულ კოპორტებს გაჰყვეს მხარდამხარ, და მას ჩვენ მხოლოდ თანამგზავრს თუ ვუწოდებთ ოსეთის ლიტერატურაში.

ახლა — რამდენიმე სიტყვა კოცოევის შესახებ, რომელიც რევოლიუციის წინადროინდელი ლიტერატორია და ამჟამადაც განაგრძობს წერას.

კოცოევმა ჩაუყარა საძირკველი ოსურ პროზას. მას მდიდარი იუმორი აქვს. რევოლუციამდე კოცოევს ასულდგმულებდა აგრეთვე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეები; ის თავისი იუმორით ამათრახებს საზოგადოების სხვადასხვა ნაკლს, ლოთობას, ენის ბერყვნას ბარბარიზმებით, სწერს ანტირელიგიურ ნაწარმოებებს და სხვ. ყველა ეს ნაწარმოები სამსახურს გვიწევს ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების, ჩამორჩენილობის და სხვა ასეთების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ის ჩვენი თანამგზავრია.

მაგრამ როდესაც ის გვაძლევს ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა „რა მოხდა ფაზი-კაუში" და „ნაშუალამევს", ის გარკვევით ჩვენთვის სავსებით მიუღებელ იდეებს იძლევა, მხატვრული ნაწარმოების სახით გვაძლევს ახალი წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ აგიტკას. უზნეო კომკავშირელი თამარი, რომელსაც პაპიროსი აქვს ხელში და მოკლე კაბა აცვია, — აი რა მოგვცა რევოლუციამ — ესაა მოთხრობის დედა აზრი. ჩვენი საბჭოთა ყოფაცხოვრების არავითარი დადებითი მხარე არ არის დაპირისპირებული ქალთა ორგანიზატორის თამარის უზნეობასთან, პირიქით, მას უპირისპირდება „ძველი კარგი დრო", წარსულის „ლამაზი" ტრადიციები, ქორწილი, მეოჯახეობა და სხვ. სწორედ ამიტომ კოცოევის მოთხრობა „რა მოხდა" უდავოდ მავნებელი და ჩვენთვის პოლიტიკურად მიუღებელი ნაწარმოებია.

თანამგზავრებს უნდა მივაკუთვნოთ ნიგერი, გულუევი, მალიევი, აგუბეკირ, ბიტაევი და ბევრიც სხვა. მათ წრეში ჩავწერდი აგრეთვე გ. ბარაკოვს, ძველ პარტიულს და ლიტერატორს, რომელსაც ამნაირად არა სურს დაახწიოს თავი ისტორიულ, ლეგენდარულ და რომანტიკულ თემატიკას, სადაც არა სჩანს გარკვეული მტკიცე კლასობრივი იდეოლოგია.

ყველა ზემოჩამოთვლილი მწერალი ანალიზისათვის დიდ მასალას იძლევა; მათ შორის, უეჭველია, არიან ნიჭიერი მწერლები და

პოეტები, ბევრი მათგანი კი წუწუნობს და კვნესის, სტკბება ინდივიდუალურ სულისკვეთებათა მინორული ლირიკით (მალიევის „ქალური მუზა“, გულუევის მუზა, რომელსაც არ ასწამს „მომავალ წელთა სიამოვნება“).

ზოგიერთნი ნიადაგს სინჯავენ, რომ თუნდაც ცოტათი დაუახლოვდენ პროლეტარულ ლიტერატურას და დღევანდელი დღის ინტერესებს გამოეხმაურონ.

მაგრამ, აი, პროლეტარული მწერლების და პოეტების ახალგაზრდა გვარდია: კაბერდიევი, კაიტუკოვი, მამსეროვი, კ. ფარნიევი, ა. ბალაევი, ბოდოევი, ბოციევი და სხვ. მათ მოჰყვება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მუშგლეხკორების დიდი რეზერვი, ათასზე მეტი.

ადამიანისთვის ძნელია საკუთარი ზრდის შემჩნევა, მაგრამ თუ მიმოვიხედავთ, გადავფურცლავთ ჩვენს კრებულებს და პერიოდულ ჟურნალებს, პროლეტარულ ლიტერატორთა ეს ზრდა სავსებით ნათელი იქნება. ისინი სულ უფრო და უფრო ავსებენ „Zin“-ის, „Fidiog“-ის, გაზეთ „xurrorin“-ის „Acestdzinad“-ის და „Razma“-ს ფურცლებს. მათი ნაბიჯი დღითი-დღე უფრო და უფრო მტკიცეა და ძლიერი.

ფარნიევი ოსურ პროზაშიც ჯეროვან მონაწილეობას იღებს. საჭიროა მხოლოდ გაუფრთხილდეს იგი ესენინშჩინას, გლეხურ სტიქიას, რაც ხშირად იპყრობს მას.

ბალაევის ლექსებში არის მძლავრი რევოლუციონური მოწოდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისკენ, მისი ტრაქტორიზაციისკენ.

ოსეთის სხვა პროლეტმწერალთა ნაწარმოებშიც არის ასახული რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანები. ნიადაგი ამისათვის მზაა: ჩრდილო-ოსეთში სოფლის მეურნეობის თითქმის 40% უკვე შეეხო კოლექტივიზაცია, შენდება ელექტროფიკაციის გიგანტი გილზსტროი, 60000 ცხენის ძალის, თითქმის ორჯერ უფრო მძლავრი ზაჰესზე; შენდება დიგორის კომბინატი — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა მეურნეობა. სამხრეთ ოსეთშიც კოლექტივიზაციას საკმაოდ აქვს საფუძველი ჩაყრილი, წარმოებს დიდი საგზაო მშენებლობა, გვაქვს ოკონის მარმარილო, კუდაროს ცინკი და სხვ.

ასე გამოეხმაურა მეორე ჩვენი პოეტი სუციალისტურ აღმშენებლობას პოემაში „Abon“ („დღეს“).

პროზაშიც, თუმც გვიან-გვიან ჩვენი მწერლები ასახავენ თანდათანობით: სამოქალაქო ომის, ოქტომბრის რევოლუციის, აღდგენის და შემდეგ რეკონსტრუქტიულ პერიოდს, პროლეტარიატის გმირულ

ბრძოლას სოციალისტური აღმშენებლობისათვის, კოლექტივიზაციისათვის.

არის კლასობრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით ისტორიული თემების სწორი დამუშავების ცდები, მაგალითად: ბოლაევის დრამის „ჩერმენ“ ჟურნალში „Fidiog“, მოთხრობის „Fscen uolyg“, „Nog fcendag“ და სხვათა თემაა სოციალისტური აღმშენებლობა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კატეგორიულად უნდა გაუსვათ ხაზი იმას, რომ ოსეთის პროლეტარულ მწერლებს ჯერ კიდევ ორგანიზაციულად არა აქვთ თავისი თავი შეცნობილი, არა აქვთ ერთი ფრონტი ბრწყინვალე მომავლისთვის საბრძოლველად და დაქსაქსულნი მოქმედობენ.

შეცდომა ბევრია, ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ არის შესასწავლი, თვით ცხოვრება გვაიძულებს მივცეთ იმპულსი, მივცეთ განწყობილება მასების შემოქმედებას, ყოველივე ამის მტკიცედ გაკეთება კი შეუძლებელია, თუ ორგანიზაციულად მტკიცედ არ ჩამოვყალიბდით.

ამჟამად ჩვენ ორი ასოციაცია გვაქვს — ჩრდილო და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ მათ ჯერჯერობით ვერ შესძლეს თავისი ყოველდღიური მუშაობის გაშლა-გაფართოება: არ არის ლიტერატურული წრეები, არ წარმოებს მასიური მუშაობა, არ ეწყობა სალიტერატურო საღამოები, რეფერატები და სხვ.

საქართველოს პროლეტარულ მწერლებთან ორგანიზაციულად დაკავშირების მხრივაც დღემდე თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. საქართველოს პროლეტმწერალთა ეს პლენუმი, მე მგონია, ბოლოს მოუღებს ასეთს ორგანიზაციულ დაუკავშირებლობას. რეზოლიუციაში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ცოცხალი შემოქმედებითი კავშირი, ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ქართულიდან ოსურ ენაზე და ოსურიდან ქართულ ენაზე თარგმნის საქმე, ჩვენ უნდა დავანგრიოთ მუშაობაში ჩვენი დაუკავშირებლობის და ჩამორჩენილობის ჩინური კედელი. უცხო თვალი ყოველთვის მეტს ხედავს, და ჩვენ უნდა მოვუწოდოთ ქართულ მარქსისტულ კრიტიკას — რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედებას. უნდა მოვუწოდოთ აგრეთვე ქართველ პროლეტარულ მწერლებს — მოინახულონ ხოლმე მთები, შეისწავლონ მთიულთა ცხოვრება, — გარწმუნებთ, მათ იქ შეუძლიათ მდიდარი მასალის შოვნა თავისი შემოქმედებისათვის. ჯავახიშვილის ყაიდის წვრილ-ბურჟუაზიული მწერლები, თავისი ნაციონალისტური სიბეცის გამო, იქ მხოლოდ „მოურავებს“ და

ჩაფრებს პოულობენ. ამის ჩადენა მათ განზრახაც კი შეუძლიათ, მაგრამ ჩვენ მათგან არ უნდა გადმოვიღოთ ასეთი მაგალითები.

მეცნიერულ მარქსისტულ კრიტიკაში მითითებულია იმაზე, რომ ხელოვნება ცხოვრებას ცოტა დაგვიანებით ასახავს. როგორც ეტყობა, ეს უნდა ეხებოდეს მხოლოდ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ხელოვნებას, ვინაიდან თვით ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის წესწყობილებას ახასიათებს მოძრაობის სტიქიურობა, ჩვენ კი ვებრძვით ამ სტიქიურობას, ვქმნით გეგმიან სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელია პროლეტარიატი თვისი ავანგარდით — კომუნისტური პარტიით. პროლეტარულ მწერლებს, როგორც ამ ავანგარდის ნაწილს, არ შეუძლიათ იდეოლოგიურ ფრონტზე მოვლენების უკან ჩანჩალი, არ შეუძლიათ ბურჟუაზიული ხელოვნების შემოქმედთა მსგავსად, რეკონსტრუქტიული ხანის საკითხებზე დაგვიანებით პასუხის გაცემა. ამას ჩვენ მხოლოდ მაშინ ავიცილებთ თავიდან, თუ ორგანიზაციულად მტკიცედ ვიქნებით დაკავშირებული, თუ შევებრძოლებით ნაციონალურ შემოფარგლულობას და მკაფიო კლასობრივ ხაზს გავატარებთ მხატვრულ ლიტერატურაში. ეს მით უმეტეს მოგვეთხოვება ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში.

ოსურ ლიტერატურაშიც კლასობრივი დიფერენციაციის იმავე პროცესებს ვხედავთ, როგორიცაა საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირში — ერთის მხრივ იგივე მემარჯვენე და მემარცხენე თანამგზავრნი, აშკარა თუ ფარული ბურჟუაზიული ტენდენციებით, მეორე მხრით — პროლეტარული მწერლები, ჯერ კიდევ მცირერიცხოვანნი და ორგანიზაციულად განუმტკიცებელნი. ის ფაქტი, რომ არის სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებული ორგანო და ენაც ერთი გვაქვს, გარდა ამისა, აგრეთვე ის რომ აუარებელი საერთო საკითხი გვაქვს, რომლების ერთად გადაწყვეტაა საჭირო (მხატვრული მემკვიდრეობის შეფასება, განვითარების პერსპექტივები და სხვ.), ჩვენგან მოითხოვს სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მოწვევას.

აქვე, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმზე, უნდა გამოცხადდეს სამხრეთ ოსეთის ასოციაციის შესვლა საქართველოს ასოციაციის წევრად და შემდგომ უნდა ვიმუშაოთ ჩვენს შორის ორგანიზაციული და შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებისათვის.

ოსეთის თანამედროვე მხატვრული მწერლობა

(რეზოლიუცია)

მოისმინა რა ამხ. კულაევის მოხსენება, თანამედროვე ოსეთის მხატვრული ლიტერატურის შესახებ — საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის მე-3 პლენუმი აღნიშნავს შემდეგს:

1. ოქტომბრის რევოლიუციამდე, ოსეთის მხატვრულმა ლიტერატურამ განვითარების სათანადო სიმაღლეს მიაღწია; რომელიც გამოხატავდა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას; არსებითად იგი რევოლიუციონურად განწყობილ მიმდინარეობად შეიძლება ჩავთვალოთ, იმდენად, რამდენადაც იგი მიმართული იყო იმპერიალისტური წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ოსეთის ლიტერატურულ ასპარეზზე მოიპოვებოდენ ისეთი ელემენტები, რომელთა დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია, დაცემულობა, რელიგიური მიდრეკილებანი, ვიწრო ნაციონალური მსოფლმხედველობა და სხვ.

2. ახალგაზრდა პროლეტ-მწერალთა კადრებისათვის, რომ გარკვეული იყოს თანამედროვე თვალსაზრისით, წარსულის ლიტ-მემკვიდრეობა, ამისათვის აუცილებელია მეცნიერულ-მარქსისტული კრიტიკით შეფასებული იქნას ოსეთის მხატვრული მწერლობა. (როგორიცაა. — კოსტა ხეთაგუროვი, ბრიტაევი, ა. კუბალოვი, კოცოევი და სხვ.).

3. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, კლასობრივმა დიფერენციაციამ, საგრძნობი გავლენა მოახდინა ოსეთის ლიტერატურულ მოღვაწეთა რიგებზე. ერთის მხრივ, — აღმოჩნდენ ისეთი ელემენტები, რომლებმაც ვერ შესძლეს პროლეტარული რევოლიუციის მიღება, და თავიანთი შემოქმედებითი იდეოლოგია მომართეს ჩვენს საზიანოდ; (როგორიცაა ნაციონალიზმი, წარსულის გაიდეალება, უიმედო განწყობილებანი და სხვ.) მეორეს მხრივ, — ახალი ცხოვრების მშენებლობასა და ყოფასთან დაკავშირებით, დაირაზმა საბჭოთა მწერლების ახალი კადრი; რევოლიუციის პირველ ხანებში ისინი სახავდენ თავიანთ შემოქმედებაში სამოქალაქო ომების პერიოდს, შემდეგ კი — აღდგენის და რეკონსტრუქტიულ ხანას. დაბოლოს ხდება დიფერენციაცია თვით საბჭოთა მწერლებს შორის — (მემარჯვენე და მემარ-

ცხენე) თანამგზავრებათ — და ამავე დროს იქმნება ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაცია, რომლის ირგვლივ თავს იყრიან ახალი ძალები (კამბერდიევი, მამსეროვა, კაიტუკოვი, კულაევი, ფარნიევი ბალაევი და სხვ.). მათ მხარდამხარ გაჰყვენ უამრავი სოფლის მუშა-კორესპოდენტები, პროლეტარული სტუდენტობა და სხვ. ისინი თანდათან შეავსებენ პროლეტარული მწერლობის რიგებს.

4. ამრიგად, საერთო სქემა დიფერენციაციაქმნილ მწერლებისა, კლასობრივ დაჯგუფებათა საფუძველზე მართლდება. ოქტომბრის რევოლიუციამ ოსეთის ლიტერატურის სფეროში დიდი შემოქმედებითი გარდატეხა მოახდინა, რის შედეგადაც ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ლიტერატურული კრებული „მალუსალი" ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ფიდიოგი", გაზეთები — „ხუზარიი" და „რასტდზინად".

5. უნდა აღინიშნოს ორგანიზაციული ჩამოუყალიბებლობა პროლეტ-მწერალთა მუშაობაში, უმოქმედობა ლიტწრეების ყოველდღიურ აღმზრდელობით მასიურ საქმიანობაში და დისპუტებისა და ლიტერატურულ საღამოების მოწყობაში.

ასეთი მდგომარეობა ადუნებს პროლეტ-მწერალთა რიგებს, ახშობს მათ ბრძოლას მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ, ასუსტებს ბულწრფელ თანამგზავრების მომხრობას და უკეტავს გზას პროლეტ-მწერლებს თვით-განვითარებისაკენ.

6. აგრეთვე უნდა აღინიშნოს კავშირის სისუსტე საქარ. პროლეტ-მწერალთა ასოციაციასა და ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციას შორის, ამ უკანასკნელის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა, რამაც საგრძნობლად დააზიანა ასოციაციის პრაქტიკულ და ორგანიზაციული მუშაობა.

7. სოციალისტურ აღმშენებლობის აყვავება, კოლექტივიზაცია, რომელიც წინ უსწრებს ყველა გათვალისწინებულ გეგმებს. (ჩრდილოეთ ოსეთში კოლექტიურად უკვე გაერთიანებულია მოსახლეობის 40%) ელექტრო-მშენებლობა, საწარმოო კომბინატები, სამთო-მადნო სიმდიდრეთა დამუშავება და საზოგადოთ მთელი ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის რეკონსტრუქცია, შეტევაზე გადასვლა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ და გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლის გამახვილება, აყენებს ოსეთის პროლ. მწერლობის წინაშე იდეოლოგიურ გეგემონის როლს და ახალ ყოფა-ცხოვრებითი ამოცანებს.

გამოდის რა ყველაზე ზემოთქმულიდან, საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის პლენუმი, ოსეთის მხატვრულ-ლიტერატურის მომავალ საქმიანობისათვის აყენებს შემდეგ პრაქტიკულ ამოცანებს:

1. პროლეტ-მწერლობის ხელმძღვანელი როლის უზრუნველსაყოფად, მოწვეულ იქნას სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის პლენუმი და ამ პლენუმზე გამომუშავებულ იქნას მჭიდრო იდეურ-შემოქმედებითი კავშირის გზები ორთავე ოლქის ასოციაციებს შორის.

2. დამტკიცდეს, რომ შეყვანილი იქნას სამხრეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაცია, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შემადგენლობაში. — და შემდეგ მიღებულ იქნას ყოველი ღონისძიება, მტკიცე ორგანიზაციულ და შემოქმედებითი კავშირის დასამყარებლად.

ადგილობრივი მდგომარეობის შესასწავლად და ოსეთის ლიტერატურის გასაცნობად ხშირად მოეწყოს მივლინებები ოსეთში საქართველოს პროლეტ-მწერლებისა და პროლეტ-მწერალთა ასოციაციის გამგეობის წევრების.

3. შეფასდეს ჟურნალ „ფიდიოგის" მუშაობა, რომელსაც იგი აწარმოებდა, საქართველოს მწერლების ნაწარმოებთა გასაცნობათ ოსეთის მკითხველ მასაში, და შემდეგში მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა საქართველოს მშრომელი მასები გაეცნონ თარგმანის საშუალებით ოსეთის პროლეტარულ და საბჭოთა მწერლების შემოქმედებას.

4. საქართვ. პროლეტ-მწერლებს დაევალოს ოსეთის მშრომელი მოსახლეობის და შემოქმედებითი საკითხების საფუძვლიანად შესწავლა, და შემდეგ მათი გამოსახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

5. უნდა აღინიშნოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობის მიღება, პარტიულ პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებში, დაისვას საკითხი სამხრეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის წინაშე — საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის (1925 წ. რეზოლიუციის) დირექტივების მიხედვით — იდეურ-სახელმძღვანელო მუშაობის გაძლიერება.

6. სამხრეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის ორგანიზაციამ — ლიტერატურული საღამოებისა და დისპუტების საშუალებით, უნდა აწარმოოს განუწყვეტელი შემოქმედებითი მუშაობა; კომ-

კავშირელ აქტივთან, მუშა კორესპონდენტთან და სხვა მწერალთა ახალი კადრების ჩამოსაყალიბებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ მხატვრულ-ლიტერატურულ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინების საქმეს და თვითგანვითარებას.

7. ოსეთის ლიტერატურულ მოღვაწეებს მიეცეს გრძელ ვადიანი შვებულებები (ეს შვებულება განსაკუთრებული დავალებებით უნდა იქნენ გამოყენებულნი) და ნაკლებად იყვნენ დატვირთულნი სხვა სამუშაოებით.

8. კულტურული რევოლიუციის ამოცანების ნათელსაყოფად და ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის შესათვისებლად, დამუშავებულ იქნას მთელი რიგი მოხსენებებისა ლიტ-წრეებში და ლიტერატურულ საღამოებზე, პროლეტარულ მწერლობის და თანამედროვე მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით.

9. შემოღებულ იქნას პროლეტ-მწერალთა მივლინებანი, როგორც თვით ოსეთის საწარმოო რაიონებში, აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც, იმ მიზნით, რათა გლეხური ოსეთის პროლეტარულმა მწერლებმა შეიგრძნონ წვრილ-ბურჟუაზიული ტენდენციების და ვიწრო ნაციონალისტური შეხედულებების მავნებლობა. გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროლეტ-მწერლების უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

10. გრანდიოზული იდეა, მასიურ კულტურულ მუშაობისა, სამხრეთ ოსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის წინაშე აყენებს ამოცანას, რათა მან გაავრცელოს თავისი გავლენა ხელოვნების დანარჩენ დარგებზე; როგორიცაა: თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და სხვ..

11. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლიტერატურათ ძეტყველებას და მარქსისტულ კრიტიკას.

12. წინადადება მიეცეს ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობა"-ს მიიღოს შეფობა ჟურნალ „ფიდიოგ"-ზე.

აფხაზეთის პროლეტ.-მწერალთა ასოციაციის მუშაობის შესახებ

(რეზოლიუცია)

მოისმინეს რა ამხ. ხაშბას ინფორმაციული მოხსენება, აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ — საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმი აღნიშნავს, საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის სუსტ ხელმძღვანელობას და მჭიდრო კავშირის უქონლობას, აფხაზეთის ასოციაციასთან. ეს არის ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი, აფხაზეთის ასოციაციის მუშაობისა. გარდა ზემოხსენებულ მიზეზისა, აფხაზეთის ასოციაციას მყარ ნიადაგზე დადგომას და გამოცოცხლებას ხელს უშლიდა: ხელმძღვანელი ორგანოს სიდიდე, გამგეობის წევრების დატვირთვა, კრიტიკოსთა კადრების მოუმზადებლობა, ბეჭდვითი ორგანოს უქონლობა და სამოსწავლო საქმის მოუწყობლობა.

აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის მუშაობის გასამაგრებლად და გამოსაცოცხლებლად, — საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმს აუცილებლად მიაჩნია განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი:

1. განმტკიცებულ იქნას კავშირი საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციასა და აფხაზეთის ასოციაციას შორის; საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციიდან გაიგზავნოს ხელმძღვანელი მუშაკები; რაც შეიძლება ხშირად იყოს მოსმენილი საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმში საქმიანი მოხსენებანი და ცნობები, აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის მუშაობის შესახებ. აფხაზეთის ასოციაციის საქმიანობის გასაცნობად, პერიოდულად დაიბეჭდოს წერილები და შენიშვნები ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობასა“ და „ნა რუბეჟე ვოსტოკაში“.

2. გამგეობა არჩეულ იქნას ისეთი ამხ. რომლებიც ნაკლებ დატვირთული იქნებიან სხვა საქმეებით და მეტ ყურადღებას მიაქცევენ ასოციაციას.

3. აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის გასაჯანსაღებლად და ყოველდღიურ ორგანიზაციულ მუშაობის მოსაგვარებლად

აუცილებელია შეიქმნას მუდმივი შტატი და ამორჩეულ იქნას ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი.

4. ეთხოვოს აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტს რათა მან გააძლიეროს პარტიული ხელმძღვანელობა, აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციაზე.

5. აღძრულ იქნას საკითხი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, აფხაზურ ენაზე, ყოველთვიურ, მხატვრულ-ლიტერატურულ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ჟურნალის გამოსაცემად.

6. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შემდეგ პლენუმზე მოსმენილ იქნას მოხსენება, აფხაზეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციის მუშაობისა და პროლეტარული ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ.

კოტე მელვინეთ-უხუცესი

მუსიკალურ ფრონტზე

საბჭოთა ეკონომიკის და თვით ადამიანის უდიდესი რეკონსტრუქციის ხანა, რომელმაც ააზღვავა პროლეტარიატის აზროვნება და წალეკა ყოველივე, რაც ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების ჩამოყალიბებას, გვაიძულებს საღი კრიტიკით გადავხედოთ ხელოვნების იმ დარგსაც, რომელსაც მუსიკა ეწოდება.

არ არის საერთოდ არც ერთი დარგი საბჭოთა ხელოვნებისა, სადაც დაწინაურება და ჩამორჩენა ისე უცნაურად იყოს გადახლართული ერთმანეთთან, როგორც მუსიკაში. მეორეს მხრივ ხელოვნების არც ერთ დარგზე არ დახარჯულა და არც იხარჯება საბჭოთა სახელმწიფოს მიერ იმდენი ფული, როგორც მუსიკაზე და იმავე დროს არცერთ დარგს ხელოვნებისა არ გამოუღია იმოდენი უვარგისი და ხშირად-კი მავნე პროდუქცია, როგორც მუსიკას. ამ ფაქტზე ლაპარაკობენ, სწერენ. მუსიკოსთა იდეოლოგიური ჩამორჩენილობა აქსიომად არის გადაქცეული და აქსიომადვე მიღებულია აზრი, რომ მუსიკალური კრიზისი ამოიწურება მაშინ, როდესაც გაძლიერდება ახალგაზრდა პროლეტარულ მუსიკოსთა ასოციაცია. მეორეს მხრივ, იმის კრიტერიუმად, თუ რამდენად არის მისაღები პროლეტარიატისათვის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები, ამ ნაწარმოების ტექსტუალური შინაარსია არჩეული, მუსიკალური ფაქტურის შესაფასებლად-კი მოხმარებულია პლეხანოვის ცნობილი ფორმულა, რომლის მიხედვით პროლეტარიატისათვის მისაღებია ყოველი კლასის მიერ წარმოშობილი ხელოვნების ის ნაწილი, რომელიც შეფარდებულია თვით ამ კლასის ახალგაზრდობასთან, ანუ წარმოშობასთან და განვითარების პირველ საფეხურებთან. სწორედ ამ კრიტერიუმების უდავოდ გაზიარებამ და კრიტიკის თვალით შეუფასებლობამ მოგვიტანა ის რიცხვით მრავალი და ხარისხით-კი დაბალი მუსიკალური პროდუქცია პროლეტარულ განხრის ახალგაზრდა მუსიკოსებისა, რომელიც უძლურია გაუწიოს რაიმე კონკურენცია პროლეტარიატის მტერთა ბანაკიდან წარმოშობილ მუსიკალურ ნაშთებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ნაშთების ფორმა და ტექნიკური მხარე დღესაც

უდავო და წასაბაძავ ნიმუშებად ჩაითვლება და, მაგალითად მოსკოვის კონსერვატორიის თეორიული ფაკულტეტი სავსებით იზიარებს ძველ კომპოზიციის ყველა ტექნიკურ და ფორმალურ პრინციპს, ლენინგრადის კონსერვატორიის თეორიული ფაკულტეტი კი თავის რევოლიუციონურ მიღწევად სთვლის იმას, რომ დაჟინებით იკვლევს და საკომპოზიციო ცხოვრებაში ატარებს მე-XVI საუკუნის საეკლესიო კომპოზიტორის პალესტრინას ხერხებს.

საბჭოთა კავშირის ამ უდიდეს კონსერვატორიებში იზრდებიან ახალგაზრდა პროლეტარული მუსიკოსები, და მათ შორის ჩვენი ახალგაზრდა მომავალი ძალაც, სახელმწიფო ხარჯზე გაგზავნილი ცოდნის გასაღრმავებლად და გასაშალაშინებლად. იმავე დროს სწარმოებს გახურებული ძიება მუსიკის სოციოლოგიური ფესვებისა და მტკიცება, რომ მუსიკა დამოკიდებულია ეკონომიკისაგან (ბრაუდო, გლებოვი, საბანეევი, ჩემოდანოვი და სხვ..). ამიტომ სწარმოებს მუსიკის ისტორიაში კომპოზიტორთა ბიოგრაფიებში იმის ძიება, თუ რომელი კლასიური დაჯგუფების მიერ იყო წარმოშობილი ესა თუ ის კომპოზიტორი, რომელ კლასთან ჰქონდა ეკონომიური ურთიერთობა, რომელი კლასის იდეოლოგიას გამოსახავდა ამ კომპოზიტორის ნაწარმოების ტექსტუალური მხარე, და ყველა ზემოხსენებულის მიხედვით, რამდენად მიზანშეწონილია ამ ნაწარმოებების ჩვენი პროლეტარიატისათვის მითავაზება.

ყველა ზემოხსენებული მაჩვენებელია, რომ ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოსები ცდილობენ დაუკავშირდენ მარქსიზმის პლატფორმას არამარქსისტული ძიების საშუალებით, ვინაიდან მარქსიზმი თვით წარმოადგენს ღრმა მეცნიერებას, დამყარებულს ისტორიზმის პროცესის შეუჩერებელ წინსვლის ურყევ კანონზე, რომელშიც ყველა ელემენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან; შესაძლებელია ამ ელემენტების დროებითი შეჩერება, მაგრამ უკან დაბრუნება — ყოვლად შეუძლებელია; ისტორიზმის პროცესს მოაქვს ელემენტების გართულება და განვითარება და არა გამარტივება, კულტურის წინსვლა გაიზომება შრომის იარაღთა განვითარებით, ამ იარაღთა პირველ რიგში კი დგას ადამიანის ფსიქიკა. მუსიკას წარმოშობს სწორედ ეს ფსიქიკა, რომელიც ასოციაციის სახით აყალიბებს დამოკიდებულებას ფაქტორსა და ფაქტურის შორის, და ამათ შორის-კი ფაქტორად არის ეკონომიკის მიერ წარმოშობილი ბგერათა თანამიმდევრობა, ხასიათი, რითმი და წყობა, მათი ფორმა და ამ ფორმის დამოკიდებულება ეკონომიკის ფორმებიდან, ფაქტურას-კი შეადგენს ზემოხსენებული ელემენტების რეპროდუქცია სხვადასხვა კომბინაციის

სახით, და ეს რეპროდუქცია სრულებით დამოკიდებულია იმ ემოციონალური მდგომარეობისაგან, რომელიც იყო ფაქტორის ელემენტების შეთვისების დორს. პირველი შეგრძნება და მისი პასუხი — ემოცია, გამომხატველი არიან ბიოლოგიურ რეფლიქსისა, ფაქტურა-კი პირობითი რეფლექსისა, ბიოლოგიურ რეფლექსზე აშენებულის. ამა თუ იმ ფაქტურისაკენ მისწრაფება, მისი განმეორება, მისი გამოყენება — ყველა ეს მაჩვენებელია ბიოლოგიური მიდრეკილებისა. საზომია თანამედროვე ეკონომიკასთან ფსიქიურად შეერთებისა, და ამიტომ ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოსების ძიება და ვარჯიშობა არქაიზმების აბლაბუდებში შედეგად მოიტანს რევოლიუციონურ სიტყვებით შემკულს, მაგრამ თანამედროვე პროლეტარიატისათვის ბიოლოგიურად მიუღებელს ან და ფსიქოლოგიურათ არასასურველ მუსიკალურ პროდუქციას.

აგრეთვე საკვლევით გამორკვეულია მეცნიერების მიერ, რომ მუსიკის ზოგიერთი ელემენტი იწვევს ნერვიულ სისტემაში ფსიქიკიდან დამოუკიდებელ (ე. ი. მარტივ რეფლექსთა სახით) სამოტორო პროცესებს, ზოგიერთი-კი ზემოხსენებული პროცესების მოდუნებას, ან და სრულ ატროფიას. არცერთი ჩვენი მუსიკოსი არ იკვლევს ამ ელემენტებს, არავის აინტერესებს მუსიკალური რეფლექსოლოგიის ფართო და ღრმა ასპარეზი, და ამის შედეგები-კი საკვლევით ჩანან როგორც ჩვენს მცირეწლოვანთა აღმზრდელობის საქმეში, ისე საოპერო, სიმფონიურ და საკონცერტო საქმიანობაში. ჩვენ უარვყავით შიშველი ესთეტიზმი, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად, საქმით-კი ხელს ვუწყობთ მას, და მისი ზეგავლენის ქვეშ მოგვიქცევია მთელი ჩვენი მოზარდი თაობა, ჩვენი მომავალი და მთელი მშრომელი მასა. პროლეტარიატში ენერგიის ჩასანერგავად და გასამხნევებლად ჩვენ ვისვრით ლოზუნგებს წინსვლისა და მხნეობისა, და იმავე დროს ვაწვდით პროლეტარიატს მუსიკას, რომელიც აქრობს სამოტორო პროცესებს, ბადავს მტრის ბანაკისაკენ ბიოლოგიურ მიდრეკილებას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვბაძავთ იმ მეომარს, რომელიც მტრის გასაგმირავად მოსჭიდებია ხელებით არა ხანჯლის ტარს, არამედ შიშველ და ბასრ პირს და ბრძოლისკენ მისწრაფებაში ვერ ამჩნევს, რომ სისხლით იცლება და უძლურდება. საქართველოს მუსიკალური სინამდვილე საკვლევით ამტკიცებს ამ ანალოგიას: ა/წ. თებერვალში მთავარ ხელოვნების მიერ ჩატარებულმა შრომის სკოლებში მუსიკა-სიმღერის მასწავლებელთა კონფერენციამ საკვლევით დაამტკიცა, რომ არც ხელისუფლება, არც დაინტერესებული საბჭოთა ორგანოები, სა-

ქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე არც აქცევდენ, არც აქცევენ ყურადღებას და არც იციან, თუ ვინ რა მუსიკა-სიმღერას ასწავლის ბავშებს და მოზარდებს შრომის სკოლებში, რამდენად დაკავშირებულია სწავლის მეთოდი და პროგრამა საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობასთან, პროლეტარულ იდეოლოგიასთან, ან და რა შედეგები მოიტანა ამისთანა დაუდევრობამ. არავის აინტერესებს აგრეთვე, თუ რა მუსიკალური ლიტერატურა ვრცელდება საბჭოთა მუსიკალური მაღაზიების საშუალებით, რამდენად საჭიროა პროლეტარიატისათვის ფოქსტროტების, იაფი ლირიკით და სანტიმენტალიზმით, ან და ცრუ პათოსით გაჟღენთილი რომანსების დაბეჭდვა და გავრცელება, ვის რათ უნდა ის საეკლესიო ჰანგები, რომელთაც რევოლიუციონური ტექსტებით შეფერილებმა, ყოფილი საეკლესიო რეგენტების ხელმძღვანელობით მოიკიდეს ფეხი მუშათა კლუბების თვითმოქმედ გუნდებში, რა შედეგს მოიტანს ზოგიერთი სხვა გუნდების მიერ ვარჯიშობა იმ ნაკვეთებზე, რომელნიც ყოვლად მიუღებელი იტალიანური მუსიკის ზეგავლენით და წაბაძვით დაჯღაბნილნი არიან ამ გუნდების ხელმძღვანელთა მიერ, რომელნიც მუსიკაში უვიცნი არიან და იმღერებიან როგორც რევოლიუციონური სიმღერები? ვინ აგებს პასუხს პროლეტარიატის ამგვარ ფსიქოლოგიურ დაბნევაში? ყველგან სუფევს ეგრეთ წოდებული „მუსიკალური კონტრაბანდა", ესე იგი, რევოლიუციონური ტექსტის მფარველობით და ანტიპროლეტარული მუსიკალური ფაქტურის საშუალებით პროლეტარიატის ფსიქიკაზე უარყოფითი ზეგავლენა.

ამ გამხრწნელთა რაზმის ბელადად და მეთაურად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სახელმწიფო ოპერა, უმეტესად მას შემდეგ, რაც მის სათავეში მოქალაქე ლელი ჯაფარიძე დადგა. ეს დაწესებულება, რომელზედაც ჩვენმა რესპუბლიკამ, საქართველოს პროლეტარიატმა, უკვე დახარჯა და ეხლაც ხარჯავს უთვალავ თანხებს, ნილაბახდილი ებრძვის იმავე პროლეტარიატს კულტურის ფრონტზე, და მცირე გამონაკლისებით მთელი რეპერტუარი ოპერისა, როგორც ტექსტის, ისე მუსიკალური ფაქტურის მხრივ, თითქმის განზრახ შერჩეულია პროლეტარიატის მტერთა გასამხნევებლად და სასიხარულოდ, თვით პროლეტარიატისათვის-კი იდეოლოგიური მარცხის და დეკლასაციის შინაგრძნობათა მისაყენებლად. ვერცერთმა ახალმა, და თანამედროვე ოპერამ, აღმშენებლობისათვის ტექსტით ან მუსიკალურ ფაქტურით სასარგებლომ, ვერ ნახა „ჯაფარიზმის" ხანაში ჩვენი ოპერის სცენა, ვერცერთმა მუშა-მაყურებელმა ვერ გამოიტანა ოპერის თეატრიდან

ის ემოციონალური იმპულსი, რომელიც გაორკეცებდა მის კლასიურ გრძნობას და სიყვარულს შრომისადმი. და თუ ამჟამად სოციალიზმისკენ გაქანებაში მთელი საბჭოთა კავშირი განიცდის აღმშენებელ მუშაობის ძირითად რეკონსტრუქციას, ჩვენი ოპერის საქმიანობაც მთლიანად მიმართულია „რეკონსტრუქციისაკენ", მხოლოდ სხვა სახისა, რომელსაც ობიექტად აქვს დასახული პროლეტარული ფსიქიკის მოტრიალება მავნე დამაუძლურებელი კულტურისაკენ.

ყველა ზემოხსენებულს შედეგებზე საუბარი ცალკე წერილში გვექნება.

საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა გაერთიანების დეკლარაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიტექტურა უფრო მეტად, ვიდრე ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი, პირველ რიგში უპასუხებს უტილიტარულ მოთხოვნილებებს. კლასობრივ საზოგადოების არქიტექტურა მუდამ ემსახურებოდა გაბატონებულ კლასების ინტერესებს და იყო ამათი ფსიქოლოგიის მატარებელი. კაპიტალისტურ ხანის არქიტექტურას ახასიათებს გადაჭარბებული გატაცება სამკაულით, ფორმალიზმით და ტეხნიკიზმით.

საბჭოთა კავშირში პროლეტარულ რევოლიუციის და სოციალისტურ აღმშენებლობის პირობებში არქიტექტურამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ბურჟუაზიულ ხელოვნების კალაპოტს — კონსტრუქტივიზმი, ფორმალიზმი და განსაკუთრებით ეკლეკტიზმი დღემდე ბრძანებლობენ საბჭოთა არქიტექტურაში. ეს მიმართულებანი, ჩვენი სინამდვილის ზეგავლენით თითქო იცვლიან სახეს და ეგუებიან ჩვენს პირობებს, მაგრამ არსებითად ჩვენი სინამდვილისათვის უცხონი არიან.

ამავე დროს გარდამავალ ხანის ეკონომიურ საფუძვლებზე იზრდება პროლეტარული არქიტექტურა. იგი შენდება გეგმიან მეურნეობის და მოწინავე ტეხნიკის მკვიდრ საფუძვლებზე და ექვემდებარება ახალ სოციალისტურ საზოგადოების შექმნის პროცესში წამოჭრილ ამოცანების გადაწყვეტას.

პროლეტარიატის ხელში არქიტექტურის სოციალური როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. პროლეტარული არქიტექტურა არ არის დამონების და ბატონობის იარაღი და არც პასიური თვალთსასიამოვნო ხელოვნება — ის არის ხელოვნება აქტიური, რომელიც უნდა გახდეს მშრომელ მასების განმათავისუფლებელ იარაღათ, სოციალიზმის და ახალ კოლექტიურ ყოფა-ცხოვრების უმძლავრეს ბერკეტათ. ჩვენ უარვყოფთ ეკლეკტიურ ხუროთმოძღვრობას და ეკლეკტიკების მეთოდს, რომლებიც მექანიურად ბაძავენ ძველ არქიტექტურას და ბრმად ექვემდებარებიან კლასიკურ კანონებს და სქემებს. ეკლეკტიური მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ხანაში. ეს ანარქიული ეკონომიური სისტემა, კერძო საკუთრებაზე და კონკურენციაზე აგებუ-

ლი, ახვევს არქიტექტურას ყველა თავის უარყოფით თვისებებს და-
თანდათან ჰქმნის მას სავაჭრო საგნათ.

დღეს ეკლეკტიზმი რეაქციონურია, ვინაიდან ის ვერ შერიგებია
ინდუსტრიალურ ტეხნიკის მიღწევებს: თანამედროვე ახალ საალმშე-
ნებლო მასალების და კონსტრუქციების თვისებებს და საამშენებლო
წარმოების ახალ მეთოდებს. ის რეაქციონურია თავისი მიდრეკილე-
ბით ცხოვრების წვრილ-მესაკუთრეობითი ფორმებისადმი. ის ადუ-
ნებს და ანელებს ახალ კოლექტიურ ყოფა-ცხოვრების წამოწყებებ-
ის რეაქციონურია და იდეოლოგიურად ჩვენდამი მტრულად არის გა-
წყობილი, ვინაიდან იგი „აღდგენს მკვდრეთით" ფორმებს, რომლებიც
შემუშავებული იყო პროლეტარიატისათვის უცხო კლასების მოთხოვ-
ნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენი გაგებით, ყველა ეროვნებე-
ბის პროლეტარული არქიტექტურა ინდენტიურია თავისი მიზნებით.
ყოველ ქვეყანას პროლეტარული არქიტექტურა დაყრდნობილი მშრო-
მელთა მასების თანამედროვე მოთხოვნილებებზე და მოწინავე ტეხ-
ნიკაზე თავისი ქვეყნის განსაკუთრებით გეოგრაფიული ყოფა-ცხოვ-
რების პირობების მიხედვით ღებულობს თავისებურ ნაციონა-
ლურ სახეს.

ნაციონალურ არქიტექტურის ასეთ გაგებით ჩვენ უარვყოფთ ის
არქიტექტურას, რომელიც საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში „ნაციო-
ნალურ ხუროთმოძღვრების" სახით ეწევა ისტორიულ, კლერიკალ-
ფეოდალურ არქიტექტურის უცვლელად გადმონერგვას დღევანდელ
ჩვენს პირობებში. ეს მექანიკურად აღდგენილი „ქართული ნაციონა-
ლური სტილი", მეფეების დროს შექმნილი, ვერავითარ შემთხვევაში
ვერ მოგვცემს იმ ფორმებს, რომლებიც დღეს ესაჭიროება საბჭოთა
საქართველოს მშრომელ მასებს, ახალ ცხოვრების მშენებლობისათვის.

ეკლეკტიზმთან ერთად ჩვენ უარვყოფთ ფორმალიზმს არქიტეკ-
ტურაში. ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის და მასთან დაკავშირებით
ინდუსტრიალურ ტეხნიკის სწრაფი განვითარება მიჯნავენ ერთიმე-
ორისაგან დეკორატიულ ფორმებს (შემკობა „სტილებში") და ახალ
კონსტრუქცია მასალებს (რკინა-ბეტონი, მინა და სხვ.). ამ მიმართუ-
ლების არქიტექტორები, უკუაგდებენ ეკლეკტიკას, მაგრამ არ შესწევთ
ძალა შეათანხმონ თავისი შეხედულებები ახალი დროის ტეხნიკის
მოთხოვნილებებთან და იწყებენ „ახალ" არქიტექტურულ ფორმების
აბსტრაქტიულ ძიებას.

ჩვენ უარვყოფთ აბსტრაქტიულად მოაზროვნე სოციალურ-უტი-
ლიტარულ ამოცანების გარეშე მდგომ, უნიადაგო ფორმალიზმს. ჩვენ
დადებითად ვსცნობთ, როგორც ფორმალიზმის ისე კონსტრუქტივი-

მის ისტორიულ როლს ეკლეკტიზმთან და ტეხნიკურ დახავსებულობასთან ბრძოლაში. აგრეთვე აღმშენებლობის რაციონალიზაციის, მექანიზაციის და სტანდარტიზაციის საკითხების წამოყენებაში და ინდუსტრიალურ ტეხნიკის პროპაგანდაში. მაგრამ მიუხედავათ ამ დადებით მხარეებისა მათ თავის მუშაობაში ვერ გასცილდნენ მემარცხენე ფრაზას და „რევოლიუციონურ" პოზას.

ჩვენ უარვყოფთ ფინანსიურ კაპიტალის საფუძველზე აღმოცენებულ კონსტრუქტივიზმს, რომელიც მივიდა ხელოვნების სრულ უარყოფამდე, შესცვალა ის ტეხნიკით, ინჟენერიით და ამით დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს მსხვილ კაპიტალისტურ ჯგუფების იდეოლოგიის ანარეკლს არქიტექტურაში, ამ ჯგუფებისათვის დამახასიათებელ მაშინისადმი თაყვანისცემით და ვულგარულ მატერიალიზმით.

ჩვენ უარვყოფთ კონსტრუქტივიზმს, რომელიც ბრმად ჰბაძავს და მექანიურად გადმოაქვს ჩვენს ნიადაგზე დასავლეთის ტეხნიკა. არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს, რეალურ შესაძლებლობას, არსებულ მასალებს და ეკონომიურ ფაქტორებს.

ჩენ უარვყოფთ კონსტრუქტივიზმს, რომელმაც გაამეფა არქიტექტურაში ხალასი კონსტრუქციით ტკბობის ესტეტიკა და ინდუსტრიალურ ტეხნიკის გარეგნულ ფორმებისადმი ფანატიური მიბაძვა.

ჩვენ უნიადაგოთ მიგვაჩნია კონსტრუქტივისტების პოზიცია, რომელიც სავსებით უარყოფს ხელოვნების მნიშვნელობას არქიტექტურულ ორგანიზმის ჩამოყალიბებაში.

ჩვენს პირობებში სივრცითი ხელოვნებათა სხვა დარგების მიმართ არქიტექტურა აშკარად ხელმძღვანელობას იჩენს და ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არქიტექტურულ ჩამოყალიბების პროცესში ხელოვნების ყველა დარგის გამოყენებისათვის და მათი ორგანიული მთლიანობისათვის გზების ძიება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ცდას მიჩქმალონ არქიტექტურის კლასობრივი როლი და პროლეტარიატს თავს მოახვიონ კლასთა გარეშე არქიტექტურა, რომლის განხორციელებას შესძლებს მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება.

ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში არქიტექტურა უნდა იყოს კლასობრივი, როგორც შინაარსით ისე ფორმით, ამ პერიოდის არქიტექტურა უნდა მონაწილეობდეს კლასობრივ ბრძოლაში ყველა თავისი საშუალებებით მებრძოლ პროლეტარიატის მხარეზე.

ჩვენ ვსთვლით, რომ პროლეტარული არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა თავის განვითარებაში უნდა ეყრდნობოდეს დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებას.

ჩვენ მხარს უჭერთ თანამედროვე მეცნიერულ ტეხნიკურ საფუძველზე დამყარებულ არქიტექტურას.

მაქსიმალური წინსვლა მეცნიერების და ტეხნიკის სფეროში, საამშენებელო მეთოდების ძირითადი რეორგანიზაცია, მექანიზაცია, სტანდარტიზაცია, ამერიკულ და ევროპიულ ტეხნიკის მიღწევების კრიტიკული გამოყენება კლასობრივი ინტრესების, რეალური მიზანშეწონილობის, ჩვენი კონკრეტიული პირობების და შესაძლებლობის თვალსაზრისით — აი რას უჭერთ ჩვენ მხარს.

ჩვენი მეურნეობის მთავარი ამოცანების მიხედვით ჩვენ მუშაობას გეზს აძლევენ ეკონომიურობის და რაციონალობის საკითხები.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები აყენებენ არქიტექტორის წინაშე ახალ პრაქტიკულ ამოცანათა მთელ რიგს: მსხვილი საბინაო მშენებლობა არა წვრილ მესაკუთრეობრივი, არამედ კომუნალური ტიპისა; ქარხნების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების როგორც რაციონალურად ჩამოყალიბებულ შრომის ადგილების საღ პირობებში აგება და აშენება; მასების გონიერ დასვენების და კომუნისტურად აღზრდისათვის კლუბების, დასასვენებელ სახლების, სკოლების, ბაგების და სხ. ასეთების აგება და აშენება. ყველა ეს ამოცანები გადაწყვეტილი უნდა იქმნას არა მარტო ვიწრო უტილიტარულ ტეხნიკურ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით (პრაქტიციზმი) და არა მარტო შენობის ვიწრო-ლოკალურ ფუნქციების მიხედვით (კონსტრუქტივიზმი), არამედ უმთავრესად შენობის ფართო სოციალურ მნიშვნელობის თვალსაზრისით.

არქიტექტორი უნდა იყოს შრომის და ყოფა-ცხოვრების ახალი ფორმების პროპაგანდისტი და ორგანიზატორი: ის არ უნდა მოსწყდეს სინამდვილეს, არ უნდა გაიყინოს ერთხელ მიღწეულ წერტზე; იგი მუდამ უნდა იდგეს პროლეტარულ მოძრაობის ავანგარდში. ჩვენ მხარს უჭერთ პროლეტარულ კლასობრივ არქიტექტურას, კონტრუქტიულად მთლიან, მხნე, შრომის და ბრძოლისაკენ მასების ნებისყოფის დამრაზმველ ხელოვნებას. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ფორმის შინაარსიდან და აგრეთვე ფორმის კონსტრუქციიდან გამოყოფას. — ჩვენ მხარს უჭერთ მათ ორგანიულ მთლიანობას. ჩვენ მხარს უჭერთ წარსულ დროის კულტურის შეთვისებას, მის შესწავლას მარქსისტულ ანალიზის მეთოდით. არა ბრმა მექანიურ მისაბაძავად (ეკლეკ-

ტიზმი) არამედ ისტორიულ გამოცდილების კრიტიკულად გამოყენებისათვის პროლეტარულ არქიტექტურის შექმნის პროცესში.

ამრიგად ჩვენი მეთოდი არქიტექტურაში წარმოადგენს არქიტექტურის საგნის ყოველ მხრივ გაშუქებას, არქიტექტურის განმსაზღვრელ (სოციალ-ეკონომიური, ემოციონალ-იდეოლოგიური, კონსტრუქტიულ-ტეხნიკური და სხ.) ელემენტების, მათი ურთიერთ კავშირით, წინაალმდეგობებით და ურთიერთ ქმედობით, მაქსიმალურად მხედველობაში მიღებას.

ჩვენ კერძო მომენტების განცალკავებულად გადაწყვეტის წინაალმდეგი ვართ. ჩვენ მხარს უჭერთ მთელი ამოცანის ორგანიულ გადაწყვეტას — ნაწილების ანალიზით, სინტეტიურ განსაზოგადოებისაკენ. ჩვენ მხარს უჭერთ არქიტექტურის ყველა პრობლემის გადაწყვეტას ჩვენ საერთო სამეურნეო ამოცანებზე, დღევანდელ დღის მოთხოვნილებებზე, მომავლისაკენ მისწრაფებებზე დაყრდნობით და ადგილობრივ სპეციფიურ პირობების ყოველმხრივი გათვალისწინებით.

ყოველ კულტურულ ამოცანაში ჩვენი გონების მთელ სიმახვილეს ვაჩერებთ იმ მთავარ მომენტებზე, რომლებსაც, აღებულ შემთხვევაში, უკარნახებენ არქიტექტურის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები. პროლეტარული არქიტექტურა არ უნდა ჩაიკეტოს სპეციალისტთა ვიწრო წრეში, არამედ გახდეს მთლიანი მასების საკუთრებად და შეიქმნას და განვითარდეს მათი მონაწილეობის, შემწყობის და შეფასების საშვალებით. პროლეტარულ არქიტექტურის გზა მიმართულია და ლოზუნგიდან: „ხელოვნება მასებს“ ლოზუნგისაკენ: „მასათა ხელოვნება“ — ეს არის არა კაბინეტური, კარჩაკეტილი მეცნიერის, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკისა და მშრომელთა კლასის საქმისათვის მებრძოლთა გზა.

„სპაგ“-ის დამფუძნებელი წევრები:

1. გალუმოვი ე. ს., 2. გლაზკოვი ნ. პ., 3. გოქაძე ბ. ნ., 4. თევზაძე ა. ა., 5. ჟიტკოვსკი ი. კ., 6. კრივოზუბკინი ბ. ვ., 7. ლეჟავა გ. ი. 8. მელეგი ნ. ვ., 9. მერაბიშვილი კ., 10. ნიკოლაიშვილი ა. მ., 11. უშენინი პ. ი., 12. სარქისოვი ა .ბ., 13. სირუნიანი გ. ა. 14. სოკოლოვა ქ. ნ., 15. ყირქესალი ი. პ., 16. ქურდიანი ა. გ., 17. ცაგარელი პ. გ., 18. შავიშვილი მ. კ., 19. ჩხიკვაძე მ. ა., 20. ჯანდიერი მ. ი.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

კარლო კალაძე — **როგორ** — **პიესა ოთხ ნაწილათ.** სახელგამი. 1929 წ.

თანამედროვე ეპოქაში გამოიცვალა დრამატურგიის ფუნქციონალური დანიშნულება, ჩვენ ვეთანხმებით იმ ამხანაგებს, რომელნიც მოითხოვენ დრამის როგორც ლიტერატურული მოვლენის ლიკვიდაციას. ეს ფაქტი გააძლიერებს დრამის სცენიურ ღირებულებას; დრამატურგიის გადახრა ბელეტრისტიკისაკენ არ არის კარგი; პიესა უნდა იწერებოდეს სცენისათვის; ახალი პროლეტარული ბელეტრისტიკა თავის ამოცანას თვითონაც კარგად შეასრულებს. გარდა ამისა პიესა მოთხრობის მსგავსად ვერ შესძლებს მთელი რიგი **წარმოდგენების** შექმნას სცენიური განსახიერების გარეშე. ამ პრინციპზე უნდა აშენდეს ახალი დრამატურგია. მასში რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს ლიტერატურული წყალდიდობა; ამ პრინციპის მიხედვით დაწერილია კარლო კალაძის ახალი პიესა „როგორ".

ავტორს თემად აუღია ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის გმირული ბრძოლები; კარლო კალაძე, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ პოეზიის სფეროში ნაციონალისტური და სიმბოლისტური გადახრები ახასიათებდა, დრამატურგიაში გამოვიდა, იდეიურათ როგორც ყოველმხრივ გამართლებული იდეოლოგიის მწერალი. მისი ეს დრამატიული ნამუშევარი იდეური სიჯანსაღის ძლიერ ეფექტს იძლევა; ეს მოხდა იმიტომ, რომ დრამატურგია უფრო ვრცლათ გამოხატავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვიდრე ინტიმიური ლირიკა; ლექსის წერის დროს ავტორი ეყრდნობოდა ძველი პოეზიის მხატ. ტრადიციებს, დრამატურგიაში აღმოჩნდა მხოლოთ ერთი გზა: საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლა. ობიექტიურმა პირობებმა შესწავლის შედეგათ ავტორი მიიყვანა კომუნისტური იდეოლოგიის ყოველმხრივ აღიარებამდე. თავის ლექსების წიგნში კარლო კალაძე სწერდა წმინდა წყლის ოპოზიციონური კილოთი, („მუშების საუბარი") რომ მუშა, რომელიც აქტიურად იბრძოდა ცხრაასხუთიდან ოცდაერთ წლამდე, დღეს ჩამოწყვეტილია, ჩამოშორებულია საზ. ცხოვრებას, რადგან წარსულ ბრძოლებმა ვითომ საკმარისი ნაყოფი არ გამოიღო. ამ პიესაში წინა პლანზე წამოწეულია ამ აზრის საპასუხო იდეია. პიესის სიუჟეტური გაშლილობა მოთავსებულია მუშების საუბარის ფარგალში. საუბარი იწყება ღამით ქარხნის სადარაჯოზე, თავდება დილით; ძველი ბოლშევიკი კობა უყვება ახალგაზრდებს წარსულის ბრძოლებს და ასე ათავებს: „რომელი ერთი გითხრათ ბიჭებო, დიდი ხალისი იყო, მრავალი შეეწირა და მრავალი ვიბრძოდით, მაგრამ ხალისი და გამბედაობა როდი კმაროდა თურმე — გამოცდილება და დიდი გამძლეობა ყოფილა საჭირო. გაუძელით... ვიმუშაოთ. **მთელი დრო ეს შავი მთები, ეს მალაროები ჩვენი, რომ ყოფილიყო ამისთვის ვიბრძოდით და რას იტყვით გვაქვს თუ არა უფლება ჩვენად გამოვაცხადოთ".**

აქ აშკარად დაგმობილია ძველი არაპროლეტარული თვალსაზრისი. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პიესას აქვს არა მარტო იდეიური მიღწევები, არამედ ტეხნიკურ-ლიტერატურულიც;

„როგორ" მიზნათ ისახავს გვიჩვენოს მთელი რიგი აქტიური ბოლშევიკების ტიპები და მათი საქმიანობა; ამ ამოცანას პიესა სამაგალითოდ ასრულებს; პირველ

რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პიესა ფორმალურათ აგებულია პროლეტარულ რეალიზმის პრინციპზე. აქ არ არის კლასიციზმის ეპიგონობა, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგებს ეჩვენებათ; (მაგალითად „მნათობის" ბიბლიოგრაფს) პირიქით აქ სათანადოთ დაძლეულია კლასიციზმის დრამატურგიული მემკვიდრეობა. უკანასკნელ ხანებში მთელ რიგ ამხანაგებმა დაიწყეს მუშაობა ამ დარგში, ბევრი მათგანი უთუოდ დამარცხდა; რატომ? იმიტომ, რომ მიუხედავად იდეიური სიჯანსაღისა მათ ვერ შესძლეს ფორმალური მასალის ახალი ტრაქტოვკა. ეს ნაკლი უთუოდ დასძლია კ. კალაძემ. პიესაში ერთიმეორეს ებრძვის რეაქცია და რევოლიუცია. პირველის წარმომადგენლები არიან ალმასხან ქარუმიძე, ბოქაული. შემდეგ გენერალი და მთელი რიგი ნაძირალები; მუცუტა და სხვა... საინტერესო ტიპს წარმოადგენს ბოქაულის და — ლოლა. ავტორი აქ არღვევს ერთ გაბატონებულ ტრადიციას, რომლის მიხედვით რევოლიუციონერი ქალი მუდამ ბოქაულის და მისი ახლობელი ნათესავის შვილი უნდა ყოფილიყო; ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ტრაგედიებზე მწერალს მიეცემოდა საშვალება სანტიმენტალური სიტყვების ფრქვევისათვის.

პიესის ავტორი გვიჩვენებს, რომ ეს ექზალტიური ქალიშვილი დაძმური სიყვარულს ბოქაულისადმი უფრო მაღლა აყენებს ვიდრე ბეგლარის სიყვარულთან დაკავშირებით წარმოშობილ სიმპატიებს რევოლიუციის მიმართ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. პიესაში წარსული ბრძოლები მოცემულია ოქტომბრის რევოლიუციის პერსპექტივებში. აგრედვე სამაგალითოდ არის დახასიათებული ფუქსავატური ყოფა-ცხოვრება ბოქაულის ოჯახისა, ამ მხრივ აღსანიშნავია მეორე ნაწილის მეორე სცენა.

საერთოდ პიესა ერთ-ერთი დიდი მიღწევაა პროლეტარულ დრამატურგიისათვის, ის პროლეტარულ დრამატურგიის ზრდაზე ლაპარაკობს.

ლ. ი.

სანდრო ეული „ახალგაზრდობას". სახელგამი. 1930 წელი.

სასტიკად სცდებოდნენ ზოგიერთი ამხანაგები, როდესაც ვიქ. შკლოვსკის „ჰამბურგის ანგარიში" — სრულიად მოუფიქრებლად პროლეტ-მწერლობაშიაც შემოათრიეს. მით უფრო სახიფათოა იგი, რომ ფორმალისტი შკლოვსკი — ამით პროლეტარიატის მტრის საქმეს აკეთებს. შკლოვსკი თუ „ეანდარმულ" მათრახს ურტყამს მაქსიმ გორკის; ბოლოსა და ბოლოს ეს მათრახი ხვდება საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს, რომელმაც უკანასკნელს იუბილე გაუმართა.

მაგრამ ძლიერ სამწუხაროა, რომ ამ თეორიამ ჩვენშიაც იპოვა ერთგული დამცველები, რომლებსაც შესწევთ გამბედობა, ეს იარაღი მომართონ პროლეტარულ მწერლების წინააღმდეგ.

პ. ქიქოძემ თავის ირონი წლის ანგარიშში, შკლოვსკის ეს „უხერხემლო" თეორია მთელი სიმწვავით განავითარა... „მემარცხენე" მოლაშქრეს ეყო გამბედობა — ბრძოლებში გამოწრთობილ პროლეტ-მწერლების პირველი თაობისათვის ჯვარი დაესვა და საბოლოო ანგარიშში უარეყო პროლეტარული მწერლობის არსებობა საქართველოში.

„ჰამბურგის ანგარიშის" „მწვავე" ხელი სარეცენზიო ლექსების ავტორსაც მოხვდა. სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს უფრო მეტი სიმახვილით განვიხილოთ ს. ეულის უკანასკნელად გამოსული ლექსების წიგნი, ხომ არ მართლდება „მემარცხენე" მოლაშქრის თავ-

დასხმები!? ხომ არ დაიწურა ეულის პოეტური ენერგია? ჩვენ შეეეცდებით მიუდგომლად გავაშუქოთ საკითხი.

უნდა ვალიაროთ, რომ ეულს და საერთოდ პროლეტ-ლიტერატურის წინამორბედებს ჩვენს პერიოდულ პრესაში ბედი არ სწყალობთ. უდავოა **„რომ ს. ეულის სახით პროლეტარულმა პოეზიამ პირველად დაილაპარაკა გაბედული და ძლიერი ხმით. ის იყო პირველი, რომელმაც მანამდე უჩვეულო ენტუაზიაზმით გადმოშლა პროლეტარულ-რევოლიუციონური მისწრაფებანი, აგრეთვე ერთადერთმა პირველთაგანმა შეეტანა ჩვენს ლიტერატურაში ინდუსტრიალური მოტივი... ასე რომ ის უნდა ჩაითვალოს პროლეტარული პოეზიის პიონერად საქართველოში“.**) ს. ეულის შემოქმედება ამ აზრის დამტკიცების ურყევ საბუთებს იძლევა. თავიდანვე პოეტი დადგა დაჩაგრულთა მხარეზე და ეულის ფსევდონიმით ქართველ საზოგადოებას ელაპარაკებოდა მშრომელი ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებაზე. ს. ეულმა „ბრძოლის მგოსანში“ ერთხელ კიდევ საქვეყნოდ აღიარა, რომ პროლეტარული პოეტი გვერდში უნდა ედგეს დაჩაგრულ კლასს— პროლეტარიატს, კლასიური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლის სიმღერებში დავაეკაცდა პოეტი... ამავე სიმღერებით ზრდიდა მომავალ თაობას.

— გავიდა წლები... აღსრულდა დიდი ხნის ბრძოლის საგანი... საქართველოში პროლეტარიატმა გაიმარჯვა... დადგა სამეურნეო აღმშენებლობის წლები... რევოლიუციის რიტმი ახალ ფორმას ღებულობს. ობიექტიური პერსპექტივები დაიწმინდნენ და პოეტიც შეგნებულად გაჰყვა მას... მას უხარია აშენება ზაჰესის, ახალ-ახალი წამოწყებები... პოეტი უმღერს მას, მაგრამ ეს სიმღერა არ არის მხოლოდ უბრალო სიმღერა, იგი სიმღერაა — მშენებლის, მოსაქმე ადამიანის. და უკეთეს მომავლის. ს. ეულს არ რჩება არც-ერთი წვრილმანი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა. იგი უმღერს: მუშის გარუჯულ მკლავს, განახლებულ სოფელს, ტანჯვის ბორკილით განთავისუფლებულ ქალს და მომავალ თაობას — პიონერებს.

„განახლებულ სოფელში“ იძლევა თანამედროვე სოფლის ფოტოგრაფიულ სურათს... პოეტი იჭრება ახალი გლეხების სულიერ სამყაროში... მხატვრულად გადმოგვცემს ყველა იმ ცვლილებებს, რომელიც ოქტომბერმა მოახდინა ისტორიულად ჩამორჩენილ გლეხის წვრილბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. პოეტმა იცის — რომ იგიც იცვლება ახალ ყაიდაზე. კერძოდ ამ ლექსში მომქმედ პირებად არის გამოყვანილი ქალაქის მუშა — დათო და სოფლის გლეხი — ალექსი. ამბავი იწყება მათი წარსული, ტანჯულ ცხოვრებიდან... მაგრამ რევოლუციამ უკვე დალეწა წარსული. ამიტომაც ამბობს დათო:

„საცა შრომაში
ხარობს მშრომელი,
მეც მიხარია,
რომ ვადნობ რკინას
და ვჭედ იარაღს —
სოფლისთვის სახმარს.
დღეს ცეცხლის ალზე
სახე მიბრწყინავს,
რომ ეს სოფელი
წინანდელს არ ჰგავს“.

(„განახლებული სოფელი“).

მაგრამ ოქტომბრის მნიშვნელობა მარტო ამით არ განიზომება. რევოლუციამ ფარდა ახადა ბურჟუაზიულ, ოჯახურ ურთერთობას, სადაც ქალი წარმოადგენდა ცოცხალ მონას, გასართობ ნივთს. ოქტომბერმა ჯერ არნახული სისასტიკით დალეწა ოჯახური ბორკილები, მეშჩანურ განწყობილებათა სივიწროვე და

[1]) იხილ. შალვა რადიანის „ლიტერატურული პორტრეტები“ — 1929 წელი. ხაზი ჩვენია.

ქალიც, როგორც აქტიური წევრი ჩვენი ცხოვრების, გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე. ლექსში „გლეხის ქალი“ — პოეტი იძლევა ახალი ადამიანის კონკრეტიულ სახეს.

ამგვარივე თემაზეა დაწერილი ლექსი „დელეგატი“, სადაც პოეტი ესაუბრება 60 წლის გლეხს — საკუთარ მამას, რომელიც სოფლიდან დელეგატად არის გამოგზავნილი ტფილისში. შვილს უხარია, რომ მოხუცი მამა ანთებულია ახალი ცხოვრების ცეცხლით. სამაგიეროდ მამაც აღფრთოვანებულია შვილის სამწერლო მოღვაწეობით.

ს. ეული ლექსების საკმაო ნაწილს უძღვნის მომავალ თაობას — პიონერებს. სადაც გამოაშკარავებულია პიონერების ენტუზიაზმი — ახალ-ცხოვრებისადმი. ამ თემებთან დაკავშირებით პოეტი თანმიმდევრობით ამუშავებს — რევოლუციის თემატიკას. ასეთია მაგ.: „ოქტომბრის მარში“, „ჩვენი კოშკი“, „ლენინის ნახვა“, „ეული“, „ღმერთი უარყვეთ, „მოურავი“, „დედა“, „ჩვენი სოფელი“, „უსახლკარონი“, „ქალი მოურავის“ და სხვა..

აქამდის ჩვენ პოეტის დადებით მხარეზე ვლაპარაკობდით. არ იქნება ცალმხრივი — თუ ავტორს მიუთითებთ ზოგიერთ შეცდომებზე.

ს. ეული, მხატვრული ფაქტის შენების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევს სტილს.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ გარკვეულ ეპოქას თავისი სტილი და მხატვრობა გააჩნია. **მხატვრული ფაქტის სიდიადე და მნიშვნელობა იმაშია, თუ რას ამუშავებ და როგორ ამუშავებ!** დღევანდელ მხატვრულ ფაქტებში გაბატონებულ ტენდენციათ ითვლება დინამიურობა. ნაპირებ დატეხილი სტრიქონები, არეული რიტმი და დარღვეული მეტრი — სათავეა დღევანდელი პოეზიის. უკვე მობერდა სილაბიური ლექსთა წყობა... ის კვდება, სამაგიეროთ გაშლილი სახით მოდის ზემოდ-დასახელებული ფორმები. ს. ეულის პოეზია ამ მხრივ ძლიერ ღარიბია. სანიმუშოთ მოგვყავს ერთი ადგილი..

„ზაჰეს, ზაჰეს!
დღეს ჩემ სახეს!
შეგადარეს და იკმარეს
რაც იმწარეს, შავ ბნელ ღამეს..

ეს ლექსი მითიურ ხანაში შექმნილ ხალხურ „ოდელია-დელას“ უფრო ეგუება ვიდრე რკინის და დინამიზმის ეპოქას. ხშირად ეული ერთი და იგივე ლექსში — ყოველ სტრიქონში იმეორებს ერთი და იგივე სიტყვებს. რაც გაუმართლებელია ფონეტიკურადაც და მორფოლოგიურადაც. ხშირად ცუდია რითმები. მაგ. ულირსია — სხვისია, ზღვისს — მაის და სხვა. საჭიროა დავეუფლოდ ლექსის ახალ კულტურას... აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტის შემოქმედებაში **პესიმიზმის მიკრობებიც** ხშირად სწამლავს პოეტის ჯანსაღ ხედვას. მაგ.:

„სულში ჩაგუბდა უიმედობა
და შევაფურთხე გაჩენის წუთებს“
(ლექსი „ქალი მოურავის“)

მაგრამ აღნიშნული ნაკლი ვერ ამცირებს სარეცენზიო ლექსების წიგნის ღირსებას.

დ. ბენაშვილი.

ალ. მაშაშვილი „პიონერული“ 1930 წ. სახელგამი.

დღეს საბავშო ლიტერატურის მნიშვნელობა დიდია. ის უნდა გადაიქცეს მომავალ თაობის კლასიურ შეგნების გასაღვივებელ საშუალებად. საბავშო ლიტერატურამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშში პროლეტარულ ფსიხოლოგიის გამომუშავებას.

ალ. მაშაშვილის სარეცენზიო წიგნიც ამ ამოცანას ემსახურება.

ალ. მაშაშვილი სულ რამოდენიმე წელია, რაც ამ ხაზით მუშაობს, მაგრამ მიუხედავათ ამისა საგრძნობ შედეგებს მიაღწია. რაც მთავარია მაშაშვილმა გაიგო, შეიცნო ბავშის შინაგანი ფსიქოლო-

გიური სამყარო, ამიტომაა, რომ ყოველი მისი ლექსი დამაჯერებელია და მგრძნობიარე. კიდევ ერთი დადებითი მოვლენა ახასიათებს ალ. მაშაშვილს, ეს არის შემდეგი: ლექსი კონკრეტიულ თემაზეა აშენებული და გარკვეულ შინაარს იტევს. ავტორს შეუძლია სრული სუბიექტივობით გადმოგცეთ ბავშის განცდის ყოველი დეტალი მუშაობის, თამაშობის და სხვა მოქმედებათა დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსი „ზამთარი“:

„ეჰ ბიჭებო ჰერი-ჰერი
მეც მოვდივარ მომიცადეთ
ქუდს დაავლო სწრაფად ხელი
და ყვირილით გარბის გარეთ
უკან ფისო ჯიბრით მისდევს
მინდვრად ისევ თოვს და ყინავს
გიგლა მირბის ბავშებისკენ
და გუნდაობს თავ-დაყირა“.

„და გუნდაობს თავ-დაყირა“ ეს მოკლე ლაკონიური ფრაზა იძლევა მთელ პროცესის სურათს და წარმოდგენას თამაშობისას. მაშაშვილს უყვარს სახეებით აზროვნება, რაც უფრო მომხიბვლელ და ადვილ წარმოსადგენად ხდის ნივთს. ა. მაშაშვილი დინამიკის პოეტია, ის საგანს ხედავს მუდმივ მოძრაობაში.

მაშაშვილი დიდ აღფრთოვანების და ეგზალტაციის დროს, საგნებსაც ამეტყველებს:

„კაცი როგორ დამუნჯდება
ამ დიდებულ დღეს
უხარიან ხალს, ქუჩებს და
სოფლად მინდორ-მთებს“.

(„ოქტომბრული“.)

საგნების სულიერ მდგომარეობაში გადაყვანა საერთოდ მიუღებელია მაგრამ პოეტი მას ისეთ ადგილას და სიტუაციაში ხმარობს, რომ მიზანი გამართლებული რჩება და პრინციპიც არ ირღვევა.

მაშაშვილის თემატიკაც ახალია და ყოველმხრივი. პოეტმა უკვე დააღწია თავი, ნაციონალურ შეზღუდულობის ტენდენციას. ამის უტყუარი ფაქტია საუკეთესო, მებრძოლი ლექსი: „ლენინელების სიმღერა“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს წიგნის ნაკლიც.

„გაივლის ეამი
მტვრევით ხმაურით
დაგროვილ სეედას
აქცევს ბოლებად და სხ.

ასეთი ტონით წერა საბავშო ლიტერატურაში არ შეიძლება რადგანაც აქ სხვა ამთვისებელ ობიექტთან გვაქვს საქმე, ბავშს რომ ასეთი ლექსები მივაწოდოთ ის მას არ წაიკითხავს და მიზანიც გაუმართლებელი დარჩება. ამ გარემოებას შემდეგში ავტორმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მიზან-შეუწონლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კრებულში ისეთი ლექსების შეტანა, როგორც მაგ., „მიხა ცხაკაიას“, „ბრძანება № 5“, „მუხა“, „25 თებერვალს“ და სხვ. საჭირო იყო მეტი შერჩევა.

საერთოდ ეს კრებული ავტორის მორიგი გამარჯვებაა საბავშო ლიტერატურის ფრონტზე.

გ. ლომიძე.

სიმონ ჩიქოვანი „**მხოლოდ ლექსები**“. 1930 წ. სახელგამი.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდში, კლასობრივ ბრძოლის ახალ საფეხურზე საბოლოოდ გამოირკვა და ჩამოყალიბდა მთელი რიგი სოციალური ტენდენციებისა, რომელნიც ფაქტიურად წარმოადგენენ საბჭოთა ლიტერატურის რთულ საზოგადოებრივ მექანიზმის შინაბუნებას. ერთის მხრივ, გაძლიერდა რეაქციონური განწყობილებები, ხოლო მეორე მხრივ, გაიზარდა თანამგზავრულ ლიტერატურის ხვედრითი წონა. თანა-

მგზავრულ რევოლიუციონურ ლიტერატურულ მოძრაობის ყველაზე უფრო მკვეთრ გამოხატულებათ ამ უკანასკნელ ხანებში უნდა ჩაითვალოს სიმონ ჩიქოვანის წიგნის გამოსვლა სალიტერატურო ბაზარზე. ამ ფაქტით ქართულ მწერლობის მემარცხენე ფრონტი დაუახლოვდა პროლეტარულ რევოლუციის იდეებს; ეს დაახლოვება დღეს უკვე პრაქტიკული აუცილებლობაა, ეს მოვლენა სხვათა შორის ხელს უწყობს რეაქციონურ ლიტერატურულ ძალების მაქსიმალურ იზოლიაციას. მემარჯვენე მწერლობა დღეს დიდი გულმოდგინებით ღეჭავს ბურჟუაზიის ესტეტიურ შაბლონებს. აქედან ბუნებრივია ფორმალური კონტრევოლუცია, როგორც ლოღიკური შედეგი ბურჟუაზიული ლიტერატურის სოციოლოგიური კრიზისისა.

მეორე მხრივ, გაიზარდა პროლეტ-მწერლობის იდეიურ-ლიტერატურული სიმძიმე. მასთან ერთად თანამგზავრულ ლიტერატურას შეემატა ახალი ძალები; მემარცხენე თანამგზავრების იდეიურ-ლიტერატურული მუშაობა პრინციპიალურად დაუპირისპირდა ზემოაღნიშნულ რეაქციონურ მოვლენებს, ამის საუკეთესო მაგალითად ჩვენ მიგვაჩნია სიმ. ჩიქოვანის მუშაობა, მას მართალია, დღემდე მრავალი სიმბოლისტური — „ფუტურისტული" შეცდომები ხელს უშლიდა, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა შეცვლილია.

ს. ჩიქოვანი, როგორც პოეტი გაიზარდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ინდუსტრიალიზმის ეპოქამ თავის დაღი დააჩნია მას. ფუტურიზმი თავის მთავარ ამოცანად ისახავდა ყოფილიყო კანონიზატორი ახალი მხატვრული ფორმებისა. ამ ტენდენციების ქვეშ მოექცა თავიდანვე სიმონ ჩიქოვანის პოეზიაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ს. ჩიქოვანი და საერთოდ მთელი „მემარცხენეობა" ქართულ ლიტერატურაში საგრძნობლათ ასცდა ფუტურიზმის ლიტერატურულ პრინციპებს და ამით ადვილი შესაძლებელი გახდა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ მუშაობა. აქ დაიბადა **სანტიმენტალიზმის და რომანტიზმის ფუტურისტული ვარიაციები,** ამ მოვლენის დამადასტურებელ სურათს თვით სიმონ ჩიქოვანის პოეზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპები იძლევა; რასაკვრველია, შედარებით ქართულ მწერლობის რეაქციონური ბანაკის მხატვრულ ფორმებთან ეს უფრო პროგრესიული მოვლენა იყო, მაგრამ ეს სრულებით არ ამართლებს რუსული ფუტურიზმის ობივატელურ მოდიფიკაციას ქართულ სოციალურ ნიადაგზე.

ქართულ მწერლობის ახლანდელ თაობას მხრებზე აწევს დიდი ლიტერატურული ტრადიციები, რომელიც წამოღებულია ლიტერატურული კლასიციზმის ბანაკიდან. მემარჯვენე ბანაკში თავიდანვე სანტიმენტალურმა ლირიკამ დაიპყრო ლიტერატურის მბრძანებელი სიმაღლეები; მხატვრული მუშაობის მთავარ ხერხათ აღიარებულ იქმნა: პრაქტიკული სიტყვის ესთეტიზაცია. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა ღრმა სოციალურ კრიზისს, (მხედველობაში არა გვაქვს პროლეტარული მწერლობის წინაპრები) ლიტერატურულ კლასიციზმის უნარდაკარგულმა ეპიგონებმა სცადეს გაცვეთილი იდეოლოგიის ახალი ხერხობრივი ორგანიზაცია, მაგრამ ეს ცდა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა, ვინაიდან მათ არავითარი ახალი ღირებულება ფორმალურ სფეროში არ გააჩნდათ; ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა სიმბოლიზმი, როგორც ქართულ ლიტერატურის დეკადანსის უკანასკნელი საზღვარი. მის პარალელურად განვითარდა ხარფუხელი ყარაჩოღელების და ავლაბრელი მიკიტნების მომღერალთა რეაქციონური მწერლობა. ამ ხალხმა აშკარათ ჩამოასახლა მწერლობაში თამარ მეფე, ირაკლის

ბრძოლები, და სხვა ამგვარი ზღაპრები... ხანგრძლივი უმოძრაობის შემდეგ ეს ჭაობი გაარღვია პროლეტარულ ლიტერატურის ახალმა ტალღებმა;

ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა ქართული ფუტურიზმი. ს. ჩიქოვანი ამ მიმართულების ძირითადი წარმომადგენელთაგანია. დღეს იგი ერთ-ერთ მემარცხენე თანამგზავრად ითვლება.

როგორია სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების პირველი პერიოდი? ამ საკითხზე საკმარის პასუხს გაგვცემს წიგნში წარმოდგენილი ზოგიერთი ნიმუშები. სიმონ ჩიქოვანის „თეორიული განხრის" ლექსებში მრავალ ადგილას მოცემულია თავისი მწერლობის შეფასება; იგი ერთ ლექსში სრულიად სამართლიანად აკუთვნებს თავის თავს რევოლიუციასთან შემთხვევით მოსულ მწერალთა რიგს:

„ვით ძველ პოეტებს
მსურდა სიმაღლე,
მეგონა ზეცამ
დამნიშნა ქვეყნად,
და მომივიდა
აზრი ახალი,
რომ შევძლებ ყოფნას
მნათობთა მეხრედ.
და ჰა ავდივარ,
ვკიდივარ თოკზე
. . . . . .
თოკი გაწყდება და ვეშვები
ხალხის სილრმეში,
ამ სიმაღლიდან
სიდაბლეში ჩამოშვებულმა
დავტოვე ცაში სინაზე
და გრძნობა გვრიტების".

(„ს. ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე".)

სიმონ ჩიქოვანი არ დაბადებულა რევოლიუციაში, იგი შემთხვევითმა გარემოებამ ააცილა ზეშთაგონების პოეტის კარიერას და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებიდან პროლეტარულ რევოლუციის მემარცხენე თანამგზავრთა რიგებში მოაქცია. ეს მეტად რთული სოციალური პროცესის შედეგია; სიმონ ჩიქოვანის პოეზია საკმაო სიმახვილით გვიხატავს ამ პროცესს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ინტელიგენცია დაიყო ფენებათ: ერთი ნაწილი გაჰყვა კოლჩაკისა და კალედინის გზას და აქტიური საბოტაჟის საშუალებით ებრძოდა ახალ საბჭოთა რესპუბლიკას. ეს ნაწილი გლოვობდა თეთრი პურისა და საერთოდ თბილი ბუნაგების დაკარგვას, ხოლო მეორე ნაწილი მიეკედლა პროლეტარულ რევოლუციის ციხე-სიმაგრეებს. ამ ფარგალში მოექცა თვით მწერლობაც, რომლის ერთი ნაწილიც ამ გარდატეხის მომენტებში ახალი ფორმალური გზების ძიებაში იყვნენ გართული. ესენი იყვნენ ფუტურიზმის წარმომადგენლები, მათი პირველი პერიოდი ეს არის ხანა დაულეველი ძიებისა. ხლებნიკოვმა და კრუჩიონიხმა მრავალმხრივ დაამუშავეს ახალი ლექსალური მასალა. ზოგიერთმა კრიტიკოსებმა ფუტურისტები გამოაცხადა ახალი ენის მშენებლად. ფუტურიზმის თეორეტიკოსები შეეცადენ დაემტკიცებინათ, რომ „ზაუმი", როგორც სიტყვიერი მოვლენა გვხვდება ადამიანთა ისტორიის ყველა პერიოდებშიო. ერთი სიტყვით მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოეტებისა შეუდგა ისეთ ენაზე წერას, რომელიც არავის არ ესმოდა და მაშასადამე მოკლებული იყო გარკვეულ სოციალ-პრაქტიკულ დანიშნულებას. ეს იყო ფუტურიზმის პირველყოფილი დაბნეულობის ეპოქა. ამ დროს ისინი მთელ თავის ყურადღებას რაზმავდნენ ფორმალური მომენტებისა და სიტყვის ლაბორატორული დამუშავების გარშემო. „ზაუმმა" მოიპოვა აბსოლიუტური პოეტური ღირებულება. სიმონ ჩიქოვანი თავისი მუშაობის პირველ წლებში ძლიერ ხშირად მიმართავდა ამ ხერხს. მთელი რიგი მისი ლექსებისა, რომელიც შეტანილია ახალ წიგნში, აშენებულია ფუ-

ტურიზმის თეორეტიული პრინციპების მიხედვით. აი მაგალითები:

1. „ცირა ციბა, ცირა წარბი,
ცირა წაბლი, წარბენალი,
ცაკუთხური, ცაკუთხედი,
ხიდბოგირი.
ოდელიოდო ბუდე
ოდელიოდო ცია
მდინარის პირას
ცხენების მოცდა".
2. „ცირა შინდი — შორს
ბაიდით გადაფრინდი
უდე ბუდე
უდევს ბადე და ბაიდებს
ობადები აბადია".
3. გურაგელი მორგვი
ბორგვი ვერაგული
გურაგელი ქუფრი
მორბო კუპრი
გურაგელი შორი
შური გვიმბრა იბრო" და სხვა.

ეს საფეხური სიმონ ჩიქოვანს დღეს უკვე განვლილი აქვს. ამ პერიოდის შემდეგ მან ხელი მოჰკიდა სერიოზულ მუშაობას;

ამ მუშაობის შედეგათ ს. ჩიქოვანის შემოქმედება გარკვევით მოექცა თანამგზავრულ კალაპოტში. თემატიურათ სიმონ ჩიქოვანის პოეზია ფრიად მრავალფეროვანია, იგი ეხება, როგორც აღმშენებლობითი, ისე ყოფითი და ინდუსტრიალურ თემებს.

ს. ჩიქოვანის ლექსებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „ოქტომბრიდან 27-მდე", „ემიგრაციის მწერლებს", „ჩადრი", „მუშათა კლუბი საფრთხეში", „სამოქალაქო ომებიდან", „კავკასიიდან ტაგანროგამდე", „მოსკოვი", „ქალწული კოშკი" და სხვა.

სიმონ ჩიქოვანი ებრძვის რომანტიზმის ნაშთებს, მაგრამ ეს ბრძოლა ერთგვარი ფორმალური განხრითაა წარმოებული: პოეტი პირველ რიგში ებრძვის არა რომანტიზმის იდეოლოგიას, არამედ ამ მიმართულების ხერხობრივ ნაშთებს თანამედროვე ლიტერატურის ზედაპირზე, როგორიცაა მაგალითად ლირიკა. სიმონ ჩიქოვანის მძიმე ლექსი ყველაზე უფრო ძლიერ ეფარდება ინდუსტრიალურ განწყობილობებს. რამდენად ახერხებს ამას პოეტი — ეს მეორე საკითხია. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ მხრივ ჩიქოვანს დიდი პერსპექტივები აქვს; ს. ჩიქოვანი სწერს:

„მისთვის მოვშორდი
განცდებს პირადულს —
საბჭოურ აზრის დაკავშირებით,
და ისტორიზმის ჩონჩხთა პარადი,
წარსულს გადავეც დანახშირებულს".

როგორც ვხედავთ სიმონ ჩიქოვანი იბრძვის ისტორიზმის წინააღმდეგ და ამ რიგად, იგი მტერია ძველი პოეზიის ესთეტიური ტრადიციებისა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მთლიანად თავისუფალია სიმბოლიზმის ზეგავლენისაგან. არა. მისი ლექსების ზოგიერთი ლირიკული სტრიქონები აშკარად ატარებენ სიმბოლიზმის დალს. სიტყვიერი ბრძოლა რომანტიზმის წინააღმდეგ სრულებით არ ნიშნავს ყოველმხრივ განახლებას.

„ჩადრი", როგორც სიბნელის და უკულტურობის ემბლემა — ასე აქვს ასახული პოეტს. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ლექსი ასე თავდება:

„გავიდა დრო
და აზრთა ზეკრებმა
გამოაღვიძეს ქალიც აჭარის
კომუნიზმის და შრომის შეკრებამ
აახდევინეს ჩადრი საჯაროთ.
და ვფიქრობ ახლა
მე რომ ჩავიდე
შევხვდე გოგოს
თუ მოხუცის კაბას
არ მომერიდოს
ხელს ხელს ჩამკიდებს
პასუხს გამცემს
და გზას გამიკაფავს".

ამ ლექსში ნივთების ურთიერთობის საფუძველზე მოცემულია ადამიანთა ცოც-

ხალი ყოფა. ეს მთავარი უნდა იყოს თანამედროვე მწერლისათვის, მაგრამ ასეთი ლექსები ნაკლებად მოეპოვება სიმონ ჩიქოვანს. ამ საკითხში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხ. შ. რადიანს, რომლის აზრით სიმ. ჩიქოვანს „მხედველობიდან ეპარება საზოგადოებრივი ურთიერთობა და მის ადგილს იჭერს ნივთთა ფეტიშიზმი... ამიტომ ის ყოველთვის უფრო აგვიწერს ნივთებს და ნაკლებად საზოგადოებრივ ურთიერთობას". ეს ტენდენცია აშკარათ მოსჩანს მთელი წიგნის გასწვრივ. გარდა ამისა პოეტს ახასიათებს ერთგვარი ზე-ინდივიდუალიზმი. ესეც ისეთი მოვლენაა, რომელიც თანამგზავრ პოეტს არ გამოადგება.

„შრომის ბრძოლაში
გული წავაგოთ,
გვეძახის
ქვეყნის მეურნეობა...
ჩემი ლექსები
ხალხში დარგულა
როგორც სხივები
დილის მდელოზე
გზები მე უკან
არ მეგულება
და პოეტი ვარ
დღევანდელობის".

ისეთი შედარებები, როგორსაც ამ ამონაწერში ხაზი აქვს გასმული ძლიერ ხშირად შეგვხვდებათ ს. ჩიქოვანის ლექსებში. ამ რიგად იგი ჯერ კიდევ ვერ პოულობს ინდუსტრიალურ გამოთქმებს, აკი ამბობს თვითონაც, რომ „ეს წიგნი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზეო", ჩვენ გვგონია, რომ ბრძოლას სიმონ ჩიქოვანი გამარჯვებით დაასრულებს და საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის ლიტერატურული თანამგზავრი.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ მრავალი ნაკლისა სიმონ ჩიქოვანის წიგნი „მხოლოთ ლექსები" პროგრესიული მოვლენაა, ამ წიგნით ნაჩვენებია არა მარტო სიმონ ჩიქოვანის განვლილი გზა, არამედ თვით მთელი ქართული ფუტურიზმის რაობა. რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდში იზრდება თანამგზავრობა: ამის საუკეთესო მაჩვენებელია სიმონ ჩიქოვანის მუშაობა.

გ. ნატროშვილი.

ი. გრიშაშვილი „ეჭვსი ლექსი". 1930.

ი. გრიშაშვილი ტიპიური წარმომადგენელია ინდივიდუალისტური ლირიკისა, ამიტომ დღეს მას აღარავითარი სიცოცხლის ნიშანი აღარ გააჩნია. მარადიული სიყვარული თავისი ფიზიკური და სულიერი შედეგებით, ეს იყო და არის გრიშაშვილის მთავარი თემა. ის მთლიანად ჩამოწყვეტილია თანამედროვე სოციალურ ცხოვრებას, მისი „წმინდა" ლირიკა მაჩვენებელია ავტორის უაღრესად ვიწრო სოციალურ ტენდენციებისა. ი. გრიშაშვილი გამოვიდა ლიტერატურაში, როგორც ქართული წვრილი ბურჟუაზიის, და ეკზალტიური ქალიშვილების გულის მესაიდუმლე. ის არის ხელოვანი გადაგვარებული სოციალური ფენისა. ამიტომ მისი შემოქმედებითი სიმახინჯე დაიწყო იმ დროიდან, როდესაც მწერალი პირველათ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

ვინ ჰკითხულობს დღეს გრიშაშვილს? ახალი მკითხველი ვერ იცნობს ძველი ტფილისის არქეოლოგიურ ნაშთს, ხოლო მეოცნებე ქალიშვილების ბუნაგები გაანადგურა ცხოვრებამ; დარჩა გრიშაშვილი, როგორც უჯარო გენერალი, ამაოა მისი ძახილი:

„სადა ხართ ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ, ბუნებით,

ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით".

ი. გრიშაშვილის უკანასკნელი ფაქტები ეს არის ზარიანი მოთქმა. რა ვუყოთ? მას აქვს საბუთი ტირილისა. ვის გაუგია ჭირისუფლის სიცილი სამგლოვიარო პროცესიაზე? ი. გრიშაშვილი დასტირის ძველ ქუჩებს, სირაჩხანას, სქელ რუმბებს, ჭიანურზე დაკრულ ჩარგას, ბაღდადის ფოჩებს, კრივს, მიკიტანს, დუდუკს და მთელ რიგ სიძველის ნიმუშებს. მთელი ეს ნაგავი არის ერთგვარი ექვივალენტი ი. გრიშაშვილის იდეოლოგიისა.

ი. გრიშაშვლი, ეს კლასიკოსი ქართულ სანტიმენტალიზმისა, პირდაპირ ისეთ სითამამეს იჩენს, რომ აშკარათ ილაშქრებს თანამედროვეობის წინააღმდეგ. მისი შემოქმედება ამოიწურა საბოლოოდ, მოექცა გამოუვალ ჩიხში; ის სწერს ერთი და იგივეს. ეს ათასგვარი ნალექი სპეციფიური ქართული უკულტურობისა, სიბნელისა, სქესობრივი აღვირახსნილობისა, და მეორე ირონიისა, არის სახე ვიწრო ღორული შოვინიზმისა. ნაციონალიზმი აქ გვევლინება, როგორც ბედდაწყეველილი მიკიტანის გლოვა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. გრიშაშვილი, როგორც წვრილ ბურჟუაზიული მწერალი თავის შემოქმედებაში აიდეალებს მეშჩანობის უცუდეს თვისებებს. მას უყვარს სენსაცია. სარეცენზიო ფაქტი აშკარა სენსაცია! ავტორს გამოუფენია მკითხველის წინაშე ხელთნაწერის კლიშეები.

ი. გრიშაშვილი იმეორებს ქრისტიანულ ფილოსოფიას:

„არ მიყვარს სისხლი...
ომი... ბრძოლები...
მიყვარს სუყველა
ჩაგრულ-ვნებული".

ოქტომბრის რევოლიუციის წინ ამ ფრაზას ჰქონდა ერთგვარი ლიბერალური მნიშვნელობა, დღეს კი იგი აშკარა რეაქციონური ლოზუნგია. ჩაგრულთადმი ფილანტროპიული შებრალების სურვილი ძლიერ გაურკვეველი მცნებაა!

შემდეგ ი. გრიშაშვილი სწერს:

„ვმუშაობ ჩემთვის
ჩუმად და ყუჩად
ვეძებ არხივში
ყვითელ ციტატებს";

ი. გრიშაშვილი ძველი ტფილისის უდღეური მემკვიდრეა. ძველი ტფილისი და საერთოდ ამგვარი მტვერ წაყრილი ნიმუშები სიძველისა დღეს გადაიქცა ნაციონალისტურ ინტელიგენციის სახოტბო საგნათ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ი. გრიშაშვილის იდეოლოგია ჯერ არ გაცილებია გრიგოლ ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ფეოდალურ შეხედულებებს:

„სიძველისადმი გრძნობა პატივი
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს—
მიხვდები ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ
ტფილისის კარებს".

ი. გრიშაშვილის ლექსები ბევრ ადგილას დაავადებულია ეგოცენტრიზმის ავადმყოფობით. ავტორს თავისი თავი გენიოსად გამოუცხადებია; ის სტირის, რომ მომავალში მას სხვა გენიოსების ბედი ეწვევა: მტვრიან ქუჩაში ვინმე ბაყალი დაჰხევთ მათ პარკებისათვის.

ი. გრიშაშვილი აშკარა რეაქციონერია, მისი შემოქმედება დღეს არქირეაქციონურ იდეოლოგიის აშკარა გამოხატულებაა. ამას გრძნობს თვით ავტორი და გადაკრული ფრაზებით, ბუნდოვანი გამოთქმებით სცდილობს თავის გამართლებას. უკანასკნელ ლექსში, რომელიც ვედის სიმღერასავით წარმოსთქვა პოეტმა არის ვითომ ტენდენციები მუშასთან მიახლოვების; მიუხედავათ ამისა ეს უკანასკნელი ლექსი უფრო მეტად ჩამორჩენილი, იდეიურათ არქაული და მიუღებელია ვიდრე სხვა ლექსები. ი. გრიშაშვილის ეს უკანასკნელი ნამუშევარი არის

ერთგვარი პოეტური რეზიუმე მისი მუშაობისა. ამ წიგნით მან „კონსპექტიურად“ გადმოგვცა მისი წარსული მუშაობის იდეოლოგიურ-ლიტერატურული მხარეები. მისი მთავარი თემები იყო ნაციონალიზმი, სექსუალური საკითხები და ყოველგვარი ანტისოციალური მოვლენების იდეალიზაცია. ასეა დღესაც. ი. გრიშაშვილის განახლება დაუჯერებელი ამბავია. ამიტომ ტყუილათ ფიქრობს გრიშაშვილი თითქოს თავისი კვლევითი ხასიათის მუშაობით მშრომელ ხალხს ემსახურება. მისი ზემოხსენებული ხასიათის ნამუშევრები ისეთივე წვრილბურჟუაზიული იდეების გამომხატველია, როგორც საერთოდ ი. გრიშაშვილის მთელი პოეზია.

როგორია ი. გრიშაშვილის შემოქმედების ფორმალური მხარე? მისი მთავარი ჟანრი, ეს არის „წმინდა“ ბურჟუაზიული ლირიკა. როგორც იდეების სფეროში აქაც იგივე არქი-რეაქციონური ტენდენციები გვხვდება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ფორმალური ხერხები ერთგვარი ფუნქციაა იმ სოციოლოგიური იდეებისა, რომელთაც ემსახურება პოეტი თავის მოღვაწეობის გზაზე.

გ. ნ.

სარედაქციო კოლეგია:

გ. გუაჩიძე, ვ. ლუარსამიძე, ა. მაშაშვილი, ს. ეული და შ. რადიანი.

საქ. სახელმ. ბიბლიოთეკა

1 9 3 0

პროლეტარული მწერლების ახალი წიგნები:

ა. მაშაშვილი

პოემები

სახელგამი ფასი 1 მან.

ს. ეული

ახალგაზრდობა

სახელგამი. ფასი 50 კაპ.

ფასი 50 კაპ.

173-293

14

მიიღება ხელის მოწერა 1930 წ. ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ჟურნალზე:

პროლეტარული მწერლობა

საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო:

პროლეტარული მწერლობა თავის ირგვლივ აერთიანებს პროლეტარულ მწერლობის საუკეთესო კადრებს.

პროლეტარული მწერლობა ბეჭდავს პროლეტარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, აშუქებს საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

პროლეტარული მწერლობა ათავსებს აგრეთვე რევოლიუც. თანამგზავრ მწერლ. საუკეთესო ნაწარმოებებს.

პროლეტარული მწერლობა ფართე ადგილს უთმობს თეატრის, კინოს, მხატვრობის, მუსიკის და საერთოდ ხელოვნების საკითხებს.

პროლეტარული მწერლობა აშუქებს თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს.

ჟურნალის ფასი: წლიურად — 4 მან., 6 თვით — 2 მანეთი. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბ., სახელგამი, პერიოდსექტორი, რუსთაველის პრ. № 22 და აგრეთვე პროვინციაში სახელგამის ყველა მაღაზიებში.